

ჩვენთან არს უმეტეს!



სუფარო ვაჭიბისა. 4.1990

კურთხეულ ხარ შენ, უფალო, რომელი მოხუედ
ზეთანიად, აღადგინე ლაზარე თოხისა დღისად მკუდრეთით.
რომელთა იხილეს და რწმენა, დაღადებდეს და იტყოდეს:
რომელი მოხუედ და მოსლვად ხარ, იესუ მაცხოვარო
ჩუენო, დიდებად შენდა.



6336026 არს ღმრთი

ჯვარი ვაზისა

4
1990

დაიბადა
სრულიად საქართველო
კათოლიკოს-პატრიარქის,
უწინესოსა და უნეტარესის,
ილია გორის
ღვთისა და ღრვე-ქრთხვით.

თბილისი
1990



უწმიდესისა და უნებარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II

ყოველთა ქართველთა, მკვიდრთა საქართველოდსა და სამშობლოს საზღვრებს ბარემ მსხობრებთა:

"მადლი უფლისა ჩუენისა იესო ქრისტესი და სიყვარული ღვთისა და მამისა და ზიარება სულისა წმიდისა იყავნ თქვენ ყოველთა თანა" ამინ.

ქრისტეს მიერ საყვარელნი ძმანო და დანო

ქრისტე აღსდგა!

"ღამე იგი განგვეშორა და დღე შემოგვეახლა: განვიშორნეთ უკუე საქმენი ზნელისანი და შევიმოსთო საჭურველი ნათლისაჲ (რომ.13,12)

პასეჟი ქრისტესი ძველ დროს მომხდარი სასწაულის გახსენება კი არ არის, არამედ რეალური შეხვედრა აღდგომილ მაცხოვართან: ეს არის სიბარული, რომელსაც მხოლოდ მორწმუნე გრძნობს და განიცდის: ეს არის სიბარული ადამიანის გულში დაუტყუნელი. მისი მადლით აღვსილ ყველას სიყვარულით გილოცავთ:

ქრისტე აღსდგა!

აღსდგა მშვილობა და ნათელი სოფლისა; აღსდგა სიბრძნე და ჭეშმარიტება, აღსდგა მეორე ადამი-ღმერთი ვნებული, უფალი უფლებათა. სხეულის გაყრილმა მისმა ყოვლადძლიერმა სულმა შემუსრა საკურელნი სიკვდილისა, ბჭენი ჯოჯობეთისა და თავის მორწმუნეთ გაუხსნა წინაპართა ცოდვის მიზეზით დახშული კარი ცისა და სამთოხისა.

"ქრისტე მიუცა ცოდვათა ჩვენთათვის და აღსდგა განმართლებისა ჩუენისათვის"(რომ.4,25); ვეშგავსოთ ქრისტეს, რამეთუ ჩვენი ხსნისათვის მსგავს ჩვენდა იქმნა; განვიღმერთოთ, რამეთუ იგი ჩვენის მიზეზით განკაცდა; თავი დაიმდაბლა, რათა ჩვენ აღვემადლებინეთ; სოფელს წარუდგა ლტაკი, რათა ჩვენ გავემდიდებინეთ; იქმნა შეურაცხყოფილი, რათა ჩვენ განვედიდებინეთ; იყო სატანჯველით გვეშული, რათა ჩვენ ძღვევაჲ მოგვეპოვებინა; მოკვდა, რომ გამოგვხსენით; აღსდგა, რომ ქვესკნელს შთაცვიფრულნი ზეცის სიმაღლეს ვზიარებოდით (გრიგოლ ღვთისმეტყველი).

რებოდით (გრიგოლ ღვთისმეტყველი).

ნაწილობრივ მაინც რომ ვიგრძნოთ მაცხოვრის მიერ გაღებული მსხვერპლის სიღიადე და ჩვენდამი მისი უსაზღვრო სიყვარული, საკუთარ სულში უნდა ჩავიხედოთ; თითოეულმა ცალ-ცალკე და ყველამ ერთად უნდა განვიცადოთ ჩვენი სისუსტენი, ვამბილოთ ჩვენი ცოდვითი მიდრეკილებანი, რათა მართალ შემგვრესავით გულით შევთხოვოთ შემოქმედს: ღმერთო, მიღბინე მე ცოდვილს; და იმ შემგვრესავით მივილოთ შენდობა და მიტვეება ცოდვათა ჩვენთა.

ღიახ, დღეს ჩვენი მოვალეობაა, თვალი გაუქსწოროთ რეალობას. შევჩერდეთ და ვიდრე ხვალისკენ მიმავალ გზას საბოლოოდ დავადგებოდეთ, დაფიქრდეთ, ვინ ვიყავით და რად ვიქცით? დაფიქრდეთ, როგორ ვიპოვოთ საკუთარი თავი, საით გვიბიძგებს ინსტიქტი და სინამდვილეში კი სად არის ის ერთადერთი გადამარჩენელი ბილიკი, რომელსაც ჩვენი სული დაეძებს?

ჩვენს ეროვნულ არსს, ჩვენს ეროვნულ მთლიანობას, როგორც ბრძანებს წმიდა ილია მართალი, საში მსლაური ფესვი ასაზრდოებს: საკუთარი მიწა, ქრისტიანობა და ენა ქართული. მათ თვალისჩინივით უნდა გაუფრთხილდეთ, რადგან თუ ქართველთა შორის დაიკარგა გრძნობა და განცდა ამ ჭეშმარიტებისა, იმ გადამარჩენელ ბილიკს ვერასდროს მივაგნებთ.

სააღდგომო ეპისტოლეში მინდა შევეხო ჩვენი დღევანდულობის ზოგიერთ მტკივნეულ საკითხს.

სამწუხაროდ, წარსულმა წლებმა ჩვენს ამროვნებას ფსიქოლოგიური რღვევის მექანიზმის დაღი დაასვა; მისი მიზანი იყო ადამიანის არსიდან ღმერთის განდევნა და ამ ადგილის დაკავება. ამიტომ ყველაფერი, რაც აღნიშნულ პრინციპს არ ემორჩილებოდა, იდეოლოგიისთვის მიუღებელი იყო. არ სჭირდებოდა მას დემოკრატია, სიყვარული, თავისუფლება, ჭეშმარიტე-

ბა... რწმენისა და ინტელექტის უარყოფამ განაპირობა მსოფლმხედველობისა და ზოგადად ანაური მრწამსის რღვევა; სინათლის ადგილას გამეფდა სიბნელე, სიყვარულის ადგილას - სიძულვილი, ცოდნის მაგივრად - უმეცრება, ღვთის ნაცვლად - ურწმუნოება. მნეობა და სულიერობა ისე დაინთქა მკვლრად ნაშობ იდეოლოგიის სქემაში, ისე გაილია და გაფერმკრთალდა, ვერც კი ვიგრძენით, როდის დავკარგეთ იგი. ადამიანი იქცა მომავლისთვის მეტად საშიშ მანქანად, ავტომატად.

ჩვენი დაბალი სულიერობის მანიშნებელი ბევრი მაგალითია, ბევრი ფაქტია.

რით შეიძლება ავხსნათ, თუ არა ამით, ქართულის მიმართ ქართველი ადამიანისვე დაუნდობელი სისასტიკე? ჩვენი შვილები ჩვენს თვალწინ ერთმანეთს ხოცავენ ისეთი ღვარძლით, ისეთი გამეტებით, ასეთი სასჯელისათვის ქრისტიანი კაცი სამშობლოს მტერსაც არ გასწირავს.

ანდა საიდან მოდის ჩვენი დაუოკებელი სურვილი, გამოსწორება დავიწყით სხვით და არა ჩვენი თავით? რატომ ვხედავთ სხვის ნაკლს და საკუთარს კი არ ვამჩნევთ, რატომ ვხედავთ სხვა ადამიანში მხოლოდ "სავლეს" და იმას კი არ ვფიქრობთ, რომ უფალს ძალუქს "სავლე" აქციოს "პავლედ", ცოდვილი - წმინდანად, ბოროტი - კეთილად. ამპარტავნება ჩვენი ხშირად იქამდეც კი მიდის, რომ ამ გარდაქმნასაც ვერ ვიტანთ; გვშურს, გვინდა ადამიანი, რომელსაც ჩვენ ასე მკაცრად ვაკრიტიკებდით, განვიკითხავდით სამუდამოდ ბოროტი დარჩეს. გვაფიწყდება მაცხოვრის ერთ-ერთი მთავარი მცნება: ღვთისა და მოყვასის სიყვარული. ეს თუ ახლავს კაცს, მაშინ იგი მიმტევებელიცაა, ზოგიერთი კი ისეა გაბოროტებული, თვლის, თითქოს მიმტევებლობამ დალუპა საქართველო. ასეთ პიროვნებაში დაკარგულია არა მარტო ქრისტიანული სული, არამედ ადამიანურიც. უნდა გვახსოვდეს სიტყვები წმიდისა ბასილი დიდისა: ბოროტება ბოროტებით არ იკურნება, მას სიყვარულით უწამლებ მხოლოდ.

ქრისტიანულ რწმენაზე და სიყვარულზე დაფუძნებულმა მიმტევებლობამ კი არ დაგვღუპა, გადაგვარჩინა.

ჩვენი ერის წინაშე დიდი პრობლემები დგ-

ას. მდგომარეობა რთულდება და უარესდება იმითაც, რომ ქართველთა შორის არ არის თანხმობა, მეტიც, ხშირად მტრობაა, რაც განსაკუთრებულად გამოვლინდა თანამედროვე პოლიტიკური ცხოვრების ფონზე.

მრავალპარტიულობა შესანიშნავი და ნამდვილად დემოკრატიული სახელმწიფოებრივი წყობაა, მაგრამ მას ხომ უნდა კეთილად გამოყენება; ისეთ სახელმწიფოებში, სადაც დემოკრატია და პარტიების სიმრავლე უკვე საუკუნეობით არსებობს, გამოთქმავებულია კამათის ეთიკა. ჩვენთან კი ეს არც იყო და არც არის. ჩვენი სულიერი და კულტურული ღონე იმდენად დაბალია, რომ კამათის დროს გადავდივართ ერთმანეთის შეურაცხყოფაზე, მუქარაზე, არ ვერიდებით არც ცოცხალს, არც მკვდარს. ჯერ კიდევ ძველი რომაელები ამბობდნენ: მიცვალებულზე ან კარგი უნდა თქვა ან არაფერიო. ჩვენ კი წარმართების ღონემდეც ვერ ავშაღლებულვართ. ცუდის თქმას არ ვჯერდებით, მკვლრებს საფლავებშიც აღარ ვაყენებთ.

დადგა დრო უფროსი თაობის ჯერარნახული დაუნდობელი ლანძღვისა იმ სახაზით, თითქოს მათ დალუპეს საქართველო.

ის კი გვაფიწყდება, რომ XIX-XX საუკუნეებში ჩვენი ერის ცხოვრებაში მომხდარი ფაქტები შედეგი იყო სწორედ ქართველთა სულიერი ღონის დაკნინებისა, სულმოკლეობისა, ურთიერთმტრობისა... და რომ წინაპართა ეს ნაკლი ჩვენშიცაა; ჩვენც მონანი ვართ ამ სიმაბლისა, თავი კი უცოდველი გვგონია. საკითხავი ისიცაა, მათ ადგილას განა ჩვენ უკეთესნი ვიქნებოდით? გავუძლებდით კი იმ წლების სიმძიმეს?

საერთოდ ჩვენ გვაფიწყდება, რომ ცოლვა უნდა გვძულდეს, მაგრამ ცოდვის ჩამღენი ადამიანი, როგორც ბოროტის საცოდავი იარაღი, უნდა გვიყვარდეს და გვებრალეზოდეს. იგი არ უნდა მოვიძულოთ, არამედ უნდა დავეხმაროთ მას ნაკლის დაძლევაში. მოძმის მხილებას კი სიყვარული უნდა ედოს საფუძვლად, თორემ იგი მოყვასისადმი სიძულვილსა და მტრობაში გადაიბრდნება და უფრო დიდი ბოროტების სათავედ იქცევა. ნებისმიერი პარტიის წევრში თუ უპარტიოში, ხანდაზმულში თუ ჯაბუკში მტერი კი არა, ჩვენი მამა, დედა, და, ძმა, მეგობარი უნდა დავინახოთ და ამ თვალთახედვიდან უნდა

ვიბრუნოთ ცხოვრების გამოსასწორებლად.

ღმერთი ითხოვს ჩვენგან შენდობას სხვათა, რათა მას მიუცეს საშუალება იყოს მოწყალე ჩვენდამი; და თუ არ შეგვიძლია მოწყალე ვიყოთ შეურაცხყოფელთადმი, როგორღა ვთხოვთ უფალს შეწვევას, როგორღა ვაძბობთ: "მომიტევენ ჩვენ თანანადებნი ჩვენნი, ვითარცა ჩვენ მიუტევევთ თანამდებთა მათ ჩვენთა", განა ჩვენ ცოდვებით ყოველდღიურად არ შევურაცხყოფთ ღმერთს?! რატომ ვითხოვთ მისგან ღმობიერებას, როცა ჩვენ უღმობიელნი ვართ? და თუ ვაპატიებთ მოყვასს შეცდომებს ნუ ვიფიქრებთ, რომ კეთილნი ვართ მისადმი; სიკეთეს ჩვენ საკუთარ თავს ვუკეთებთ მხოლოდ.

გონიერნი მაშინ ვიქნებით, თუ საქმის კეთებას დავიწყებთ არა ღაბღღვით, არამედ ერთმანეთის გვერდში ამოღდგომით, ერთმანეთის მოსმენით, ურთიერთგაგებით, კარგი იდეების გამოარებით.

სხვა გზა არ არსებობს; სხვა გზა დამლუპველია.

ფიქრობ, სასწრაფოდ უნდა შედგეს ყველა პარტიისა და საზოგადოების წარმომადგენელთა კრება, რომელიც გამოიმუშავებს პარტიების კამათის ეთიკის კანონებს, რომლის დაცვაც აუცილებელი იქნება ყველასათვის.

ცნობილი ფაქტია, ადამიანები ნაკლებად იზიარებენ სხვათა შეხედულებებს, მაგრამ როცა ეცნობიან მათ აზრებს და თავისას ადარებენ, ხშირად შესაბამისი ცვლილებები შეაქვთ თავის მოქმედებასა და მიმართულებაში.

ამიტომაც, თუ გვინდა რომ ერთიანი გონივრული აზრი ჩამოყალიბდეს, ჩვენთვის მიუღებელი პოზიციებიც ღვეგადური უნდა გავხადოთ, უნდა თანახმა ვიყოთ, რომ პრესის საშუალებით ისინი საჭარო და ნათელი გახდეს მთელი საზოგადოებისათვის.

სხვადასხვა აზრები ერთმანეთზე მოახდენენ გავლენას. ისინი დაუახლოვდებიან, შეავსებენ, მიიზიდავენ ერთმანეთს და საბოლოო ჯამში ხელს შეუწყობენ პოზიციათა ურთიერთგაგებას, კონსოლიდაციას.

იმისათვის კი, რომ გავეცნოთ სხვათა შეხედულებებს, განვსაჭოთ და განვსაზღვროთ მომავლის გზის მიმართულება, დრო გვეჩირებება; მიუხედავად იმისა, რომ სულსა და ხასიათში

გვინის სიჩქარე, სულსწრაფობა უნდა დავიოკოთ, ხომ ფაქტია, როცა ვჩქარობთ ბევრ შეცდომას ვუშვებთ.

ყოველივე აქედან გამომდინარე, მიმაჩნია, რომ მიტინგებისა და გაფიცვების სახით ევროპიდან შემოსულმა პროტესტის თუ აზრის გამოთქმის ამ ფორმამ დრო მოჭამა; ხალხი შეეჩვია მას, დაიღალა და უკურეაქცია გაჩნდა.

სასურველია, ყველა პარტიის მონაწილეობით შექმნილ კომპეტენტურ ორგანოსთან ჩამოყალიბდეს "იდეათა ბანკი", რომელიც განიხილავს ყველა წამოჭრილ საკითხს და წინადადებას, მთელი სამართლიანობით განსჯის მას და საბოლოოდ დაასაბუთებს ამა თუ იმ აზრის სისწორეს ან მართებულობას.

ორგანოს გადაწყვეტილებას უნდა დაეთანხმოს იდეის შემომტანი.

ორგანოს განაჩენი უნდა იყოს აუცილებლად შესრულებული.

მე იმედის თვალით ვუყურებ მომავალს. ამის საფუძველს გვაძლევს თუნდაც 19 მარტს მომხდარი ფაქტი. ამ დღეს იმძღავრა ჩვენში მიძინებულმა სიყვარულმა, შეერთდა დაქაქსუელი ქართული სული, სინანულის მაღლით განიბანა და თანადგომისა და თანაგრძნობის სურვილით აღვსილი ერთგულების ფიცით წარსდგა ღვთის წინაშე სიონის ტაძარში. ღმერთმა ისინოს მათი, ღმერთმა დალოცოს და შეჰკრას საქართველო.

უნდა გვახსოვდეს, მტერი უძღურია, თუ ჩვენ ერთად ვიქნებით. მან არ უნდა გამოხახოს მოლაღატე ჩვენს შორის. მტერი დღესაც არ გვაკლია, მაგრამ უფლის და ღვთისმშობლის დელობრივ კალთას მინდობილნი, მათ ჩვენ ესაია წინასწარმეტყველის სიტყვებით მივმართავთ: "თივით ორსულნი, ჩალას დაბადებთ, ცეცხლია თქვენი სუნთქვა, თქვენნივ შემქმელი"(ესაია 33,11).

ხვალინდელ დღეზე ფიქრი განსაზღვრავს ჩვენს განსაკუთრებულ მზრუნველობას ახალგაზრდებზე; ეს სწორია, მაგრამ უფრო მეტი ყურადღება მოზარდ თაობას უნდა მივაქციოთ.

დღეს განსაკუთრებული მისია ეკისრებათ ქართველ დედებს.

მათ უნდა შეძლონ ცხოვრების გაუკუღმართებული წესის შეცვლა. მათ აკვირდნენ უნდა

ჩაუნერგონ შვილებს ღვთისა და მოყვასის სიყვარული, ერთგულების, თანაგრძნობის უნარი...

ცხოვრება ისე როდია მოწყობილი, არავისთან შეგუქმნას კონფლიქტი, არავის აწყენინოს არავინ გაწყენინოს. ჩვენს შვილებს უნდა შეეძლოთ მოთმინებაც, შენდობაც, გატანაც. ეს იმას კი არ ნიშნავს, თითქოს მათ არ უნდა ვასწავლოთ ღირსების დაცვა. მაგრამ მათ ღირსება ღირსეულად უნდა დაიცვან. არა ღაჩრული გზით: კაცის კვლით, ბოროტებით, დაუნდობლობით, არამედ სიმართლით, მშვიდობით, ურთიერთპატივისცემით.

მოუხუმოთ სიბრძნესა და სიყვარულს, რამეთუ სიბრძნე მართოდენ სიყვარულშია.

საგანგებო ყურადღება უნდა მიექცეს ასევე სკოლებს.

აშშ-დან საქართველოში ჩამოსულ მოსწავლეთა ერთი ჯგუფის ხელმძღვანელი მიაჩნობდა, რომ ისინი კოლეჯებში გეგმით გათვალისწინებული საგნების გარდა ბავშვებს ასწავლიან ჩხუბისა და უსიამოვნების შემდეგ მასწავლებლებისა და მშობლების ჩაურევლად შერიგების სხვადასხვა გზებს; ასწავლიან სიკეთის ქმნას, მიმტვევებლობას, გაჭირვებულისადმი დახმარებას, შრომისადმი პატივისცემასა და სიყვარულს. ჩვენ კი ამაზე არც გვიფიქრია. ჩვენ ვასწავლით, ვინ არის კლასობრივი მტერი და როგორ მოესპოთ იგი.

სასულიერო სემინარიასა და აკადემიაში იკითხება საგანი, რომელსაც "ზნეობრივი ღვთისმეტყველება" ეწოდება. თუ ღვთისმეტყველება ჯერ კიდევ მიუღებელია ჩვენს სკოლებში, ზნეობრივი ეთიკა" ან "ზნეობრივი კულტურა" და შევიტანოთ იგი სკოლის პროგრამაში.

ღღეს ბევრს ლაპარაკობენ თანამედროვე პედაგოგიკის ნაკლებზე. გამოთქმულია მრავალი მოსაზრება, შემუშავებულია პროგრამა... მაგრამ იმას კი არავინ დაკვირვებია, რომ პირველი კლასიდან დამამთავრებელ კლასამდე ერთ სკოლაში მოსწავლეთა სწორად აღზრდა შეუძლებელია; რომ აბსურდი და უდიდესი დანაშაულია, როცა პირველკლასელს ვაიძულებთ, თითქმის იმდენივე ხანს იწღეს გაკვეთილზე მობილიზებული, რამდენ ხანსაც ვთხოვთ, ვთქვათ, მეთუ კლასის მოსწავლეს. სწავლების ასეთი

ფორმით ხომ ბავშვს ძალაუნებურად რობოტად ვზრდით.

ყმაწვილის დატვირთვა თავდაპირველად მსუბუქი ფორმით, ვთქვათ 5 ან 10 წუთით უნდა დაიწყოთ. შემდეგ კი ნელ-ნელა მოვუმატოთ დროს, რომ ისინი სიბეჭითეს თანდათან შეეჩვიონ. სწავლების პროცესში ჩვენი ის ნაკლიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ ქართველებს გვახასიათებს საქმის კარგად დაწყება, მაგრამ დამთავრება კი გვიჭირს, არ გვიყვარს მისი ბოლომდე მიყვანა. ამიტომ ბავშვს რა ხნის განმავლობაშიც დავსვამთ გაკვეთილზე, ისეთი დავალება უნდა მივცეთ, რომ იმ დროში აუცილებლად ჩაეტიოს, დაასრულოს იგი ან საქმის გარკვეული ნაწილი მაინც, რომ მას გამოუმუშავდეს დაწყებულის აუცილებლად დამთავრების სურვილი და მოთხოვნილება.

აღბათ, ყველაზე სასურველია, სკოლები დაიყოს კლასების მიხედვით: ერთი სკოლა იყოს პირველი კლასებისათვის, სხვა - მეორე კლასებისათვის და ა. შ. ანდა ერთი სკოლა დაწყებითი კლასებისათვის, მეორე - მოზარდთათვის და ა. შ. სამწლიანი შუალედით თითოეული.

ბოლო წლების მღელვარებამ დაგვანახა, რომ ჩვენი მოქმედება ძირითადად გრძობებსა და ემოციებზეა დაყრდნობილი და რომ გონება არ აკონტროლებს მას. ემოციურობა კარგია, იგი ჩვენი თვისებაა, მაგრამ არ არის საკმარისი. გვაკლია ღრმა ანალიზის უნარი.

საერთოდ, უნდა ითქვას, რომ თანამედროვე აღამიანის ამროვნება მედაპირულია, მოკლებულია ღრმა განსჯას, რასაც მეცნიერები რადიოს, ტელევიზიის, პრესის, კინოს, თეატრის და ინფორმაციის სხვა საშუალებების სიმრავლით ხსნიან. კაცი ვერ ასწრებს ყველაფრის აღქმას, ამიტომაც მისი გონება სწრაფად გადადის ერთი საგნიდან მეორეზე.

მიგვაჩნია, რომ ამ ხარვეზის გამოსწორება შეგვიძლია, თუ შეიქმნება 1 კლასიდან დამამთავრებელ კლასამდე სასკოლო კურსი ღრმა ამროვნების სწავლებისათვის, სადაც გამოყენებული იქნება ღვთისმეტყველების, ლოგიკის, ფსიქოლოგიის, ფილოსოფიის, ანთროპოლოგიის... მონაპოვარი, ჩვენი ერის სულიერი და ინტელექტუალური პოტენციალი; (თეორიული მასალა აუცილებლად მაგალითებით უნდა იყოს განმტ-

კიცებულებით).

ღრმა აზროვნებასთან შიარება ბავშვს მეტად გაუადვილებს სხვა საგნების ათვისებას. ამასთან, ჩვენ აღვზრდით ნამდვილად ჭკვიან ახალგაზრდებს, რომლებიც იცხოვრებენ და იმოქმედებენ არა მხოლოდ ემოციებით; თავისუფალნი იქნებიან მაქსიმალიზმისაგან და ჩვენზე უფრო გონიერად, რწმენით და სიმართლით წარმართავენ ცხოვრებას.

ქრისტეს აღდგომის ნათელი მოიცავს მთელ სამყაროს. მისი მადლით ნიშანდებულნი უნდა განვთავისუფლდეთ ცოდვისაგან, რათა ვეზიაროთ ჭეშმარიტებას; თუ არ განვიძარცვეთ სხეული ძველი ადამისა და არ შევიმოსეთ ქრისტეს სამოსით, მარადიული სიკვდილისათვის გავწირავთ თავს.

მაგრამ იესომ ხომ შემუსრა საკვრელნი სიკვდილისა, - იკითხავს ზოგი.

სიკვდილი სამი სახისაა: ფიზიკური, სულიერი და მარადიული.

მაცხოვარმა ჩვენ სულიერი და მარადიული სიკვდილისაგან გვიხსნა; გვიხსნა სულიწმიდის განშორებისა და მარადიული სატანჯველისაგან. მან თავისი სისხლით და ხორციით გამოიხსილა

პირველქმნილი ცოდვა და ამით მორწმუნეთათვის სასუფეველის კარი შეაღო.

"შე ვარ აღდგომაჲ და ცხოვრებაჲ, - ზრძანებს უფალი, - რომელსა ჰრწმენეს ჩემი მოთუკვდეს, ცხონდესვე და ყოველი, რომელი ცოცხალი არს და ჰრწმენეს ჩემი, არა მოკუდეს იგი უკუნისამდე" (იოანე 11,25-26). აღდგომილი მაცხოვარი არის უტყუარი მტკიცება იმისა, რომ ჭეშმარიტება სძლევს სიცრუეს, სიკეთე - ზოტებას, სიყვარული - სიძულვილს, სიციცხლე - სიკვდილს.

მაშ, დავფლათ ჩვენი ცოდვითი მირეკილებანი და შევუდგეთ ქრისტეს; მასთან ერთად მოკვდეთ, რათა მასთან ერთად აღვსდგეთ და ვიღიებოდეთ მასთან ერთად.


გიხაროდეთ, რამეთუ უფალია ჩვენი მსაჯული, უფალია ჩვენი რჯულმდებელი, უფალია ჩვენი მუუფე; ის გადაგვარჩენს" (ესაია 33, 22).

გიხაროდეთ, ქრისტე აღსდგა!

აღდგომილმა მაცხოვარმა დაგლოცოთ და გაგაძლიეროთ.

აღდგომა ქრისტესი

თბილისი, 1990 წ.





ბბობა





სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია მეორის
სიტყვა წარმოთქმული 1990 წლის 8 აპრილის ღამეს სამბდროშიარო
მიტინგზე

ქრისტეს მიერ ძმანო და დანო
წმიდა მოციქული პავლე ამბობს: "ღამე იგი განგუეშორა და დღე შემოგუეახლა"(რომ.
13,12).

დღე და ღამე, სიხარული და მწუხარება - რა ხშირად განუცდია ქართველ ხალხს ყოველივე
ეს თავის ისტორიაში. რამდენი საიდუმლოა ჩვენს ბუნებაში! ჩვენ თვითონაც ვერ აგვიხსნია, საქა-
რთველთ ცისაა თუ მიწისა; მრავალი მტერი ცდილობდა ხერხემალში გადაეტეხა საქართველო,
მაგრამ ამაოდ, ჩვენ ვუძლებდით და გაუძლებდით, რამეთუ ჩვენთან არს ღმერთი. ეს გვარწმუნებს
ჩვენ, რომ ქართველები უფრო ცისანი ვართ, ვიდრე მიწისანი. 9 აპრილი - ეს ჩვენი გლოვაცაა
და სულიერი ბეიმიც, მაგრამ ეს მაინც გამოცდა იყო ჩვენი. შეუძლებელია ვიცხოვროთ მხოლოდ
ჩვენი გმირული წარსულით, ოღონდაც არ უნდა დავივიწყოთ იგი. წარსულის გათვალისწინებით
ჩვენ რეალურად უნდა შევხედოთ დღევანდელ დღეს და მომავალს. უნდა დავინახოთ, ვინ დგას
ჩვენს წინაშე, ვინ გვახვევია გარშემო, თავისუფლებასთან მისასვლელი რა გზები არსებობს. დღეს,
როცა ამდენი პრობლემა ერთბაშად წამოიჭრა ჩვენს წინაშე, ჩვენ უნდა გავერთიანდეთ. ყოველი
ქართველი, რომელიც დღეს დაკავებულია პირადი ინტერესებისა და ამბიციების გამო ანგარიშის
სწორებით - მტერია ჩვენი ერისა; ამ ცოდვას მას არ აპატიებს არც ღმერთი და არც ჩვენი ერი.
ამოვუდგეთ ერთმანეთს მხარში, ერთმანეთის სიმძიმე ვიტვირთოთ, თუ სცოდა ვინმემ, მივუტევოთ
მას; მტერმა არ უნდა ჰპოვოს არც ერთი მოლაღატე ჩვენს შორის.

ახლა კი აღვასრულოთ პანაშვილი მათთვის, ვინც 9 აპრილს საქართველოს თავისუფლებას
გმირულად შესწირა თავისი სიცოცხლე.

1990 წელი.

ბათუმი

აჭარის ასსრ მიწისბრთა საზღოს თავმჯდომარეს

ბატონ ბურამ ჩიბოშიძეს

ბატონო გურამ!

დღეს, როცა მთელი ჩვენი ერი მწუხარებით აღნიშნავს აჭარაში მომხდარი სტიქიური უბედუ-
რების წლისთავს, ჩვენ კიდევ ერთხელ აღვავლენთ ლოცვებს გარდაცვალებულთა უკვლავი სულებ-
ისათვის, მათი ოჯახების მშვიდობისა და კეთილდღეობისათვის.

საქართველოს ეკლესია მუდამ თქვენთან არის და იქნება. გთხოვთ გადასცეთ ჩვენი გულითა-
დი თანაგრძნობა დაზარალებულთა ოჯახებს.

ღრმა პატივისცემით

წმ. სვიმეონ ახალი ღვთისმეტყველი

ქრისტეს ალღომის შესახებ

თუ რა არის ალღომა ქრისტესი, ანდა როგორ აღსრულდება იგი ჩვენში, მასში კი ჩვენი სულის ალღომა. რა არის საიდუმლო ამ ალღომისა. (წარმოითქვა ალღომის შემდეგ მეორე კვირის ორშაბათს).

ძმანო და მამანო. აჰა, ალღომა, დღე საამური, დღე ყოველგვარი მხიარულებისა და სიხარულისა; შემოიქცევა ჭამი და მარადიულად მოგვეახლება ალღომა ქრისტესი, უფრო კი ყოველდღიურად და მარადჭამს აღსრულდება მათში, რომლებმაც უწყიან ამ დღის საიდუმლო.

ალღომის დღესასწაულმა სიხარულითა და ლხენით აგვიფოს გულები, ერთბაშად გააქარწყლა მან ყოვლადწმიდა მარხვის სიმძიმე ანუ, უკეთ რომ ვთქვათ, სრულყო ჩვენი სულები და ამავე დროს, ნუგეში სცა მათ. ამ დღემ უბო ყველა მორწმუნეს, რომ ილხენდენ და აღავლენდენ სამადლობელს; აწ კი, როგორც ხედავთ, მიიწურა იგი.

ვმადლობდეთ უფალს, ვინც გვიწინამძღვრა მარხვის მღვაში, ვინც სიხარულით შეგვიძღვა მისი ალღომის ნავსადგურში. ვმადლობდეთ მას ყველანი, რომლებმაც მღუღარე სურვილითა და სათნო საქმეებით კეთილად და წაღიერად განვედეთ სარბიელი მარხვისა; ვმადლობდეთ ისინიც, რომლებიც მოუძღურდით ამგვარ ღვაწლში სულმოკლეობისა და სულიერი სისუსტის გამო; ვმადლობდეთ უფალს, რადგანაც სწორედ ის არის, ვინც საქმეთაებრ უხვად მიმადლებს მხედ მოღვაწეებს გვირგვინსა და დიდადელ სამძალს, ხოლო უძღურთ კეთილმოწყალებს და კაცთმოყვრულად მიუტყევენ, რადგანაც იგი უფრო იმას ჭერებს, თუ რას ესწრაფვის, რას განიზრახავს ჩვენი სული, ვიდრე იმას, თუ როგორ ვიღწვიოთ ხორციულად. როდესაც სათნოებაში ვიწრობთ თავს, ან ფრიად ვამკა-

ვრებთ ღვაწლს თანახმად სულიერი მოთხოვნებისა, ანდა გვძლევს ჩვენ სხეულის უძღურება და ვერ ვუტოვებთ მოღვაწეებს, ხოლო უფალი იმ საშობით მოგვიზღავს ყველას, იმ საშობით მოგვანიჭებს სულიწმიდის მადლს, რა საშობითაც გამოვაფლენთ ჩვენს გულისწაღილს, რადგანაც იგი ზოგ მოღვაწეს სახელს გაუთქვამს და განადიდებს, ზოგ მოღვაწეს კი, ვისაც მართებს უფრო მეტად მკაცრი განწმენდა, სიგლახაკეში ამყოფებს კვლავაც.

ახლა კი ვნახოთ, თუ ისურვებ, რა არის საიდუმლო ქრისტეს, ჩვენი ღვთის, ალღომისა, რაც იღუძალად აღსრულდება მარადის ჩვენში, რომლებსაც გვსურს ეს. გულდასმით გამოვიკვლიოთ, თუ როგორ დაიფულება ქრისტე ჩვენში, ვითარცა სამარეში, შემდეგ კი როგორ ალღევა იგი, ჩვენს სულებთან შეერთებული, და როგორ ალგვადგენს ჩვენც მასთან ერთად.

წინამდებარე მსჯელობა ამგვარია:

ქრისტემ, ჩვენმა დემეტრამ, რომელიც "ჯვარსა დამოეკიდა" და რომელმაც ჭვარზე მიაღურსმა სამყაროს ცოდვა, იგემა სიკვდილი და ჩავიდა ჯოჯობეთის უქვემოეს ნაწილში. როდესაც იგი კვლავ აღმოვიდა ჯოჯობეთიდან, შევიდა თავის უკვდავ სხეულში /რომელსაც ჯოჯობეთში ჩაშვების დროსაც არანაირად არ განშორებია/, მყისვე ალღვა მკვდრეთით და ამის შემდეგ ამაღლდა ზეცად ფრიადი დიდებითა და ძალმოსილებით. მსგავსადვე ხდება ამჟამადაც, როდესაც კი გამოვიდვართ ჩვენ სოფლიდან და უფლის ვნებათა მიმსგავსებით შევდივართ სინანულისა და სიმდაბლის სამარეში, იგი თავადი ჩამოდის ციდან, შემოდის ჩვენს სხეულში, ვით სამარეში, უერთდება ჩვენს სულს და ჭეშმარიტად მკვდრეთით აღადგენს მათ. ოდეს ამგვარად აღდგება ვინმე ქრისტესთან ერთად, მიემადლება მას უფლისაგან, რომ იხილოს სიდიადე ღვთის საიდუმლო ალღომისა.

ამგვარად, აღდგომა ქრისტესი არის აღდგომა ჩვენი, - ქვე დადებულთა, რადგანაც ის, ვინც, წერილის თქმისებრ, არასოდეს დაცემულა ცოდვაში, ვისაც არანაირად არ უცვლიათვისი ღიღება, როგორ აღდგება და იღიდება, - თვით მარადჟამს ზედიღებული და უცვლელად დამკვიდრებული ყოველთა მთავრობათა და ხელმწიფებათა ზედა!?

აღდგომა და ღიღება ქრისტესი, როგორც ითქვა, არის აღდგომა და ღიღება ჩვენი, რაც იქნება, რაც ცხადდება და რაც ვლინდება ჩვენს წინაშე, რაჟამს აღდგება უფალი ჩვენში, რადგანაც ერთგობის უკვე ითვისა მან ჩვენი ბუნება და ამიტომაც, ყოველივეს, რასაც ჩვენში იქმს, თვითვე იკუთნებს; აღდგომა სულისა არის შეერთება ცხოვრებასთან. როგორც სხეული, რომელიც აღარ შეიწყნარებს ცხოველმყოფელ სულს და არ შეერევა მას შეურევლად, უკვე მკვდარია და აღარ ითქმის ცოცხალ სხეულად, ასევე სულიც თავისთავად, განმხოლოებით მოკლებულია სიცოცხლის ნიჭს, თუკი იგი ფარულად და შეურევლად არ შეერთდება ჭეშმარიტად მარადიულ ცხოვრებას, - უფალს. ცოდნისმიერ, ხილვისმიერ და გრძნობისმიერ შეერთებამდე მკვდარია სული, თუმცა ბუნებით გონიერია იგი და უკვდავი; არ არსებობს ცოდნა ხილვის გარეშე, არცთუ ხილვა - გრძნობის გარეშე. ეს ნიშნავს: ჰგიეს ხილვა და ხილვაში ცოდნა და გრძნობა/სულიერთათვის ვაშობ ამას, რადგანაც ხორციელთა შორის გრძნობა არსებობს ხილვის გარეშეც/. როგორ შეიძლება ეს გამოითქვას? ბრმა იგრძნობს, ქვაზე ფეხს რომ წამოკრავს, მკვდარს კი არა აქვს ამის გრძნობა. სულიერთა შორის ასე ხდება: ვიდრე გონება არ მიაღწევს ბეშემეცხებით საქმეთა ჭვრეტას, ვერც საიღუმლო მოქმედებას შეიგრძნობს იგი, ხოლო ვინც ამბობს, რომ სულიერი მგრძნობელობა შეიძლება წინ უსწრებდეს ჭვრეტას იმისას, რაც კი გონებას, სიტყვასა და შემეცნებას აღემატება, - ასეთი ვინმე იმ ბრმასა ჰგავს, რომელიც თუმცა გრძნობს ყველაფერს, რასაც განიცდის, - კარგსა თუ ბოროტს, - მაგრამ არ იცის, რა აქვს მას ხელში ანდა ფეხებთან, რა არის მისთვის სასიკვდილო, რა - სასიცოცხლო. ვისაც არა აქვს მხედველობის ძალა და გრძნობა, ვერანაირად ვერ შეიგრძნობს, წინ

რა მოელის, - ცუდი თუ კარგი. ამიტომ ხშირად, ბრმა რომ კვერთხს ასწევს მტრის წინააღმდეგ, მის ნაცვლად თავის მოყვასს ურტყამს, მტერი კი კვლავაც მის თვალწინ დგას და სიცოცხლს აყრის.

ქრისტეს აღდგომა კაცთაგან ბევრს სწამს, მეტად ცოტანი კი არიან, წმიდად რომ ჭვრეტენ ამ აღდგომას. ვინც მხილველობას მოკლებულია, არც ის ძალუძს, თაყვანი სცეს იესუ ქრისტეს, როგორც "წმიდასა" და როგორც "უფალს". წერილი ამბობს: "ვერვის შემძლებელ არს თქუმად "უფალი იესუ", უკუეთუ არა სულითა წმიდითა"/1.კორ.12,3/; ასევე, სხვაგან: "სულ არს ღმერთი და თაყუანისმცემელთა მისთა სულითა და ჭეშმარიტებითა თანა-აც თაყუანისცემაჲ"/იოანე,4,24/უმეტესად სამღვდელო სიტყვა, ყოველდღიურად რომ ვიმეორებთ, ამგვარად გვამცნებს: "მხილველნი ქრისტეს აღდგომისა თაყვანსა ვცემთ წმიდასა უფალსა იესუს, მხოლოსა უცოდველსა, "და არა ასე:"**მორწმუნენი ქრისტეს აღდგომისა...**". მაგრამ რის გამო გვათქმევინებს ჩვენ სულიწმიდა ბემორე სიტყვებს: "მხილველნი ქრისტეს აღდგომისა", ისე, თითქოს მართლაც გვეხილვოს, რაც არ გვიხილავს. ათასი წლის წინ ერთგობის აღდგა იესუ ქრისტე და მაშინაც მისი აღდგომა ვერავინ ნახა; ნუთუ ის ნებავე წმიდა წერილს, ცრულ გვიოხრას რამე? ნუ იყოფინ! არამედ იმას შთაგვაგონებს, რომ წარმოვთქვათ ჭეშმარიტება: ყველა ჩვენგანში აღსრულდება ქრისტეს აღდგომა, არათუ ერთგობის, არამედ, ვიტყვი ყოველ საათს აღდგება ჩვენში შუქბრწყინვალე მეუფე ქრისტე, ვინც გამოსცემს უხრწნელებისა და ღვთაებრივ სხივებს, რადგანაც მოსვლა ნათელმოსილი სულიწმიდისა საჩინო-ყოფს ჩვენს წინაშე, თითქოსდა ცისკრად, უფლის აღდგომას, უფრო კი იმის მადლს გვანიჭებს, რომ ვიხილოთ თვით უფალი აღმდგომარე. ამიტომ ვამბობთ: "ღმერთი უფალი და გამოგვიჩნდა ჩვენ"/ფს.117,27/. ამასთან, მოვასწავებთ რა მის მეორედ მოსვლას, დავძენთ და ვიტყვი: "კურთხეულ არს მომავალი სახელითა უფლისათა"/ფს.117,26/. უკეთუ ვინმეს გამოუჩნდება აღმდგარი ქრისტე, გამოუჩნდება მის სულიერ თვალს, როგორც ყოველითურთ სულიერად სახილველი და რაჟამს ჩვენშიც სულიწმიდით ეს აღსრულდება, მკვდრ-

ეთით აღგვადგენს ჩვენ უფალი, გაგვაცხოველებს და მოგვანიჭებს სრულ მხილველობას, რომ თვით არის ცხოველი ჩვენში, თვით უკვდავი და წარუწყმედელი; მოგვანიჭებს იმის მადლსაც, რომ შევიცნოთ იგი თავადი, ვინც მასთანვე აღგვადგენს და თანაგვადიდებს. ამას გვაძლავს მთელი საღვთო წერილი.

აი, ეს არის ქრისტიანთა საღვთო საიდუმლო, აი, ეს არის ჩვენი რწმენის ფარული ძალა, რასაც ვერ ჭვრეტენ ურწმუნონი, ცუდმორწმუნენი თუ სანახევროდ მორწმუნეები. არანაირად არ ძალუძთ მათ ამგვართა ხილვა; ურწმუნონი, ცუდმორწმუნენი თუ სანახევროდ მორწმუნენი მათ ეწოდებათ, სარწმუნოებას საქმეებით რომ არ ცხადყოფენ; საქმის გარეშე სწამთ ეშმაკებსაც; თვით ეშმაკნიც აღიარებენ რომ ღმერთი არის მეუფე ქრისტე: "გიციტ შენ, ამბოხენ, ქეთ ღმერთისაო"/შდრ.მარკ.1,24; მათე8,29/. აგრეთვე, სხვაგან: "კაცნი ესე მონანი არიან ღმერთისა მადლისანი"/საქმე,16,17/; ამგვარი რწმენა არას არგებთ არც ეშმაკებს, არც ბემორე ადამიანებს; არაფერია სასარგებლო ამგვარ რწმენაში, რადგანაც მკვდარია იგი, თანახმად საღვთო მოციქულისა: "სარწმუნოებაჲ თვინიერ საქმეთა მკუდარ არს"/იაკ. 2,26/, ისევე, როგორც საქმეებიც - რწმენის გარეშე; და რატომ არის ეს რწმენა "მკვდარი"? რადგანაც მასში აღარ სუფევს ცხოველმყოფელი ღმერთი ჩვენი, რადგანაც იგი არ იმარბავს საუფლო სიტყვებს: "ვისაც ვუყვარვარ, ჩემს მცნებებსაც

დაიცავს იგი, და მე და მამა მივართ მასთან და დავივანებთ/შდრ, იოანე, 14, 21-23/ უფლის მოსვლა კი მკვდრებით აღადგენს მორწმუნეებს, ცხოველყოფს მათ და მხილველობას მიმადლებს ღვთისას, რომელიც აღდგა სწორედ მათში და აღადგინა ისინიც მკვდრებით. აი, ამიტომ, მკვდარი არის უსაქმო რწმენა, უფრო მკვდრები ისინია, რომლებიც ამგვარ რწმენას ფლობენ, ხოლო ის რწმენა, საღვთო რწმენა, მარადჟამს ცოცხლობს და თვით ცხოველი ცხოველყოფს ყველას, ვინც მას იწყნარებს. ამგვარმა რწმენამ ბევრი ვინმე ჭერ კიდევ მანამ ამოზიდა სიკვდილიდან სიცოცხლისაკენ, ვიდრე ისინი მცნებებს სრულყოფდნენ; და რომ ელვაწათ მცნებათაებრ მათ ამის შემდეგ და რომ დაეცვათ სიკვდილამდე საღვთო მცნებები, თვით იქნებოდნენ დაცულები ამ მცნებათაგან, ისევე, როგორც უფრო ადრე - მარტოოდენ რწმენით; მაგრამ რადგანაც "გარდაიქმნენ მრუდე მშვილდებად"/ფს. 77, 57/ და განიგმირნენ ძველი ცოდვებით, მყისვე დაღუპეს მათი რწმენა და ვაგლახად განიძარცვნენ ჭეშმარიტი განძისაგან, რომელიც არის ღმერთი ჩვენი იესუ ქრისტე. რომ არ შეგვემთხვეს ჩვენც ამგვარი რამ, ძალიანამებრ დავიმარხოთ მცნებანი ღვთისა, რათა ვიშვებდეთ ამჟამინდელ და სამომავლო კეთილთა მიერ; ვიტყვი იმასაც, რომ ველირსოთ თვით ქრისტეს ხილვას, მას მივეახლოთ ყველა ჩვენგანი მისივე მადლით, დიდება მისდა უკუნისამდე, ამინ.

ძველბერძნულიდან თარგმანა
ელიშერ ჭელიძემ.



83. როგორც შენობას სახურავი აქვს გად-
ახურული, შენობა კი თავის მხრივ, ყურდნობა
საძირკველს და საძირკველიც იმისთვისაა ჩაყრ-
ილი, რომ გადაიხუროს, ესე იგი ერთიცა და
მეორეც აუცილებელია და საჭირო, რადგან სა-
ხურავი უმაქნისია უსაძირკველად, ხოლო საძი-
რკველი ყოვლად გამოუსადეგარია საცხოვრებ-
ლად სახურავის გარეშე, ასევე, სულიწმიდის
მადლი სულში მკვიდრდება მცნებათა აღსრულ-
ების გზით. მცნებათა აღსრულება კი ღვთაებრ-
ივი მადლით დასაჩუქრების საწინდარია, და
ბუნებრივია, სულიწმიდის მადლიც არ გვებოძე-
ბა მცნებათა აღსრულებლად და არც ღვთის
მცნებათა აღსრულებას ექნება რაიმე ფასი და
სარგებელი ღვთაებრივი მადლის გარეშე.

84. შენობა, რომლის გადახურვაც არ მოხ-
ერხდება მშენებლის უხეირობით, არა მარტო
გამოუსადეგარია, არამედ ქვეყანა მასხრად აი-
გდება მის ამშენებელს. ასევე, საძირკველი რო-
მც ჩაყარო მცნებების აღსრულებით და ქველმ-
ოქმედების მაღალი კედლებიც რომ ამოიყვანო,
თუ სულიწმიდის მადლი არ გადმოვიდა, რასაც
სული იხილავს და შეიგრძნობს იგი დასრულებ-
ულად ვერ ჩაითვლება, სრულყოფილთ კი სიბრ-
ალულის გრძნობას აღუძრავს. მადლის გარეშე
დარჩენა ორი მიზეზით ხდება: ან სინანულის
უგულებელყოფით, ანდა სულმოკლეობის გამო,
რაც ანგარებით ჩადენილ ქველმოქმედებას მოჰ-
ყვება, როდესაც ასეთ საკმაოდ დიდ საქმიანობ-
აში ერთი შეხედვით თითქოსდა უმნიშვნელო,
სინამდვილეში კი აუცილებელ რაიმეს მიაფუჩე-
ჩებ, რომლის გარეშეც შეუძლებელია ამენდეს
და დასრულდეს ქველმოქმედების შენობა და
სულიწმიდის მადლით გადაიხუროს.

85. თუ ძე ღვთისა და უფალი მიწაზე იმის-
თვის მოვიდა, რომ მამა ღმერთთან შუამდგომ-
ლობით შევერიგებინეთ, ჩვენ მისი ნამდვილი
მტრები, თავისთავთან შეგვაერთა წმიდა და
ერთარსი სულის მეოხებით და ვინც ამგვარი

მადლი ვერ იგემა, სხვას უკეთესს რას უნდა
მოელოდეს? ერთი სიტყვით, ასეთი ადამიანი
ვერც მამა ღმერთთან მორიდდება და არც ძე
ღვთისას შეერწყმის სულიწმიდის მადლით.

86. ღვთაებრივ სულთან შერწყმით თავს
ვალწევთ ავხორცულ ვნებებსა და ტკბობას, მა-
გრამ სხეულის ბუნებრივ მიდრეკილებათაგან
როდი ვთავისუფლდებით. როგორც კი ავხორც-
ულ ვნებათა ზორილებს დავიხსნით, საუკუნო
დიდებასა და სიტკბოებას ვიგემებთ და შევერწყ-
მით მას, მყისვე გვეუფლება სევდა ღმერთთან
თანამყოფობისა, აღარც მისი ჭვრეტა გვეთმობა
და აღარც მონიჭებული ნეტარება. ამის საპირ-
ისპიროდ, ხრწნადი სხეულით შერწყმულნი მას
წყდებიან, ეშვებიან დაბლა და მიწას ენარცხე-
ბიან. აი მაშინ, მათ ისეთი სევდა მოეძალდებათ,
როგორსაც ვფიქრობ, განიცდის სული ცოდვი-
ლისა სხეულთან გაყრისას.

87. სხეულისა და ცხოვრების, განცხრომისა
და ამქვეყნიურ სიამეთა მოყვარულისა და მიმ-
დევრისათვის სიკვდილს უღრის მათი დათმობა.
მაშინ, როდესაც სპეტაკი და ღვთის სათნო ,
ჰაეროვანი და სიკეთის მთესველი ადამიანი სი-
კვდილს აღიქვამს როგორც ამათგან დროებით
განზე გადგომას. რამეთუ გარემომცველი ნათე-
ლის შემყურე თუკი თვალებს დახუჭავს ანდა
სხვა ვინმე დაუხუჭავს თვალებს, წუხს შელონე-
ბულია და ასეთ მდგომარეობაში დიდხანს ვერ
ძლებს. განსაკუთრებით მაშინ, თუკი მომზიბლ-
ავი და საუცხოო საგნები უნახავს. მით უმეტეს
ვინც სულიწმიდის ნათელი ცხადად იხილა აშკ-
არა თუ გონებისმიერ ხილვებში, სიფხიბლეში
თუ ძილბურანში მყოფმა, ის მადლი "რომელი
თუალმან არა იხილა, და ყურსა არა ესმა, და
გულსა კაცისასა არ მოუკდა" (1 კორ. II.9.) და
"რომლისათჳს გული უთქუამს ანგელოზთა ხილ-
ვად" (I პეტრე 1. 12) ნუთუ დარდი და ნადვე-
ლი არ მოეძალდება, თუკი რაიმე დააბრკოლებს
მის ჭვრეტაში? იგი ამას ხომ სიკვდილის ტოლ-
ფასად და საუკუნო ცხოვრებისაგან განშორებ-
ად შერაცხავს.

88. მრავალნი კარჩაკეტილი ცხოვრების

წესს ამჯობინებენ, სხვანი - ხმაურიანს, ზოგნი კი მზრძანებლობენ, წარსდგებიან ხალხის წინაშე, მათ ჭკუას არიგებენ, მოძღვრებენ და უგებენ ეკლესიებს. უმრავლესობა ამას მთელი სულითა და გულით სჩადის. მე არ მსურდა ეს უკანასკნელი სხვებისაგან რაიმე ნიშნით გამომეჩინა და არც იმის თქმა, რომ მავანი და მავანი ქების ღირსია, სხვანი კი გაკიცხვას იმსახურებენ. ყოველი ცხოვრების წესი, ყოველგვარი საქმიანობა, რა სახისაც არ უნდა იყოს იგი, გამომწვევია ღმერთისათვის და ღმერთის შეწვევითვე აღესრულება.

89. როგორც აღამიანთა ყოველდღიური ყოფა-ცხოვრება ჩვეულებრივ ხელობისა და ხელოვნების განუწყვეტელ ურთიერთკავშირსა და ურთიერთმონაცვლეობაში მიედინება, ანუ აღამიანთაგან ერთნი ერთს მისდევენ, მეორენი - მეორეს, გასცემენ და იღებენ ერთმანეთისაგან იმას, რის უკმარისობასაც განიცდიან და საჭიროებისამებრ იკმაყოფილებენ ბუნებრივ ხორციელ მოთხოვნილებებს, ასევე მსგავსი რამ შეიძლება დავიანახოთ სულიერ ცხოვრებაშიც. ერთნი ერთი სახის ქველმოქმედებას სჩადიან, სხვანი სხვაგვარი ცხოვრების გზას ადგანან, საბოლოო ჯამში კი ურთიერთშეწვევით ერთ მიზანს ემსახურებიან.

90. ყოველი ღვთისშვილის მიზანია იყოს სასურველი იესო ქრისტესი, მეუფისა ჩვენისა და შეურიგდეს მამა ღმერთს სულიწმიდის მიღებით: ამ საშუალებებით კი თავი გადაიჩინოს. რამეთუ სწორედ ამაში მდგომარეობს ყოველი სულის ხსნა. თუკი ეს არ გაგვაჩნია, უნაყოფოა ჩვენი მცდელობა, ამათა გარჯა. განა აქვს რაიმე აზრი იმ გზით სიარულს, რომელიც იქ არ მიგვიყვანს, საითკენაც მივეშურებით.

91. ამქვეყნიური ცხოვრების დამტვეველი და მთაზე განმარტოებული მღუმარებაში, რომელიც მედიდურად წერს იქიდან წერილებს ამქვეყნად დარჩენილთ - ნაწილს ესიყვარულება, ნაწილთან მლიქვნელია და ქლესა, ჰგავს გარყვნილ, შეუხედავ, ბინძურ ცოლთან გაყრილ კაცს, რომელიც ცხრა მთას იქით გადაიხვეწა, რათა გონებიდან ამოეგლიჯა ამ ქალის ხსოვნა. ცოტა ხნის შემდეგ კი ივიწყებს იმ მიზეზს, რის გამოც გადაიხვეწა ამ სიშორეს - მთაზე და რაინდვით წერს წერილებს მათ, რომლებსაც

არ გაუწყვეტიათ ურთიერთობა მის ცოლთან, გულახდილად რომ ვთქვათ, საკუთარი ცოლის წამბილწველებს ელოლიავენ. ასეთი, სხეულით თუ არა გონებითა და გულით მაინც შებღალულია, როცა ძალაუნებურად მათი ურთიერთდამოკიდებულება საკუთარ ცოლთან კვლავაც აღუვლებს.

92. რამდენადაც მკვიდრნი ამა სოფლისანი, რომლებიც ცდილობენ განიწმიდონ გონება და გული ყოველგვარი სიბილწისა და მანკიერებისაგან, იმსახურებენ ქებასა და დიდებას, იმდენადვე კლდეებსა და გამოქვაბულებში დაყუდებულნი, თუკი ხალხისაგან განდიდებასა და ხობტბა-დიდებას მოელოან, ღირსნი არიან გაკიცხვისა და ბურგის შექცევისა. ასეთი აღამიანები, ღმერთისაგან გამოცდილნი, გათანაბრებულები არიან შემრუშებთან. რამეთუ თავდავიწყებით მოსურნე იმისა, რომ მისი ცხოვრება, სახელი და საქმენი მთელს ქვეყანას მოედოს, ღმერთისაგან შერისხულია [ესრეთ იტყვს უფალი: წყვეულ იყავნ კაცი რომელსა სასუება აქუს კაცი-სა მიმართ და განიმტკიცოს კორცი მკლავისა თვისისა და უფლისაგან განგდეს გული მისი (იერ. 17.5), მსგავსად ძველი იუდეველი ხალხისა, რამეც ამბობს დავითი: "და შეიგინა საქმითა მათითა, რამეთუ ისიძვიდეს იგინი საქმეთა შინა მათთა" (ფსალმ.105,39).

93. ვისაც ეჭვი არ შეჰპარვია ღმერთის რწმენაში, დაუტყვა ეს სოფელი და ყოველივე ამქვეყნიური, სწამს, რომ გულმონწყალე და მიმტვევებელი უფალი შეივრდომებს თუკი სინანული ექნება.

იცის, რომ თავის მონებს პატივყარით მიაგებს პატივს, უკიდურეს

უზადრუკებაში მყოფთ დაამდიდრებს, დამბადებლითა და დაქინებით განადიდებს მათ, სიკვდილის გზით საუკუნო ცხოვრებას უწყალობებს და თანამოსაყდრედ გაიხდის. ისე მიიზიდავს, ვით მოწყურებულ ირემს უშრეტი წყარო, პიტალო კლდეზე ისე აიყვანს, როგორც კიბეზე, რადგან ანგელოსები შეეწვევიან მისკენ მოლტოლვით. თავად ღმერთი კი მჯდომარე მაღლით, თვალყურს ადევნებს ჩვენს ჭაფასა და გარჯას, არა იმიტომ, რომ ჩვენი დამაშვრალობა ახარებს, არამედ ამის საფასურად ჩვენი დამწყალობება სწყურია.

94. ის ადამიანები, რომლებიც ყოველგვარი დაეჭვების გარეშე მთელი თავგამოდებით მიელტვიან ღმერთს, ღმერთი მათ როდი შეეწევათ. საერთოდ ძირს დაენარცხებოდნენ მაგრამ, რაკი, ღმერთი ხელავს მათ ღონემიხილებს, იბრალეებს, შველის, უწვდის დახმარების ხელს, აჰყავს თავისთან, შეეწევა აშკარად თუ მალულად, ხილულად თუ უხილავად, ვიდრე ყველა საფეხურს არ აათავებენ, არ მიეახლებიან თავად მას, შეერწყმიან, დაივიწყებენ ყოველივე მიწიერს, თანაშეყოფვიან და დაიბანაკებენ მასთან - "გინა თუ კორციოთა, არა ვიცი, გინა თუ თვნიერ კორციოთასა, არა ვიცი" (11 კორ. 12.2) გამოუთქმელ სიკეთითა მგემებელნი.

95. თავდაპირველად, ვიდრე ქრისტეს მცნებათა უღელში გავეყოფდეთ თავს, მართებული იქნება, თუკი ფეხს არ ავითრევთ და არ მოვევებით აქეთ-იქით თვალების ცუცვებს, პირდაპირ და წარბშეუხრულად წარვემართებით ამ გზით სიკვდილამდე, დროდარო განვახლდებით და სულსა და გონებაში დავიმკვიდრებთ ღვთაებრივ სამოთხეს მამა ღმერთის, ძე ღმერთისა და სულიწმიდის მეოხებითა და თანამოქმედებით. ოდეს მთელი არსებით შევეთვისებით და განვიბრძნობით, აი მაშინ, ვისაც ღმერთი გამოარჩევს და რა საქმესაც მიანდობს, იმას აღასრულებინებს და ისე წარმართავს როგორც თავად ჩათვლის მიზანშეწონილად. მაგრამ ჭამით-ჭამად არ ეგების ადამიანებმა თავად ეძებონ საქმე ან რასაც სხვები შესთავაზებენ, იმას დასტერდნენ, არამედ ხაზს შეუფისა ჩვენისა და ღმერთის მცნებათა მტკაცუნ დაცვა და ღვთის ნებელობის მოლოდინი.

96. ოდეს ყოველგვარ საღმრთო საქმეში რწმენაგამოისობით და სანაქებო გარჯით თავს გამოვიჩინთ და სულიწმიდის მეოხებით სხვა საქმე ან მოღვაწეობა დაგვევალება, წინ ნუ აღვუდგებით. რამეთუ ღმერთი ჩვენგან არც უსაქმურობას ითხოვს და არა მხოლოდ იმას, რომ განუწყვეტლივ ერთსა და იგივე საქმეს ჩაკვირკიტებდეთ დასაზამიდან. არამედ სურს სრულყოფილებას გვაზიაროს თანდათანობით საუკეთესოსთან მიხლოებით და არა ჩვენი ნება-სურვილით, არამედ თავისი ნებითა და შეწევნით.

97. ვისაც პირადი ნების ჩაკვლის სურვილი ტანჯავს, ღმერთის ნებას უნდა მიენდოს. ნაცვ-

ლად პირადი ნებისა, დაჰყვეს ღმერთის ნებას, გულში ჩაინერგოს და ჩაიბეჭდოს. ამასთანავე დააკვირდეს, იდგამს თუ არა სიღრმეში ფეხებს დანერგილ-დათესილი, და თუ წამოეზარდა ყლორტი სანამყენე, გადაჭრას და დაელოდოს შეებარდა თუ არა ნამყენი ხეს, შემდეგ იზარდა თუ არა ნამყენი, აყვავდა და გამოიღო თუ არა ტყბილი, გემრიელი ნაყოფი. დათესვამდე და დაფესვიანებამდე მიწის ნოყიერებაა გასათვალისწინებელი, რამეთუ მასზე უნდა აღმოცენდეს საუცხოო და თვალწარმტაცო ნაყოფით დახუნძლული მცენარე.

98. ვინც შიშის გამო ღვთის ნებას გადავა, ღმერთი შეუმჩნევლად, ისე რომ მას არ ეცოდინება, თუ როგორ მოხდება ეს, უსაჩუქრებს თავის ნებას, გულში ჩაუნერგავს, გულის თვალს აუხელს, რათა ამ გზით მაინც შეიცნოს უფალი და უბოძებს კიდევ ძალას ამა თუ იმ ღვაწლის აღსასრულებლად. ეს ყოველივე კი სულიწმიდის მადლით კეთდება, მის გარეშე ხომ არაფერი ხდება "რამეთუ, რომელნი სულითა ღმრთისაჲთა ვლენან, ესენი არიან ძენი ღმრთისანი" (რომ. 8.14).

99. თუკი ყველა ჩადენილი ცოდვა მიგეტევა, განა ცოტას ნიშნავს ეს - მარტო სინანულისა და აღსარების საიდუმლო ანდა სპეტაკი ანგელოსური სქემის გადაფარება რად ღირს. რაოდენი სიყვარული, მადლმოსილება, თვინიერება იქიდან წამოსული, შენი დამაწყურლებელი და შენ, ღირსი აურაცხელი ტანჯვა-წამებისა, არა მარტო თავს დააღწევ მათ, არამედ შეციურ დიდებასა და მეუფებას თანაზიარექმენბი. გონებაში ღრმად ჩაიბეჭდე და მარადჭამს გახსოვდეს, ნებისთ თუ უნებლიეთ უპატივცემულობა არ გამოიჩინო შენი შემოქმედისა და დამბადებლის მიმართ უთვალავ უსჯულოებათა შენდობის წილ, არამედ მთელი შენი მოღვაწეობით განადიდე და პატივდებულ-ჰყავ, რათა ყოველგვარ ხილულ ბიწიერებათაგან განწმენდილ-გაპატიოსნებულს, სანაცვლოდ უფრო მეტი პატივი მოგაგოს და გულითად მეგობრად გიგულოს.

100. რაოდენცა სული სხეულზე სპეტაკია, ეგზომ ჭკვიანი კაცი მთელს ქვეყნიერებაზე ძლევამოსილი. ადამიანო, თვალს ნუ მოგჭრის ამა სოფლის ბრწყინვალება, ნურც ის ჩაგაფიქრებს,

თითქოს ეს ყოველივე შენზე უფრო აღმატებულია, არამედ, მაღლმოსილება შეინარჩუნე, ჭკუა და ნიჭიერება სულისა ღირსეულად გამოაჩინე და გალობით ადიდე უფალი, რომელმაც ყოველ სულიერზე მეტად პატივდებულ-გქნა.

101. დაუგვირდეთ, თუ ვითარ ვადიდებთ უფალს. იმაზე მეტად ხომ ვერ განვადიდებთ, თუ ვითარ ადიდებდა ძე. თუმცა, რამდენადაც ძე ადიდებდა თავის მამას, იმდენადვე იყო განდიდებული თავად ძეც მამისგან. დაე, ჩვენც ბეჭითად აღვასრულოთ იგივე და ამით "მამა" ჩვენი განვადილოთ, "რომელი არს ცათა შინა", პატივდებული ამ სახელდებით, და აწ ვადილოთ ჩვენც თანა დიდებით მით ძისა, რომელი აქუნდა წინაშე მისა "უწინარეს სოფლის დაბადებისა" (იოანე.17.5). ეს ჭვარია და აღსასრული ყოველივესი, ვაებანია და საცთუნებელნი, ანდა სხვა ვნებები ქრისტესი, რომელთა დათმენაც მთელი ძალისხმევით ქრისტეს გვამსგავსებს და ვადიდებთ ამით მამასა და ღმერთს, ვითარცა მისი ძენი, კურთხეულნი და თანამღვინი ქრისტესი.

102. სული, რომელიც ჯერ კიდევ, საბოლოოდ, არ დახსნილა ხორციელი მიდრეკილებებისა და ხილულ საგანთა ტყვეობისაგან, თვით გრძობებსა და გულისთქმებშიც კი უძლიურია დასძლიოს მოძალეხული კაემანი, განცდა ამაოებისა და ცლუნებანი, იქნება ეს მოვლენილი ეშმაკებისგან თუ ადამიანებისგან. მაგრამ ყოფით საგნებზე ბრუნვის მარწუხებში მოქცეული საშინელ მწუხარებაში ვარდება, თუკი ეს ნივთები წაერთვა და მიიმედაც დასნეულდება ამის გამო სხეულზე მიყენებული ჭრილობებისგან.

103. ვინც განიძარცვა სული თვისი მიწიერი სურვილებისა და მისწრაფებებისაგან და ღმერთს შეერწყა, იგი გულგრილობას როდი გამოამჟღავნებს მარტოოდენ ფულისა და ყოველდღიურ სახმართა მიმართ, მათ აუღელვებლადაც დათმობს, თითქოს თავისი კი არა, სხვისი ყოფილიყვნენ ეს ნივთები და შესაბამისად სხეულზე მიყენებულ გვემას სიხარულით და მადლიერებით დაითმენს მარადის ღვთაებრივი მოციქულის შემყურე: "დაღათუ გარეშე ესე კაცი ჩუენი განიხრწნების, არამედ შინაგანი განახლდების დღითი დღედ" (II კორ.4.16). სხვაგვარად ხომ წარმოუდგენელია სიხარულით აიტანო

ღვთისაგან ბოძებული ტანჯვა. ამისათვის საჭიროა აგრეთვე სრულყოფილება ცნობადისა და სიბრძნე სულისა. ვინც განძარცულია ამათგან, უიმედობისა და უმეცრების წყვილადში დაბორილობს და ვერც მოთმინებისა და სიმშვიდისაგან მოფენილ ნათელს იხილავს.

104. ვისაც ყოველივე გონივრულად განუსჯია მეცნიერებაში ღრმად განსწავლულს, ვერასოდეს შესძლებს საღმრთო საიდუმლოებებს ჩასწვდეს და იხილოს, უწინარეს ვნებათღელვათა და გულისთქმათა დაცხრომისა, შეურაცხადქმნისა და ამასთანავე პირად შეხედულებათა და მეცნიერულ ნააზრევთა უგულვებლყოფისა. რამეთუ, ვინც ამგვარად მოიქცევა - მტკიცე რწმენით საღვთო საკითხებში გათვითცნობიერდება, ხოლო შემდგომში მათ კიდევ აითვისებს, რაც გზას გაუხსნის და წარუძღვება ცოცხალ ღმერთთა სასუფეველისკენ, სულიწმიდის მეოხებით ნათელქმნილი იხილავს და შეიცნობს იმას, რისი ხილვაც და შემეცნებაც სხვას არავის ხელეწიფება - შეიქმნება კიდევ ღმერთის შემეცნებელი.

105. ბრძენს დამოწაფებულნი ღმრთის შემეცნებლებს მარადის შეურაცხავდნენ შეურაცხადლებად, თუმცა სინამდვილეში ცალმხრივი სიბრძნის გესლით მოშაბულნი თავად იყვნენ შეურაცხადნი, რომელნიც ღვთაებრივ მოციქულთა თქმით, "განაცოფა ღმერთმან" (I კორ. 1.20), ხოლო საღვთისმეტყველო ხმამ ამგვარად შეურაცხა: არა არს სიბრძნე ზეგარდმოსრული, არამედ ქუეყანისა, მშენიერი და საეშმაკოა" (იაკ. 3.15). ასეთი ადამიანები, თუნდაც ღვთაებრივ ნათელში მოხვდნენ, ვერ შემძლებელ არიან საკვირველებათა ხილვისა, ხოლო ამ ნათელში დაბანაკებულთ, რომლებიც კიდევ ხედავენ და შეიმეცნებენ სასწაულებს, მოხიბლულებად სახელდებენ, ნაცვლად იმისა, რომ თავად იყოფებიან ხიბლში ღვთაებრივ სიკეთეთაგან განძარცვულნი.

106. უწინაც ყოფილან და ამჟამადაც არსებობენ ჩვენს შორის ვნებათუქმნელი, წმიდა და ღვთაებრივი ნათლით მოსილი ადამიანები, დახსნილნი ამა სოფლის რვალოთაგან ყოველგვარი ბიწისა თუ ვნებათღელვის აღზოცვით. (მდრ. კოლაელთ. მიმართ. 3.5). ისინი არამც და არამც არ დაუშვებენ არა მარტო იმას, რომ თავად

მოიმოქმედონ სისაძაგლე, არამედ ოდეს სხვებშიც შეამჩნევენ ამგვარ მიდრეკილებებს, მათ არებით ეპყრობიან. მათი გამოცნობა არ გაუჭირდებათ თქვის თვალთ შშირალ ადამიანებსაც კი, ღვთის სიტყვას ურწმუნოდ რომ ეკიდებიან და უნდობლად შესცქერიან სულიწმიდის სიბრძნით განგრძობილ საღმრთო საქმეთა თავყვანისმკემლებს. დაე, კეთილგონივრულად განჩხრიკონ საღმრთო წერილი, ყოველდღიურად მათთვის წაკითხული და ნაგალობები, ვინძლო საღმრთო წერილის ცოდნას ისინი ღვთის აღთქმისა და სიკეთით დამწყალობებაში დაერწმუნებიან. მაგრამ, რაკილა თავდაჯერებულობისა და უგულისყურობის გამოისობით დაცარიულნი არიან ამ სიკეთისგან, ღმრთის თანაზიარით და მისით განბრძნობილთ დაუჯერებელ ხრიკებში აბამენ.

107. მარტოღენ ამის გამო როდი აღემატებიან ამქვეყნიურ სახილველთა მეტრფეთ საღმრთო მადლს შიარებულნი და სრულიყოფილებით აღბეჭდილნი შემეცნებასა და სიბრძნეში, არამედ იმითაც, რომ დაამწყალობლებს მათ ღვთის მცნებათა გაშინაგება და ქველმოქმედება, რაკილა კიდეც შეისმინეს, კიდეც გაითავისეს და კიდეც ირწმუნეს. ის ადამიანები, რომლებიც სულიწმიდით არ მოქმედებენ ხომ წყვილიადში დაძრწიან, არც ის უწყიან საით წავიდნენ და ასეთებისათვის, აბა, მცნებები რისი მაქისია? სულიწმიდის ჭეშმარიტი განბრძნობილება ოდესმე მაინც ხომ მსწრაფლ წარსტაცებს მათ მოძალადე ამპარტაუნებას. აი, მაშინ, არა ფარისევლურად და თავმოძწონედ, არამედ გულწრფელად ღვთის ნებას მიყურადებულნი და დამორჩილებულნი სულიერ ქარიზმას თანაზიარეულებიან. მაგრამ თუ ვერაფრით ვერ შესძლეს ამ ადამიანების ამა სოფლის სიამეთაგან ჩამოცილება, მათი გულების უგრძობელობითა და სიბეცით შეძრულნი, აცრემლდებიან, მიაშურებენ თავ-თავიანთ სენაკებს და დღედაღამ ილოცებენ მათ გადასარჩენად. რამეთუ სხვა რა მიზნით შეიძლება დანაღვლიანდეს ის, ვინც ღმერთს შეერწყა უწყვეტად და უთვალავი სიკეთით აღივსო.

108. რაში მღვთმარობს არსი იმისა, რაც ჩადებულა საღმრთო სიტყვათწყობილებაში, რომელიც მთელს საღმრთო წერილში იქალაგე-

ბა, თუმცალა ჩვენთვის, მკითხველთათვის, ამოუცნობია? ძე ღვთისა ხომ იმად იქცა ძედ კაცი-სად, რომ ჩვენ, ადამიანები, ღვთის შეიღებად ვექციეთ, ჩვენი მოღვმა იმ მადლს აზიარა, რაც მისთვის იყო ბუნებრივი, ხელმოერედ დაგვბადა სულიწმიდით და მუყსეულად წარგვიძლვა ცათა სასუფეველისკენ, უფრო სწორად, წყალობა მოილო ჩვენზედა, სასუფეველი ცათა თავად ჩვენში რომ დამკვიდრებულიყო (მღრ. ლუკ. 17.21), რათა ჩვენ მასში შეღწევის მარტოღენ იმედით როდი გვეარსება, არამედ უკვე მკვიდრქმნილთ გველადა: ცხორება ჩუენი "დაფარულ არს ქრისტეთურთ ღმრთისა თანა"(კოლასელთა მიმართ. 3.3).

109. ნათლისღება ჩვენს ნებელობასა და შინაგან სწრაფვას როდი აქარწყლებს, არამედ მისი წყალობით სატანას განვაგდებთ და იგი უკვე უძლური ხდება იმბრძანებლოს ჩვენზე ჩუენი ნება-სურვილის წინააღმდეგ. ნათლისღებისთანავე აღვასრულებთ პირად ნებას: ან შევეუდგეთ ხალისით იმის მცნებებს, ვისგანაც ნათელვიდეთ, ქრისტეს, მეუფესა და ღმერთსა ჩვენსა და მისი მითითებული გზით ვილოდეთ, ანდა მხარნაქცევები კვლავ დაუძინებელ და მოსისხლე მტერს - სატანას მივუბრუნდეთ.

110. წმიდა ნათლისღების შემდგომ, ვისაც მდაბალი გულისთქმანი აღეძვრის და ცოდვაში ჩაზარდება, წმიდა ნათლისღების წმიდა საშოთაგან მოსწყდება, ვითარცა უთქვამს დავით: "უცხო იქმნეს ცოდვილნი საშოთაგან" (ფსალმ. 57.4) რამეთუ ვერ გარდაისახება ვერცერთი ჩუენთაგანი სხვად და ვერც იმ ბუნებას შეიცვლის რაგვარადაც ქმნილა. მაგრამ კეთილქმნილი ღმერთისაგან (უვარგისი ღმერთს არაფერი შეუქმნია) უცვალბებელი ბუნებით, აგებულებითა და არსებით, იმგვარად ქმნილა, რომ თავისუფალი ნება რასაც მოააზრებინებს, იმასვე ანატრებინებს და აღასრულებინებს კიდეც-გინდ ცუდი იყოს, გინდ კარგი. ვითარცა მახვილი ნახმარი ხან ბოროტად, ხანაც სასიკეთოდ სახეს არ იცვლის, ბუნებით კვლავაც რკინად რჩება, ასევე ადამიანიც - ისე მოიქცევა და იმასვე ჩაიღენს - როგორც ნათქვამია, - რასაც ფიქრობს და რაც სწადია, ოღონდ ბუნება როდი ეცვლება.

111. ვერც ის ცხონდება, ვინც ერთგვის გა-

უწვდის დახმარების ხელს გაჭირვებაში მყოფს და ცეცხლში დაინთქმის ისიც, ვისაც თუნდაც მხოლოდ ერთი ადამიანი აუგდია აბუჩად. რამეთუ "შშიოდა და მეციით მე ჭამადი" (მათე 25.35) ნათქვამია მხოლოდ ერთგზის შემთხვევის მიმართ კი არა, ან ერთ დღეზე, არამედ მთელი ცხოვრების განმავლობაში ყოველი ფეხის ნაბიჯზე შეგახსენებს თავს სხვადასხვაგვარად განცხადებული; "მეციით მე ჭამადი, მასუთ, შემშოსეთ" და ამისი მსგავსი მიმართვანი მართოდენ ერთგვარად საქმეზე როდი მიუთითებენ, არამედ მარადიულსა და ყველაფერზე განურჩევლად. ქრისტემ, მეუფემან და ღმერთმან ჩვენმან თავის მონებს ხომ ამგვარი შეწევნა აღგვითქვა.

112. ვინც რამდენსამე გაჭირვებულს გაუწოდა დახმარების ხელი, შეედლო კი დახმარებულსა სხვებსაც, დაეპურებინა და დაეწყოლებინა მრავალნი, მაგრამ არ შეიწყნარა მთხოვნელნი და მასთან მისული მწყურვალნი, იგი ქრისტეს მიერ გასამართლდება ვითარცა კაცი, რომელმაც თავად ქრისტეს არ მიაწოდა წყალი. რამეთუ ქრისტეა ჩასახლებული განურჩევლად ყველაში, თითოეულ იმ მთხოვარშიც კი, რომელთაც ჩვენ საზრდელს მივაწვდით.

113. ის, ვინც ყოველ გაჭირვებულს ყოველგვარი სარჩო-საბადებლით მოამარაგებს და ხვალისთვისაც შესძლებს, რომ იგივე მოიმოქმედოს, მაგრამ ძმათაგან ზოგიერთს აითვალწუნებს და მოიძულებს იმ ზომამდეც კი, რომ შიშლით, წყურვილით და სიცივით სულის ამოხდის, თვით ის შეუძაგებია და გარე= მიუქცევია პირი იმისგან, ვინც თქვა: "რავდენი უყავთ ერთსა ამას მცირეთაგანსა ძმათა ჩემთასა, იგი მე მიყავთ" (მათე 25.40).

114. როგორ ათავსებს ზოგიერთი ქრისტეს მხოლოდ ერთ გლახაკში, როდესაც იგი განუყოფლად განიყოფება და თითოეულ გლახაკშია ცალ-ცალკე? აბა, წარმოვიდგინოთ ასი გლახაკი ერთ ქრისტედ (მდრ. 1.კორ.1.3), და ვინც ოთხმოცდაცხრამეტ გლახაკს უბოძებს ერთ ობოლს, მხოლოდ ერთადერთს გამოლანძღავს, სცემს, და პანდურის-კვრით განაგდებს, იცი თუ არა, რომ თავად ქრისტეს ექცევა ასე,

რომელმაც არაერთხელ თქვა, მუდამ აშბობს და კვლავაც იტყვის მომავალში: რავდენი უყავთ ერთსა ამას მცირეთაგანსა ძმათა ჩემთა-

სა, იგი მე მიყავთ" (მათე 25.40).

115. უფალმა იმად ინება გარდასახვა თითოეულ გლახაკად და ყოველი გლახაკიც იმად მიიმგვანა, რომ მორწმუნეთაგან არცერთს ხელი არ აღემართა თავის ძმაზე, არამედ კაცად-კაცადს უფალში თავისი ძმა შეეცნო და ეგზომ მღაბლად და კნინად შეერაცხა თავი თვისი ძმასთან შედარებით, ვითარცა იოტისოდენას და მზადებელთან მიმართებაში, მიუღო იგი, პატივი მიეგო და მზად ყოფილიყო თავგანწირვისათვის, რამეთუ ქრისტემ და ღმერთმა სისხლი დაღვარა ჩვენს გადასარჩენად.

116. ვინც ახლობელზე ისე იბრუნებს, როგორც საკუთარ თავზე (მდრ. ლუკ. 10.26-27), მხოლოდ ერთი დღის განმავლობაში როდი უნდა მოიქცეს ასე, არამედ მთელი ცხოვრების მანძილზე. ისიც, ვინც აღთქმას დადებს, რომ პირველსავე მთხოვნელს დაეხმარება, ასე უნდა იქცეოდეს ზოლომდე, ყველას წინაშე. სხვებისაგან სიკეთის მსურველი თავადაც ხომ სულ იმის ცდაში უნდა იყოს, რომ მათაც სიკეთის წილ სიკეთე მიაგოს (მათე 7.13).

117. ის ვინც მოყვასს ისე უყურებს, როგორც საკუთარ თავს, ნუთუ დაუშვებს, რომ იმაზე მეტი ჰქონდეს, ვიდრე მოყვასს აბადია. ტუნწს ხომ საკუთრივ ვერაფერს გააგდებინებ ხელიდან, ვიდრე არ გალატაკდება და მოყვასთან განანაბრებელი მაშინლა აღმოჩნდება მეუფის მცნებათა ზედმიწევნით აღმსრულებელი. შესაბამისად, ვისაც სურს გასცეს ყოველივე, თუნდაც შემორჩენილი ერთი ობოლი ანდა პურის ნატეხი, ვერაფერს შემატებს მთხოვნელს, ანუ ვერ გაუკეთებს იმას მოყვასს, რაც თავად სურს, რომ სხვამ მიაგოს. ამგვარად, ის, ვინც ყოველ ღარიბსა და ღატაკს აჭმევდა, ასმევდა, მოსავდა, სხვა საქმეებშიც ეხმარებოდა, მაგრამ სძულდა მხოლოდ ერთი და არად აგდებდა, ქრისტე ღმერთისგან შეირაცხება არარაობად თავად დახარბებულიც და ხახამშრალიც.

118. შესაძლოა ეს ბევრს შეუძლებლად ეჩვენოს და ასეთები საკუთარ თავებს კიდევ ღირსეულ კურთხევას აძლევენ: განა ვინმეს ძალუძს ყოველივე ისე აღასრულოს, რომ ყველა ასიამოვნოს, საწყაული აღუცსოს და არავინ დარჩეს უკმაყოფილო. დაე მათ უსმინონ პავლეს ხმამაღლა და ნათლად წარმოთქმულ სიტყვებს:

"რამეთუ სიყვარული იგი ქრისტესი მაწუევს ჩვენ გამორჩევად ამას, ვითარმედ ერთი იგი ყოველთათვის მოკუდა, ყოველნივე სამე მოწყდეს" (11 კორ. 5.14).

119. როგორც ზოგადი მცნებები მასში შემავალი ცალკეული კერძო მცნებების ერთობლიობაა, ზოგადი სიქველევებიც ყოველ კერძო ქველმოქმედებას მოიცავს. ვინც მთელი ავლადიდება გაყიდა, ღარიბებს დაუნაწილა, თავადაც ხომ გაღარიბდა, მაგრამ ერთბაშად შეიქმნა ყველა კერძო აღთქმათა აღმსრულებელი. აღარც იმის საჭიროება ექნება, მთხოვნელს მისცეს და არც თავს აარიდებს იმას, ვისაც მისგან სურს ისესხოს (შდრ. მათე. 5. 42). ამგვარად, გამუდმებით შვიდჯერადი აღვლენილი ლოცვის აღმსრულებელმა გარდაამეტა ყოველგვარ აღთქმას ლოცვისას და აღარ საჭიროებს დღეში შვიდგზის აღიღოს უფალი: (შდრ. ფსალმ. 118.164) მწუხრს, დიღუელ და სამხრად (შდრ. ფს. 54. 17).

რამეთუ მასში დასრულებული სახითაა ყველა ის ლოცვა, რომელსაც ჩვენ აღვაფლენთ გარკვეულ დროსა და საათებში განაწესისამებრ და ვგალობთ კიდევ. შესაბამისად, ვინც შეგნებულად დაეუფლა კაცთათვის ზოძებულ საღმრთო მეცნიერებას (შდრ. ფსალმ. 93. 10), ვისაც წმიდა წერილი თავბრდან ზოლომდე განუწირვია და ყოველი საკითხავიდან იმკის სიკეთეს, ხომ აღარასოდეს მოისურვებს წიგნებს ჩაუჭდეს. ანდა, რატომ მოიქცევა ასე საღმრთო წერილში დაწერილის სულში აღმხეჭდავი, დაფარულ იდუმალებათა დამაუნჯებელი, როცა თავად არის სხვებისათვის სულმოუთქმელად წასაკითხი წიგნი, მფლობელი ღვთის ახალ თუ ძველ საიდუმლოებათა (მათე. 13,52), რაც ჩაწერილია მასში ღვთის თითითვე (გამოსვ. 31.18), ვინაც ყოველივე განასრულა და ღმერთში აღესრულა საყოველთაო საქმენი მისნი (დაბ. 2.2).

ძველბერძნულიდან თარგმნა
მანია ინდუაშვილმა.



მარიამ მაგდალინელი



"მოიხსენებით წინამძღუარნი იგი თქუენნი რომელნიც გეტყოდეს თქუენ სიტყუათა მათ ღმრთისათა; და ჰხედვედით გამოსვლასა მას ცხოვრებისა მათისა და ჰბაძევდით სარწმუნოე-

ზასა მათსა" /ებრ. 13.7/

დიდებული წმიდა მოციქულთასწორი, მენელსაცხებლუ მარიამ მაგდალინელი, რომელმაც ღვთისადმი მგზნებარე და თავგანწირული სიყვარული უდიდესი სახელი მოიპოვა ქრისტიანულ ეკლესიაში, წარმოშობით იმდროინდელი მდიდარი ქალაქიდან, მაგდალადან იყო. მაგდალა გალილეაშია, პალესტინის მხარეში, გენესარეთის ტბის, ანუ უფრო სწორად, გალილეის ზღვისპირა ქალაქებს - კაპერნაუშა და ტიბერიადას შორის მდებარეობდა. ამ ქალაქის სახელწოდების მიხედვით, წმიდა მოციქულთასწორ მარიამს მაგდალინელი ეწოდა. ამ სახელწოდებით განასხვავებენ მას სხვა ღვთისმოსავი ქალებისაგან, რომელნიც სახარებაში მარიამის სახელწოდებით არიან მოხსენიებულნი.

უნდა აღინიშნოს, რომ მოციქულთასწორი, წმიდა მარიამ მაგდალინელი, ჭეშმარიტი გალილეველია, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ "გალილეველი" ქრისტიანობის განმტკიცებასა და ქრისტიანული მოძღვრების ქადაგების საქმეში ძალიან ბევრს ნიშნავდა. თვით მაცხოვარს გალილეველს უწოდებენ, იმის მიხედვით, რომ იგი ბავშვობიდან ცხოვრობდა და იზრდებოდა, შემდგომ კი ბევრს ჰქადაგებდა ამ მხარეში. მე-4 საუკუნის ბერძენთა და რომაელთა იმპერატორი, იულიანე განდგომილი, სიკვდილს წინ ასე მიმართავდა ქრისტეს: "შენ გაიმარჯვე ჩემზე, გალილეველო!"

გალილეიდან იყვნენ ქრისტეს მოციქულნი: მათგან მხოლოდ ერთი, იუდა ისკარიოტელი, არ იყო გალილეველი. აღდგომის შემდეგ, როცა გალილეის მთაზე იესო ქრისტე გამოეცხადა ხალხს, იქ მყოფთაგან /დაახ. 500/ უმეტესი გალილეველი იყო. ესენი იყვნენ ის ადამიანები, რომელიც ყველგან თან დაჰყვებოდნენ მაცხოვარს, უსმენდნენ მის ქადაგებებს, სწავლობდნენ მის მოძღვრებას, მოწმენი იყვნენ მისი სასწაულმოქმედებებისა და უდიდეს წყალობასაც ღებულობდნენ.

პალესტინის სხვა მხარის მცხოვრებთაგან განსხვავებით, გალილეველებმა ყველაზე მეტი

1. ЖИТИЯ СВЯТЫХЪ. წმ. მამა დიმიტრი როსტოველის რედაქციით.

მ. 1904.

გულმოდგინებით შეითვისეს და გაავრცელეს ქრისტეს მოძღვრება; ამიტომ, თავდაპირველად, ქრისტეს ყველა მიმდევარს "გალილეველს" უწოდებდნენ. თვით უფლის ანგელოზებმა, ქრისტეს ამალღებისას ელფონის მთაზე, ქრისტეს მოციქულებთან ერთად მყოფ ყველა მორწმუნეს გალილეველი შეარქვეს. გალილეა ებრაული სიტყვაა და მხარეს, ოლქს ნიშნავს. იგი ქრისტიანული სარწმუნოების აკვნად ითვლება. ცოცხალი, ხალისიანი ბუნებით გალილეა კონტრასტულად განსხვავდებოდა საშრეთ პალესტინის მშრალი, უნაყოფო უდაბნოსაგან... და ისევე როგორც მათი ბუნება, ამ მხარეთა მცხოვრებნიც არ ჰგავდნენ ერთმანეთს. მშობლიურ ბუნებასავით ცოცხალი და ხალისიანი გალილეველები დიდი სურვილითა და თავგამოდებით თივისებდნენ სულიერი კანონის იღებებს.

იუდეა გამოფიტული იყო ფარისევლობითა და სადუკეველთა ბეცობით. გალილეველები იყვნენ მგზნებარენი, გულშემატკივარნი, მაღლიერნი, პატიოსანნი, მამაცნი, რელიგიის ბავშვური ალტაცებით შემთვისებელნი, უკვარდათ მოძღვრების მოსმენა ღმერთსა და სარწმუნოებაზე, იყვნენ შრომისმოყვარენი, გულლია, პოეტურნი...და მარიამ მაგდალინელი, განკურნებული ქრისტეს მიერ, თითქმის ყველა იმ თვისებით იყო შეიკული, რაც მისი მშობლიური, ქრისტეს მოძღვრებისათვის თავდადებული ხალხისათვის, იყო დამახასიათებელი.

ცხოვრების პირველი ნახევარი მოციქულთასწორის, მარიამ მაგდალინელისა უცნობია. წმიდა წერილის საშუალებით მხოლოდ იმას ვგებულობთ, რომ იგი მძიმე, განუკურნებელი სენით იყო შეპყრობილი. სახარება გადმოგვცემს, რომ მარიამ მაგდალინელში 7 ეშმაკი, ლეგეონი ბატონობდა. მიზეზი ამ უბედურებისა არაა ცნობილი. წმ. წერილი და ქრისტიანული ეკლესიის მამები გვასწავლიან, რომ ასეთ განსაკუთრებულ მძიმე ტანჯვა-წვალებას ღვთიური განჭვრეტა იმითომ უშვებს, რომ ღვთიური საქმეები განცხადდეს (ე.ი. განცხადდეს ღვთის განსაკუთრებული მოქმედებანი ხალხთან დამოკიდებულებაში....ამ შემთხვევაში კი, დემონისაგან მარიამ მაგდალინელის განკურნება აუცილებელი იყო უფლისა და ქრისტეს დიდებისათვის, საჭირო იყო სულიერი განათლებისათვის, აუც-

ილებელი იყო მარიამ მაგდალინელის ხსნისათვის. მაცხოვრის მოძღვრების თანახმად, უნდა ვიფიქროთ, რომ მარიამ მაგდალინელის ეშმაკეულებით შეპყრობა იყო არა საკუთარი ცოდვების ან მშობლების ცოდვების გამო, არამედ იყო დაშვებული ღვთის განჭვრეტით, რათა უფალს, იესო ქრისტეს, დიდებული საქმე განეცხადებინა, განეცხადებინა მარიამ მაგდალინელის განკურნების უდიდესი სასწაული, ეჩვენებინა მისი გონების განათება, მისი მოქცევა სარწმუნოებისაკენ, ქრისტე მაცხოვრისაკენ, მარადიული ნეტარებისაკენ.

"პრქუა მათ იესო: არცა ამან სცოდა, არცა მშობელთა ამისთა, არამედ რათა გამოაცხადნეს საქმე ღმრთისაჲ მაგას ზედა" /იოან. 9.3/. მიზეზი მარიამ მაგდალინელის მძიმე ტანჯვისა, ისევე როგორც მიზეზი ღვთის მიერ დაშვებული სხვა საიდუმლოებებისა აღამიანებთან დამოკიდებულებაში, ღვთიური სიბრძნის მსოფლიო საიდუმლოებას წარმოადგენს და მიუწვდომელია აღამიანური გონებისათვის. თუ არა ასეთი მძიმე ტანჯვა, მარიამ მაგდალინელი, შესაძლოა მაცხოვრის საქმეებს არც კი გასცნობოდა და განზე დარჩენილიყო მათგან, ან მხოლოდ ცნობისმოყვარეობა და განცვიფრება გამოეჩინა ღმერთკაცის სასწაულების მიმართ და ყოველივე ამით დამთავრებულიყო. ცოცხალი და მხსნელი რწმენის გარეშე იგი ვერ შეძლებდა ამალღებას ღვთისადმი იმ მტკიცე, თავდადებული და ჭეშმარიტი სიყვარულით, რითაც დაჭილდობული იქნა უფლის მიერ; მკვლრებით აღმდგარი მაცხოვარი, იესო ქრისტე, თვით თავის მოციქულებზე ადრე სწორედ მას გამოეცხადა: "ხოლო აღრა-ასდგა განთიად პირველსა მას შაბათსა, ეჩუენა პირველად მარიამ მაგდალინელსა, რომლისაგან განსრულ იყვნეს შვიდნი ეშმაკნი". /მარკ. 16.9./. მძიმე ტანჯვაში მყოფ, უმწეო და სუსტ გალილეველ მარიამ მაგდალინელს არ შეეძლო გულგრილი დარჩენილიყო იმ ხმათა მიმართ, რომელიც გაავრცელებული იყო საოცარ სასწაულმოქმედზე, ყოველგვარი უკურნებელი სენის აღმომეხვრელობზე "და მოჰვლიდა იესო ქალაქებსა ყოველსა და დაბნებსა, და ასწავებდა შესაკრებელსა შორის მათსა და ჰქადაგებდა სახარებასა სასუფეველისასა, და განჰკურნებდა ყოველთა სენთა და ყოველთა

უძღვრებათა ერთა შორის" /მათ.9.35/. და აი, მარიამ მაგდალინელი ისწრაფვის, რათა ეს სასწაულმოქმედი იძოვოს... იძოვა კიდევ... იძოვა და საკუთარი თვალთი იხილა ყოველივე; იხილა განუკურნებელი სენისაგან, ავი სულებისაგან განკურნებულნი; იხილა თვალახილული ბრძე-ბი; სმენადბრუნებული ყრუნი; მკვდრეთით აღ-მდგარნი. "ბრძანი აღიხილვენ, მკვლევრნი ვლენან კეთროვანნი განსწმდებიან და ყრუთა ესმის, მკუდარნი აპოსტგებნიან და გლახაკთა ეხარების" /მათ. 11.5/. ღრმად ირწმუნა მარიამ მაგდალინელმა მაცხოვრის სასწაულმოქმედება, ყოვლისშემძლეობა. იგი მტკიცე გადაწყვეტლ-ებით მიიღო მასთან, მის ღვთიურ ძალასთან, სთხოვს განკურნებას და რწმუნისდა მიხედვით ღებულობს მას. ავი სულების შტანჯველი ძალა სტოვეს მარიამს და იგი თავისუფლდება ღემო-ნებისაგან. ღვთიური ნათელით ბრწყინდება მა-რიამ მაგდალინელის ცხოვრება და მადლიერი გალილეველი ამიერიდან მოღიანად უძღვის თავის თავს მაცხოვარს. მისი სული საოცრად სუფთა და ამალღებული, საოცრად მადლიერი და თავგანწირული სიყვარულით ინთება იესო ქრისტეს მიმართ და უკვე სამუდამოდ უერთდუ-ბა მას, ყველგან მოუშორებლად დაჰყვება, ცდ-ილობს შეიმეცნოს მისი ღარიგებანი, შემთხვევ-ას ეძებს, რაიმეთი მაინც მოემსახუროს თავის გამომხსნელს.

მაშინდელი მიწიერი ვითარების გამო რო-მელშიც თავისივე სურვილით იმყოფებოდა ქრი-სტე, როგორც ადამიანური ბუნების მქონეს (ძე კაცისას) მას და მის საქმეებს მატერიალური სამსახურიც ესაჭიროებოდა. ქრისტე ხომ გამო-ქვამულში დაიბადა, სილარიბეში იშვა, იშვა იქ, სადაც შინაურ საქონელს ათავსებენ ხოლმე. მისი აკვანი უბრალო ბაგა იყო. "და კშუა ძე იგი მისი პირშია და შეხვია სახუველითა და მიაწვინა იგი ბაგასა, რამეთუ არა იყო მათდა ადგილ სავანესა მას"..., "და ესე იყოს თქვენდა სასწაულად: კხოვით ყრმაჲ იგი შეხუეული და მწოლარე ბაგასა"; და მოვიდეს მსწრაფლ, და კხოვეს მარიამ და იოსებ, და ყრმაჲ იგი, მწო-ლარე ბაგასა" /ლოკა.2.7.12.16/.

ოჯახური სილარიბის გამო ღვთის ტაძარ-ში ღვდამ მხოლოდ ორი ახალგაზრდა მტრუდის მიყვანა შესძლო და, ჩვეულების თანახმად, რო-

გორც დაბადებულისათვის აუცილებელი, მსხვე-რპლად შესწირა. "და მიცემად შესწირავი, ვი-თარცა თქმულ არს სჯულსა უფლისასა, ორნი გურიტნი, ანუ ორი მართუენი ტრედისანი" /ლოკ.2-24/. როგორც უბრალო ხუროს ოჯახის შვილად აყვანილი წვერი, გალილეველთა პატ-არა ქალაქ ნაზარეთში 29 წლამდე სილარიბეში ცხოვრობდა იესო ქრისტე. იმისათვის, რომ ნაკ-ლები წინააღმდეგობები ჰქონოდა ღმერთკაცს სახარების ქადაგებისას იმ უდიდესი მისიის შე-სრულების საქმეში, რისთვისაც მოვიდა იგი ღვდამიწაზე, საერთოდ დატოვა მან /მაშობილ-ის/ იოსების სახლი, ოჯახი, სადაც იზრდებოდა, უარყო ყოველგვარი პირადი, მატერიალური სა-კუთრება. ამიტომ იყო, რომ იესოს არავითარი ქონება არ ჰქონდა. მის საკუთრებას შეადგენდა მხოლოდ ის ტანსაცმელი, რომელიც ეძოსა. სხ-ვა არაფერი მას არ ეხება... ასე რომ, სამი წლ-ის საკაცობრიო მოღვაწეობის შემდეგ იგი მხო-ლოდ 30 ვერცხლად იქნა შეფასებული. მაშინდ-ელ პალესტინაში ეს ფასი ყველაზე დატაკი, არაფრის მქონე მონის საფასურს შეესაბამებო-და. ღვდამიწაზე, რომლის გადასარჩენად მოვი-და ქრისტე, მას ერთი გოჭი მიწაც კი არ გააჩ-ნდა, არ გააჩნდა არც სახლი: - "შელთა ხურე-ლი უჩნს და მფრინველთა ცისათა საყოფელი, ხოლო ძესა კაცისასა არა აქუს, სადა თავი მი-იდრიკოს" - განაცხადა თავად მაცხოვარმა /მათე. 8.20/. უსახლკარო და ღარიბი იესო ქრ-ისტეს საქმელ-სასმელიც ღარიბული იყო. მის ჩვეულებრივ საკვებს წარმოადგენდა - ქერის პური, გალილეის ტბის ნაპირას დაჭერილი, და იქვე მდულარეში მოხარშული თევზი, ხოლო ზოგჯერ - ცოტადენი გარეული ფუტკრის თაფ-ლი, რომელსაც გალილეველები თავისუფლად აგროვებდნენ.

საერთოდ, ამ მხარეში მოძღვარნი სტუმ-როთმოყვარეობით გამოირჩეოდნენ; არც იესო ქრისტე ამბობდა უარს, თუკი ტრაპეზზე მიიწვ-ევდნენ. სწორედ ეს იყო მიზეზი იმ ხმებისა, რომელთაც მზაკვარი ფარისეველნი მის შესახებ ავრცელებდნენ. "მოვიდა ძე კაცისაჲ, ჰჭამს და სუამს, და იტყვიან: აჰა, კაცი მჭამელი და ღუ-ინის მსმელი, მეგობარი მეტყუერთაჲ, ცოდვილ-თაჲ და განმართლდა სიბრძნე შვილთაგან თუ-ისთა" /მათე 11.19/. მოციქულებსა და ქრისტეს

მოგიერთ მიმდევარს მხოლოდ მცირე პირადი საკუთრება გააჩნდათ, მაგ. მოციქულ პეტრეს - კაპერნაუმში, ხოლო იოანეს იერუსალიმში ჰქონდათ სახლი, სხვები ერთგვარ წარმოებას მისდევდნენ, ფულის შესანახი საერთო ყუთიც კი ჰქონდათ, რათა დაგროვილი თანხა ღარიბთა დასახმარებლად გამოეყენებინათ, მოწყალება გაეცათ და ა.შ. მაგრამ თვით უკიდურესი საჭიროების დროს ყუთი ხშირად ცარიელი იყო და როცა იუდეველი ხარკის ამკრეფნი სულ უმნიშვნელო თანხისათვის მოვიდნენ და ჰკითხეს მოციქულ პეტრეს: "მოძღუარმან არ მოგუცესა ხარკი?" მოციქულებს ეს მცირედიც არ აღმოაჩნდათ, რათა მიეცათ მათთვის. იესო ქრისტემ მიმართა პეტრეს: თუმცა მე გადასახადისაგან თავისუფალი ვარ, რამეთუ ძე ვარ ღვთისა, ხოლო ღიდრახმა / გადასხადი/ ჩემი მამის ტაძრისათვის იკრიბება, ხოლო რათა არ დავაბრკოლნეთ იგინი, წარვედ ზღუად და შთააგდე სამჭედური, და რომელი პირველი აღმოხდეს თევზი, აღიდე და აღუდე პირი მისი და ჰპოვო მის შორის სატირი, მოიდე იგი და მიეც მათ შენთვის და ჩემთვის" /მათე. 17.27/... და ეს იმ დროს, როცა ქრისტეს სასწაულებზე უკვე მთელს ასურეთში ლაპარაკობენ: მოჰყავთ მასთან უძღურნი, მძიმე სენით შეპყრობილნი, ცოფიანნი, მთვარეულნი... იგი ყველას კურნავს, ყველას შველის..." და მიმდევდა მას ერი მრავალი გალილეაჲთ და ათქალაქით, და იერუსალემით და ჰერიასტანით და წიად-იორდანით" /მათე. 4.25/.

ბევრია ღარიბ-ღაცაკი სხვადასხვა კუთხიდან ჩამოსულ ხალხში, ადამიანებს სჭირდებათ საჭმელი, ტანსაცმელი... საჭიროა მოწყალების გაღება, დახმარება... და აი, ღვთისმოსავი ქალები, ქრისტეს მიერ მძიმე სენისაგან განკურნებულნი და მაცხოვრისადმი მაღლიერების გრძნობით განმსჭვალულნი, საკუთარი ქონებრივი შესაძლებლობიდან, საჭიროების მიხედვით, საარსებო მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად ქრისტეს თანხმლზე პირებს ხარჯს უხდიან. ღვთისმოსავი ქალებიდან, რომლებიც ქრისტეს მითითების თანახმად, დახმარებას უწევდნენ ღარიბებს, მოციქული ლუკა გამოჰყოფს მარიამ მაგდალინელს და ასახელებს მას, როგორც "პირველს", რამეთუ მან პირველმა უჩვენა ღვთ-

ისმოსავური მაგალითი სხვებს, თავისი მონდობებით და ერთგულებით ყველაზე წინ იდგა, იგი ტოლთა შორის საუკეთესო იყო. "და ღვთისმოსავი ვინმე, რომელნი განკურნებულ იყვნენ სულთაგან არაწმიდათა უძღურებათა: მარიამ, რომელსა ერქვა მაგდალინელი, რომლისაგან შვიდნი ეშმაკნი განსრულ იყვნენ" /ლუკა. 8.2/.

ღვთისმოსავი ქალების თავდადებული, უანგარო სამსახური ქრისტესადმი იმ დროს, როცა მაცხოვარს "თავის მისადრეკი" ადგილიც კი არ გააჩნდა, როცა იგი ადამიანებისაგან მხოლოდ გაკვირვებას, სიცივეს ან მტრობას გრძნობდა, უდიდესი სიამის მომნიჭებელსა და ნუბეშის მცემელს წარმოადგენდა მისთვის.

განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია მარიამ მაგდალინელის საგანგებო სიმტკიცე და არაჩვეულებრივი გმირობა. ვერაფრითაა წინააღმდეგობა, ვერაფრითაა საფრთხე ვერ აბრკოლებს მაცხოვრისადმი სიყვარულით ანთებულ ღვთისმოსავს. ქრისტეს ტანჯვა-წამების მძიმე დღეებში მარიამ მაგდალინელი არნახულ გმირობას იჩენს და მაშინ, როცა მოციქულნი (თითქმის ყველა მოციქული), მიუხედავად დადებული პირობისა - უფალთან ერთად მომკვდარიყვნენ, კრთებიან და სიკვდილის შიშით შეპყრობილნი სტოვებენ მაცხოვარს, გარბიან... მარიამ მაგდალინელი სიყვარულის ყოვლისშემძლე ძალით ამარცხებს შიშს და ბოლომდე ერთგული რჩება თავისი სიტყვის- მაცხოვართან იყოს თვით ყველაზე მძიმე წუთებში, მასთან ყოფნით ტანჯულს ეკლიან გზაზე სიარული შეუმსუბუქოს.

საოცრად მძიმე, აუტანელ და ყველაზე სასტიკი, ამავე დროს, ყველაზე დამამცირებელ, მონურ სასჯელს ჯვარზე გაკვრა წარმოადგენდა. ამ საშინელი სასჯელით სჭიდნენ გამცემლებს, მკვლელებს და უდიდესი ბოროტების ჩამდენთ. ჯვარზე სიკვდილი ყველაზე შემადრწუნებელ, ყველაზე საშინელ წამებას წარმოადგენდა. სხეულის არაბუნებრივი მდგომარეობა ლურსმნებზე, სულ ოდნავი მოძრაობის დროსაც კი აუტანელ ტკივილებს იწვევდა; არტერიები, განსაკუთრებით თავისა და მუცლისა, იბრუნებოდა, სივლებოდა და სისხლით ივსებოდა, რაც საშინელ ტკივილთან ერთად მტანჯველ სიცხეს და აუტანელ წყურვილს იწვევდა. წამება ჯვარცმულისა, რომელიც ხანდახან რამდენიმე დღეს გრძელდებოდა,

ბოდა, ისეთი საშინელი იყო, რომ რომაელები ჭვარზე გაკრულს შუბის ძგერით უსწრაფებდნენ სიცოცხლეს. იუდეველები, მოსეს რჯულის თანახმად, მშის ჩასვლამდე აბოლოვებდნენ დასჯილის სიცოცხლეს. ასევე, ჩვეულების თანახმად, ჭვარცმულს აძლევენ ღვინოს, განზავებულს ნაღვლით: "და მისცემდეს მას სუმაღ შემურვილსა ღვინოსა; ხოლო მან არა მიიღო" /მარკ. 15.23/. "და მისცეს მას ძმარი, ნაღვლითა აღმევებული, და გემოჲ რაჲ იხილა, არა უნდა სუმი" /მათე 27.34/. ეს სასმელი გონებას აბნელებდა და ჭვარცმულის მდგომარეობას რამდენადმე ამსუბუქებდა. მაგრამ იესომ არ მიიღო იგი. ჭვარზე გაკრული მაცხოვრის მდგომარეობას კიდევ უფრო აღრმავებდა და ამძიმებდა იუდეველი მწიგნობრების, მღვდელმთავრებისა და მამასახლისების გამომწვევი და თავბუდური მოქმედება. "სხუანი აცხოვნა, თავი თვისი ვერ ძალუც ცხოვნებად; უკეთუ მეუფე ისრაელისაჲ არს, გარმოხდინა აწ მაგიერ ჭუარით, და გურწმენეს იგი" /მათ. 27.42/ - დამცინავი ღიმილით ეუბნებოდნენ ისინი. რომაელი მეომრები, მაცხოვართან ერთად ჭვარზე გაკრული ავაბაკი, ბრბო აღამიანებისა, - თითქმის ყველა მის წინააღმდეგ ამხედრებულიყო. "თუ შენ იუდეას მეფე ხარ, გადაიარჩინე თავი და გადაგვარჩინე ჩვენც" - დრტვინავდა მაცხოვართან ერთად ჭვარზე გაკრული ერთ-ერთი ავაბაკი. "თანა-წარმაგალნი იგი ჰგმობდეს მას, ჰყრიდეს თავთა მათთა და იტყოდეს: რომელი დაჰხსნიდა ტაძარსა მას და მესამესა დღესა აღაშენებდ, იხსენ თავი თვისი უკეთუ ძე ხარ ღმრთისაჲ, გარდამოხედ მაგიერ ჭუარით" /მათე 27.39-40/....და აი, როცა ასეთ საშინელ მდგომარეობაში იმყოფებოდა მაცხოვარი, როცა ბრბოს უგუნურება და ველურობა, იუდეველი მღვდელმთავრების ღვარძლი და ბოროტება უკიდურეს სამღვარს აღწევდა, ჭვარცმულის წამებული მშერა მისწვდა ღვთისმოსავი ქალების მანუკეშებულ ცრემლებს, რომელთა შორის მარიამ მაგდალინელი პირველი იყო. "და იყვნეს მუნ დედანიცა მრავალნი, რომელნი შორით ხედვიდეს, რომელნი შეუდგეს იესოს გალილეათ და მსახურებდეს მას, რომელთა თანა იყო მარიამ მაგდალინელი და მარიამ იაკობისი და იესოს დედაჲ და დედაჲ ძეთა ბებედესთაჲ" /მათე 27,55-56/.

ცოდვების ბნელ სამეფოში სინათლის სხივმა გაიელვა; ამ სხივმა შეება და სიამე მოჰგვარა ძესა კაცისასა, უდანაშაულოდ დასჯილს... და ეს სხივი ღვთისმოსავ ქალთა ცრემლები იყო, დამადასტურებელი იმისა, რომ ჭერ კიდევ მთლიანად არ გახრწნილა, საბოლოოდ არ გადაგვარებულია აღამიანის ბუნება.

დღე, დაცემული კაცობრიობის ღმერთკაცის მეშვეობით ცოდვათა გამოსყიდვისა, იყო ნათელი. შუადღე მოახლოებულიყო. "და იყო ჟამი

მეექუსე; და ბნელ იყო ყოველსა ქუეყანასა ვიდრე მეცხრე ჟამამდე" და ამ ნათელ შუადღეს უკვებ "დაბნელდა მზე, და განიბო კრეტსაბმელი ტაძრისაჲ მის შორის /ლუკა. 44-45/. ქუეყანას უკუნი სიბნელე მოეფინა. ეს სიბნელე არ იყო ჩვეულებრივი, გამოწვეული მშის დაბნელებით. იგი ბებუნებრივი მოვლენა იყო და ცოდვების გამოსყიდვის განსაკუთრებული შემთხვევის უდიდეს მნიშვნელობაზე მიუთითებდა.

საშინელი, დიდებული, შთაბეჭდავი ბეციური სასწაული მძიმე ტვირთად აწევებოდა უდანაშაულო ქრისტეს დამსჯელთ. შიშის შარს სცემდა მათ. ირგვლივ სამარისებური ღუმული მეფობდა. მოშორებით მდგომი ჭვარცმულის თაყვანისმცემელი წამებულს მიუახლოვდნენ." და დგეს ყოველნი მეცნიერნი მისნი შორით, და დედანი, რომელნი შეუდგეს მას გალილეათ, ჰხედვიდეს მას" /ლუკა 23. 29/. გარშემოერთყენ ჭვარს...და ამათგან მახარებელი კვლავ მარიამ მაგდალინელს ასახელებს პირველს. "რომელთა თანა იყო მარიამ მაგდალინელი და მარიამ იაკობისი და ოსეს დედაჲ და დედაჲ ძეთა ბებედესთაჲ" /მათე 27.56/.

ამგვარად, მარიამ მაგდალინელი მოწიწებით დგას არა მარტო სასწაულმოქმედი, სახელგანთქმული და დიდებით შემოსილი მაცხოვარ ქრისტეს, არამედ დამცირებული, პატივყარილი სამარცხვინო ჭვარზე გაკრული, თვით საკუთარი მოციქულების მიერ მიტოვებული ქრისტე ნაზარეტელის ფეხებთან! არც სიკვდილის შემდეგ მიუტოვებია თავისი მხსნელი მარიამ მაგდალინელს. იგი ერთ წუთსაც არ მოშორებია იოსებ არიმათიელსა და ნიკოდიმოსს, რომელთაც ჭვრიდან ჩამოხსნეს მაცხოვრის სხეული და სამარხამდე გადაიტანეს; ესწრებოდა დაკრ-

ძალვას და მაშინაც კი, როცა მოახლოებული დიდი დღესასწაულის-პასექის პატივსაცემად მაცხოვრის დაკრძალული სხეული დატოვა, მგზნებარე, მადლიერმა სიყვარულმა ღრმა მწუხარებაში მყოფს, აღმოუჩინა წყარო ნუგეშისცემისა. სიყვარულმა აღუძრა დიდი სურვილი პატივი ეცა უკანასკნელად იუდეველებისაგან დამცირებული მაცხოვრისათვის...და აი, ყიდულობს ნელსაცხებელს, რათა დაკრძალულ ქრისტეს სხეულს სცხოს და ამით, ებრაელთა ჩვეულების მიხედვით, თაყვანი და პატივი სცეს მას. მარიამ მაგდალინელმა პირველმა წამოიწყო და პირველმა შეასრულა ეს საქმე. ამას ადასტურებს ორი მახარებელი, ხოლო მესამე საერთოდ, მართლ მარიამ მაგდალინელს მიაწერს ამ საქმეს. "ხოლო მწუხრი შაბათსა, რომელი განთენებოდა ერთშაბათად, მოვიდა მარიამ მაგდალინელი, და სხუად იგი მარიამ ხილვად საფლავისა მის" /მათ. 28.1/. "და ვითარცა გარდახდა შაბათი იგი, მარიამ მაგდალინელმან, და მარიამ იაკობისმან, და სალომე იყიდეს ნელსაცხებელი, რათა მოვიდნენ და სცხონ მას" /მარკ. 16.1/. "ერთსა მას შაბათსა მოვიდა მარიამ მაგდალინელი განთიად, ვიდრე ბნელა იყო, საფლავსა მას ზედა და იხილა ლოდი იგი აღებული კარისა მისგან საფლავისა" /იოან. 20.1/. ამიტომ მას მენელსაცხებლე უწოდეს...და აი, ჯერ კიდევ ღამის ბინდებულში, იმ საშინელი შაბათის შემდეგ, კვირის პირველ დღეს, მოუხდავად იუდეველებისაგან მოსალოდნელი დიდი საფრთხისა, მაშინ როცა მაცხოვრის ჯვარცმით სულიერად გატეხილი მოწაფეები საკუთარ სახლში ჩაიკეტებინან, მარიამ მაგდალინელი, რამდენიმე ღვთისმოსავი ქალის თანხლებით, უშიშრად მიემართება ქრისტეს სამარხისაკენ, რათა ნელსაცხებელი სცხოს მის სხეულს და ამით გამოხატოს მისდამი უდიდესი სიყვარული და პატივისცემა. მან არ იცის, რომ გამოქვაბულის კართან, რომელშიც ქრისტეს სხეულია დაკრძალული, იუდეველებმა მკვლელები დაუწესეს, არც ის იცის, რომ გამოქვაბულის კარი მძიმე ლოდით დაბეჭდეს, არ იცის, რადგან ყოველივე ეს მოხდა მას შემდეგ, რაც ქრისტეს ყველა თაყვანისმცემელმა დატოვა იოსებ არიმათიელის ზადი. "ხოლო ზვალისაგან, რომელ არს შემდგომად, პარასკევისა, შეკრბეს მღვდელმთავარნი იგი და ფარი-

სეველნი პილატესა და პრეტუს: უფალო, მოვიბსენეთ, რამეთუ მან მაცდურმან თქუა, ვიდრე ცოცხალა იყო, ვითარმედ შემდგომად სამისა დღისა აღვდგეო. აწ უკუუ ბრძანე დაკრძალვად საფლავი იგი ვიდრე მესამედ დღემდე, ნუ უკუუ მოვიდენ მოწაფენი მისნი და წარიპარონ იგი და უთხრან ერსა, ვითარმედ: აღსდგა მკუდრეთით. და იყოს უკანასკნელი საცთური უძვირეს პირველისა. პრეტუ მათ პილატე: გაქუს თქვენ დასი, წარვედით და დაჰკრძალეთ ვითარცა იცით. ხოლო იგინი წარვიდეს და დაჰკრძალეს საფლავი იგი და დაჰხეჭდეს ლოდსა მას დასისა თანა" /მათ. 27.62-66/. მაგრამ ახლა იერუსალიმიდან გამოქვაბულისაკენ მიმავალ მარიამ მაგდალინელს ახსენდება, რომ გამოქვაბულის შესასვლელი დაკეტილია იოსებისა და ნიკოდიმოსის მიერ ისეთი მძიმე ლოდით, რომლის გადაგორება არც მას და არც მის თანხლებე ქალებს არ ძალუძთ. "ვინ გარდაგვიგორავს ჩუენ ლოდი იგი კარისა მისგან საფლავისა" /მარკ. 16.3/. -ერთმანეთს ეკითხებიან შემფოთებულნი მენელსაცხებლე დედები.

ფიქრით შეწუხებული და გულდამძიმებული მარიამ მაგდალინელი გამოეყთოვა ყველას, მიდის წინ და როცა გამოქვაბულს უახლოვდება, ხედავს, რომ ლოდი უკვე გადაგორებულია, შესასვლელი თავისუფალია. ერთსა მას შაბათსა მოვიდა მარიამ მაგდალინელი განთიად, ვიდრე ბნელ იყო, საფლავსა მას ზედა და იხილა ლოდი იგი აღებული კარისა მისგან საფლავისა" /იოან. 20.1/. იმ დროს ებრაელებისათვის ლოდი, რომლითაც დაკეტილი იყო მიცვალებულის სამარხი, ხელშეუხებლად, წმიდად ითვლებოდა. გამოქვაბულის შესასვლელიდან გადაგორებული ქვა მოწმობდა, რომ იქ დაკრძალულ სხეულს რაღაც შეემთხვა განსაკუთრებული...მაგრამ, კერძოდ, რა?...უპირველეს ყოვლისა, დაიბადა ეჭვი, რომ იესოს სხეული აღებულია ვიღაცის მიერ და დაკრძალულია სხვაგან. საშინელმა ფიქრმა, რომ მაცხოვრის სხეულს ვერ იპოვის და ვერ სცემს მას უკანასკნელად თაყვანს, პატივს ვერ მიაგებს, ისე შეაძრწუნა მარიამ მაგდალინელი, რომ დაუყოვნებლივ, გამოქვაბულში შეუსვლელად, უკან, იერუსალიმში გაბრბის, რათა მოციქულებს- პეტრესა და იოანეს შეატყობინოს ეს ამბავი, მას იმედი აქ-

ვს, რომ ისინი ყოველგვარ ზომებს მიიღებენ ქრისტეს სხეულის აღმოსაჩენად. "აღიღეს უფალი საფლავისაგან, და არა უწყი, სადა დადევს იგი" /იოან.20.2/. -ეუბნება იგი მოციქულებს. თავდადებული და ერთგული მოციქულები პეტრე და იოანე მაშინვე სირბილით მიდიან გამოქვაბულისაკენ "რბილდეს ორნივე ზოგად. ხოლო სხუად იგი მოწაფე წინა რბილდა უადრეს პეტრესა და მოვიდა პირველად საფლავად" /იოან.20.4/. საფლავთან პირველად იოანე მივიდა, "შთაჭედა საფლავსა მას, და იხილნა იგი ტილონი ხოლო მღებარენი და შინა არ შევიდა" /იოან.20.5/. მას ფეხდაფეხ მოჰყვა სიმონ პეტრე, შევიდა გამოქვაბულში და "იხილა ტილონი იგი მღებარენი" /იოან.20.6/. "და სუდარა იგი, რომელი იყო თავსა მისსა არა ტილოთა თანა მღებარე, არამედ თუისაგან შეკერილი ერთსა ადგილსა" /იოან.20.7/. ამის შემდეგ იოანეც შედის და "იხილეს და პრწმენა" /იოან.20.8/. იოანემ დაიჯერა, რომ ქრისტე აღსდგა, მაგრამ ამის შესახებ არაფერი უთქვამს. თუკი ვინმე ქრისტეს სხეულს მოიპარავდა და სხვა ადგილას გადაიტანდა, არ გააშიშვლებდა მას, - ფიქრობდა იოანე - არ დაიწყებდა ზრუნვას იმაზე, როგორ გაეხადა სუდარა, არამედ როგორც იყო ისე გადაიტანდა".

ერთნაირი გრძობით როდი დაშორდნენ მოციქულები ქრისტეს ცარიელ სამარხს: პეტრემ, მომხდარი შემთხვევისაგან განცვიფრებულმა, გაოცებულმა და გაოგნებულმა დატოვა გამოქვაბული და უკან წავიდა. მაშინ, როცა ასეთი ამღვრეული და დაუძლურებული გონებითა და ხასიათით მოციქულები სტოვებენ გამოქვაბულს და შინ ზრუნდებიან, მარიამ მაგდალინელი კვლავ უბრუნდება მას, უახლოვდება გამოქვაბულს და მწარედ ტირის. მწუხარე და უნუგეშო მღვთმარეობაში მყოფი სამარისაკენ იხრება, რათა ერთხელ კიდევ ნახოს ის ადგილი, სადაც მისი მხსნელი იყო დაკრძალული... იხრება და ხედავს: "ორნი ანგელოსნი სპეტაკითა მოსილნი, მსხდომარენი ერთი თავით და ერთი ფერხით, სადა - იგი იდგა გუამი უფლისა იოსოასი" /იოან. 20.12/. "ღედაკაცო! რაესა სტირ?" - ეკითხებიან ისინი. "აღიღეს უფალი ჩემი საფლავით და არა უწყი, სადა დადევს იგი" - პასუხობს მარიამ მაგდალინელი /იოან.20.13/. ისეთი

ღიდი და განუმომელია მარიამის სევდა, ვერცკი გრძობს, ვის ელაპარაკება: ვერ ამჩნევს, რომ მის წინ ღვანან ანგელოზები, რომლებმაც აღამიანური სახე მიიღეს და თავიანთი სადღესასწაულო გამოცხადებით ცდილობენ, მას მწუხარება შეუშუბუქონ. ისინი ამზადებენ მარიამ მაგდალინელს ქრისტეს საოცარი აღდგომის შესახვედრად, ამზადებენ ამ სასიხარულო ამბის მოსასმენად; ასამაღლებლად, ამზადებენ ზედნიერებისათვის. სხვა მენელსაცხებლე დედებისაგან განსხვავებით, ანგელოზები მარიამს არ უმუღავენებენ რომ ის, ვისაც იგი ასე თავგამოდებით და გულმოდგინედ ეძებს, აღსდგა; არ ეუბნებან ამ სასიხარულო ამბავს, რადგან უფალს სურს, თვითონ უშუალოდ მიანიჭოს მას ზედნიერება, თვითონ გამოეცხადოს და თვითონ აუწყოს ეს სასიხარულო ამბავი, სურს, მარიამ მაგდალინელი ქრისტეს აღდგომის უშუალო მაცნელ აირჩიოს... და იმ დროს, როცა მარიამ მაგდალინელი ანგელოზებს პასუხად თავისი ტირილისა და მწუხარების მიზეზს ამცნობს, მის უკან უეცრად თვით ქრისტე მაცხოვარი ცხადდება. ანგელოზები მაშინვე უფრო მოკრძალებულ და მორიდებულ მღვთმარეობაში გადადიან. მარიამი ამჩნევს ამას და უკან მოიხედავს, - იქ დგას იესო, მაგრამ მარიამი ვერ ცნობს მას. "მიიქცა გარე და იხილნა იესო მღვთმარე და არა უწყოდა, რამეთუ იესო არს" /იოან.20.14/. მწარე ფიქრების სიმძიმე, მწუხარებისაგან გამოწვეული ცრემლები ხელს უშლის, დააკვირდეს და შეიცნოს მაცხოვარი... თუმცა, ცხადია, თვით იესო ქრისტეს არ სურს, რომ მარიამმა უცებ შეიცნოს იგი, ასევე უცებ არ შეაცნობინა მან თავისი თავი ემაუსელ მგზავრებს. მარიამ მაგდალინელმა იესო არამათიელის მეზადედ მიიღო. "ღედაკაცო! რაესა სტირ? ვის ეძიებ?" ეკითხება იესო მარიამს და სიტყვებში ისეთი თანაგრძობა, ისეთი სითბო ჩანს, რომ მარიამ მაგდალინელს იმედი ეძლევა და ნდობის გამომხატველი სიტყვით მიმართავს მას: "უფალო! უკეთუ შენ აღიღე იგი, მითხარ მე, სადა დასდევ, და მე წარმოვიდო იგი" /იოან.20.15/.

ო, რა თავგანწირული, რა ღრმა ერთგულება ჩანს ამ მოკლე და უბრალო სიტყვებში "უკეთუ შენ აღიღე იგი"... ამბობს მარიამი, ქრისტეს სახელსაც არ ეუბნება მეზადედ ნავარაუ-

დევს, მხოლოდ ნაცვალსახელით მოიხსენიებს მას, რადგან სწამს, რომ ყველა იცნობს მის სათაყვანებელს, ყველას აინტერესებს მისი მდგომარეობა. ცრემლებით ვეუდრება მეზაღვდ წარმოსახულს მარიამში, გაუმჟღავნოს მას, სად წაიღო იესოს სხეული: ეჭვიც არ ეპარება, რომ მან ყველაფერი იცის. რაკი მეზაღვა, აუცილებლად ეკოდინება იოსების სამარხიდან სხეულის გაუჩინარების ამბავი - ფიქრობს მარიამში, - მოტაცება მეზაღვის ნებართვის გარეშე არ მოხდებოდა, რადგან ეს ხალი მის გამგებლობაშია; თუნდაც იოსებს გადაეტანა სადმე სხეული, მაინც მეზაღვისათვის უნდა ეთქვა ეს... "შე ავიღებ მას" - ვეუდრება იგი და უსაზღვრო სიყვარულით შეპყრობილს ავიწყდება, რომ სუსტ ქალს არ ძალუძს მაცხოვრის სხეულის წაღება. მონღომება და სიყვარული ისეთი ძალისაა მასში, რომ მას აქვს საკუთარი თავის რწმენა. რაკი კითხვაზე პასუხს ვერ ღებულობს, ისევე ანგელოზებისაგან ელის დახმარებას და იქით იბრუნებს პირს... იქნებ მათგან შეიტყოს რამე. უფალი, გულაჩვილებული მარიამ მაგდალინელის ასეთი უმაღლესი და ჭეშმარიტი სიყვარულით, მისთვის უკვე ნაცნობი, მაღლიანი ხმით მიმართავს: "მარიამ!" /იოან.20.26/. მარიამ მაგდალინელს ესმის ხმა საამური, ნაცნობი და ეს წამი მთელი ცხოვრების მანძილზე უბედნიერეს და უენეტარეს წამად რჩება მისთვის. ეს ხომ ის მეციური ხმაა, რომლითაც მაცხოვარმა ეშმაკთა ხროვა გამოიყვანა მისგან. ეს ხმა აცოცხლებდა და ახარებდა ყოველ სულდგმულს, მეციური ნეტარებით ატკბობდა ყოველ მსმენელს. მარიამ მაგდალინელი გრძობს ღვთიური მოძღვრის სიახლოვეს, ენით გამოუთქმელი სიხარული იპყრობს მთელ მის არსებას, სულს. ბედნიერების მწვერვალზე მყოფი, სიტყვებს ვერ პოულობს; უდიდესი ნეტარება ამუნჯებს მას. "მოძღვარო!" - ამბობს ის და ქრისტეს ფეხებთან დაემხოა /იოან.20.16/. სიხარულით აღფრთოვანებულ მარიამს ჯერ ერთი კიდევ სრულიად არ აქვს წარმოდგენილი ქრისტეს აღდგომის მთელი სიდიადე; მომხდარი ამბით გაოგნებულს არ შეეძლო იმ მომენტში ეს. ამიტომ უფალი, რათა მისი გონება გაანათოს, ასწავლის, რომ აღდგომის საშუალებით მისი სხეულიც შეიცვალა, მოკლელ ეუბნება: "ნუ შემომეხები მე, რამეთუ არაა

აღსრულ ვარ მამისა ჩემისა" /იოან.20.17/. მარიამ მაგდალინელი აღფრთოვანებით გამოხატავს მაცხოვრის მიმართ თაყვანისცემას... ხოლო ქრისტე შეხების აკრძალვით ამაღლებს, აკურთხებს მის გონებას, ზრახვებს, აძლევს გულისხმისყოფას, რომ მასთან სულიერი ურთიერთობის უმჭიდროესი კავშირი ჯერ არ დამდგარა და დადგება მაშინ, როცა თვითონ თვალს მიეფარება თავის მოციქულთა ფიზიკური მხედველობისაგან (ვად უფალთან, თავის მამასთან ამაღლება. იმავე დღეს, პირველი გამოცხადებიდან ცოტა მოგვიანებით, მაცხოვარს არ აუკრძალავს თვით მარიამ მაგდალინელისათვის, რომ სხვა მენელსაცხებლე დედებთან ერთად მის ფეხებს შეხებოდა. "და ვითარ იგი მოვიდოდეს თხოვრებლად მოწაფეთა მისთა, და აჰა, იესო შეემთხუა მათ, და ჰრქუა: გიხაროდენ! ხოლო იგინი მოვიდეს შეუვრდეს ფერხთა მისთა, და თაყვანისცემს მას" /მათ. 28.9/.

1. იმავე საღამოს ქრისტემ მოციქულებს უფლება მისცა შეხებოდნენ მას, აჩვენა ჭრილობები ხელებსა და ფეხებზე /ლოკ. 24.39/ აქედან, - ფიქრობდნენ ეკლესიის მამები, - ის დასკვნა უნდა გამოვიტანოთ, რომ პირველი გამოცხადებისას აკრძალვა თვით მარიამ მაგდალინელის იმ ზრახვების შეკავებისთვის იყო გამიზნული, რომლითაც იგი მიისწრაფოდა მაშინ მაცხოვრისაკენ. მარიამი ხომ სხვა მოწაფეთა მსგავსად ქრისტეს აღდგომას არ ელოდა; მას არ ესმოდა, მან არ იცოდა ეს. საშინელ მწუხარებაში ჩაფარდნილი მთელი მისი არსება მხოლოდ ერთი უდიდესი სურვილით იყო შეპყრობილი, როგორმე გაეგო მაცხოვრის სამყოფელი და უკანასკნელი პატივი მიეგო მისთვის... და ასეთ მდგომარეობაში მყოფს, უეცრად თვალწინ თვით იესო ქრისტე ეცხადება. ადვილი წარმოსადგენი არაა გონებისა და სულის რა მშფოთვარება და აღგზნებულობა დაეუფლებოდა მას თავისი სათაყვანებელი მოძღვრის დანახვისას...და იგი მიისწრაფვის მისკენ, რათა შეხებით დარწმუნდეს იმაში, რასაც თვალთ ხედავს, შეეხოს მას და შეაჩეროს იგი, რომელსაც ასე მგზნებარებით დაეძებდა. ქრისტე, რომელმაც კარგად უწყის რაც ამ დროს მარიამ მაგდალინელის სულსა და გონებაში ხდებდა, მშვიდად ირიდებს გულწრფელ, მაგრამ მისი ფიქრებისათვის შეუ-

ფერებელ /უადგილო/, თუმცა კანონიერ სურვილს: დარწმუნდეს, "ისაა თუ არა მის წინაშე", აკმაყოფილებს დამადასტურებელი სიტყვით და დავალებით - შეატყობინოს მოციქულებს აღდგომის შესახებ.

მაცხოვარმა ისიც კარგად უწყის, რომ მოციქულებს, როცა მისი აღდგომის შესახებ შეიტყობენ, შეიძლება იმედი გაუჩნდეთ, რომ ქრისტე ამიერიდან მათთან დარჩება სამუდამოდ და განახორციელებს მათ ოცნებას იუდეველთა მიწიერი მეფობის შესახებ. ამიტომ აგზავნის მარიამი მაგდალინელს და აბარებს: წადი ჩემს ძმებთან და უთხარი მათ: მივდივარ ჩემს ღმერთთან და თქვენს ღმერთთან /იოან. 20.17./ ამ სიტყვებთან ერთად ქრისტე უჩინარდება. ეს სიტყვები გაფრთხილებს. ამ სიტყვებით აფრთხილებს მაცხოვარი მოციქულებს, რომ ფუჭი ოცნებისაგან თავი შეიკავონ. მარიამი მაგდალინელმა საკუთარი თვალთი იხილა ქრისტე, თავისი ყურით მოისმინა მისი სიტყვები და მტკიცედ დარწმუნებული, რომ მაცხოვარი აღდგა, მოციქულებისაკენ მიისწრაფვის, რათა მათაც ამცნოს ეს სასიხარულო ამბავი, ამცნოს ისიც, რომ ქრისტე დიდხანს არ იქნება დედამიწაზე, რომ იგი თავისი სურვილით მალე ამალღდება ცად თავის მამასთან... ასე დააბარა მას მაცხოვარმა და მოციქულებს უნდა გაეგოთ რას ნიშნავდა ეს სიტყვები.

2. იესო ქრისტე ძმებად მოიხსენიებს მოციქულებს, ეუბნება მათ: მივდივარ ჩემს ღმერთთან და თქვენს ღმერთთან. რას ნიშნავს ყოველივე ეს? რას ნიშნავს ეს სიტყვები? ამ სიტყვებიდან მოციქულებს უნდა გამოეტანათ დასკვნა, რომ იესოს მეუფება არა მიწიერია, რომ მკვდრებით აღმდგარ ქრისტეში მათ უნდა დაეწახათ არა მიწიერი, არამედ ზეციური მეუფე... აი, რატომ წარმოთქვა მაცხოვარმა ეს სიტყვები, მაგრამ მოციქულებს არ ესმით ამ სიტყვების მნიშვნელობა; მათი გონება ადამიანური, ფუჭი, განუხორციელებელი ოცნებებითაა დაკავებული; ეს ფიქრები და ოცნებები ელობებათ მათ წინ, შესაძლებლობას არ აძლევთ, ჭეშმარიტება რომ დაინახონ. ისინი თვით ამალღების წინ ეუბნებიან იესოს: "უფალო, უკეთუ ამათ ჟამთა კულად მოაგოა სასუფეველი ისრაელსა? /საქმე 1.6/. ბედნიერი და ნეტარი მარიამი მაგდალინე-

ლი მიდის და ყველაფერს ისე აკეთებს როგორც ქრისტემ დაავალა, მას სურს თავისი ბედნიერება სხვასაც გაუზიაროს; დაარწმუნოს მოციქულები, რომელთაც მისი არ სჯერათ, რომ ქრისტე საკუთარი თვალთი იხილა რომ იგი თვითონ გამოეცხადა მას და რათა ნათქვამს უფრო მეტი დამატებლობა მიანიჭოს, საოცარი სიტყვებით ადასტურებს: "ქრისტე აღდგა!", მარიამი მაგდალინელი თვით უფლისაგან გაგზავნილი ქრისტეს აღდგომის პირველი მაცნეა, პირველი მახარობელია; სწორედ ამიტომ ეკლესია მას მოციქულთა სწორად აღიარებს. იგი ღირსი ხდება ყველა მოციქულსა და მოწაფეზე უწინ, პირველმა იხილოს მკვდრებით აღმდგარი მაცხოვარი; უფლის უშუალო დავალებით მარიამი მაგდალინელი ქრისტეს აღდგომის მქადაგებელ-მახარებელი ხდება მოციქულთათვის.

3. ეკლესია თავის გადმოცემებში ინახავს იმ რწმენას, რომ ღვთისმშობელმა ყველაზე ადრე იხილა მკვდრებით აღმდგარი ქრისტე. ამის გამოხატულებას ვხედავთ აღდგომის საღვთისმეტყველო საგალობლებში. მოციქულებმა ქრისტეს აღდგომა უქადაგეს მთელ მსოფლიოს, მარიამი მაგდალინელმა თვით მოციქულებს უქადაგა იგი. მარიამი მოციქულთათვის მოციქულია /მოციქულთა მოციქულია/. ეკლესიის მამები ამაში ღვთიური განჭვრეტის უდიდეს სიბრძნესა და საიდუმლოს ხედავენ. "ქალმა, - გვასწავლის წმ. გრიგოლ ღვთისმეტყველი, - მიიღო პირველი სიცრუე გველის პირიდან და მანვე /ქალმა/ მკვდრებით აღმდგარი უფლის ბაგეთაგან პირველმა მოისმინა /გაიგონა/ სასიხარულო ჭეშმარიტება, რათა იმ ხელს, რომელმაც სასიკვდილო სასმელი განაბავა, სასიცოცხლო ფიალა მოეწოდებინა"...

მკვდრებით აღმდგარი, სიკვდილის დამმარცხებელი და ძლევა მოსილი ქრისტეს მიერ ნაკურთხი მარიამი მაგდალინელი უსიტყვოდაც ქრისტეს აღდგომის ჭეშმარიტ მოწმეს წარმოადგენს... მოციქულებს კი არ სჯერათ. ღრმა მწუხარებაში არიან ისინი, ტირიან, მაგრამ როცა მარიამისაგან იგებენ, რომ ქრისტე ცოცხალია, რომ მან საკუთარი თვალთი ნახა იგი, არ სჯერათ /იოან. 20.18/. რაშია საქმე? რატომ დაკარგეს რწმენა? ისინი ხომ ყოველთვის ენდობოდნენ მარიამი მაგდალინელს? ხომ ყოველთვის სჯ-

ეროდათ მისი? განა ასეთივე ნდობით არ სარგებლობდნენ მოციქულებში ღვთისმეტყველ იოანეს დედა, დედა მოციქულ იაკობისა, ლაზარეს დები - მართა და მარიამი; ასევე სხვა ღვთისმოსავი ქალები? ამათიც არ დაიჭერეს მოციქულებმა, მართალია, მათ საკუთარი თვალთი ნანახი არ გადაუციათ მათთვის ანგელოზებისაგან მოისმინეს ქრისტეს აღდგომის შესახებ და ეს შეატყობინეს....მაგრამ არა... არაფრის დაჭერება არ ძალუძთ მოციქულებს, ოცნებად მიაჩნით მათი მონათხრობი; აი, რა დიდი იყო მაშინ მათი გულგატეხილობა და მწუხარება /ლოკა 24.2-11/. მას შემდეგ, რაც იუდეველმა, მღვდელმთავრებმა ჯვარზე გააკრეს მაცხოვარი იესო ქრისტე, მოციქულებმა უეცრად დაკარგეს ყოველივე, დაკარგეს იმედი; დაბნელდა რწმენა ქრისტე მაცხოვრის მიმართ; ეჭვმა მოიცვა მათი გონება და გული, ეჭვი შეეპარათ მაცხოვრის ძალასა და ღიღებამ; რწმენის დაკარგვასთან ერთად მათ სულის სიმტკიცე დაეკარგათ; ამავე დროს, ფიქრი იმაზე, რომ თავიანთი მოვალეობა ვერ შეასრულეს ქრისტეს წინაშე, საშინელ წამებას განაცდევინებდა მათ; ვერ გაჰყვნენ მაცხოვარს ბოლომდე, სულმოკლეობა გამოიჩინეს, მართო დატოვეს იგი მტრების ხელში, მოციქულებს ხელიდან გამოეკალათ საყრდენი, არავისგან არ გრძობდნენ მზარდაჭერას, შიშმა მოიცვა მათი არსება და მათ უკვე ფიქრი დაიწყო საკუთარი უსაფრთხოების შენარჩუნებაზე. თავიანთ მოძღვარში ისინი მხსნელს, ისრაელის გამათავისუფლებელს, ისრაელის მიწიერი მეფობის დამმკვიდრებელს ხედავდნენ... ახლა ეს იმედი ჯვარზე გააკრეს სამარცხვინოდ. ამან მთლიანად ჩაშალა მათი იმედები და ოცნებები... ქრისტე მაცხოვარი მათ იმ წინასწარმეტყველის რწმენით ირწმუნეს, რომელიც უძლიერესი იყო საქმესა და სიტყვაში ღვთისა და ყველა ხალხის წინაშე, ე.ი. მაცხოვარში მხოლოდ წინასწარმეტყველი დაინახეს. მათ განაწამებ გონებას ვერაფრით ვერ დაეჭვებინა, რომ ჭეშმარიტი მხსნელი ქრისტე, ძე ღვთისა, შეიძლებოდა მოკვდარიყო როგორც ადამიანი, მომკვდარიყო ისე, როგორც მათ იხილეს ჯვარცმისას. მართალია, მოციქულებს საკუთარი თვალთი პქონდათ ნანახი მაცხოვრის სასწაულმოქმედებანი, პქონდათ ნანახი, თუ რა სასწაულებრივად აღადგინა მან

მკვდრეთით იაირის ქალიშვილი /მარკ.5.14/, ნაინის ქვრივის ძე /ლოკა 11-17/ და ლაზარე, მაგრამ აი თვითონ იესო მოკვდა ისე, როგორც სხვა დანარჩენი წინასწარმეტყველნი. ვინ აღადგენს მათ? /წინასწარმეტყველოთ?/ წინასწარმეტყველთა აღდგენა მხოლოდ მას, იესოს შეუძლია. განა მომხდარა ოდესმე ან შესაძლებელია, რომ წინასწარმეტყველნი თავისით აღმდგარიყვნენ მკვდრეთით?...არა, ამის მაგალითი მათ არასოდეს ენახათ. პეტრეს და იოანეს არაფრის თქმა არ შეეძლოთ ხალხისათვის. მათ ცარიელი სამარხი ნახეს და მხოლოდ ამის შესახებ შეატყობინეს...სხვა არაფერი....მტანჯველი, მძიმე მდგომარეობა... და აი, მოციქულთა შორის ყველაზე მგზნებარე ნების მოციქული პეტრე კვლავ მიეშურება გამოქვაბულისაკენ, მაგრამ არ იცის რატომ აკეთებს ამას, მან ხომ უკვე თავისი თვალთი ნახა ცარიელი სამარხი, პეტრე მსწრაფლ ბრუნდება უკან და აღფრთოვანებული აუწყებს მოწაფეებს: "ჭეშმარიტად აღსდგა ქრისტე!", მე თვითონ ვნახე იგი, მეც გამომეცხადა გზაზეო, ახლა თითქოს საკმარისი იყო მოწმეთა რაოდენობა და მოციქულთაგან ბევრმა ირწმუნა მაცხოვრის აღდგომა, მაგრამ მაინც ყველამ არა. არ დაიჭერა ყველამ არც ემაუსში ქრისტეს გამოცხადების ფაქტი, დამოწმებული ორი მოწაფის მიერ, რომელთაც გამოეცხადათ მაცხოვარი. არ დაიჭერეს... მაგრამ აი, მოციქულ იოანეს სახლში იმავე საღამოს დაკეტილი კარებიდან შემოდის და მოწაფეებს ეცხადება იესო. მაცხოვარი საყვედურს ეუბნება მათ იმ გულქვაობისა და ურწმუნოების გამო, რომელიც მისი აღდგომის მაუწყებელთა მიმართ გამოიჩინეს. "უკანასკნელ მსხდომარეთა ათერმეტთა მათ ეჩუენა და აყუედრა ურწმუნოება მათი და გულ-ფიცხელობაჲ, რამეთუ, რომელთა იგი იხილეს აღდგომილი, მათი არა პრწმენა" /მარკ. 16.14/. ამ მოვლენას უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება; კერძოდ, იგი ქრისტეს აღდგომის ჭეშმარიტების უცილო დამადასტურებელია. ჩანს რომ მოციქულები არ შემცდარან ჭეშმარიტებაში, არ მოტყუებულან და რომ ეს არის არა მათი აღფრთოვანების ან მწუხარებისაგან შერყეული წარმოდგენა, არამედ - ჭეშმარიტება! აღრე მათ არ სჯეროდათ, რადგან საკუთარი თვალთი არ უხილავთ იგი, სხვისი სიტყვებ-

ით გადმოცემული ძნელი დასაჭერებელი იყო. იმისათვის, რომ უნდობლობის ეჭვი დაემარცხებინათ, საჭირო იყო თვით მკვდრებით აღმდგარი ქრისტეს ხილვა, მისი საყვედურის მოსმენა, მასთან ერთად პურის ჭამა, და როცა ყოველივე ამის შემდეგ ირწმუნეს მკვდრებით აღდგომა თავიანთი მოძღვრისა და უფლისა და იქადაგეს ყოველივე, ეს უეჭველი დასტურია აღდგომის ჭეშმარიტებისა და არავის შეუძლია ეჭვი შეიტანოს მასში. მარიამ მაგდალინელი, ბედნიერებით გაბრწყინებული, ადგილს ვერ პოულობს, სახლიდან სახლში გადადის, ერთი მოციქულიდან მეორესთან გარბის და ყველგან უბიწო, უბრალო, ჭეშმარიტი და ღრმა სიყვარულით განმსჭვალული, აღფრთოვანებით იმეორებს: "ქრისტე აღსდგა! ჭეშმარიტად აღსდგა!..." და მარცვლეულთა ოჯახის ყველაზე პატარა თესლიდან სწრაფად იწყობრდა ქრისტეს ეკლესიის უბარმაზარმა ხე. მაცხოვრის თავდადებულ მოწაფეთა მკირებმა მწუხარებამ, რომელთა შორის ყველაზე ერთგული წმ. მოციქულთასწორი მენელსაცხებლე მარიამ მაგდალინელი იყო, ჭეშმარიტი ზემოთ იდღესასწაულა წარმართთა ცრუ სიბრძნეზე, დაეუფლა უამრავ ქვეყანას, სამეფოს მეფეებითურთ და ქრისტეს მოძღვრება მთელს მსოფლიოში კიდით-კიდემდე გაავრცელა.

"ქრისტე აღსდგა! ჭეშმარიტად აღსდგა!" საზეიმოდ გაისმოდა და გაისმის მთელს მსოფლიოში წმიდა მარიამ მაგდალინელის მიერ პირველად წარმოთქმული და შემდეგ კი მის მიერვე ქვეყნად გახმაურებული ეს სიტყვები. სახარებაში ნათქვამი: ღვთის სასუფეველი წააგავს მღოგვის მარცვალს, რომელიც დათესვისას ყველაზე პატარაა მარცვალთა შორის, მაგრამ როცა გაიზრდება, გადაიქცევა უბარმაზარ ხედ, რომლის ტოტების ჩრდილქვეშ უამრავი ფრინველი აფარებს თავს, აღსრულდა. აქ მოხსენებული მღოგვი წარმოადგენს არა ერთწლიან, ჩვენში გავრცელებულ ჩვეულებრივ მცენარეს, არამედ პალესტინის მრავალწლიან მკვიდრს და ბოტანიკაში "ფიტოლაკვადეკაუნდრას" სახელწოდებით ცნობილ უბარმაზარ ხეს, რომლის თესლი სულ უმცირესი მომისაა, მაგრამ ქიმიური შემადგენლობით და გამოყენებით არაფრით არ განსხვავდება ჩვეულებრივი მღოგვისაგან. რო-

ცა ებრაელებს სურდათ რაიმე, ყველაზე პატარა საგანი განესაზღვრათ, ამბობდნენ, რომ იგი მღოგვის მარცვლის ოდენაა. ზემოხსენებული მოკლე იგავი სახარებისეული ქადაგების გავრცელების სახეა. ქრისტეს მოწაფეები, თუმცა ყველაზე უძლურნი, ყველაზე დამცირებულნი იყვნენ, მაგრამ მათში ისეთი უდიდესი ილუმინირებული ძალა ბოზოქრობდა, რომ მთელს ქვეყანას მოეფინა მათი ქადაგება...და ქრისტეს ეკლესია, თავდაპირველად ასე პატარა, მსოფლიოსათვის ასეთი უმნიშვნელო, ისეთი უდიდესი და უმნიშვნელოვანესი შეიქმნა, ისე გამრავლდა, გაიზარდა და გავრცელდა მთელ მსოფლიოში, რომ ხსნის უამრავი მაძიებელი მოდიან და როგორც ფრინველნი მღოგვის ხის ტოტებქვეშ, ისე აფარებენ მას თავს. იგივე ემართება ღვთის სასუფეველს და იგივე ხდება ადამიანის სულში. ქროლვა ღვთის წყალობისა, მადლისა, თავდაპირველად მხოლოდ ოდნავ შესამჩნევია, მაგრამ ადამიანის გულმოდგინებით უფრო და უფრო დიდდება, ეუფლება მის სულს, რომელიც ღვთის ტაძრად, მრავალი სათნოების დამტვევად იქცევა ხოლმე.

აი, ქრისტიანო, წმიდა მოციქულთა სწორი მენელსაცხებლე მარიამ მაგდალინელის ცხოვრებისათვის დამახასიათებელი ის ნიშნები, რომელნიც არავითარ ეჭვს არ ექვემდებარება, რამეთუ თვით სიტყვებითა ღვთისათა დადასტურებულია წმიდა სახარებაში. რატომ იცავენ და უფროთილდებიან მას ეკლესიაში? რატომ გვთავაზობენ ჩვენ? იქნებ იმიტომ, რომ ხოტბა შეასხან, აქონ და აღიღონ მარიამ მაგდალინელი? ... ო, არა... წმიდანებს, მცხოვრებთ ზეციურ დიდებაში, უმაღლეს და მარადიულ ნეტარებაში, ღვთის დიდებაში მყოფთ მიწიერი დიდება არ ესაჭიროებათ: მათი მიწიერი ცხოვრების გახსენება, მათი გმირობა და სათნოება ჩვენთვისაა საჭირო და აუცილებელი; მანათობელ ღამზრად უნდა გაგვიძღვეს იგი ჩვენ ცხოვრებაში, მაგალითი უნდა მოგვცეს სულის დამხსნელ გმირობაში. გაიხსენეთ, რას გვარიგებს უფალი მოციქული პავლეს სიტყვებით: "მოიხსენებით წინამძღუარნი იგი თქუენნი, რომელნი გეტყოდეს თქუენ სიტყუათა მათ ღმრთისათა და ჰედვედით გამოსლუასა მას ცხოვრებისა მათისასა და ჰბადვედით სარწმუნოებასა მათსა" /ებრ.

13,7/.

ქრისტეს წმიდა ეკლესია იცავს, უფროსი-
 ღვთაებად და გვთავაზობს წმიდანების ცხოვრებას
 თვითაღზრდისათვის, სრულყოფისათვის. იგი სა-
 ჭიროა, რათა არ გაგზარდეს, რათა ვიწრო-
 მით მათსავე, მივბაძოთ მათ საქმით, მივყვეთ
 მოთმინებით და შევასრულოთ უფლის მცნებები.
 "რათა არა მომდგრეთ არამედ მობაძვე იყვ-
 ნეთ მათდა, რომელთა იგი სარწმუნოებითა და
 სულგრძელებითა დაიმკვიდრეს აღთქმანი". წმი-
 და მოციქულ...¹ რომა მარიამ მაგდალინელმა
 თავგანწირული ერთგულებით შეასრულა პირე-
 ელი და მთავარი მცნება ქრისტესი: შეიყვარა
 უფალი მთელი გულით, მთელი სულით, მთელი
 გონებით. ღვთისადმი ასეთი ჭეშმარიტი, სრული
 სიყვარულის განხორციელება ყოველგვარ პირ-
 იბებში თითოეული ქრისტიანისათვის არის შე-
 საძლებელი...და ჩვენც მარიამ მაგდალინელის
 მაგალითისამებრ უნდა შეგვეძლოს, გამოვავლ-
 ინოთ ღვთისადმი თავდადებული სიყვარული,
 მთელი გულით მთელი სულით, სურვილით, მი-
 სწრაფებით, მთელი ჩვენი სულიერი ძალებით,
 მთელი გონებით, ჩვენი შემეცნებელი უნარით
 მივეკროთ ჩვენს მხსნელს, უფალს, იესო ქრისტ-
 ეს. დაე, ჩვენი სიყვარულის ძალა ღვთის მიმა-
 რთ იმდენად განმტკიცდეს, გაიზარდოს, რომ
 "არცა ცხოვრებამან, არცა ანგელოზთა, არცა
 მთავრობათა, არცა სიმაღლეთა, არცა სიღრმე-
 თა, არცა სხუამან დაბადებულმან შეშიშლოს
 ჩვენ განყენებად სიყვარულსა ღმრთისასა, რო-
 მელ არს ქრისტე იესოჲს მიერ უფლისა ჩუენი-
 სა" /რომ. 8.38-39/...ქრისტეს გამოცხადებით და
 აღდგომის ბედნიერებით შეპყრობილი მარიამ
 მაგდალინელის ქადაგებით მთავრდება მისი მო-
 ღვაწულების აღწერა წმიდა სახარებაში. დანარ-
 ჩენს გადმოცემებით ვგებულობთ. წარმოდგენა
 რომ შეგვექმნას რას ნიშნავს გადმოცემები,
 მოკლედ გავეცნოთ მას. სიტყვა გადმოცემა ნი-
 შნავს თხრობას, შემთხვევის გახსენებას, წინაპ-
 რებისაგან შთამომავლებზე ბეპირად გადმოცემ-
 ულს; ასევე სწავლა-დარიგებას, ერთი თაობიდან
 მეორე თაობაზე გადაცემულ ცხოვრებისეულ
 წესს, წარსულის ექოს; მწიგნობრები და ფარი-
 სეველები ეუბნებიან იესოს: რად უხვევენ შენი
 მოწაფეები ძველების თქმულებას? /მათ.15.2/.
 "ხოლო გაქვბ თქვენ ძმანო, რამეთუ ჩემი ყოვე-

ლივე გახსოვს, და ვითარცა - იგი მიგვც თქვენ
 მოძღვრებაჲ, იგი შეიკრძალებო - ამბობს წმიდა
 მოციქული პავლე /1 კორ. 11.2/.

გადმოცემებით სარგებლობა და მისი წმი-
 და წერილთან გათანაბრება, - წერს წმ, ფილ-
 არეტი, - იმ შემთხვევაში შეიძლება, თუ ჩვენ
 თვალწინ წმ. მოციქულთა უშუალო ჭეშმარიტი
 გადმოცემა გვექნება. მაგრამ ქრისტიანულმა
 გადმოცემებმა მრავალი ქვეყანა მოიარეს, გან-
 იცადეს გავლენა და ცვლილება სხვადასხვა ქე-
 ვნისაგან, ხალხისაგან, ენისაგან. მოციქულთა
 პირველდაწყებით გადმოცემებს სხვადასხვა სიძ-
 ველის, სხვადასხვა ხარისხის სამამულო გადმო-
 ცემები შეუერთდა. ამის გამო, მივიღეთ შეხედ-
 ულებათა წინააღმდეგობა და მრავალფეროვნე-
 ბა. გადმოცემებით სარგებლობის დროს აუცი-
 ლებელია, გამოვარკვიოთ მისი ღვთის /თავდა-
 პირველი წარმოშობა/, უნდა ჩამოვაშოროთ მას
 არასწორი მინარევები. ეკლესია მართლმადიდე-
 ბლურ გადმოცემებს არ ანიჭებს დამოუკიდებლ-
 იობას; მიიჩნევს მას დამხმარე წყაროდ ქრისტი-
 ანულ მოძღვრებაში.

მარიამ მაგდალინელის შემდეგდროინდე-
 ლი ცხოვრების შესახებ რამდენიმე ადგილობრი-
 ვი ეკლესია გვაწვდის ცნობებს. ეს ცნობები
 ძლიერ განსხვავდება ერთმანეთისაგან, მაგრამ
 მარიამის ერთგული სიყვარულისა და თავდადე-
 ბული მოღვაწეობის შესახებ აზრთა სხვადასხვა-
 აობა არ არსებობს. ამაში ყველა ერთ აზრზე
 დგას. გადმოცემების სხვადასხვაობა დამოკიდე-
 ბულია იმაზე, თუ ვის გულისხმობენ მარიამ მა-
 გდალინელის სახელის ქვეშ. წმ. ღვთისმეტყვე-
 ლის მარიამი ჰყავთ ნაგულისხმები. ცნობი-
 ლია, რომ დასავლეთის ზოგიერთი ეკლესია და
 ეკლესიის მამები სახარებაში მოხსენიებულ სამ
 ქალს: სიმონ ფარისევლის სახლში მონანიე ცო-
 ღვილს, ლაზარეს დას მარიამს და მარიამ მაგ-
 დალინელს ერთ ან ორ პიროვნებაში აერთიანე-
 ბენ. ეკლესიის ზოგიერთი მამა და მეცნიერი
 ფიქრობენ და გადმოგვცემენ, რომ წმ. მახარებ-
 ლები სახარებაში მოხსენიებულ სამ ქალში გუ-
 ლისხმობენ ერთ პიროვნებას, რომელიც ახალგ-
 აზრობაში სიძვის სენით იყო შეპრობილი, სც-
 ოდავდა და გახრწნილი ცხოვრების გამო მასში
 შვიდი ეშმაკეული გაბატონდა, გაიგოთ რა ქრის-
 ტეს სასწაულმოქმედების შესახებ იგი სიმონ

ფარისევლის სახლში წავიდა და მონანიებით უფლისაგან პატიება მიიღო, განთავისუფლდა შვიდი ეშმაკეულისაგან, რის შედეგადაც მას შეეძლო, დაეტოვებინა თავისი ახლობლები - ძმა ლაზარე და მართა, წასულიყო ზეთანიაში და იქ დასახლებულიყო, სადაც სტუმრად დადიოდა მაცხოვარი. ამ შეხედულებას იზიარებდნენ კლიმენტი ალექსანდრიელი, ნეტარი ავგუსტინე და სხვები. ასეთივე შეხედულება ჰქონდა აქამდის დასავლეთის რომის კათოლიკურ ეკლესიას. უახლოეს და დასავლეთის მეცნიერთა დიდი ნაწილი არ ეთანხმება ამას და მარიამ მაგდალინელსა და ლაზარეს და მარიამში ორ სხვადასხვა პიროვნებას ხედავს. მარიამ მაგდალინელს მაცხოვარი არ მიუტოვებია და მას გალილიდან იერუსალიმში თან დაჰყვებოდა, როცა იგი მოვიდა აქ იერუსალიმში იუდეველთა უკანასკნელ ზეიმზე პასეჟის დღესასწაულზე, ლაზარეს დღეი - მართა და მარიამი ზეთანიაში დარჩნენ ქრისტეს არ გაჰყოლიან. ამას ადასტურებს ის, რომ არც ერთი მახარებელი არ ახსენებს მის სახელს იმ სიაში რომელშიც ჩამოთვლილია იმ დროს მაცხოვართან მყოფი ქალების სახელები. გარდა ამისა, წმიდა წერილის თანახმად, ეს ორი ქალი მკვეთრად განსხვავდება ერთმანეთისაგან თავისი ნიშნებით ერთი ყოველთვის მოხსენიებულია მაგდალინელის სახელწოდებით და ირიცხება მათ შორის, რომელნიც მოუშორებლად თან დაჰყვებიან მაცხოვარს; მეორე-პირიქით, იწოდება როგორც ლაზარეს და, და ზეთანიაში ცხოვრობს. ასეთი მკვეთრი განსხვავება და სხვადასხვა სახელწოდებებიც ტყუილად არ დასჭირდებოდათ მახარებლებს და იმ ამრამდე მივდივართ, რომ ამ ორი პიროვნების გაიგივება არ შეიძლება. ცნობილი წმ. ირინეოს, წმ. იოანე ოქროპირი და ეკლესიის სხვა მამები, ასევე მეცნიერები, წმ. მარიამ მაგდალინელს ლაზარეს და მარიამისაგან განასხვავებენ, მაგრამ აიგივებენ მას ფარისევლ სიმონის სახლში მყოფ მონანიე ქალთან. ეს შეხედულება, რა თქმა უნდა არასწორია, გასარკვევია და დამტკიცებას მოითხოვს. სახარების ზოგიერთი განმარტავნი ლეგიონში, რომელიც ქრისტემ მარიამ მაგდალინელისაგან გამოიყვანა, გული-სხმობენ სხვადასხვა ცოდვებს, რომლებიც მან თავისი ცული ცხოვრებით მიიღო და მონანიე-

ის შემდეგ განთავისუფლდა. წმიდა სახარების სიტყვების ასე განმარტება თვითნებურია და ეწინააღმდეგება მის საერთო მნიშვნელობას; წმიდა სახარებაში გარკვევით და პირდაპირაა მითითებული, რომ ღვთის დაშვებით ადამიანში შეიძლება შევიდეს ავი სულები და რომ მისი რაოდენობა მთელ ლეგეონს აღწევს. წმ. სახარების ზვერი დასავლეთელი განმარტავი ეთანხმება ამას.

აღმოსავლეთის ბერძნულ-რუსული მართლმადიდებლური ეკლესია, ისე როგორც ყოველთვის ამჟამადაც მახარებლების მიერ მოხსენიებულ სხვადასხვა ნიშნების მქონე სამ პიროვნებას არ აიგივებს ერთში და აღიარებს, რომ იგი სამი სხვადასხვა ქალია. ამის შემდეგ აღმოსავლეთის მართლმადიდებლური ეკლესიის გადმოცემები გვატყობინებენ, რომ მკვეთრით აღმდგარი ქრისტეს გამოცხადებიდან მის ამალეზამდე და შემდეგაც მარიამ მაგდალინელი ყოველად წმიდა ღვთისმშობელთან და მოციქულებთან იმყოფებოდა. იგი აქტიურ მონაწილეობას იღებდა იერუსალიმში ქრისტიანული სარწმუნოების გავრცელების საქმეში. განსაკუთრებული მონღომება და თავდადებული სიყვარული გამოიჩინა მან სხვადასხვა ქვეყნებში ქადაგებისას. ყველგან, სადაც კი გამოჩნდებოდა, ზეციური წყალობა სიხარული და ხსნის იმედი შეჰქონდა მას. მარიამი იტალიასაც ესტუმრა, მონახა შესაძლებლობა, რათა წარმდგარიყო იტალიის იმპერატორ ტიბერიუს პირველის წინაშე აღმოსავლეთში გავრცელებული ჩვეულების თანახმად მისთვის წითლად შეღებილი კვერცი მიერთშია და ეთქვა: "ქრისტე აღსდგა!"

იმპერატორს არ გაკვირვებია წმიდა მარიამ მაგდალინელის მიერ მირთმეული ძღვენი. მან კარგად იცოდა უძველესი ჩვეულება: საერთოდ აღმოსავლეთში, აგრეთვე იუდეაში, როცა უმაღლეს პირთან პირველად ცხადდებოდნენ, პატივისცემის ნიშნად, ისეთი საჩუქარი უნდა მიერთშიათ, რომელსაც რაიმე განსაკუთრებული სიმბოლური მნიშვნელობა ექნებოდა. ასეთსავე საჩუქარს უძღვნიდნენ ისინი დღესასწაულის დღეებში ნაცნობ-მეგობრებს. ამის მაგალითებს ვხვდებით იუდეველთა ძველი აღთქმის ისტორიაში.

ტიბერიუს პირველი ხედავს უცნაურ, მან-

ამდე არნახულ საჩუქარს, ესმის მანამდე უცნობი სიტყვები "ქრისტე აღსდგა!".

ექვნიანი იპერატორის გულს ცნობისმოყვარეობა ეუფლებს, აინტერესებს რას ნიშნავს ყოველივე ეს და მარიამ მაგდალინელიც უხსნის, მზურვალე ქადაგებით ამცნობს მას ქრისტეს მოძღვრებას; დიდი შთაგონებითა და დამატრეხლობით უყვება იმპერატორს ქრისტეს ცხოვრებასა, ჭვარცმასა და აღდგომაზე, უყვება იერუსალიმის სინედრიონის გაბოროტებული წევრების უღმობლობაზე, იუდეველების რომაელი მმართველის პონტოელ პილატეს სულმოკლეობასა და მიმნებლობაზე.

დიდი აღშფოთება და მრისხანება ეუფლება ამ ამბის გაგებაზე ტიბერიუს პირველს და იგი პილატეს სასამართლოს წარუდგენს, რომელიც მას ხელისუფლების გამგებლობას ართმევს და აგზავნის ქალაქ ვიენაში, სადაც ერთი გადმოცემის თანახმად, საკუთარი სინდისით განაწამებენ, სასოწარკვეთილებასი ჩავარდნილი პილატე თავს იკლავს. არსებობს სხვა გადმოცემებიც, რომელთა მიხედვით, სასამართლოს მიერ სიკვდილისჯილდო პილატე ცოდვებს ინანიებს და ქრისტესაგან პატივებს იღებს. ნიშნად ამისა, თავის მოკვეთის შემდეგ მას ანგელოზები იღებენ თავისთან. გადმოცემაზე დაყრდნობით, წმიდა მოციქულთასწორ მარიამ მაგდალინელთან ერთად იტალიაში ჩავიდნენ ლაზარუს დები - მართა და მარიამი. როცა ამის შესახებ პილატემ გაიგო, შეეშინდა, არ გამოაშკარავებულყო მისი უკანონო საქციელი ქრისტეს მიმართ და თვითონვე გაუგზავნა იმპერატორს პატაკი /მოხსენება/ იესო ქრისტეს შესახებ, რომელშიც აღწერდა მაცხოვრის ღვთისმოსაურ ცხოვრებას, მის სასწაულთმოქმედებებს, მის მიერ აღამიანების სენისაგან განკურნებას, მკვდრებით აღდგომას და ა.შ. პილატე აღიარებდა, რომ მან ვერ დაინახა იესოში რაიმე დანაშაული, ბევრს ეცადა, გაეთავისუფლებინა იგი იუდეველთა ხელისაგან, მაგრამ ვერაფერს მიაღწია და ბოლოს ნება მისცა მათ, როგორც სურდათ, ისე მოქცეულიყვნენ. ამით მან თავი დაიბღვია იუდეველთა ბრალდებისა და გაბოროტებული ბრბოს შემოტევისაგან. პილატე არც იმას ფარავდა, რომ ჭვარცმისას მოხდა საშინელი მოვლენა, რაც ბუნებაში შესაბამისი ნიშნებით გამოიხატა. წე-

რდა, რომ მესამე დღეს ჭვარცმიდან, როცა მკვდრებით აღსდგა იესო ქრისტე, მრავალი მიცვალებული გაცოცხლდა...და უდიდესი შიშით შეპყრობილმა, საკუთარი თვალთა ყოველივე ამის მხილველმა პილატემ ნანახი კეისარს შეატყობინა. ერთის მხრივ, ებრაელთა რომაელი მმართველის მიერ მირთმეულმა პატაკმა, ცალკე ქრისტეს თავყვანისმცემელთა ქადაგებამ ისეთი ძალით იმოქმედა იმპერატორ ტიბერიუს პირველზე, რომ მან, გადმოცემის თანახმად, თვითონვე ირწმუნა ქრისტეს აღდგომა, მისი სასწაულთმოქმედებანი და მაცხოვრის რომაელ ღმერთებთან თანაშერაცხვა მოინდომა. ამის შესახებ მოახსენა სენატს. მაგრამ სენატმა უარყო მისი წინადადება. ტიბერიუს პირველი დასჯით ემუქრებოდა ყველას, ვინც გაზედავდა და შეურაცხყოფას მიაყენებდა ქრისტეს თავყვანისმცემლებს. ამგვარად, თავგამოდებული და შეუპოვარი ქადაგებით მარიამ მაგდალინელმა სხვა ღვთისმოსავ ქრისტიანებთან ერთად იუდეველების წარმართი განმგებელი აიძულა, წერილობით დაემოწმებინა ქრისტეს აღდგომის მსოფლიო მოვლენა წარმართთა სამყაროს წინაშე, ხოლო თვით რომის იმპერიის წარმართ იმპერატორს მაცხოვარი ქრისტეს ღვთიური დიდება და ყოვლის შემძლეობა შეაცნობინა. ამით მან ხელი შეუწყო ქრისტიანობის გავრცელებას.

დაინახეს და გაიგეს რა მაშინდელი დროის ქრისტიანებმა, თუ რა ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინა მარიამ მაგდალინელმა ტიბერიუს პირველზე წითლად შეღებილი კვერცხის ბოძებით და სიტყვებით: "ქრისტე აღდგა!" თვითონაც დაიწყეს მიზაძვა ქრისტეს აღდგომის მოსაგონებლად. ისინი წითლად შეღებილ კვერცხებს გადასცემდნენ ერთმანეთს სიტყვებით: "ქრისტე აღსდგა"... ჭეშმარიტად აღსდგა!" ასე თანდათან გავრცელდა ეს ჩვეულება ყველგან და მთელი მსოფლიოს ქრისტიანების საყოველთაო მიღებულ წესად გადაიქცა. კვერცხი ქრისტეს აღდგომის სიმბოლოს წარმოადგენს. იგი ნიშანია აგრეთვე მიცვალებულთა მკვდრებით აღდგომისა და მომავალ ცხოვრებაში ჩვენი აღდგომა-გაცოცხლებისა. ისე როგორც კვერცხიდან გამოსული ბარტყი თავისუფლდება ნაჭუჭიდან და იწყებს ახალ ცხოვრებას მთელი სისასისით, ასევე ჩვენიც, ღვთაშიწამე ქრისტეს მეორედ მოსე-

ლისას განვთავისუფლდებით რა მიწიერი, ხრწნადი სხეულისაგან, ქრისტეს აღდგომის ძალით სულ სხვა, უფრო ამაღლებული, მარადიული უკვლავი ცხოვრებით აღვსდგებით და ავლორძინდებით. სააღდგომო კვერცხის წითელი ფერი შეგვახსენებს, რომ კაცობრიობის გამოსყიდვა და ჩვენი მომავალი ახალი ცხოვრება მოპოვებულია ჭვარცმული ქრისტე მაცხოვრის მიერ დაღვრილი უწმინდესი სისხლით ასე და ამგვარად, წითელი კვერცხი ნიშანია ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი დოგმატისა ჩვენს ღვთიურ სარწმუნოებაში.

წმიდა მოციქულთასწორი, მარიამ მაგდალინელი, დიდი ხნის განმავლობაში ჰქადაგებდა ქრისტეს აღდგომის შესახებ იტალიასა და ქალაქ რომში. ამას მოწმობს მოციქულ პავლეს ეპისტოლე, რომელიც მანვე გააგზავნა ბერძნულ საფაქრო ქალაქ კორინთოდან რომში და რომელიც იქ მყოფი ქრისტიანებისათვის იყო განკუთვნილი.

დიდი იყო მარიამ მაგდალინელის წვლილი ქრისტიანული სარწმუნოების ქადაგების საქმეში. მისი ღვაწლი მოციქულთა ღვაწლის თანაბარია. ეს ღვაწლი მისი გმირობა იყო... წმიდა თქროპირი აღნიშნავს, რომ იგი საჭიროების შემთხვევაში ფულითაც მსახურებდა, არავითარ საფრთხეს არ უშინდებოდა, მოგზაურობდა მძიმე პირობებში მოციქულებთან ერთად და მათთან ერთად ყოველგვარ გასაჭირს იტანდა. გადმოცემის თანახმად, წმ. მარიამ მაგდალინელი

მცირე აზიაში იმდროისათვის მეტად ცნობილ ქალაქ ეფოსში ჩავიდა. წმიდა მამებისა და ეკლესიის მწერალთა გადმოცემით, წმიდა მოციქულთასწორი მარიამ მაგდალინელი საღვთისმეტყველო საქმეში წმიდა მოციქულსა და მახარებელს, იოანე ღვთისმეტყველს ეხმარებოდა. თავისი სიცოცხლის ბოლო წლები ქალაქ ეფოსში გაატარა. აქვეა იგი დაკრძალული.

წმიდა მოციქულთასწორის მარიამ მაგდალინელის გაუხრწნელი წმიდა ნაწილები მეცხრე საუკუნეში იმპერატორ ლევ მეექვსის დროს ბეიმით გადაიტანეს ეფესოდან კონსტანტინეპოლში და წმიდა ლაზარეს მონასტრის ტაძარში მოათავსეს. ასე გადმოგვცემს აღმოსავლეთის ქრისტიანული მართლმადიდებლური ეკლესია. არ შეიძლება იმის მტკიცება, რომ წმიდა მარიამ მაგდალინელის წმიდა ნაწილები სამუდამოდ დარჩა კონსტანტინეპოლში. ფიქრობენ, რომ იგი შეიძლებოდა ქრისტიანებს სხვა ადგილას გადაეტანათ თურქთა შემოსევის დროს. ადვილი შესაძლებელია, კერძოდ, რომი ყოფილიყო ეს "სხვა ადგილი". მეცამეტე საუკუნის დასაწყისში წმიდანების წმიდა ნაწილები სამხრეთ აღმოსავლეთიდან წაიღეს და ევროპის სხვადასხვა ქალაქებში გაანაწილეს. რომის კათოლიკური ეკლესია ამტკიცებს, რომ მარიამ მაგდალინელის წმიდა ნაწილები რომში წმიდა იოანე ლატერანის მთავარ ტაძარში, საკურთხევლის ქვეშ განისვენებს.

თარგმნა მ. წივწივაძემ



მღვდელი ლაურენტი ხუბიაშვილი

სობა რამ მარხვის შესახებ

"მარხვა არს შენახვა, ვინათგან ვიტყვით უნჯთა დამარხვასა, ანუ ცხოველთა, ანუ მკვდართა დამარხვასა; აგრეთვე მუცლისა, ენისა, ხვაშიადისა და სწავლისა შენახვასა მარხვად სახელ-ედების; ხოლო მარხულობა იგი არს, ოდესცა განწყესებულთა დღეთა ანუ საკანონო-თათჳს რაოდენ დღე მარხულობითა ვიმარხვიდეთ და დღიურ ერთგვის ვჭამდეთ"1- ამზობს სულხან -საბა. ის ცალკე შენიშნავს, რომ მარხვა-ხორცთ უჭმელობასაც ჰქვია.

როგორც ვხედავთ, სიტყვა "მარხვა" ზოგა-დად რაიმეს შენახვას, დაცვას, დამარხვას, გინა დაფლვას ჰქვია. ხოლო მარხულობა კი საბაას განმარტებული აქვს, როგორც ტრადიციული, ეკლესიურად დადგენილი წესებით მარხვა დაკ-ანონებული დღეების მანძილზე.

საღმრთო წერილი გვაუწყებს, რომ ღმერთ-მა სამოთხეშივე დაუდგინა მარხვა ადამიანს, "და ამცნო უფალმან ღმერთმან ადამს და ჰრქუა : ყოვლისაგან ხისა სამოთხისა ჭამით შჭამო. ხოლო ხისა მისგან ცნობადისა კეთილისა და ბოროტისა არა შჭამოთ მისგან, რამეთუ,რომე-ლსა დღესა შჭამოთ მისგან, სიკუდილითა მოს-წყდეთ"2 (შეს. 2.16-17). ეს არის პირველი მცნ-ება და ამავე დროს დასაბამი მარხვისა. საღმ-თო წერილის მიხედვით, ადამისა და ევას სამ-ოთხიდან განდევნის მიზეზად სწორედ მათ მიერ მარხვის გატეხვა იქცა; და არა მარტო სამოთ-ხიდან განდევნისა, არამედ მთელი შემდგომი უბედურებისა, რომელიც ეწია კაცთა მოდგმას.

მარხვის დიდ მნიშვნელობას შემდგომშიც არაერთხელ უსვამს ხაზს საღმრთო წერილი. მარხულობდა მოსე სინას მთაზე, როდესაც მან ღმერთი იხილა; თვით ისრაელის ეგვიპტიდან გამოსვლის შემდეგ ორმოცი წელი უდაბნოში ხეტიალი მარხვის, განწმენდის სახედ შეიძლება ჩაითვალოს, რადგანაც მოუშაბდებლად განწმენ-დის გარეშე ღმერთს არ უნდოდა შეეყვანა თავისი რჩეული ერი აღთქმულ ქვეყანაში; მარ-ხვა შეინახა ელია წინასწარმეტყველმა; მარხუ-ლობდა (ღვინოსა და თაფლოუჭს არ სვამდა) სა-მსონი და ფლობდა გოლიათურ ძალას და როგ-ორც კი მარხვა დაარღვია - ღვინო დალია, ძა-

ლა დაკარგა და შეპყრობილი მტერთა სასაცი-ლო შეიქმნა. სახარება გვამცნობს, რომ მთელი ცხოვრება მარხულობდა იოანე ნათლისმცემე-ლი. ჯერ კიდევ მის შობამდე მამამისს, ზაქარი-ას, გამოეცხადა უფლის ანგელოზი და უთხრა, - შენი ცოლი შობს ძეს, სახელად იოვანეს და, "...იყოს დიდ წინაშე უფლისა და ღვინო და თაფლოუჭი არა სუას...", (ლკ.1.15), ხოლო მეორე მახარებელი წერს:

"ხოლო ემოსა იოვანეს სამოსლად თმისაგან აქლემისა, და სარტყელი ტყავისაა წელთა მის-თა, და ჭამდა იგი მკალსა და თაფლსა ველურ-სა"(მკ. 1,6).

დაბოლოს, იმარხულა მაცხოვარმა ჩვენმა, განკაცებულმა ძემ ღვთისამ, იესუ ქრისტემ: "და იმარხვიდა ორმოც დღე და ორმოც ღამე და მერმე შეეშია" (მთ. 4,2).

ვფიქრობთ, საკმარისია ეს მაგალითები სა-იმისოდ, რომ დავრწმუნდეთ, რა დიდ მნიშვნე-ლობას ანიჭებს თვით საღმრთო წერილი მარხვ-ას. ყველა შემთხვევაში მარხვა ემსახურება ად-ამიანის როგორც სულიერი, ასევე ხორციელი ძალების განმტკიცებას და ცოდვათაგან განწმ-ენდას.

მარხვის უდიდეს მნიშვნელობაზე მიგვიით-თებს სახარებაში ის ადგილი, სადაც იესუ ქრი-სტეს კაცი მოუყვანს შვილს, რომელიც ავი სუ-ლითაა შეპყრობილი და იგი განჰკურნავს მას. მოწაფეების კითხვაზე, თუ მათ თვითონ რატომ ვერ შეძლეს სნეულის განკურნება, უფალი პას-უხობს: "ესე ნათესავი ვერ შესაძლებელ არს განსვლად გარნა ლოცვითა და მარხვითა" (მკ.9,29). აქ საყურადღებოა ის ფაქტი, რომ უფალი ხაზს უსვამს არა მარტო მარხვას, არა-მედ მარხვასთან შეერთებულ ლოცვას. ადამიან-ის ლოცვას ღმრთის მიმართ განსაკუთრებული ძალა ენიჭება მარხვაში. მარხვით განწმენდილი ადამიანის გული და გონება უფრო ადვილად ახერხებს ლოცვასაც და ასეთი ადამიანი უფრო საყვარელია ღმრთისთვისაც.

მაცხოვარმა საკუთარი მარხვის მაგალითით გვიჩვენა გზა ვნებათა დათრგუნვისა, თავის დაოკებისა და სულიერი აღორძინებისაკენ. მა-

რხვა არის საუკეთესო საშუალება ნებისყოფის წრთობისა და ადამიანის პარამონიული განვითარებისათვის.

ღმრთის განგებით საუკუნეების მანძილზე წმიდა ეკლესიამ განაწესა და დააკანონა მარხვის დღეები წლის განმავლობაში, რომელთა დაცვაც მორწმუნეს აყენებს სულიერი ცხოვრების რიტმში. ეს რიტმი ხელს უწყობს მორწმუნის სწორ სულიერ ცხოვრებას და ეხმარება ცხოვრებისეული განსაცდელუბნის დაძლევაში.

მარხვის შესახებ ქრისტიანი ერების ცხოვრებაში საუკუნეების მანძილზე შეიქმნა ბრწყინვალე თხზულებები, რომელთა ავტორები არიან სხვადასხვა ერის ცნობილი ღმრთისმეტყველები.

მარხვის შესახებ ბრწყინვალე ქადაგებები აქვს დაწერილი IY ს-ის წმიდა მამას ბასილი დიდს, კესარია-კაბადოკიის მთავარეპისკოპოსს. იგი მარხვის შესახებ თავის პირველ ქადაგებაში ამბობს: "გიხაროდენ, რამეთუ მოცემულ არს შენდა მკურნალისა მის მიერ სახიერისა წამალი განმაქარებელი ცოდვისაჲ, რამეთუ ვითარცა ჭიანი იგი გუამთა შინა ყრმათასა დამკვდრებულნი წამლითა ძლიერითა მოსწყდებიან, ეგრეთვე ცოდვისა, სიღრმესა მას შინა სულისასა დამკვდრებულსა განაქარებებს მარხვაჲ, შერაჲ-ვიდეს სულსა შინა, უკეთუ ოდენ ჭეშმარიტად ღირს იყოს მარხვაჲ იგი, რათამცა ეწოდა მას მარხვაჲ."3 როგორც ვხედავთ, ბასილი დიდი მარხვას წამალს უწოდებს, რომელიც ჩვენთვის მოცემულია "სახიერი მკურნალის", ანუ ღმერთის მიერ და მარხვა ისევე მკურნებს ადამიანს ცოდვებისაგან, როგორც ბავშვს ჭიისაგან - ძლიერი წამალი.

გარდა ამისა, მისი თქმით "მარხვაჲ მიზეზიცა არს სიხარულისაჲ რამეთუ ვითარცა წყურთიელსა ტკბილად უჩნს სუმაჲ წყლისაჲ, ეგრეთვე მშვიერსა ჭამადი ყოველივე ჰამოდ და ტკბილად უჩნს. და ამისთვის, უკეთუ გნებავს, რათა ტკბილ იყოს ტაბლად შენი და საწადელ, თავს-იდევ შრომაჲ იგი მარხვისაჲ" (იქვე), და თუნდაც კაცი საჭმლისაგან გემოსა და სიამოვნებას ეძებდეს, მარხვა აქაც უკეთესია ნაირ-ნაირი კერძების ჭამაზე. როგორც მწყურვალს ტკბილად და სანატრელად ეჩვენება წყალი, ასევე მმარხველს - ნებისმიერი მწირი საზრდელი. პირიქით, რაც მეტად დავიმძიმებთ თავს საზრდელ-

ით, მიუხედავად იმისა, რა გემრიელი და ფუფუნეულიც არ უნდა იყოს იგი, ჩვენთვის ის თანდათან კარგავს გემოს. აქ გავიხსენოთ დიდი შოთას სიტყვებიც: "ოდეს ვარდი გაიფუდეს, არღარა ღირს არცა ჩირად." და როგორც ნავი ტვირთით დამძიმებული, ძნელად დააღწევს თავს დღევას, ასევე ადამიანი მძიმედ მოძრაობს და ტვირთად აწევს მას ზედმეტი ჭამადი. აქ ჩანს, რომ მარხვა არის არა მარტო ხორციულისა და რძის ნაწარმისაგან თავის შეკავება, არამედ საერთოდ ზომიერება, ზედმეტისაგან თავის შეკავება, ხოლო დაკანონებულ დღეთა მანძილზე ზოგიერთი სახის საზრდელის აღკვეთა კი არის კონკრეტული გამოხატულება იმ ზოგადისა. ყოველი მარხვა არის სამშაღისი იმ დღესასწაულისათვის, რომელსაც წინ უძღვის იგი. ამიტომ თითოეულ მათგანს აქვს ეკლესიისაგან დაკანონებული საღმრთისმსახურო და ლოცვათა სისტემა. ასე რომ, როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, მარხვა არის ეკლესიური ცხოვრების განუყოფელი ნაწილი და ქრისტიანისაგან მარხვის შენახვა გულისხმობს ამ ცხოვრების დანარჩენ ნაწილში მონაწილეობასაც. ამიტომ, შედეგი მარხვისა ბევრადაა დამოკიდებული ამ უკანასკნელზე. უნდა გვახსოვდეს, რომ მიზანი მარხვისა არის სულიერი განმტკიცება რწმენაში, სულიერი და ხორციელი განწმენდა, რაც თავის მხრივ შეუძლებელია სინანულის გარეშე. ეს უკანასკნელი კი ადამიანს ეძლევა მხოლოდ ეკლესიური ცხოვრებით. წინააღმდეგ შემთხვევაში მარხვა სასურველ შედეგს ვერ მოიტანს. და როგორც წმ. ბასილი დიდი ამბობს, ჭეშმარიტი მარხვა და თავშეკავება ადამიანს აუცილებლად სულიერი წყლულების - ცოდვების საკურნებლად ექცევა. ამასთან "ნუ განყენებითა ოდენ საქმელთაჲთა დაუდებ საზღვარსა სიკეთესა მას მარხვისასა, რამეთუ მარხვაჲ ჭეშმარიტი არს ზოროტთაგან უცხოყოფაჲ" (ბასილი კესარიელი, იქვე).

გასული საუკუნის იმერეთის ეპისკოპოსი გაბრიელი ამბობს: "მარხვა წმინდა იქნება არა მხოლოდ საჭმლის გამოცვლითა და ყოფა-ქცევის გამოცვლითა, მოკლებითა, არამედ საქმის გასწორებითა"4.

გაბრიელ ეპისკოპოსი შენიშნავს, რომ ზოგიერთნი იტყვიან, მარხვამ მაწყინაო. ეს მას სრ-

ულიად უმართებულოდ მიაჩნია და დასძენს, რომ "ჭამისა და სმისაგან დასნეულებული მრავალი უნახავს კაცს, გარნა მარხვისა და მოთმინებისაგან - არცა ერთი"-ო (იქვე).

აღბათ ყოველივე ზემოთქმულის დადასტურებად და მარხვის ჭეშმარიტ სამკაულად გამოდგება იოანე თქროპირის შემდეგი სიტყვები: "დიდად პატიოსან არს, საყუარელნო, მარხვაჲ, რამეთუ ყვის კაცი მსგავს ანგელოზთა. მარხვამან განწმიდნა და უბიწო ყუნა ყოველნი წმიდანი. მარხვამან ყუნა კეთილის მოქმედნი ზეცად აღმყვანებულ. არა ხოლო თუ მარხვასა საქმელთა და სასმელთასა ვიტყვ, არამედ რათა დავიმარხნეთ თაჲნი ჩუენნი ყოვლისაგან ბოროტისა, სიხარზისა და მტერობისა და ძვრის-ვსენებ-

ისა და სიძულვილისაგან და შფოთვისა და ტყუილისა. არა ხოლო თუ მარხვაჲ მარტოდ გუამცნო ჩუენ მაცხოვარმან, არამედ განშორებაჲ ყოვლისაგან ბოროტისა, რომელი სძულს მას, და საქმედ კეთილთა სათნოებათა, რომელნი უყუარან მას. ლოცვაჲ და მარხვაჲ, და მღვდარებაჲ და მოწყალებაჲ გლახაკთაჲ, სიწმიდე და ძვრ-უკსენებლობაჲ, სიყუარული და სიმდაბლუ, მოთმინებაჲ და სულგრძელობაჲ, ამათ ყოველთა მოგებაჲ გვბრძანა ჩუენ უფალმან, და ოდეს ესე მოვიგნეთ, მაშინდა შეიწიროს ლოცვაჲ და მარხვაჲ ჩუენი და ღირს-მყუნეს ჩუენ სასუფეველსა მისსა, რათა ვადიდებდეთ სახელსა წმიდასა მისსა, რომლისაჲ არს დიდებაჲ უკუნითი უკუნისამდე, ამენ".5

შენიშვნები

1. სულხან-საბა ორბელიანი, თბ. ტ. IV, "ლექსიკონი ქართული," თბილისი, (წ., გვ. 448.

2. როგორც ვხედავთ, 16-ე მუხლში მიმართვა "შქამო" მხოლოდით რიცხვშია ნახმარი, რაც იმაზე მეტყვევებს, რომ ღმერთი მხოლოდ ადამს მიმართავს (მაშინ კვა ჯერ კიდევ არ იყო შექმნილი), ხოლო იქვე, 17-ე მუხლში ორჯერ წერია "შქამით" მრავლობით რიცხვში, რაც იმას ნიშნავს, რომ აკრძალვა ეხება ევასაც. (იხ. მცხეთური ხელნაწერი, 1982 წ., ტ. I; წიგნი ძუელისა

აღთქუმისანი, ნაკვ. I, 1989 წ. შეს. 2,16-17).

3. ზასილი კესარიელის სწავლათა ეფთჳმე ათონელისეული თარგმანი, გამოსაცემად მოამზადა ც. ქურციკიძემ. თბ., 1983, გვ. 1.

4. გაბრიელ ეპისკოპოსის ქადაგებანი, ტ. II, ქუთაისი, 1913, გვ. 27.

5. "შამათა სწავლანი" (X და XII-თა ხელნაწერების მიხედვით) თბ. 1955 წ. იოვანე თქროპირი, მარხვისათვის, გვ. 26.

ხატის ძლიერებისა

ხარების ხატი



ხარება -- ღვთაებრივი სიტყვის განკაცების წინასწარუწყებაა. ეს საკრალური მოვლენა ერთი უმნიშვნელოვანესთაგანია სახარების საღვთო თხრობაში: ხარებით იწყება ღვთაებასთან თანაცხოვრებად მიბრუნება, რომელსაც, ცოდვით დაცემის მომდევნო დროიდან, კაცობრიობა მოაკლდა -- ამიტომაც, ხარება ერთიანად იტყვეს ადამიანთა ხსნის ყოველგვარ წინასწარუწყებას.

ხარება მახარებელთაგან ერთთან -- ლუკა მახარებელთან გვხვდება, სადაც მოკლედ, თუმცა ჩვეული სიმძაფრით არის მოთხრობილი სცენაში განვითარებული ამბავი (ლუკა 1,26-38).

ღმერთის მიერ გალილეას ქალაქ ნაზარეთში წარმოგზავნილი გაბრიელ მთავარანგელოზი აუწყებს მარიამ ქალწულს, რომ ის შობს ძეს -- იესოს და შობილი მისი იქნება მესია და ძე ღვთისა ("ღღეს ცხოვრებისა ჩვენისა თავი არს,

და საუკუნეთგან დაფარულისა მის საიდუმლოსა გამოცხადება, რამეთუ ძე ღმერთისა ძედ ქალწულისა იწოდების" - ძლისპირნი). შემკრთალი მარიამი ახლა უკვე თავად ეპასუხება გაბრიელ მთავარანგელოზს: "ვითარ-მე იყოს ესე ჩემდა, რამეთუ მამაკაცი არა ვიცი? მიუგო ანგელოზმან მან და პრქუა მას: სული წმიდაა მოვიდეს შენ ზედა, და ძალი მადლისაჲ გფარვიდეს შენ; ამისთვისცა შობილსა მას წმიდა ეწოდოს და ძე მადლის" (ლუკა 1,34-36). მათი საუბარი მარიამის თანხმობით გასრულდება: "აჰა, მხევალი უფლისაჲ: მეყაენ მე სიტყვისაჲერ შენისა" (ლუკა 1,38). სახარების ტექსტში, მართალია, პირდაპირ არაა ნათქვამი, მაგრამ იგულისხმევა, რომ მარიამის თანხმობისთანავე (ისე როგორც შესაქმისას: "იქმენინ...და იქმნა...") მყისვე ხდება უბიწოდ შთასახვა. მარიამის თანხმობას,

სული წმიდის მეშვეობით, ღმერთის ამქვეყნად გარდამოსვლა თანხვედრა ("ღღეს ქალწულმან სიხარულით შეიწყნარა გაბრიელისაგან ანგელოზისა და მუცლად იღო საშოსა პირველი საუკუნეთა თანაარსი მამისა და სამარადისოისა სულისა" - თთუესა მარტას ხარება, დასდებულნი. "მუცელი შენი, ქალწულო, ემსგავსა საწმისსა გედონისსა, მან ცუარი ცისა იტვირთა, ხოლო შენ სიტყუად ღმერთისა მუცლად იღე და უშევ სოფელსა მზრდელი სულისა, მხსნელი დაბადებულთათა" - ძლისპირნი).

საეკლესიო ტრადიციის თანახმად, ღმერთის წარგზავნილისადმი ღვთისმშობლის მორჩილება დაპირისპირებულია ვეას ურჩობას. ქალწული მარიამი "ვეას ცოდვის დამხსნელია". ის, ვითარცა "ახალი ვეა" "პირველ ვეას" ცოდვების გამომწყიდველად გვევლინება ("ვეა ოდესმე ურჩებითა წყევად სოფლად შემოიღო, ხოლო, შენ, ღირსო, წმიდაო ქალწულო ღმერთისმშობელო, მორჩისა მუცლადღებითა უბრწუნელად აღმოუყუავილე სოფელსა კურთხევა, ამისთვისცა ყოველნი გადიდებთ" - ძლისპირნი).

ღედა ღვთისას ხარება, მასზე სულიწმიდის გარდამოსვლა უბიწოდ შთასახვა, "დაუტევლის მუცლად ღება", 25 დეკემბრისათვის, ახლა უკვე, ბეთლემს გასრულდება უფლის შობით - იმ მსხვერპლის, იმ "ახალი ადამის" მოვლინებით, რომელიც ქრისტიანულ მისიას აღასრულებს: ჯვარზე მიმსჭვალული თავისივე სიკვდილით დათრგუნავს სიკვდილს. წმიდა მარიამის ხარებით იწყება ის წრებრუნვა, რომელმაც სოფელი და ბესთასოფელი უნდა გაამთლიანოს. გაცხადდება იაკობის სიბმარი (დაბადება, 28, 11-19): მის მიერ ხილული კიბე ხომ ღვთისკენ მიმავალი გზის სიმბოლოა, ძველთაგანვე ღვთისმშობლის ერთ-ერთ პირველსახედ მიჩნეული ("წინასწარმეტყველნი გამოგსახვიდეს... კიბედ ბეცასად აღმართებულად". "კიბედ იაკობისად იწოდე შენ, რომელსა გარდამოხდა დაბადებული მხსნელად ჩუენდა, ვითარცა წვიმა საწმისსა ბედა" - ძლისპირნი). ღვთისმშობელი შუამდგომელია ღმერთის და კაცთა მოდგმისა, - ჯოჯობეთის წარმოცყვევნით ხსნა ადამისა შეუძლებელი იქნებოდა, თუ არ უმანკო ჩასახვა და უფლის განკაცება, რომელიც ღედა ღვთისას მეოხებით მოხდა (...მარიამ... მხოლოდ ხიდი ღმერთისა კაცთა

მომართ მოსულისა..."). ასე რომ მარიამის ხარება ადამიანთა, კაცთა მოდგმის საყოველთაო ხარებაა - დიდებული ღღესასწაული უფლისა.

ხარების იკონოგრაფია აღრექრისტიანულ ეპოქაშივე ყალიბდება. ამ სცენის ამსახველი, ხელოვნების ამა თუ იმ დარგის ნიმუშებში მოქმედების ადგილი, როგორც წესი, დაკონკრეტებული არ არის, მაგრამ ყველგან ის სახლი იგულისხმება, სადაც ცხოვრობენ მარიამი და მართალი იოსები - "ქმარი მარიამისა". სცენაში რამდენიმე სიმბოლური მინიშნებაა. უპირველესი და აუცილებელი, მათ შორის, სულიწმიდის აღმნიშვნელი სიმბოლოა - ბეცის გახსნილი სეგმენტი, საიდანაც თეთრი მტრელი მოფრინავს. აქვე ჩნდება ღვთისმშობლის ღირსებისა ან, იქნებ, ძველი და ახალი აღთქმის კავშირის მიმანიშნებელი, ორ კოშკზე გადაფენილი წითელი ქსოვილი; თეთრი შროშანი მარიამის უბიწობის სიმბოლოდ; ანთებული სანთელი, ღვთისმშობლის სულიერი წვის აღსანიშნავად; ვაშლი - პირველი ცოდვის ხარების მეშვეობით დაძლევის ნიშნად. მთავარანგელოზის გამოცხადებისას მარიამი ზოგ გამოსახულებებში წმინდა წერილის კითხულობს, ზოგან კი - ლოცულობს. ზოგან, იაკობის პირველსახარების თანახმად, მარიამს მეწამული ძაფის დართვისას, თითისტარით გამოსახავენ, როცა ღედა ღვთისა იერუსალიმის ტაძრის ფარდის მოსაქოვად ხელსაქმობს. სცენის ამ დეტალს, ჩვეულებისამებრ, ქრისტეს ხორცის მარიამის სისხლისაგან ქმნადობის სიმბოლოდ მიიჩნევენ.

ამ დეტალების უმრავლესობას წმიდა ლუკა არ იხსენიებს, მაგრამ სახვითი ხელოვნება თითქოს განგვიმარტავს მახარებლის მონათხრობს, მეტი მრავალფეროვნებითა და დაბუსტებით გადაგვიშლის ოთხთავის მონაყოლში დატეულ შინაარსს - ეს, შეიძლება ითქვას, თავისებური ეგზეგეტიკაა.

ქართულ სინამდვილეში, სამინიატურო თუ კედლის მონუმენტური მხატვრობის ნაირგვარ ნიმუშებში, მართალია ხარების სხვადასხვაგვარი იკონოგრაფიული ვარიანტები შეინიშნება, მაგრამ ძირითადი ტრადიცია თითქმის ყველგან მკაცრად დაცულია (ღვთისმშობლისადმი მუდამ კურთხევად მიმართული გაბრიელ მთავარანგელოზი, მუდამ მოძრაობის მომენტშია გადმოცე-

მული. ღვთისმშობელი ზოგან ტახტზე ზის და წმიდა წერილის კითხვისას ან თითისტარით და ძაფის გორგალითაა წარმოდგენილი, ზოგან კი - ფეხზე მდგომი, თავმოდრეკილია მთავარანგელოზის წინაშე). გვხვდება გამონაკლისიც - განსაკუთრებით ის ერთი, რომელიც იმერეთის პატარა სოფლის ქორეთის დედაღვთისას ეკლესიის მონატულობამ შემოგვინახა (ეს ეკლესია X საუკუნის გასულს აუგიათ, მონატულობა კი გვიანია, XVI საუკუნისა).


ქორეთის მონატულობის კომპოზიციური სქემის თავისებურება ისაა, რომ ჯერ ერთი - სცენა, ტრადიციისამებრ, ერთმანეთის საპირისპიროდ მდგომ მთავარანგელოზსა და ღვთისმშობელს კი არ გადმოსცემს მხოლოდ, არამედ მათ შორის ჩართულ, კურთხევად ხელაპყრობილსა და ჩვენსკენ, მჭვრეტელისკენ მომზირალ მესამე ფიგურასაც, რომელიც, ახლა უკვე, თანხმობის მომენტში წარმოდგენილ ღვთისმშობელს გამოსახავს. ეს, შეიძლება ითქვას, უჩვეულოდ განვრცობილი, ვრცელ ისტორიულ დროში დანახული თბრობა ეკლესიის მონატულობის თეოლოგიური პროგრამის შემდგენელს იმისათვის დასჭირდა, რათა მესიის ამქვეყნად მოვლინების წინასწარუწყებასთან ერთად. განსაკუთრებით გამახვილებინა ღვთისმშობლის, როგორც "ახალი ევას" თემა და მორე - ღვთისმშობლის ხარებას მხოლოდ ეს კონკრეტული კომპოზიცია როდი წარმოგვიდგენს, არამედ მის ზემოთ და ქვემოთ გაშლილი სცენებიც. ზემო მხარე წინასწარმეტყველთა რიგს მოიცავს - ესაიას, ერემიას, ეზეკიელსა და დანიელს ანუ იმ ოთხ დიდ წინასწარმეტყველს, რომელთა წიგნებშიც, შინაარსის მრავალფეროვნების მიუხედავად, უმთავრესია ალთქმული მესიის წინასწარუწყება ("... მოვედით ყოველნი ერთობით: მორწმუნენო და სიხარულით ვადიდებდეთ შტულისა პირველისა მამათა სახსენებელსა... და დანიელს: ეზეკიელს და ერემიას: და ესაიას: რომელმან ხმა-ყო ძლიერად. აჰა ქალწული მიუდგეს: და შვას ძე ენმანუველ: აწ იხარებენ რამეთუ აღესრულა ქალაგებული: მათი რაჟამს იშვა მხსნელი და მისცა სოფელსა დღეს დიდი წყალობაჲ" - მიქაელ მოდრეკილი). რაც შეეხება ხარების ქვემოთ გაშ-

ლილ რეგისტრს, აქ ეკლესიის მონატუვლი ორ კეთილმსახურ დედას - ანას და ელისაბედს წარმოგვიდგენს, რომლებიც, როგორც ცნობილია, უკვე უშუალოდ უკავშირდებიან ღვთისმშობელს: სხვა რომ არაფერი ვთქვათ, ეს სამი დედა - ანა, ელისაბედი და მარიამი - სწორედ რომ ერთი იღვით გაერთიანებული ხარების წინასწარუწყებით არიან ერთმანეთს დაკავშირებული, მეტიც - მარიამის ხარება ხომ ახალსავე ალთქმასია ანასა და ელისაბედის ხარებით შემზადებული ("დაუკვირდა საიდუმლოჲ. ქმნეს დედათა სიმხნით მრავალი ძლიერებაჲ: სარა რებეკას თანა და ანა ელისაბედის თანა, ხოლო შენგან მარიამ ქალწულო მივიღეთ ნათელი უკვდავებისა." მიქაელ მოდრეკილი). ამ კონტექსტში ისიც საგულისხმოა, რომ ღმერთის წარმოგზავნილისადმი მარიამის თანხმობა, რომელიც განსაკუთრებით არის გამახვილებული ხარების ქორეთისეულ სცენაში, მხოლოდ მას შემდეგ მოხსენიება ლუკა მახარებელთან, როცა მთავარანგელოზი წმიდა მარიამს აუწყებს, რომ ელისაბედიც, მისი ნათესავი "მიდგომილი არს ძესა სიბერესა თვისსა", რადგან "არარაჲ შეუძლებელ არს წინაშე ღმერთისა სიტყუაჲ" (ლუკა 1,36,37) და შემდეგ: ელისაბედი და მისი ჯერ კიდევ დედის მუცელში მყოფი ძე, პირველები არიან, რომლებიც გრძნობენ თუ ვინ იტვირთა მარიამ ქალწულმა (ლუკა 1,41-49).

ქორეთელმა ოსტატმა, როგორც დავინახეთ, თუმც თავისებურად, მაგრამ თეოლოგიური სიმუსტით გაიამრა მონატულობის პირველივე სცენის იკონოგრაფია: აზრობრივი თანამიმდევრობით განლაგებულ წინასწარმეტყველთა რიგი და კეთილმსახურ დედათა მასშტაბური ფიგურები არა მხოლოდ იღეურ, არამედ კომპოზიციურ ჩარჩოსაც უქმნის მაცხოვრის მიწიერი ცხოვრების დასაწყის ეპიზოდს. ხარების ამგვარი სახით გამოსახვა სრულიად უჩვეულოა არა მარტო ქართულ, არამედ მთლიანი სამართლმადიდებლოს კედლის მონუმენტური მხატვრობის ისტორიაში.

მასალა მომზადდა გიორგი ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტში.





უფლის აღდგომის ხატი

ბრწყინვალე აღდგომა უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესი დიახაც გამოჩნეულია თვით უდიდეს საღმრთო ღვთისმშობელთა შორისაც. უფლის აღდგომა უცხადესი დადასტურებაა მისი ღმრთეების, ყველა უარისმყოფელისა და ეჭვისმიმტახის გამაწმინებელი. მაგრამ უმეტეს ამისა ეს უსაკვირველესი სასწაული ჩვენი სასო და იმედოცაა - იესუ ქრისტესაგან უწყებელი ჭეშმარიტების შეზიარებით ადამიანთა მოღვმის ხსნისა და ცხოვნების. "უკუეთუ ქრისტე არა აღდგომილ არს", ბრძანებს წმ. პავლე მოციქული ამათ არს სარწმუნოებაჲ ეგე თქუენი" /1

კორ.15,17/. მაცხოვრის ჯვარცმა-აღდგომით განქარდა პირველი შეცოდება, დაეზო ძალი სატანისა და გაცხადდა მარადის ცხოვრებასა და ღმერთთან მიმყვანებელი გზა.

კაცობრიობის საღმრთო ისტორიის მთავრად საეკლესიო ხელოვნებასაც; რასაკვირველია, არ შეეძლო გვერდი აევილო ამ დიდი მოვლენისათვის. სახარებებში არაფერია ნათქვამი საკუთრივ აღდგომაზე - იგი, როგორც საიდუმლო, დაფარულია ჩვეგან. მხოლოდ წმ. მათე მახარებელი მოგვითხრობს: "და აჰა ძრვა იყო დიდი, რამეთუ ანგელოსი უფლისა გარდამოჰდა ზეც-

ით, მოვიდა და გარდაგორვა ლოდი იგი კარი-სა მისგან საფლავისა და დაჰსჯა მას ზედა" /მათე 28,2/. მაგრამ აღმოსავლეთ საქრისტიანოს, სამართლმადიდებლოსა და, სახელდობრ, საქართველოს ძველი ოსტატები ამ ამბავს არასოდეს გამოგვისახავდნენ. მათ აირჩიეს სხვა, რომელსაც იქვე წმ. მათეც გვიყვება და ოდნავ სხვაგვარად წმ. ლუკა მახარებელიც "... რომელი განმსთენებოდა ერთ შაბათად, მოვიდა მარიამ მაგდალინელი, და სხუა იგი მარიამ, ხილვად საფლავისა მის... მიუგო ანგელოსმან მან და ჰრქუა დედათა მათ: სუ გემინიხ თქუნ, ვიცი, რამეთუ იესუს ნაზარეველსა ჭუარ-ცმულსა ეძიებთ. არა არს აქა, რამეთუ აღმდგა, ვითარცა სთქუა. მოვედით და იხილეთ ადგილი, სადა დაიდვა უფალი" /მათე 28,1, 5-6/. ეკლესიათა და სამღვდელთმთავრო წიგნების მომხატველნი, ხატთა დამწერნი მქანდაკეებლნი თუ მქარგველნი საფლავის გადმობრუნებულ ქვაზე მტდომარე ანგელოზს გამოსახავდნენ, რომლისკენაც მიემართებიან წმ. დედანი ხელსაცხებლიანი ჭურჭლებით ხელში. ანგელოზის ორთა მარიამთაღმე გაწვდილი ხელი გვიხატავს მის მიერ ქრისტეს აღდგომის ხარებას. შუა საუკუნეების მორწმუნეთაცა და ხელოვანთაც ამ მინიმუმების მეტი არაფერი სჭირდებოდათ, ეს სამიოდ გამოსახულება და ზოგჯერ კიდევ უფლის საფლავის პირქვედამზობილი მცველები სრულად უსურათებდნენ მათ მომხდარის არსებას, თავად მენელსაცხებლუ დედებზეთ ისინიც კმარობდნენ ანგელოზის ნათქვამს.

აღმოსავლეთი საქრისტიანოს ხელოვნება ამაზე კიდევ მეტად უფლის აღდგომის ერთ ხატებას სწყალობს. იქნებ დღევანდელი ადამიანი დაეჭვებულიყო კიდევ მისი შინაარსის თაობაზე, ბერძნულად მას პირდაპირ "ანასტასის", ე.ი. "აღდგომა" რომ არ ჰქონდეს ხოლმე წარწერილი; ქართულად მას, როგორც წესი "ჭოჭონეთის წარმოტყვევნა" ჰქვია. ეს გამოსახულება ე.წ. "ნიკოდიმეს წიგნს" მისდევს, რომელიც თუმცა კანონიკურად არ იყო აღიარებული, ეკლესიისაგან არც აკრძალული ყოფილა. ნიკოდიმე გვიამბობს, თუ როგორ შთახდა მკვდრეთით აღდგომილი მაცხოვარი ქვესკნელად, დალევს კლიტენი და ბჭენი ჭოჭონეთისანი, შებოროკა ბოროტი ძალები და აღმოიყვანა მანამდე მათგან ჰყრობილი გარდაცვლილნი. აუცილებლად გამოიხატება ხოლმე მაცხოვარი, რომელსაც

ერთ ხელში ჭვარი უპყრია, მეორეთი კი ამოყავს ადამი. როგორც წესი, გამოსახულია კიდევ ევა, წინასწარმეტყველნი დავით და სოლომონ, ზოგჯერ ვხედავთ წმ. იოანე ნათლისმცემელს, აგრეთვე მართალთ და გათოკილ სატანასა და ჰადესს. ამ სახით გვითვალსაჩინობდა ძველი დროის სახვითი ხელოვნება ქრისტეს ვნებასა და მისგან სიკვდილის დაძლევის როგორც უდიალეს შემობრუნებას, ვითარცა დახსნას ადამის შეცოდებისა, ერთგვარ დაბროლოვებას მთელი მხანამდელი ისტორიისას და ახლის დასაწყისს.

ქართულმა ხელოვნებამ ერთადერთი გამოხატვისი იცის - XVI ს-ის ე.წ. "დევიძევის ეკლესიის" /სოფ. საღვთიძე იმერეთში/ მოხატულობაში წარმოდგენილია საფლავიდან აღმდგარი მაცხოვარი, მისივე განმმარტებელი წარწერა - სახელდებით "აღდგომა უფლისა". ამ გამოსახულებამ შეიძლება მსგავსი დასავლური ნიმუშები მოგვაგონოს, მაგრამ შედარება გვარწმუნებს, რომ ქართველმა ოსტატმა, გინდაც უცხო დედნის გადმოღებისას, მაინც არ უღალატა ძირძველ ტრადიციას. აქ მაინც არ არის აღდგომის მორწმუნეთათვის უშუალოდ, ამხად მოტანა, როგორც დასავლეთში ხშირად ხდებოდა ხოლმე. ჩვენს მხატვრობაში აღდგომის კონკრეტული სცენის არ არსებობა ალბათ იმით უნდა აიხსნას, რომ აღმოსავლურ-მართლმადიდებლური მსოფლმხედველობა ყურადღებას ძირითადად ამახვილებს ამა თუ იმ სიუჟეტის მომცველი სცენის არსობრივ, სიმბოლურ-კონცეპტუალურ მხარეზე - დასავლურ-კათოლიკურისაგან განსხვავებით, სადაც უფრო მეტად კონკრეტულ-თხრობითი შეხედულება ბატონობს. ამიტომაც უფლის აღდგომის გამოსახვისას დასავლური ხელოვნება ამბავს პირდაპირ გადმოსცემს /საფლავიდან აღმდგარი მაცხოვარი, შემინებული მცველები და ა.შ./, ხოლო აღმოსავლური უფრო მეტად ამ ამბის სიმბოლურ მნიშვნელობას წარმოგვიჩენს - აღდგომას როგორც ჭოჭონეთის წარმოტყვევნას, სადაც ქრისტიანობის მისიის ბედროული განსახიერებაა წარმოდგენილი.

მასალა მომზადდა გიორგი ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტში.

ზმზის ხატი



ღვთის წყალობით მოიწია კიდევ ერთი ქრისტიანული დღესასწაული - მაცხოვრის დიდებით შესვლა იერუსალიმში, ანუ "ზმზა" (როგორც მას ჩვეულებრივ

ვუწოდებთ საქართველოში).

ამ საუფლო დღესასწაულის შინაარსი ყოველი ქრისტიანისათვის ნათელია: როდესაც მოიწია ჟამი განკა-

ცებული უფლის ენებისა, მაშინ იესომ წარაგლინა მოწაფენი იერუსალიმთან მდებარე უახლოეს სოფელში, სადაც კარაული (იგივე სახელარი) და კიცვი(იგივე კვიცი) კარაულისა განმზადებულნი უკლიდა უფლის ნიშანს, რათა თვინიერად აღსრულებინათ მაცხოვრის ნაწინასწარმეტყველები შესვლა იერუსალიმში. მოგვიღეს სახელდარზე მოწაფეებმა დააფინეს სამოსელი და მასზე დაბრძანებული იესო წარიმართა იერუსალიმად, საიდანაც მას შესახვედრად ურიცხვი ხალხი (სიმრავლე ერისა) შემოიკრება. შემოგებებულნი პაღმის რტოებსა და სამოსელს უფენდნენ მომავალ მაცხოვარს (ნიშნად ტრიუმფისა) და უგალობდნენ: "ოსანნა მადალთა შინა, კურთხეულ არს მომავალი სახელითა უფლისათა". შედიოდა რა მაცხოვარი იერუსალიმად, აღსრულდებოდა ერთი წინასწარმეტყველება და იწყებოდა მეორე (უფლის ნიშნით სიკვდილი).

ეს მოხდა დროსა და სივრცეში (ანუ ამქვეყნად) ერთად-ერთხელ ქრისტეს შობიდან 33-ე წელს პალესტინაში. მაგრამ ეს ერთად-ერთხელ მომხდარი სასწაული ჩვენ დღესასწაულად ვაქციეთ, ანუ დღედ, როდესაც სულიწმიდის ტაძარში ეკლესიაში ყველა ქრისტიანი ერთად ვისხენებთ უფლის ამ ნიშნებს და სულით და გონებით იერუსალიმელთა სიმრავლესთან ერთად უფალს ვუგალობთ "ოსანნას". ამაში ჩანს მადლი ქრისტიანობისა რომ ის, რაც ჭაშში ერთხელ მოხდა, ჭაშში კი ვერ წარგვტაცა არამედ დრო და დრო (კიკლურად) მოიქცევა, რათა დღესასწაულის გზით სულიერად შეგვრთოს იმ პირველ ნიშნებს. ამიტომ ქრისტიანი მუდამ თანამონაწილეა საღმრთო ისტორიისა.

მაგრამ ამ თანამონაწილეობის ერთ-ერთი უმთავრესი გზა და საშუალება (სხვა გზებსა და საშუალებებთან ერთად) არის ხატი, (ფართო გაგებით). რა არის ხატი? ეს არის თვალსაჩინო ჩვენება საღმრთო ისტორიისა. რა მნიშვნელობა აქვს მას? ხატი არის მლოცველისათვის სასწაულის განსახიერება, რომელიც ამ სასწაულის არსებით სრულიად განმსჭვალულია. იგი ატარებს მადლს სასწაულისა, რომელთანაც აზიარებს მავედრებულ მოკვდავს. უპირველესი ხატი (ხატი ხატთაგანი) არის თვით იესო მშენელი, რომელმაც გამოთქვა და გამოხატა ერთი უთქმელი და თვალთ უხილავი მამა უფალი. და როგორც ძე (იესო) ატარებს და გამოთქვამს სრულად მამას, ასევე ხატი გამოხატავს და ატარებს სრულად იმ პირველსაწყის ("პირშეშ") სასწაულს, რომელსაც განასახიერებს. რა გზით ხდება ეს შესაძლებელი? სული წმიდით; სწორედ სული წმიდით, რომელიც სრულად გამსჭვალავს სამყაროს, შევერთვით

საღმრთო ისტორიას, რომელიც თვით არის ხატი უფლის მაცხოვარებისა. ხატი უდიდესი მადლია ქრისტიანობისა (სახიერი ხომ კეთილს ნიშნავს სახარებაში).

და აი, როდესაც მოწვევნილია ჭაში ბზობის დღესასწაულისა, მარზელოცავსთან ერთად ხატის მადლითაც შევებირებით იერუსალიმში უფლის დიდებით შესვლას. ამგვარი ზიარება შეიძლება ნებისმიერი ხატით ბზობისა, რადგან ყოველ მათგანში დავანებულია ის უდიდესი საიდუმლო, რომელიც იერუსალიმში შესვლით გამოთქვა მაცხოვარმა. მაგრამ, ამასთანავე, ყოველი ხატი ამ საიდუმლოს თავისებურად გამოთქვამს და განუმეორებლობაა.

ბზობის ხატებანი საქრისტიანო საქართველოში მრავლადაა დარჩენილი. თითქმის ყოველ ეკლესიაში სხვა ათორმეტ დღესასწაულთა შორის მაცხოვრის იერუსალიმში ტრიუმფით შესვლაც გამოხატებულია. ბზობის ამ ხატებებს აერთიანებს აზის გადმოსაცემად აუცილებელი თბრობის ფორმა, რომელიც ჩამოყალიბდა და დამკვიდრდა განვითარებულ შუა საუკუნეებში როგორც საქართველოში, ასევე ზოგადად სამართლმადიდებელ საქრისტიანოშიც. თბრობის ცენტრშია მაცხოვარი კიცვა ზედა, რომელსაც ცალკერძო მოწაფენი მიაცილებენ, მეორე მხრივ კი განადიდებს იერუსალიმიდან შემოგებებული სიმრავლე ერისა. სცენის მოუცილებელი ნიშანია ყრმა ებრაელი, რომელიც სამოსლის და რტოების დაფენით აღიდებენ უფალს.

ამ სცენის შემადგენელ ნაწილს დრმა მისტიკური შინაარსი აქვს. შემთხვევითი და უმნიშვნელო არაფერია. მაცხოვარი კიცვა ზედა ზის არა როგორც მხედარი, არამედ ჩამომჯდარა (ისევე, როგორც საყდარზე). ნიშანდობლივია, რომ ქრისტიანობის ადრეულ საუკუნეებში მაცხოვარს სახელდარზე გადამჯდარად ხატავდნენ, უკვე გვიან კი, დაიხვეწა რა ბზობის შინაარსობრივ-მხატვრული მხარე, მას მხოლოდ ჩამომჯდარად განასახიერებდნენ. ნიშნად უფლის თავმდაბლობისა და კარაულის მორჩილებისა. კარაულის სრული მორჩილების ნიშანია აყრილი ლაგამიც. წინასწარმეტყველების მიხედვით უფლისთვის განმზადებული საგანგებო პირუტყვი არის, ამასთანავე, სახე "მოქცევისათვის პირუტყუთ - სახეთა მათ წარმართთა". ერთიანად კი მაცხოვარი კარაულსა ზედა განასახიერებს როგორც უფალს "სიმდაბლით მჯდომარეს კიცვა ზედა კარაულისასა". (აკი იესომ სიმდაბლით შობა ინება არა სასახლეში, არამედ ბაგაში, სადაც სიმბოლურად სახელდრიც იმყოფებოდა), ასევე ახალ მუუფესაც, რომელიც არა ცხენით (ე.ი. მხედრად და დამპყრობად) შედის ქალაქში, არამედ როგორც

სიმდაბლის საყდარზე მკლამი მეუფე - მწვეში კეთილი, რომელიც ნესით მსხვერპლად უნდა ეგოს ადამის ცოდვას. შედის რა ამ მისით იერუსალიმში, უფალი ძალმომრებით კი არ იპყრობს მას, არამედ უკიდევანო სიყვარულითა და მიტევებით ანგრევს ძველს და აგებს ახალ იერუსალიმს. (გინაროდენ, ...სიონ, საყდარო ქრისტესო, ...რამეთუ მოვიდა დღეს მაცხოვარი შენი, მხსნელი სულთა ჩუენთა და წმიდა გყო ხორცითა და სისხლითა.) თვით იერუსალიმი აქ არ არის ერთმნიშვნელოვანი სახე. იგი (ეს ქალაქი) განასახიერებს ზოგადად უფლის სახლს (აქი იერუსალიმი დღისმშობლის სიმბოლოც იყო). ამდენად, შედის რა იერუსალიმში, ამით მაცხოვარი შედის თავის ტაძარში. ეს აქტი კონკრეტულად იესოს შესვლით თვით იერუსალიმის ტაძარში. და ზოლოს, იგივე ხდება, მაგრამ უკვე უჩვეულოდ დრამატულად, თვით ჯვარცმისას, როდესაც იესო, როგორც ქრისტე, ზოლომდე განხორციელდება. აქ მაცხოვრის შესვლა იერუსალიმში და ახალი ეკლესიის დაფუძნება.

ესევე ბზობას დაუბრუნდეთ. ის, რომ იერუსალიმში და ტაძარში შესვლა მაცხოვრისა ერთი და იგივე აქტია, უფაქიზესად აისახა იკონოგრაფიულადაც, კერძოდ, ყრმანი, რომლებიც სახარების მიხედვით ტაძარში განადიდებდნენ იესოს, სახვითად იერუსალიმში შესვლას წინაუსწრებენ და იერუსალიმის წინ გამოსახული ფინიკის ტოტებით ვეგებებიან მაცხოვარს. ეს აისხნება როგორც შუა საუკუნეების მხატვრობის ძალზე პირობითი აზროვნებით(სადაც დროით-სივრცითი თანამიმდევრობა ფარდობითია), ასევე იმითაც, რომ იერუსალიმსა და ტაძარად შესვლა, არსებითად, ერთი და იგივე აქტია. აქედან ჩანს, რომ ბზობის სახვითი ტრადიცია გამოძლინარეობს არა სოუვეტური მდინარებიდან, არამედ შინაარსიდან. და ზოლოს, ალბათ, აუცილებელია კიდევ ერთი ელემენტის განმარტება, კერძოდ, მღალადებულ ყრმათა სიმბოლოსი. "ყრმანი უმანკონი", "სულისაგან წმიდისაგან განათლებულნი და საღმრთოთა მადლითა აღსავსენი" სიბრძნით წინასწარმეტყველებენ უფლის მოსვლას, მიეგებებიან "მხსნელსა მას სულსა ჩუენთასა". და თუ ბზობა უფლის დიდების მიწიერი განცხადებაა, ამ დიდებაში ყრმანი ანგელოზთა სახეებია, ხოლო კარაული კი საყდარი სიმდაბლისა (ნაცვლად ცათა საყდარსა).

ამ სოუვეტურ-სიმბოლურ ქარგაზე ყოველი მხატვარი ქნინდა განუმეორებელ, თავისეულ ბზობას, რომელიც გამოსატავდა რა "პირმშო" სასწაულს, ამასთანავე იყო მხატვრის მიერვე საგალობელიც უფლის მიმართ

(რადგან შუასაუკუნეებში ყოველი ფორმა გალობაა უფლის მიმართ). ამგვარი გალობის ერთ-ერთი უბრწყინვალეს ნიმუშად უნდა ჩაითვალოს ბზობის ხატება ყინცვისის წმიდა ნიკოლოზის ეკლესიაში, რომლის მოხატულობაც ჩვენი ქრისტიანობის უდავოდ დიდი მონაპოვარია.

ყინცვისის ტაძარში, მის ჩრდილოეთ მკლავის ცენტრშია ბზობა გამოხატული. იგი ჩართულია ათორმეტი დღესასწაულის ციკლში. მის თავზე, სარკმლის აქეთიქით ლაზარეს აღდგინებაა. ბზობას კი გვერდით კედელზე ჯვარცმა აგრძელებს და აგვირგვინებს. სცენის ცენტრში, სამ სარკმელს შორის (ნათლის სამ ჩქერს შორის) კაცვსა ზედა დაბრძანებულია განკაცებული. ნათელი, უკანმავალი მოციქულებისაკენ სახით მიზრუნებული, იგი მაკურთხეველი მარტყენით იერუსალიმიდან გამოგებული ერისაკენ მიემართება. აკაფშირებს რა სცენის ამ ორ ჯგუფს, მაცხოვარი მშვერთ ტაძარში მდგომი მლოცველისაკენ მიემართება და მასაც იერთებს. ამ გზით ჩვენც თანაგმონაწილეობთ სცენაში. პირობითად აღნიშნული იერუსალიმის წინ ერის სიმრავლეა. მათი სხვადასხვაგვარი მოძრაობა კიდევ უფრო ამძაფრებს სოჭრელის შეგრძნებას. მათთაგან პირველი - წითლით მოსილი ქარმაგი, ვედრებად მოხრილი, ორივე ხელით მიეგება უფალს. შემდეგი ფიგურა (ასევე გრძელწვერა, ცისფრითმოსილი) უფრო ზომიერია. პირველისაგან განსხვავებით იგი ჩვენ გვიყურებს და მარტყენით მიგვითითებს უფლისაკენ. მის უკან სიღრმეში წვეროსანი უკვე სხვა მხარეს შებრუნებულია მისი მშვერა ჯვარცმისაკენ მიმართაჟს მლოცველს. იმ იმპულსს ამძაფრებს ცისფრით მოსილი დედა, რომლის პროფილით ნაწვენები სახე, ზურგმექცეული მომავალი უფლისაკენ, უკვე მთელი არსებით მიმართულა ჯვარზე აღსრულებული მაცხოვრისაკენ. ამ გზით ბზობა ჯვარცმას არაგვეულებრივი სიმსუბუქითა და სიძლიერით უერთდება. ზიარი ხდება იერუსალიმის კედელიც. თითქოს წაიშალა ზღვარი ორ ამბავს შორის და ისინი დროით გაერთიანდნენ, მხოლოდ სივრცეში განაწილდნენ. გაამთლიანა რა ეს ორი სცენა, ამით მხატვარმა უფაქიზესად გამოსატა ბზობის ერთ-ერთი ქვეტექსტი-ბზობა ხომ არის მაცხოვრის ნებით შესვლა ვნებისათვის. ამ სცენის ყველა ელემენტი ტრადიციულია. ტრადიციულია მაცხოვარი, რომელიც თვინიერად მიმავალ კაცზე მის, ტრადიციულია ზაიას ტოტებით განმადიდე ყრმანი, რომლებიც სამოსს უგებენ მწვეშს კეთილს, ტრადიციულია მაცხოვრის მიმდევარი მოწაფენიც (წმიდა პეტრეს მეთაურობით). მაგრამ ამ ტრადიციულ სტრუქტურაში ერთი შეხედვით მცარე

დეტალების თავისებური აფლერებითა თუ აჩრდილვით თანდათან ამოტივტივდება იმგვარი შინაარსობრივი წი-
 ალსვლები, რომლებიც იძენენ ერთადერთობას. და ეს
 ხდება უფრო მეტად ფერის, უფრო სწორად, ფერადი
 შუქის წყალობით. ფერი ყინცვისის მოხატულობაში გა-
 ნსაკუთრებით ფაქიზია და მეტყველი. ინტენსიური ლაფ-
 ვარდის ფონზე და მის წიაღში მანათობელი სინგურის,
 ოქროს, საღაფისმაგვარი თეთრი ლაქები უწონო, ზეზო-
 რციულ მდინარებას ქმნიან. მათ ერთიან ქსოვილშია
 ჩართული ბზობაც. იგი როგორც კომპოზიციურად, ასე-
 ვე ფერთაც უშურველად უერთდება ყველა მიმდებარე
 სკენას - ღაზარეს აღდგინებას, აღდგომას, ჭვარცმას.
 განსაკუთრებით ფაქიზია ფერადოვანი თხრობა-
 სულ მცირე ნიუანსებით იქნება ახალი შინაარსი - ცისფერ
 ფონზე მოცემული მაცხოვრის ცისფერი მოსასხამი კიდ-
 ევ უფრო მუქი და მჟღერია, რისი ძალითაც მხსნელის
 ფიგურა ცისფრის წიაღიდან ამოტივტივდება თითქოს ხო-
 ლო მისი ხაზგასმულად თეთრი შარავანდი ასეთსავე
 გრანგილთან ერთად უქვეული ნათლის სიმბოლოა ("მნა-
 თობთა განმანათლებელი მნათობი... მოვიდა ხსნად გლ-
 აბაკთა, მსხდომარეთა მათ ბნელსა და აჩრდილთა").
 განსაკუთრებით მჟღერი ხდება სინგური - ამ ფერით
 დაფარულია ყრმათა სამოსი, მათგანვე უფლისათვის და-
 გებული, სინგურისვეა მავედრებელი იერუსალიმის მოსა-
 სხამიც. ხაზგასასმელია, რომ ამ სკენაში ყველა სხვა
 წითელი თავშეკავებულია, რის გამოც სინგურის ფლერა
 მძაფრდება - მისი წითელი, თავისთავად მანათობელი

ლაქები წრედ ვვლება მაცხოვარს და, თუ წარმოვიდგ-
 ეთ, რომ შუასაუკუნეების ენაზე მუქი-წითელი (იგივე
 ძოწი) მეუფებისა და დიდების სიმბოლო, იყო თვალწინ
 გადაგვეშლება უფაქიზესი "აკორდი" წითლებისა, რომლე-
 ბიც ტაძრის სივრცეში ფიზიკურად განცხადებულნი,
 წითელ შუქად ქცეულნი, განადიდებენ მეუფესა და მხ-
 სნელს. მაგრამ ნათელია, ამ ღალადებას უერთდება აღ-
 დგომის მახარებელ ანგელოზებს ფრთათა სინგურიც. წი-
 თლის ამგვარი დინებით თითქოს მთელს კვედლზე გად-
 აივლის უფლის დიდება, რომელიც ერთიან "ოსანად"
 გაისმის ტაძრის სივრცეში ("ოსანა", რომელიც დიდებ-
 ასაც ნიშნავს და შევლასაც) ერთდროულად. ეს არის
 უბრწყინვალესი მაგალითი იკონოგრაფიის თავისუფალი
 და ჭკეშიარტი ინტერპრეტაციისა, მაგალითი იმისა, თუ
 როგორ შეიძლება ერთი უთქმელი თვალხილულად გამო-
 ითქვას.

ჩვენ ვნახეთ, თუ როგორ შეიძლება, ძალზე კანო-
 ნიკური და ტრადიციული ხატი ამასთანავე სრულიად
 განუმეორებელი გახდეს. ეს კი შესაძლებელია მაშინ,
 თუ ადამიანი აღიფრება "მადლითა სულისა წმიდისა-
 თა". ამ მადლით იყენებს საესენი ქრისტიანი მხატვრები,
 ხოლო მათგან ხელთქმნილი ხატები კი დღესაც გვიხმ-
 ობენ სიწმინდისაკენ, როგორც გზანი სახიერებისანი.

ბზობა მოახლოვდა და ჩვენც, მორწმუნეთ "სამოს-
 ელთა წილ" შევწიროთ ქება და "ესრეთ ვილაღადოთ:
 წმიდა არს და მართალ სახელი შენი, უფალო".

**მასალა მომზადდა გიორგი ჩუბინაშვილის
 სახელობის ქართული ხელოვნების
 ისტორიის ინსტიტუტში.**

წიგნის საეპისკოპოსოს ისტორიიდან

(წერილი იბეჭდება ყოველდღეაქველად წიგნული ეპისკოპოსის ზისიშეს ლოცვა-კურთხევით).

ყოველ ისტორიულ-პოლიტიკურ ერთეულს, როგორც პიროვნებას, თავისი წარსული, აწმყო და მომავალი აქვს.

წიგნის საეპისკოპოსო საქართველოს ეკლესიის იმ ეპარქიათაგანია, რომლის ცხოვრებაშიც ჩვენი ქვეყნის ისტორიის უძველესი ფურცლები ჩაიწერა.

დიდებული მცხეთის საკათალიკოსო საყდრის ჩრდილოეთით მდებარე წიგნის საეპისკოპოსოს ჩამოყალიბებას, Y საუკუნის ბოლოსა და YI საუკუნის დასაწყისში, ცენტრით სოფელ წიგანში, წინ უსწრებდა წმინდა ნინოს სამსიონერო მოღვაწეობა: "მოქცევაჲ ქართლისაჲ" გვამცნობს, რომ: "... წავიდა წმიდა ნინო და ეპისკოპოსი იოვანე... და მიუწოდეს მთელთა, პირუტყვთა სახეთა მათ კაცთა, ჭართალელთა, ფხოელთა, წიგანელთა და გუდამაყრელთა და უქადაგეს მათ სული ქრისტიანეთა ჭეშმარიტი მიმყვანებელი ცხოვრებად საუკუნოდ" ("ქართლის ცხოვრება", ტექსტი დადგენილი ყველა ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბ., 1955, გვ. 126).

რა თქმა უნდა, ახალი სარწმუნოების მიღება, როგორც ყოველთვის და ყველგან, უმტკივნეულოდ არ მომხდარა და განსაკუთრებით საქართველოს მთიანეთში, რომელსაც ჯერ კიდევ არ შეჰხებოდა ფოლადლიმაცის პროცესი. წარმართული კურთხევების ცეცხლი, ირანიდან შემოსული ვარსკვლავთა კულტი და ცუცხლთაყვანის-

მცემლობა მკვიდრად იყო გამჭადარი მთიულთა სულებში და არც აპირებდნენ მოქცევას ჭეშმარიტ სულზე და დიდი წინააღმდეგობაც გაუწევიათ მქადაგებლებისათვის. თუმცა წმიდა ნინო და ეპისკოპოსი სასტიკი წინააღმდეგნი იყვნენ საქმის ძალისმიერი გადაწყვეტისა, მთიულთა ურჩობის აღსაკვეთად, მქადაგებლებთან ერთად მირიან მეფის მიერ გაგზავნილმა ერისთავმა "მცირედ წარმართა მახვილი მათ ზედა, და ძლევაი შემუსრნა კერპნი მათნი..." (იქვე). მთელი შემდგომი საუკუნეების მანძილზე მთიანი თემების წინააღმდეგობა ქართლის მეფის მიმართ არ შეწყვეტილა და ეს, პირველ რიგში, მათ რელიგიურ დაუმორჩილებლობაში-წარმართული კერპებისა და ზომონების აღმართვაში გამოიხატებოდა ხოლმე.

სწორედ ამ რთული რეგიონის სულიერი დაშველსვა ხვდა წიგანში ქართლის-წიგნის ეპარქიას. მისი მესვეურებიც დიდი მონღოლებით, ძალისა და ენერჯის დაუნანებლად დამოძღვრავდნენ ხოლმე ჭართალს ხანდოს, მთიულეთს, გუდამაყარს და ჩრდილოეთ კავკასიაში - ოსეთს. მთის ხეობებისა და შიდა ქართლის ბარის მჭიდრო სულიერ და პოლიტიკურ-ეკონომიკურ კავშირს კი განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა საქართველოს ძლიერებისათვის.

მეფე მირიანის ძის, ბაქარის დროს, მცხეთის ჩრდილოეთით მდებარე ამ ტერიტორიაზე

ქრისტიანულ-ადმშენებლობითი და სამისიონერო მოღვაწეობა არ შეწყვეტილა. ამ დროს მოქცეულან "უმრავლესნი კავკასიანნი" და მას ქადაგება გაუვრცელებია კუხეთში, რუსთავში, ქართლსა და რანში (ილ. აბულაძე, ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, "მოქცევაჲ ქართლისაჲ", თბ., 1963, გვ.91).

სწორედ ამ მეფეს, ბაქარს, აუგია საეპისკოპოსოს მომავალ ცენტრში, სოფელ წილკანში, პირველი ეკლესია თავისი მეფობის მეათე ოცდამეხუთე წლებს შორის ("ქართლის ცხოვრება", I, თბ., 1955, გვ.131).

ამ ტერიტორიაზე ჩატარებულმა არქეოლოგიურმა გამოკვლევამ დაადასტურა მემატიანის ეს ცნობა და, ამასთან ერთად, აღმოაჩინა ადრე ქრისტიანული ხანის უნიკალური ძეგლი ე.წ. "წილკანის აკლდამა", რომელიც, როგორც ჩანს, საეკლესიო პირთა, ქრისტიან ღვთისმსახურთა, მაღალი რანგის წარმომადგენელთა განსასვენებელი ყოფილა. თ. ყაუხჩიშვილის განმარტებით, ბერძნულად შესრულებული წარწერა გვამცნობს, რომ აქ განისვენებენ ტიკასი და მისი ბერი აშა ფარანუსესი, პაპრიუპასი და ისდიგერდე სი. ეს წარწერა გვიანანტიკურ და ადრეფეოდალურ ხანებს მიეკუთვნება. (IY საუკუნის შემდგომი დროისა). (თ. ყაუხჩიშვილი, წილკანის აკლდამის ბერძნული წარწერა, "მაცნე", ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიის და ხელოვნების ისტორიის სერია, 1982, N2).

ყველა ეს ფაქტი ნათლად წარმოგვიდგენს, რომ წილკანის საეპისკოპოსოს შექმნას V ს-ის ბოლოს უკვე საკმაოდ მძლავრი რელიგიური წინამძღვრები ჰქონდა. ამ დროისათვის ჩამოყალიბებულა კიდევ მისი ძირითადი ტერიტორია: მდინარე ქანსა და არაგვს შორის მდებარე სოფლებითა და კავკასიის მთიანეთით. ვახტანგ გორგასალის დროს, Y ს-ის II ნახევარში, საქართველოში მნიშვნელოვანი საეკლესიო რეფორმები გატარდა. ქვეყანა დაიყო საეპისკოპოსო ერთეულებად და განისაზღვრა კიდევ მათი საზღვრები. ამას უმთავრესი მნიშვნელობა ჰქონდა სახელმწიფოს და მამასადაძამე მთელი ქვეყნის საეკლესიო-ადმინისტრაციული მოწყობისათვის. ამ სახელოვან მეფეს დაუწესებია ქართლში კათოლიკოსობაც. Y ს-ის ბოლოს ეპარქიათა რიცხვი ოცამდე ასულა. მათ შორის იყო წილკ-

ნის საეპისკოპოსოც, რომელმაც ერთ-ერთი საბატო და განსაკუთრებული ადგილი დაიკავა ქართლის ეპარქიებს შორის.

საწილკანის წარმოშობის ისტორიისათვის გასათვალისწინებელია ვახტანგ გორგასალისა და ოსთა თემების დამოკიდებულება: ჩრდილოეთ კავკასიიდან მათი ექსპანსია სამხრეთით I-IV სს-ში გამუდმებით მიმდინარეობდა და ვახტანგ მეფემ დაასრულა ოსთა შემოტევების მოგერიება ოსეთის დამორჩილებით. ამისათვის მან ქრისტიანული რელიგიაც მოიპარჯა. როგორც ჩანს, უმეტესად წილკანის საეპარქიო გახდა პასუხისმგებელი ოსთა ტომების ქრისტიანულ სარწმუნოებაზე მოქცევისა. ამ მხრივ, მისი როლი განსაკუთრებით საყურადღებო და არც თუ ისე იოლი იქნებოდა.

მიუხედავად ამ საეპარქიოს უძველესი წარსულისა, ფაშთა სიავეს მხოლოდ ბოგიერთი დოკუმენტური მასალა გადაურჩა: ერთ-ერთ პირველ წილკანულ ეპისკოპოსად "ეპისტოლეთა წიგნი" ღვინის საეკლესიო კრების მონაწილეთა შორის ასახვლებს ენოქს (506 წელი). (მ. ალექსიძე, "ეპისტოლეთა წიგნი", თბ., 1968, გვ. 97).

საქართველოს რელიგიურ-საეკლესიო გაძლიერების გზაზე დიდი მნიშვნელობა ჰქონდა VI ს-ში იოანე ზედაზნელისა და მისი მოწაფე ასურელი მამების მოსვლას საქართველოში. ეს იყო სამისიონერო მოღვაწეობის მძლავრი რელიგიური ტალღა, რომელმაც ახალი ძალები შემატა ქვეყანას მისი პოლიტიკური დამოუკიდებლობის გზაზეც კი. ამ წმიდა მამებს მნიშვნელოვანი საეკლესიო-ადმშენებლობითი მუშაობა გაუჩაღებიათ და საკვირველი მოღვაწეობით გაუთქვამთ სახელი. ამ დროისათვის, VI საუკუნის 50-იან წლებში წილკანის სამწყსოს სათავეში ჩაუდგა ერთ-ერთი ასურელი მამა, სასწაულმოქმედი წმიდა ისე წილკანელი, რომლის სახელსაც უკავშირდება ამ საეპისკოპოსოს განსაკუთრებული გაძლიერება-განმტკიცება, მრევლის შემატება, ეკლესიების მშენებლობა და სასულდ-იერო-რელიგიური მოღვაწეობა მთიულეთში.

არსენ კათოლიკოსი (X ს.) წერდა: "...ისე შეიპყრა წმიდამან მამამან ჩუენმან კოზმან და აკურთხა იგი ეპისკოპოსად წილკანისასა; დაღათუ მრავალგზის ევედრა, არამედ თავს იღვა წმინდამან; ხოლო აიძულებით აიძულა კოზმ-

ანპყრობაჲ წმიდისა მის ეკლესიისა ღუთის მშობლისა ქრისტეს ღვდისა..." (მ. საბინინი, "საქართველოს სამოთხე," გვ.209).

ისე წილკნელის მიერ ეპისკოპოსობაზე უარის განცხადება გამოწვეული უნდა ყოფილიყო მისი უდიდესი თავმდაბლობით და აგრეთვე იმით, რომ ზერებს სასულიერო-რელიგიური ასკეტიზმი და ამ სოფლისაგან განშორება უფრო მნიშვნელოვნად მიიჩნდათ.

ეპისკოპოსად კურთხევის შემდეგ, ეს წმიდა მამა მთელი გულისყურითა და თავდადებით მოეკიდა თავისი სამწყსოს მოვლა-პატრონობის საქმეს: "ფრიადნი ურწმუნონი სწავლითა მოაქცივნა, მოძღვრება და ქადაგება განფინა სამწყსოსა თვისს..." მრევლის რწმენაში განსამტკიცებლად წმიდა ისეს ღუთის შეწევნით მრავალი სასწაულიც მოუხდენია. მათ შორის, მდინარე ქსნიდან თუ ტყვილიანიდან რუს წყალი გაუყვანია ყავარჯნის თრევით: "დაბასა მას უწყლობითა, სასოწარკვეთილ იყვნეს... აღიღო კუერთი თვისი, ღღესა ეროსა, შესრულმან ვედრებასა წარმოქმელმან წინაშე ხატისა ღვდისა ღმრთისასა. მიიწია ქსნის პირსა, უბრძანა წყალსა მას: "ძლიერებით უფლისა ჩუენისა იესო ქრისტესითა, და ღუთისმშობლისა მარიამისათა, გიბრძანებ, მდინარეო, გამოვედ და შემოუდეგ კუალსა ჩემსა, და მოსდევდი წუერსა კუერთისასა," უვალსა და უგზაურსა ალაგსა შემოუდეგა, ჰყვებოდა ვითარცა მონა. წარმოუღო ვიდრე წილკნისა ჩადმა, რომელი ღღენდელად მომდინარეობს წყალი იგი..." ("ქართლის ცხოვრება", დასახელებული გამოცემა, I, გვ.212).

წყლის გაყვანა ურწყავი მიწებისათვის, რა თქმა უნდა, საეპარქიოს და მთლიანად ამ მხარის ეკონომიურ აღმავლობას შეუწყობდა ხელს. აღსანიშნავია, რომ ამ რუს ნაკვალევი ახლაც არის შემონახული ძაღისას და წილკნის ტერიტორიაზე.

ისე წილკნელის მოღვაწეობის დროს მის სამწყსოს შემატეზიან მოხვედრები და მას სამისონერო ქადაგება ავლევს ხეობაშიც გაუჩაღებია.

ამ ღვაწლმოსილ მამას, თავისი ქვეყნიური მოღვაწეობა წილკნს დაუსრულებია და აქვე - მის სამწყსო ტაძარში - დაუდვია სამუდამო ბინა. მისი საფლავის ქვა ახლაც ასვენია ჩრდილ-

ოეთის სვეტთან.

"ქართლში მეფის ხელისუფლების შესუსტების დროს, XVIII-XIVს-ში, წილკნის საეპისკოპოსოს მახლობელი ტერიტორია სამუხრანოსთან ერთად გადადის კახეთის მმართველთა ხელში და მას ზედაზნის ციხის მეპატრონენი, ძაგანის ძენი ეუფლებიან. დიდებულმა მეფე დავით აღმაშენებელმა, 1123 წელს "ანდერძში შიო მღვიმისადმი" ბრალი დასლო ერისთავებს საეპარქიო მიწების დატაცებაში. მცხეთას საქონებულნი მისტაცესო, ასევე წილკანს, მღვიმე ხომ სახლად გაიხადესო - გვამცნობს საბუთი. საერო ფეოდალებისათვის საეკლესიო მიწების მისტაცებაში ხელი შეუწყვია თვით წილკნელ ეპისკოპოსს, რომელიც ძაგან ერისთავის ოჯახიდან ყოფილა. დავითმა საეპარქიოს ეს ტერიტორიები მეფის ტახტს დაუმორჩილა, ხოლო შიომღვიმე სამეფო მონასტრად აქცია. 1123 წელს ძაგან ერისთავი ხელთ იგდო ხოლო მისი ძმა მოდისტოსი -წილკნელი, საეკლესიო კრებას დაუმხიან. (ი. დოლიძე, "ქართული სამართლის ძეგლები", II, თბ., 1965, გვ.16).

XVI ს-ის I ნახევარში წილკნის საეპისკოპოსოსა და მცხეთის კათალიკოსს შორის დავა ყოფილა მუხრანის საზღვარზე "შარაფხანად" წოდებული ადგილის კუთვნილების გამო. როგორც "განჩინება ლუარსაბ 1 (1527-1558 წ.წ.) კათალიკოსსა და წილკნელის მამულის საქმეზე" გვამცნობს, საქმის მოსაგვარებლად შეკრებილან მეფე ლუარსაბ 1, მთავარეპისკოპოსი გორგინე, დომენტი თბილელი, პროველი გედეონ, მცხეთის კათალიკოსი, წილკნელი და სხვები, გაუსინჯიათ "მცხეთის დიდი გუჯარი" და დიდ გორასა და შარას შორის მდებარე ადგილი წოდებულა შარაფხანად. "განჩინებით" ამ ადგილის ზემოთა მხარე, შარაფხანის ეკლესიამდე, დარჩა საწილკნოს, ქვემოთა მხარე კი მცხეთის კათალიკოსს "უსარჩლელად და გამოუცილობლად" (ი. დოლიძე, "ქართული სამართლის ძეგლები", IV, თბ., 1972, გვ.44).

XVII საუკუნეში წილკნის ეპარქია ეკონომიურად საკმაოდ მომძლავრებული ჩანს, მას თბილისშიც კი ჰყავდა ყმა-ხელოსნები და ვაჭრები, რომლებიც მეფეთა და ერისკაცთა შეწირუნი ჩანან (შ. მესხია, საისტორიო ძიებანი, II, თბ., 1978, გვ.273).

საეპისკოპოსოს ცხოვრების შესახებ მნიშვნელოვან ცნობებს გვაწვდის 1669 წელს შედგენილი დოკუმენტი "წილქნის ღმრთისმშობლის სამწყსოს სიგელი", რომელიც შეუდგენია მეფე შაჰნავაზის და კათოლიკოს დომენტის ბრძანებით წილქელ ეპისკოპოსს, რომანოზს, რადგანაც ქსანზე რატიშვილთან წირვაზე მიმავალს, ძველი აღწერები ბარგთან ერთად ქსანში ჩასცივივინა. (ი.დოლიძე, "ქართული სამართლის ძეგლები", III, თბ., 1970).

ამ საბუთში აღწერილია წილქნის საეპისკოპოსოს ტერიტორია მდ. არაგვისა და მდ. ქსანს შორის "სულ 52 სოფელი და ანანურის ზევით მთიულეთი. პოლიტიკური დაყოფის მიხედვით საეპისკოპოსოს ტერიტორიაზე მოდიოდა სამუხრანბატონოს, არაგვის და ქსნის საერისთავოს მნიშვნელოვანი ნაწილები..." (ბ. ლომინაძე, საეკლესიო "სამწყსო" გადასახადთა საბუთების მნიშვნელობისათვის, "მასალები საქ. და კავკ. ისტორიისათვის", ნაკვ. 33, თბ., 1960 წ., გვ. 104).

წილქნის სარგო სამუხრანბატონოში ვრცელდებოდა შემდეგ დასახლებებზე: წილქანი, ახალდაბა, ციხეზდავი წყალაურთ კარელი, გენაფერი, კოდის წყარო, გოგილარი, ტურისუბანი, (ან ცურისუბანი), ძალისი, იტყელიანი, მჭადიჯვარი, მუმლოურთ კარელი, ჭიგრაშენი, სუნბიანი, დამპალა, თელოვანი, ქსოვრისი.

არაგვის საერისთავოში წილქნის საეპისკოპოსოს გადუნა ვრცელდება შემდეგ სოფლებზე: ახალუბანი, მისაქციელი, ხშირთი, ფრეშეთი, ნაობა, საშაბურო, ბშარაძე, ბოლორნა, არაგვისპირი, არანისი, ეთვალისელი, ანანური, ქაისხევი, აფხაგა, იორი, აში, ყვაილი, დუშეთი, არღუნი, ბაშალეთი, ჭილურტი, ებნისელი, გრემისხევი, ტონჩა, გენასმანი, ჭაშა, ფინვალი, ანანურის ზევით მთიულეთი.

ქსნის საერისთავოში წილქელის გადასახადი მართებდათ სოფლებს: ისტომას, ოძისს, ხოფას, ახალგორს, ახალსოფელს, იკორთას, კორინთას, ალევს.

ამ საბუთიდან კარგად ჩანს წილქნის საეპისკოპოსოში არსებული სამწყსო-საგადასახადო სისტემა: "ღრამა", "სახუცო", "ნიშანი", "საწირავი". "წასახური- გადასახურავი" და სხვა.

"ნიშანი" ერთდროული გადასახადია, რომელიც ადევს მაღალი სოციალური ფენის წარმომადგენლებს: აზნაურებს, თავადებს, მთავრებს, მეფეს, ეპისკოპოსს... აზნაურთა გვარში წილქელის საბუთის მიხედვით "ნიშანი" ადევს მხოლოდ "სახლის უფროსს, წვევს და მის მეუღლეს ან მის გვარის იმ წვევს, რომელსაც რაიმე მონხელობა უჭირავს.

"ღრამა" წილქნის საბუთში ნატურალურია. "სოფლის კაცს" მართებს ეს გადასახადი "კოდი ერთ კომლზედ" ან ქერი ლიტრა ერთი, შულო ა.შ. ღრამასთან ერთად გლეხს მართებს ეპისკოპოსის "ერთ დღეს ჩაყენება" ან "ერთ დღეს მასპინძლობა", ან მთლიანად "სოფელს ერთ დღეს ჩაყენება" (იქვე, გვ. 105).

არაგვის საერისთავოში "ღრამა" კომლზედ "პინა ერთი", "ქერი ლიტრა ერთი." "სახუცო" გადასახადი აქ არის "ხარითლა მარჩილის" ნაცვლად (ქსნის საერისთავოში) "ხარი და ცხვრით". "ღრამა" განსაზღვრულია "შულო ერთი, ქერი ლიტრა ერთი" (ი.დოლიძე, "ქართული სამართლის ძეგლები", ტ. III, გვ. 558).

სოფელ წილქანს, სადაც მოთავსებულია კათედრალური ტაძარი "სახუცო" და "ღრამა" არა აქვს. საყდრის მსახურს ეკუთვნის გადასახადად "საწირავი" - ცხენი და იარაღი. ეს გადასახადი აქვს აგრეთვე მსახურის მეუღლესაც.

როგორც საბუთიდან ჩანს, მკაცრი ეკონომიკური სანქციები იყო დაწესებული რელიგიური რწმენისა და კანონის შეურაცხმყოფელთა და დამრღვევთა მიმართ: უზიარებლად თუ მოკვდებოდა ვინმე საკანონოს ერთ ხანს იხდიდა ოჯახი; უნათლავის პატრონი - ასევე ხარს; ჭვარდაუწერელი ცოლთან დაწოლისათვის - ორ ხანს და ორ ცხვარს; კაცის კვლისათვის ხუთი ხარი უნდა შეეწირა ეკლესიისათვის და ამავე დროს, ცოდვის აღიარების შემდეგ, წირვა-ლოცვას არ უნდა დაჰკლებოდა (იქვე).

ძალისში ზედგინიძეების სახლის უფროსის გარდაცვალებისას იხდიან მთელ ნიშანს: შეკაზმულ ცხენს, აგრეთვე გადასახურავს ერთი თავისთვის, ერთი თვით წილქელისთვის და სუფრის იარაღს აგრეთვე თასთან ერთად მთარომევენ ეპისკოპოსს. მათი მეუღლეების გარდაცვალებისას იხდიდნენ: კაბას, ტყავს, ან ტოლომზას, სარტყელს, ღილს, ზეჭედს, თავსახურავს და

ერთ გადასახურავს."

არაგვის საერისთავოში უფრო გამკაცრებული ჩანს სანქციები დაშნაშავეთა მიმართ: კაცის შეკლულს 12 ხარი უნდა ეზღო, (სამუხრანბატონში 5 ხარია); თუ მღვდელი ვერ მოასწრებდა ზიარებას იგი იხდიდა ერთ ხარს და თუ ეს პატრონის დანაშაულით მოხდებოდა მაშინ ეს გადასახადი მას უნდა ეკისრა.

ბოდორნაში დეკანოზს ეკუთვნოდა ეპისკოპოსის ერთ დღეს ჩაყენება, ხარის და ცხვრის გადახდა. "ამიტომ აძევს სახუცო", საყდარს ბევრი შემოსავალი აქვს, ყმაც ყავს". ბოდორნას ყმებს "დრამის" ნაცვლად ძღვენი უნდა მიეტანათ.

სოფლის მსახურებისა და მოხელეების გარდაცვალებისას ოჯახი იხდიდა კარგა "საწირავს", შეკამბულ ცხენს. ანანურის დეკანოზის ოჯახს მხოლოდ "საწირავის" გადახდა ევალებოდა.

საბუთში საინტერესო ცნობებია მოცემული წილქნელი ეპისკოპოსების მიგებების წესებზე და ვალდებულებებზე: მჭადიჯურის წინამძღვარი კრებულის თანხლებით უნდა შეხვედროდა წილქნელს და ერთ დღეს ემასპინძლა; მუხრან-ბატონის სასახლეში მისვლისას მუხრანელი და მისი თანამეცხედრე წინ უნდა დაჰხვედროდნენ და დიდი პატივისცემით მიეღოთ - "სუბანსა და ღორმედ ცოლ-ქმართ შუამედ დიწვიონ"; მუხრან-ბატონის კარის საყდარში ჯერ მოიხსენიებოდნენ კათალიკოსს, შემდეგ წილქნის ეპისკოპოსს. მუხრან ბატონის გარდაცვალების შემთხვევაში წილქნელი მხოლოდ საწირავს და ნიშანს მიიღებდა, სხვას კი კათალიკოსი. იმ შემთხვევაშიც, თუ ისინი წილქნის ტაძრის მახლობლად დაიძარებოდნენ.

არაგვის საერისთავოში და, კერძოდ, ღუშეთში გადასვლისას წილქნელის თანხლებამ ამაღლაში შედიოდნენ: მამამთავარი, ჯვარის მტვირთველი, საყდრის კრებული და ორმოცი ცხენოსანი. არაგვის ერისთავი და მისი მეუღლე მას საწოლის კარს მიეცებოდნენ, ხელს მოჰკიდებდნენ და ღორსა და ქჩაშე დაიწვევდნენ დიდი პატივისცემით. არაგვის საერისთავოს კარის საყდარშიც ჯერ იხსენიებდნენ კათალიკოსს, მაგრამ ერისთავის ან მისი მეუღლის დაკრძალვა წილქნელის ღოჯვის გარეშე არ შეიძლებოდა. მას ერგებოდა "საწირავი" "ნიშანი", "წასახურავი",

"მოელ ნიშანს" კი მიიღებდა კათალიკოსი (იქვე, გვ.548).

როგორც "გუჯარიდან" ირკვევა საარაგვოში სამწყსოს განაწილებისას ერთგვარი დავა ჰქონიათ კათალიკოსსა და წილქნის ეპისკოპოსს ფინჯანის კუთვნილების გამო. თავდაპირველად არაგვის გაღმა ყოფილა მოსახლეობა და კათალიკოსის ეპარქიას ეკუთვნოდნენ, შემდეგ მდინარის მეორე მხარეს გადასულან წილქნის სამწყსოში "ჭამთა ვითარებისაგან და ავის დროსაგან".

"ზენ და ბატონს კათალიკოსს ცილება და ლაპარაკი შეგვექმნა სამართალში. აღნიშნული ადგილი წილქნის ღმრთისმშობლისა იყო, მაგრამ" წილქნელმა რომანომ ბატონს კათალიკოსს თავი აღარ აწყინა", ამის შემდეგ ფინჯანთან წილქნელ მამამთავრებს აღარ ჰქონიათ ხელი.

წილქნელის სამწყსო საბუთში მოხსენიებული არიან ანანურის მეფით მთიელები. აღნიშნულია, რომ ხევის გარდა ისე წილქნელის მოქცეულები არიანო და ამიტომაც ისინი საწილქნის ეკუთვნიან უძველესი დროიდანვეო. "მცირედ ქრისტიანობა შამოუგდიათ, ხუცესი და დიაკონიც დაუდგენებიათ, წმიდის ნათლისღების შეილობა გამრავლებულა". ამ მოქცევაში არცერთ არაგვის ერისთავს არ მოუღია მონაწილეობა საარაგვოდან შამურიშვილის გვარის კაცის გარდა, რომელსაც სჭერია, "გუჯარის" მიხედვით დაბალი საერისთავო. (იქვე გვ.559).

XVII ს-ის 60-იან წლებში "გუჯარის" შემდგენელ ეპისკოპოსს რომანომს მოუნდომებია ანანურის მეფით მთიულეთის თავისი სამწყსოსადმი უფრო მეტი დაქვემდებარება, რადგან "მთიულეთს წილქნელისა არა ეღვა რა: არა დრამა, არა საწირავი, არცა სახუცო, არც ძველს გუჯარში ეწერა" ამ საქმეში მას არაგვის ერისთავი მაალიც ეხმარება, რადგან სდომებია იქაური მოსახლე თემების "დამწყსა და კეთილად გარჯულვა".

რომანომ ეპისკოპოსის განმარტებით მას, ისე წილქნელის მსგავსად მოუხდა მოგზაურობა ამ მთიან მხარეში და მისი მისიის ხელახლა შესრულება, რადგან აქ "დროთა ვითარებაში ქრისტიანული წესები შეუძლიათ". "მცირე რამ ქრისტიანობა იყო და ორი ხუცესი, არც ქრისტიანობა და არც ნათლისღების შეილობა მარ-

თალ არ ეწოდებოდა, ისევ კერძის მსგავსი იყვნენ, არც მართლა ნათლისღება იცოდნენ, აღსარება სრულიად არ იყო, არც მარხვა იცოდნენ, თვინიერ ღიღმარხვის მეტი" (იქვე, გვ. 559).

ეპისკოპოს რომანოზის გადმოცემით, მას ბევრი უწვავლია სანამ მთიულეებს თავიდან მოაქცევდა. ამაში ერისთავის ძალაც გამოუყენებია. ზოგიერთი მთიული კი თავისით მონათლულა. "აღსარება, ემზამით ნათვლა გავაჩინეთ". ზოგიერთ მთიულ ერისკაცს მიუთვითებია მღვდლებსაგან ზიარების უფლება, ე.ი. ქრისტიანული რიტუალი უხეშად ირღვეოდა, ესეც "ამოუკვეთიათ", რადგან "ერისკაცს მღვდელი საიდუმლოს არ მისცემს - თვითონ ღვდელმა უნდა ამიაროს ერისკაცი" (იქვე).

ამავე დროს, რომანოზ ეპისკოპოსს და ბაალ ერისთავს გადასახადები დაუდვიათ იქაური მღვდლისათვის ერთი ფურის ოდენობით. და ამის შემდეგ რამდენი მღვდელიც გაჩნდებოდა მთიულეთში, იმდენი ფური უნდა შემოსულიყო წილქნის საეპისკოპოსოში გადასახადის სახით.

წილქნელს, როგორც ჩანს, მაინც არ ემორჩილებოდა მთიულეთი და მას 3-ჯერ მოუხდა აქ ამოსვლა და ეკლესიების კურთხევა (იქვე). წილქნელ რომანოზის დროს აქ ორი ხუცესი ყოფილა. მათ არავითარი საეპისკოპოსო გამოსაღები არ დააკისრეს, "რადგან ახალი მოქცეულნი იყვნენ". მაგრამ ეს არ უნდა ყოფილიყო მხოლოდ ამის მიზეზი. არამედ ის, რომ მთიულეები დიდ უკმაყოფილებას გამოთქვამდნენ ყოველგვარი გადასახადების მიმართ როგორც საერო, ისე საეკლესიო ფეოდალებსათვის. არა მარტო მთიულეებს ხეესაც ვერ დაადო საეპისკოპოსომ გადასახადი: "ძველს გუჯარში ხევისთვის საეპისკოპოზო სათხოვარი არა სახუცო, არა დრამა არა ეწერა. არც ჩვენ დავადევით" (იქვე, გვ. 560). როგორც ჩანს, წილქნელი აქ ვერას გამხდარა: მოსახლეობას ვერა საეპისკოპოსო გამოსაღები ვერა დავადევითო- ამზობს იგი.

წილქნელის "სამწყსო საბუთში" კარგად ჩანს, რომ მთიულ მოსახლეობას არ სურდა არც საერო, არც სასულიერო-საეკლესიო იერარქიისადმი დამორჩილება, აღწერილია ამ ნიადაგზე წარმოშობილი აჯანყებაც. "ანანურის ზემოთ", ნათქვამია საბუთში. "ქაისხვევლებს არა აძევთ რა: არა დრამა, არა სახუცო, არა ჩაყენება

წილქნელისა თვინიერ მღვდელი თუ მოკვდეს, ან გამოჩენილი მსახური, რაც შეეძლოს საწირავი მიართონ". ქაისხვევლებს, ამიტომ არა ედვათ რა, რომ იმათი გული კიდეც მოუქცევარი იყო: ეფისკოპოზის შესვლას წყინობდნენ, "არც აღსარებისა იცოდნენ ბაალ ერისთავმა რომანოზი წილქნელი შეგზავნა წილქნელს ჯანლი უყვეს, არ შეუშვეს". როგორც აქედან ჩანს, წილქნელ ეპისკოპოსს რამდენჯერმე უცდია ქაისხვევში შესვლა, ხოლო "ეპისკოპოსის შესვლა, ცხადია, უწინარეს ყოვლისა, იქ საეკლესიო გადასახადების დაღების გულისხმობდა. მოსახლეობა ეპისკოპოსს აჯანყებია და არ შეუშვიათ..." ქაისხვევლებს ერისთავმა უწყინათ, იასაულები გაუსივათ, ავათ ეპურა, აღგნენ და წილქნელს შეეხვეწნენ და წილქნელმა იპატივა და წილქნელისა საწირავი დაიდევს". როგორც ჩანს, აჯანყებულებს ბაალ არაგვის ერისთავის მიერ შევიწროვებულებს, თავი ისევ რომანოზ ეპისკოპოსისათვის შეუვედრებიათ და საერო ფეოდალის ბატონობას ისევ საეკლესიო მორჩილება არჩიეს (იქვე, გვ. 560).

თვითონ წილქნელი რომანოზის განმარტებით, დაუმორჩილებლობის მიზეზი მთიელთა "მოუქცევარობა" იყო ე.ი. ნაკლებ ქრისტიანობა.

აი, ასეთ ცნობებს გვაწვდის 1669 წლის ეს "გუჯარი" წილქნის საეპისკოპოსოს საშინაო მდგომარეობის, საეპისკოპოსო გადასახადებისა და მთიელი მოსახლეობის შესახებ.

შემონახულია 1701 წლის 16 მაისით დათარიღებული "სითარხის წიგნი ნიკიფორე წილქნელისა როსტომაშვილებისადმი": მუხრანბატონის ყოფილ ყმებს, როსტომაშვილებს, წილქნელი თანხმობას აძლევს, როგორც ჩანს, განსაკუთრებული დამსახურების გამო საეპარქიოს წინაშე. მათ ევალებოდათ მხოლოდ ორი ლიტრა სანთლის, ნახევარი ჩარეჩი საკმლის, ექვსი შულოს გადახდა და აგრეთვე ორი დღე ბარვა, ორი დღე მკა და ორი დღე ხენა. ეს ხდებოდა თავისივე ნებით და მუხრანბატონის ბრძანებით. იმ შემთხვევაში, თუ როსტომაშვილები გაღარიბდებოდნენ და "შინათ გუთანი არ გიბრუნდებოდეთ", მაინც ვალდებულნი იყვნენ 2 ხარიდან ერთი წილქანში ჩამოეყვანათ და აქაურ გუთანში შეეხათ. "არაფრისთანა გამოსაღები არა

გეთხოვებოდესთ რაც საყდრის ბეგარა არ არის სანთლისა და საკმელის მეტი და ის სანთელ-საკმელი ყოველი წლის აღების დამეს უნდა მოიტანოთ, სამასპინძლო არა საშობაო, არა სააღღგომო, თვინიერ ერთის მსახურობის მეტი... და თუ ან საყდრის გაღაგანს აკეთებდენ და თუ ან საყდარს ან ხატვითა ან სხუა მუშაობითა, ისიც იმუშაოთ სხუას წილქნელის თარხანს კაცთანა" (ი. დოლიძე, "ქართული სამართლის ძეგლები" III, თბ., 1979, გვ. 628). როსტომაშვილების გათარხნებას ამოწმებენ მუხრანბატონი, მეფე ერეკლე, წილქნელი მღვდელმონაზონი იოსებ, მღვდელმონაზონი თომა, მღვდელმონაზონი ჯაბიაშვილი და დეკანოზი გიორგი.

1746 წელს წილქნელ ეპისკოპოსს ქრისტეფორეს ერეკლე მეორისაგან "სამწყსოს განახლების სიგელი" ეზოდა. ეს გამოუწვევია იმას, რომ არაგვის ერისთავის ნებართვით ეპისკოპოსი ანანურის შვეით აღარ შეუშვათ და ამით ეპარქიას ფაქტიურად ჩამოშორდა მთიულეთი. სახუცოს გამოსაღებს ერისთავი ითვისებდა. ქრისტეფორეს ერეკლე მეორისათვის მიუმართავს თხოვნით, სამართლიანობა აღედგინა.

"წყალობის სიგელი გიბოძეთ ასე და ამა პირსა ბედან, რომე ჟამთა ვითარებისაგან ანანურის შვეით არაგვის ერისთავს მთის ადგილუბში აღარ შეეშვათ წილქნელი რჯულბედაც მიდრეკილ იყუნენ.

და მოზრძანდით თქვენ, მუხრანის ბატონიშვილი ყოვლად სამღვდლო წილქნელი - მიტროპოლიტი ქრისტეფორე და გვეაჯენით სამწყსოსა თქვენსა, ვითარცა ძველთაგან თქვენი ყოფილიყო და გუჯარშიც ძველთაგან მთა და ბარი თქვენი სამწყსო ყოფილიყო.

და ჩვენც ხელახლა წყალობა გიყავით თქვენი სამწყსო: მთიულეთი, ხევი, გუდამაყარი, ხანდო, ჭართალი... ჩვენ ახლა თქვენის მონასტრის წილქნისა ღვთისმშობელისა ღიღისა ეკლესიისა მჯღომარეს წილქნელს შეგვიწირავს, რაც რომე მთის ალაგებინდამ სახუცო ვეღვას და გამოვიღიდეს, თქვენს მამამთავარს მიეზარებოდეს, და მამათ მთავარი თქვენ მოგართმევდეს" (ი. დოლიძე, "ქართული სამართლის ძეგლები", II, თბ., 1965, გვ. 396).

1800 წლისათვის წილქნის ეპარქიას ტერიტორიულ-ადმინისტრაციული დაყოფით რაიმე

შნიშვნელოვანი ცვალეზადობა არ განუცდია. აქაური მღვდელმთავარი იწოდებოდა მუხრანის, ორივე არაგვისა და ბაზალეთის ეპისკოპოსად. ჰყავდა თავის გამგებლობაში ორი ქორეპისკოპოსი: ერთი კავკასიის სიონში და მეორე ზოდორნაში და რიგით მეოთხედ ითვლებოდა ქართლში. აერთიანებდა 80 ეკლესიას, ჰყავდა 75 მღვდელი, 11 დიაკვანი და 45 საეკლესიო მსახური (АКТЫ, 4, СТ. 165)

XIX საუკუნისათვის წილქნის საეპისკოპოსოს შემოსავალს შეადგენდა 20 კომლი გლეხისაგან შესული 1000 მანეთი და სხვა გადასახადები. ჟამთა სიავისა და მტერთა მუდმივი შემოსევების გამო დაცარიელდა შიდა ქართლი. წელში გატყეხილი მრევლი ვეღარ იხდიდა საეკლესიო გამოსაღებს. ეს აისახა წილქნის საეპისკოპოსოს ეკონომიურ მდგომარეობაზე: 500 სოფლიდან 50-ლა გადაარჩენილა და თვით ეპარქიის ცენტრში, სოფელ წილქანში, მხოლოდ 20 კომლი საეკლესიო გლეხიდა ცხოვრობდა.

1800 წელს წილქნის საეპისკოპოსოს სათავეში ედგა საინტერესო პიროვნება და საეკლესიო მოღვაწე, მთავარეპისკოპოსი იოანე ქარუშის ძე, რომელსაც შეუდგენია გენერალ კნორინგის ბრძანებით იმპერატორ პავლე I სახელზე წერილი, სადაც ნათლად გვიხატავს თავის სამწყსოს წარსულს და თანამედროვეობას.

წილქნელი არქიეპისკოპოსი იოანე იწყებს მოხსენებას საეპარქიოს უძველესი ისტორიის აღწერიდან: "...მეფე ბაქარმა, მეფე მირიანის ძემ, ააგო წილქანში შესანიშნავი ტაძარი გუმბათიანი თლილი ქვისაგან დასვა აქ ეპისკოპოსი და უწყალობა მას იგივე სოფელი, რომელიც მაშინ შედგებოდა 400 კომლისაგან. კიდევ სოფელი ახალდაბა, რომელიც ახლა დაცარიელებულია. ასევე წილქნის სამღებრო და გაამდიდრა ტაძარი ყოველგვარი სატაძრო ინვენტარით. მისკა მრევლად ყველა მიმღებარე სოფლები, რომლებიც მღებარეობენ ქანსა და არაგვს შორის. მათ შორის ბევრი ახლა დაცარიელებულია. ეპისკოპოსს დაევალა ყოფილიყო მწყემსი ორივე არაგვისა და კავკასიის მთიანეთის მოსახლეობისა, საიდანაც ეს მღინარეები იღებენ სათავსს. მაშინ კავკასიის მთიულეები იყვნენ კურთაყვანისმცემლები და შესაწირავს მიაგებდნენ უწმინდურ სულებს. მთიულეები, გუდამაყრე

ლები, ჭართლელები, ხანდოლები, მოხვევები ცხოვრობდნენ სხვადასხვა ხევებში. ბაქარ მეფემ ასე განაჩინა ყოველივე და ბევრი წყალობა მი- აგო ეპისკოპოსს. მასვე დაევალა მთიულთა მო- ქცევა. წილკნის ეპისკოპოსებმა ქრისტიანობაზე პირველად მოაქციეს მთიულეთი, შემდეგ ჭართ- ალი, ხანდო, გუდამაყარი მხოლოდ მოხვევები იყვნენ წარმართულ რელიგიაზე, მაგრამ გარკვე- ული დროის შემდეგ ერთ-ერთმა ათცამეტმა ასურელმა მამამ, ისემ, მოაქცია ისინიც... მაშ- ინ წილკნის სამწყსოს დაემატა ავლევის ხევიც, რომელშიც მოღვინება მდინარე და უერთდება ქსანს. მდინარე ქსანი მომდინარეობს დასავლე- თიდან და უერთდება მდ. მტკვარს, არაგვი კი - აღმოსავლეთიდან ამ სამი მდინარის ტერიტ- ორია არის წილკნის საეპისკოპოსოს სამწყ- სო..." (АКТЫ, 1, СТ. 531)

XIII-ში, მეფე თამარის დროს, მომხდარა გუდას, თუსოს და ზახას ხეობებში ქრისტიანუ- ლი რელიგიის გავრცელება - პროპაგანდა და აქ ეკლესიების მშენებლობა. ამით კიდევ უფრო გაზრდილა წილკნის საეპისკოპოსოს საზღვრე- ბი" (იქვე, გვ. 532).

ამ მოკლე ისტორიული ექსკურსის შემდეგ, იოანე მთავარეპისკოპოსი გადადის თავისი ეპა- რქიისა და შემოსავლის აღწერაზე და მოყვანი- ლი აქვს გლესთა გადასახადების შემდეგი ნუს- ხა: პურის გადასახადი 200 კოდი (კოდი უდრის 2 1/2 ფუთს, კოკა 96 ბოთლს), თვით ეკლესიის სახნავი მიწებიდან (ხოდაბუნი) 200 კოდი, ქერი და ჭვავი 200 კოდი; საეკლესიო ზღს 80 კოკა ღვინო მოჰქონდა, კულუხი (ღვინის ძღვენი) შე- ადგენდა 40 კოკას, სამწყსოდან საეპისკოპოსოს გადასახადში შედიოდა სამ წელიწადში ერთხ- ელ 120 მანეთი მღვდლისთვის. ამის გარდა, სა- ქართველოს მეფეც ყოველწლიურად ეპარქიას სწირავდა 200 მანეთს სახარჯოდ. ეკლესია სამ- ლებროდან შემოსავლის სახით იღებდა 400 მან- ეთს. საძოვრებიდან "საბალახოს" გადასახადის სახით, 100 ცხვარს, მთიულეთიდან 12 წვრილფე- ება საქონელს. ჰყოლიათ ყმები ვარდისუბანში 2 ძალისში -4, მუხრანში- 1, კახეთის სოფელ გრ- ემში - ერთი კომლი გლეხი, რომელიც წელიწ- ადში 20 მანეთს იხდიდა წილკნის ეკლესიის სა- სარგებლოდ (იქვე, გვ. 535).

ასეთი იყო ძირითადად წილკნის საეპისკო-

პოსოს საშემოსავლო წყარო.

"ჩემი სამწყსო"-წერს ეპისკოპოსი იოანე, -" დაწყებული ზარიდან დამთავრებული კავკასიის მთებით, შედგება სულ მართლმადიდებელი ქრ- ისტიანებისაგან, რომლებიც შეადგენენ დაახლ- თებით 3000 სახლს, მაგრამ სამწყსოდ მათი ნამდვილი აღწერილობა არ არსებობს..." (ივე, გვ. 534).

XIX საუკუნის დასაწყისში წილკნის საეპი- სკოპოსოს 60 მღვდელი ჰყავდა და 5 ღიაკვანი. სოფელ წილკანში ორი მღვდელი, ერთი ღეკან- თში, ორი ღიაკვანი, ერთი იეროდიაკვანი, ოთხი იპოდიაკონი - მიქერალი, ოთხი საერო მსახური და ოთხი მოსწავლე, რომლებსაც ეპი- სკოპოსი თავის ხარჯით ასწავლიდა (იქვე, გვ. 533).

მიმართვა -წერილში პავლე I-ის სახელზე, იოანე ჩამოთვლის ყველა იმ სოფელს თუ დასა- ხლებას, რომელიც მის ეპარქიას ეკუთვნოდა: "მოხვევები, მთიულები, გუდამაყრელები, ხანდ- თელები, ჭართლელები. მათ დაკავებული აქვთ კავკასიის მთების ხევები და ყავთ საკმაოდ ხში- რი მოსახლეობა. ამის გარდა არის სოფლები: დაბა-ქალაქი ანანური, ზემო კისისხევი, ქვემო კისისხევი, ციხისძირი, აბზავი, არღუნი, მთიუ- ლიანთკარი, ტონია, გრემისხევი, ებნისი, ჩილ- ურთი, ზაზალეთი, გრიგოლანთკარი, ტოვალისი, არანისი, არაგვისპირი, ქვემო არაგვისპირი, ზოლორნა, ხიდა, საშაბურო, ზაგა, წინდუშეთი, კობიანკარი, თვარელიანთკარი, ჭიაბრიანთკა- რი, ყარაულთკარი, სოფელ-ქალაქი დუშეთი, ზედა ალვეი, ქვედა ალვეი კორინთა, იკორთი, ზედა იკორთი, სოფელ-ქალაქი, ახალგორი, ძე- გლევი, ოძისი, კერანა, ქსოვრისი, დამპალა, მჭადიჯვარი, მუხრანი წილკანი, სადაც არის კათედრალური ტაძარი. ეს სოფლები ახლაც არსებობენ და ხშირად არიან დასახლებულნი" (იქვე, გვ. 535).

მთავარეპისკოპოსის იოანეს ეს აღწერა გა- უკეთებია მის ხელთ არსებული სიგელ-გუჯრებ- ის საფუძველზე. ეს პიროვნება ცნობილია იმით- აც, რომ 1802 წელს აღუვლენია ლოცვა ანანუ- რში რუსეთიდან დაბრუნებული წმიდა ნინოს სასწაულმოქმედი ვაზის ჭვრის მისაგებებლად.

საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმების შემდეგ, 1811 წელს, რუსულმა მმარ-

თველობამ წილკნის საეპარქიოსოსოც გააუქმა და შეუერთა ახლადწარმოქმნილ მცხეთისა და ქართლის ეპარქიას. ბოლო წილკნელი ეპისკოპოსი გერვასი, რომელსაც დიდი რელიგიური, სარწმუნოებრივ-მისიონერული მოღვაწეობით გაუთქვამს სახელი კავკასიის მთიელ მოსახლეობაში, განსაკუთრებით კი ოსეთში, გარდაიცვალა 1817 წელს. საწილკნო დიდ გაჭირვებაში ჩავარდნილა როგორც მატერიალური, ისე მორალური მხარდაჭერის მხრივ. ამავე დროს გამწვავებულა ურთიერთობა წილკნის ღვთისმშობლის ტაძრის მესვეურებსა და მუხრანის მფლობელ თავად კონსტანტინე ზაგრატიონ-მუხრანელს შორის, რადგანაც ეს უკანასკნელი თავისი ფინანსური მდგომარეობის გაუმჯობესებას ცდილობდა საეპარქიოსო შევიწროების გზით.

საქართველოს საქმეებში გაუთვითცნობიერებელი რუსული მმართველობის წინაშე თავადი მუხრანელი აცხადებდა, რომ ოდითგანვე წილკნის საეკლესიო მამულები, ღვთისმშობლის ტაძარი და თვით სოფელი წილკანი უძრავითა და მოძრავით არა საეპარქიო საკუთრებაა, არამედ მკვიდრი მამულია ზაგრატიონ-მუხრანელებისა. ამავე დროს, თავადი მკაცრ სანქციებს აწესებდა წილკნელი გლეხების მიმართ, მათი შევიწროებით, წყლის გადაკეტვით, მამასახლისების ჩაყენებით. საეკლესიო გადასახადების მითვისებითა და საქონლის წართმევით იმისათვის. რომ საეკლესიო ყმები თავის მხარეს იძულებით გადაეყვანა.

გამოძიება მიეღ 25 წელიწადს გაგრძელებულა და ბოლოს, 1836 წელს, სამართლიანად დამთავრებულა ზაგრატიონ-მუხრანელებს ვერ დაუმტკიცებიათ ვერავითარი საბუთებით საეპარქიო საკუთრებაზე თავიანთი უფლებები და წილკნის ეკლესიას გამარჯვებით დაუგვირგვინებია საქმე (საქ. ც.ს.ა., ფ. 26, აღწ. I, საბ., 75).

1811 წლის შემდეგ წილკნის უძველესი ეპარქია, სამწუხაროდ, გაუქმებული ყოფილა. მხოლოდ 1917 წელს, როდესაც აღდგა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია, განახლდა წილკნის ეპარქიაც, მაგრამ მისი კუთვნილი ტერიტორია დროებით შეითავსა მცხეთის ეპარქიამ და წილკნელი ეპისკოპოსები მცხეთის სვეტიცხოველში ასრულებდნენ წირვა-ლოცვას და იქიდან ავეღრებდნენ თავიანთ სამწყსოს უფალს.

წილკნის საეპარქიოსო ძველთაგანვე ქობია წიგნთსაცავი რომელიც ღვთისმშობლის კათედრალურ ტაძართან არსებობდა და ცნობილი გადაშენებაც ჰყოლიათ.

ლიტერატორ-მწიგნობართაგან პირველ რიგში, უხდა მოვიხსენიოთ გადაშენი უფრემ წილკნელი, რომლის სახელიც იკითხება ცნობილ მინაწერში იაკობის ჟამისწირვის ხელნაწერისა, რომელიც სამეცნიერო ლიტერატურაში მე-11 საუკუნით თარიღდება.

მე-16 საუკუნეში წილკანში მოღვაწეობდა გადაშენი ზასილი. მის მიერ გადაწერილ წიგნთაგან ჩვენთვის ცნობილია "თვენი", რომელიც მას დაუმზადებია კონსტანტინე მფორეს (1479-1505 წ.წ.) ძის ზაგრატ მუხრანბატონის ბრძანებითა და საფასით.

წილკანში ერთ ხანს მოღვაწეობდა ცნობილი ქართველი მწიგნობარი იოსებ სამეხელი. აგრეთვე ქრისტეფორე, არსენ წილკნელები. მაგრამ აქაურ მოღვაწეთაგან განსაკუთრებით აღსანიშნავია აშბროსი მიქაძე, რომელიც წილკნელია 1777-1792 წწ-ში. მის მიერ წილკანში დაწერილი თხზულებებიდან აღსანიშნავია: "წიგნი აღსარებისა", "განგება წირვისაჲ", "განგებაჲ თუ ვითარ ჯერ არს მომზადებად ლიტურლიაჲ", "ღვთისმშობლის საგალობელი" და სხვ. (ლ. მენაბდე, ძველი ქართული მწერლობის კერები, - ნაწ 1, თბ., 1962, გვ.224).

წილკნის ტაძრის წიგნთსაცავს ხელნაწერებს სწირავდნენ აშბროსი მიქაძე, დომენტი ქათოლიკოსი, გერვასი მაჭავარიანი და სხვები. ტაძართან არსებობდა სამრევლო სკოლაც.

წილკნის ღვთისმშობლის სახელობის კათედრალური ტაძარი შიდა ქართლის არქიტექტურის მშვენიერებაა. ძეგლის უძველესი ნაწილი სტრუქტურულ-კონსტრუქციული და მხატვრულ-დეკორატიული თვალსაზრისით უნიკალურია და აღრექრისტიანული ხანის უბრწყინვალეს ნიმუშს წარმოადგენს. ტაძრის მხატვრულ ფორმებში არის შემონახული უძველესი მოტივები, რომლებიც წარმართული პერიოდიდან გადმოდიან ქრისტიანულში და, ამიტომაც, ეს ძეგლი მათ შორის გარდამავალ საფეხურს წარმოადგენს. ასეთი ნაგებობები კი საქართველოში არც ისე ბევრი გადაურჩა დროთა მსვლელობას.

წილკნის საეპარქიოსო დიდ სიწმინდეს შეა-

დგენს ქართული ეკლესიისა და ხელოვნების შესანიშნავი განძი და საუნჯე სასწაულმოქმედი წილკნის ღვთისმშობლის ხატი, რომლის სახეთა დიდებულება და სილამაზე ძველთაგანვე ანცვიფრებდა და უდიდესი პატივისცემითა და კლემამოსილებით განაწყობდა მნახველს.

თავისი ზეზუნებრივი ნიჭით ამ ხატს შორს პქონდა სახელი განთქმული. ამ წმიდა საუნჯეს უდიდესი მოკრძალებით მოიხსენიებდნენ ქართლელები, მთიულეები, მთხევეები, ოსეთის მოსახლეობაც კი და შორეული ხეობებიდან ეახლებოდნენ ხოლომე მხსნელს და მფარველს თავყვანისცემად საეპარქიოს კათედრალურ ტაძარში. მრევლი ახლაც დიდი სიყვარულით იხსენიებს მის ძალასა და მადლს.

გადმოცემით, ეს სასწაულმოქმედი ხატი ლუკა მახარებლის დახატულია ღვთის აკვნის ფიცარზე. მატინე კი ამ ხატს პირველად მოიხსენიებს YI საუკუნეში, როცა წმიდა მამა ისე წილკნელი ილოცებს ღვთისმშობლის სახების წინაშე და შემდეგ სასწაულმოქმედებით რუს გაყვანას შეუდგება.

ხატი შესრულებულია ხატწერის უნიკალური მეთოდით, ცვილოვანი საღებავებით. ანუ ენკაუსტიკის ტექნიკით. ლ. ხუსკივაძე მას ქართული წარმოშობისად მიიჩნევს და IX საუკუნეს მიაკუთვნებს, ხოლო სხვა მეცნიერები ბიზანტიური ხელოვნების ნიმუშად აღიარებენ და X-XII სს. მიიჩნევენ.

1925 წლიდან ეს წმიდა საუნჯე საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ქედური ხელოვნების საგანძურში მოუთავსებიათ, სადაც დღემდე ინახება.

ღრთთა მუხანათობამ ბევრი ტკივილი მიაყენა ეპარქიის ცხოვრებას და მის კათედრალსაც. ათწლეულების მანძილზე მრევლისაგან ობლად გამოკეტილი იყო წილკნის სამწყსოს ეკლესია-მონასტრები. მძიმე დღეები დაუდგა საეპარქიოს, ისევე როგორც, საქართველოს მთელ რელიგიურ-საეკლესიო ცხოვრებას. მაგრამ, საბუნდუნოდ, დაცემას აღდგომა-განახლება მოჰყვა, ღვთის მადლით და შეწევნით -1988 წლის ნოემბერში წმიდა ღვთისმშობლის ტაძარმა კვლავ მოუხმო მრევლს ღვთის სადიდებლ-

ად.

ტაძრის, როგორც საეპისკოპოსო კათედრალის ამოქმედებისა და კურთხევის პატივი წილად ხვდა წილკნელ ეპისკოპოსს, მოსიძეს, რომელიც ეპარქიას 1984 წლიდან ჩაუდგა სათავეში. საეპარქიოში უკვე დატრიალდა წირვა-ლოცვის მადლი: ამოქმედდა ყაზბეგის სიონი, ანანური, მჭადიჯვარი, მუხრანი და სხვა ტაძრები. სულ ბოლოს, 1990 წლის 13 მაისს, ცხინვალის ღვთისმშობლის ტაძარიც ეკურთხა ხელახლა. ყოველივე ამან ეკლესიის შესვეურთ სულიერ სიხარულთან ერთად დიდი სამრუნავიც შესძინა: უმოქმედობისა და უყურადღებობისაგან თითქმის დანგრევამდე მისული ღვთის ტაძრები საჭიროებენ სასწრაფო შეკეთებასა და აღდგენას.

მეცხრამეტე საუკუნის 40-იან წლებში რუსი პოეტი და მოგზაური ალექსანდრე მურავიოვი წერდა, რომ წილკნის ტაძრის მრევლმა იცის, რომ სწორედ ღვთისმშობლის ტაძრიდან მოდის მათი სულიერი განათლება, ამიტომაც ესწრაფვიან მის აღდგენას. (A. Муравьев "Грузия и Армения", ч. III. 1848г. ст.81) ასეთი განათლება, ახლა, ამდენი ხნის სულიერი ურწმუნოებისა და უმოქმედობის შემდეგ, ყველასათვის უფრო მეტად საჭირო და აუცილებელი გახდა. მხოლოდ ერთმანეთის თანადგომა, განახლება-ალორძინებისაკენ და ჭეშმარიტი სიკეთისაკენ სწრაფვა თუ ააფლვარებდა ჩამქრალ კულაპტრებსა და ობლად დარჩენილ ჩვენს მამა-პაპულ სალოცავებს.

წილკნის ღვთისმშობლის ტაძრის კედლების წმიდა ფრესკები ფაშთა სიავისაგან უმეტესად გამქრალან, და რაოდენ სიმბოლოურია, რომ დღეისათვის, საბუნდუნოდ, მაინც გადარჩა თვით ტაძარი და გუმბათის შიგნით უფლის დიდებული გამოსახულება წარწერით: "უფალო, უფალო გადამოიხილე მეცით და იხილე და შეიწყალე შვილნი შეილთა შენთანი და ადგილნი..."

სიყვარულით შემოგვცქერის საკვირველი ხატი წილკნის ღვთისმშობლისა და გვჯერა, რომ იგი არ მოაკლებს თავის უძველეს სამწყსოს მფარველობას და დალოცვას მის მომავალს.

ქართულ თეოლოგიურ ლიტერატურაში, კერძოდ, პაგიოგრაფიაში, ერთობ საყურადღებოა ბიზლიის ცალკეული წიგნების ავტორთა თუ საქვეყნოდ ცნობილ, აღიარებულ თეოლოგთა, ფილოსოფოსთა, საღვთო წიგნების ინტერპრეტატორთა ნაშრომებიდან ციტატების მოხმობა, ანალოგიის სახით პასაჟების "დასესხება", მხატვრულ-სიმბოლური ხატების მეტ-ნაკლები სიმუსტით გადმოტანა. ამგვარი ლიტერატურული "კომპილაციის" პროცესში ჩვენი სასულიერო მწერლები, შუა საუკუნეების თეოლოგიურ-ფილოსოფიური აზროვნების კვალბაზე, ზოგჯერ თავიანთ ნებისაებრ ირჩებიან: სურთ და ასახელებენ ავტორს ან წყაროს, სურთ და წყაროს, ავტორის დაუსახელებლად მოიშველიებენ ციტატას, ფრაზას, დებულებას-მცნებას და ა.შ. არცთუ იშვიათია შემთხვევები, როდესაც პაგიოგრაფები საკუთარი, წინასწარგაცნობიერებული გეგმის შესაბამისად ამა თუ იმ ციტატას შეგნებულად "ცვლიან". ამ მომენტის გასათვალისწინებლად შევჩერდებით იაკობ ცურტაველის "შუშანიკის წამების" ერთ ადგილზე, რომელშიც, ჩვენი აზრით, სათანადოდ გამოიკვეთება ამ საკითხის სრული არსი თუ არა, ზოგიერთი მომენტი მაინც. "შუშანიკის წამება" ისეთი ქმნილებაა, რომელიც ოდენ ერთი კუთხით, ერთი თვალთახედვით არ იკითხება. ეს გარემოება, შეპირობებული ავტორის მაღალმხატვრული ოსტატობით, იწვევს აზრთა ნაირგვარობას ზოგიერთი ადგილის წაკითხვისას. წინამდებარე ნაშრომიც ერთი ამგვარი რიგის ამოცანას ისახავს მიზნად, სახელდობრ, თ. ნატროშვილის სტატიაში - "არამედ განუყენენ" ლიტერატურული საქართველო", 19.II.1982, N8(2189) - წამოჭრილი საკითხის ირგვლივ ორიოდე შენიშვნა-ვარაუდის გამოთქმას და არა სტატიის ავტორის მოსაზრებათა საზოგადოდ ხელაღებით კრიტიკას.

მკვლევარი ისევ აყენებს დღის წესრიგში ქართული ლიტერატურათმცოდნეობისა და ისტორიოგრაფიის ერთ საჭოჭმანო საკითხს: ჰყავდა თუ არა ვარსქენ პიტიახში მეორე ცოლი შუშანიკის მოწამებრივი აქტის პერიოდში? ეს საკითხი (ვარსქენის მეორე ცოლის რეალურად არს-

ებობა-არარსებობა) ავტორს სტატიის პირველ ნაწილში განხილული აქვს სხვა მომენტთან, კერძოდ, შუშანიკის, როგორც ქალისა და, რაც უფრო ანგარიშგასაწევია, დედოფლის პატივღირსების შელახვის მომენტთან მიმართებაში. იაკობ ხუცესის ფრაზა - "მერმეცა იპოოს ვინმე, რომელმან ესე შეიმკოს" თ. ნატროშვილის წაკითხვით (უნდა ითქვას რომ სტატიის ავტორს და ქვემოთაც დანასკვი პრინციპულად, შეუხრეულად არ გამოაქვს), გულისხმობს "ორი ცოლიდან ერთისადმი უპირატესობის ანუ დედოფლობის მინიჭებას". აზრი იმის შესახებ, რომ ეს სამკაულები, შესაძლოა, სადედოფლო ინსიგნიები, რეგალიები იყოს, საფუძვით მისაღებად მოჩანს, მაგრამ ვერ დავეთანხმებით იმ ვარაუდს, რომ შუშანიკის სადედოფლო რეგალიების კონკურენტი იმხანად ვარსქენის საპიტიახში კარზე იმყოფება. რა ვუყოთ II კავშირებითის ფორმის მშენებ- "იპოოს", "შეიმკოს"? თანამედროვე სალიტერატურო ქართულით შემოხსენებული ფრაზა ასე წაიკითხება: შემდეგაც აღმოჩნდება ვინმე, რომელიც შეიმკობს მას /მათ/. ე.ი. ასეთი კონკურენტი ჯერ გამოჩენილი არ არის /ვარსქენს არ ჰყავს მეორე ცოლი/, მაგრამ შუშანიკი მის გამოჩენას მოესწრება.

ეგვს ყურადღება უნდა მიექცეს სხვა ფაქტსაც. კერძოდ, "მერმეცა"-ს ერთადერთი მნიშვნელობაა "შემდეგ". მაშასადამე, ვარსქენს იაკობისათვის უთქვამს: "შემდეგ აღმოჩნდება ვინმე, რომელიც ამ სამკაულებს დაიმშვენებს". ეს ნიშნავს- ახლა, იაკობთან საუბრისას, მეორე ცოლი სასახლეში, ქართლში არა ჰყავს. აპირებს კია მის ჩამოყვანას, სწორედ მის ჩამოყვანას, რადგანაც ძნელია პატრონთან (პეროზთან) სიტყვის გატეხა.

თ. ნატროშვილი მიზანდასახულად, სამეცნიერო-თეოლოგიური ლიტერატურის მოშველიებით ასაბუთებს საკუთარ თვალსაზრისს - აქცენტირებულია ის დიალოგი ხუცესსა და შუშანიკს შორის, როდესაც დედოფალი მოიხმობს პავლე მოციქულის სიტყვებს: "...არა დამოწმებულ არს ქმარ გინა დაჲ, არამედ განუყენენ". ეს პასაჟი მოხმობილია იმის სამტკიცებლად, რომ, "თუ ურწმუნო ქმარს სურს გაყრა, მორწმუნე ცოლ-

საც შეუძლია გაეყაროსო.

მაგრამ არსაიდან ჩანს, რომ ვარსქენი ყურება ცოლს. პირიქით, შემდგომში არაერთხელ ვხედავთ, რომ ვარსქენი დაწინებთ მოითხოვს შუშანიკის დაბრუნებას"/თ. ნატროშვილი/.

შემდგომ მკვლევარი წერს: "უნდა აღინიშნოს, რომ პავლე მოციქულის ეპისტოლედან შუშანიკის მიერ დამოწმებული მუხლის სხვაგვარი ინტერპრეტაციაც არსებობს. კერძოდ, ღვთისმეტყველნი ითანე თქროპირი და, მასზე დაყრდნობით, თეოფილაქტე ბულდარელი ასე განმარტავენ მე-15 მუხლის შინაარსს: თუ ურწმუნო მეუღლე გიბრძანებს, მონაწილეობა მიიღო მის მსხვერპლშეწირვასა და უწმინდურობაში ანდა მიატოვო იგი, უმჯობესია დათმო ქორწინება, ვიდრე შენი ღვთისმოსაობა. მაგრამ იაკობისა და შუშანიკის დიალოგი მიმდინარეობს ვარსქენის ჩამოსვლამდე და ჯერ უცნობია/დაყოფა ჩვენია-ო.გ./ვარსქენის რეალური პოზიცია სარწმუნოებრივ საკითხში".

მიუხედავად შუშანიკის წამების ტექსტს. მოაღწია რა ქართლის სანახებს, გამამდევანებულმა პიტიახშმა წარმოჰმართა სადიასპანოითა ცხენითა მონაი თვისი" (ეგებ აქვე ითქვას -ეს "მონა თვისი" არაა "კაცი ერთი სპარსი"; იგი, ეჭვგარეშეა, ქრისტიანია. სამწუხაროა, რომ ზოგიერთ სოლიდურ გამოკვლევამაც კი, აღბათ უნებლიედ, იგი "ვინმე სპარსადაა მიჩნეული). აი, ამ დღესანს. ქმრის "უბადრუკობის" კარგად მცოდნე შუშანიკი "აფუცებდა და ჰკითხვიდა დამტკიცებულად. ხოლო კაცმან უთხრა მართალი და პრქუა, ვითარმედ: "ვარსქენ უვარყო ჭეშმარიტი ღმერთი". შესაძლოა, შემოგვედავონ, რომ ეგების ჯერხობით შუშანიკს /და მკითხველსაც/ არ ჰქონდეს მუსტად შეცნობილი "რეალური საფუძველი" ვარსქენის შემდგომი სარწმუნოებრივი პოზიციისა, მაგრამ ვინ-ვინ და წამებულმა დედოფალმა ჩინებულად უწყობდა ქმრის ხასიათი. მოვლენათა მსვლელობაც ხომ იმას გვიდასტურებს, რომ ეს არ იყო ვარსქენის მიერ მამდევანობის მხოლოდდა ნომინალური აღიარება.

ვარსქენის გამამდევანება რომ მოულოდნელი არ იყო შუშანიკისათვის, ეს თ. ნატროშვილს კარგად მოეხსენება: "წ შუშანიკს ძალზე კონკრეტული ფორმით ესახება ვარსქენის გამამ-

დევანება, ჯერ კიდევ მის გამოჩენამდე ცურტავში..." მით უმეტეს ცოტა უცნაურად გვეჩვენება საუბარი ვარსქენის აღმსარებლობის რეალურ საფუძველზე". ის კი არადა, შუშანიკი სულაც აღრევე გრძნობდა ქმრის ხვაშიადს: "და უკეთურებისა მის სახისა ქმრისა მისისაისა მარადის გულს ეტყვიან და ვევედრებიან ყოველთავე ლოცვის-ყოფად მისთვის, რაითამცა ცვალა იგი ღმერთმან სახისა მისგან უგუნურებისა და იქნადა გონიერებასა ქრისტიებისა". ე.ი. წლების მანძილზე მერყეობდა ვარსქენი ქრისტიანობასა და მამდევანობას შორის ქართლშივე. შუშანიკი წლების მანძილზე ეხვეწებოდა ყველას -ილოცეთო ვარსქენისათვის, რათა იგი არ განდგომოდა ჭეშმარიტ სარწმუნოებას /ნ. ჯანაშია/. ასე რომ, ფაქტიურად, შინაგანად ქართლის პიტიახში ჯერ კიდევ ქართლშივე გამამდევანებული და ამას ოფიციალურ სახეს აძლევს პეროზთან. ცხადია, ეს არაა ნომინალური აქტი, პირიქით! ამასვე მოწმობს შუშანიკის გოდება - "უჟამოდ ნაყოფნი ჩემნი..." იგი როგორც მოწამე, გოდებს არა თვით წამების პერიოდში მიყენებულ ტანჯვამე/ასეთ შემთხვევაში იგი არც იქნებოდა საეკლესიო მოწამე/, არამედ საერთოდ წყველის იმ წინა პერიოდს, რომელიც მან ვარსქენის, ვითარცა ქმრის ხელში გამოიარა". გარდა ამისა, "Из контекста видно, что Шушаник, говоря об "увядании цветка" уповае на божью милость и считает, что божий суд не мшует Варскена"... წამებული დედოფლის მიერ ნახსენები "цветок"-двублейская метафора-символ, его кратковременное цветение и увядание указывает на тщетность земной славы и суетность земной жизни (см. Псалм., 102, 1, 24-25)". მკვლევარის, მანანა გიგინიევიშვილის, ეს მუსტი მითითება ნათელს ხდის, რომ შუშანიკის მოთქმა უპირველესად წმინდანისეულია, ბიბლიურ მცნებებს ნაშთარევი პიროვნებისა და შემდგომ — ქალური, ადამიანური.

ის ფაქტი, რომ "მართალია, ვარსქენი სპარსთა მეფეს შეჰპირდა შუშანიკის გამამდევანებას, მაგრამ შემდგომში მოითხოვს მხოლოდ და მხოლოდ ცოლის დაბრუნებას ოჯახში"/თ. ნატროშვილი/, ვერაგული ფანდია, რასაც წინასწარმეტყველურად იმთავითვე მიუხვდა შუშანი-

კი: "ვარსკენი ქმრის უფლებას გამოიყენებს და გამამამბდენებსო. დაასწრო ვარსკენს, სასახლე დატოვა და პიტიახმის მეუღლეობა უარყო - "ნუ დაგიჯერებოდა, თუკა მე მისა ცოლად-ლა ვიყავ", - ხმამაღლა განაცხადა განდგომილმა. პიტიახმს კოფი ნაცარში ჩაუვარდა, ამოღდა ეცადა უფლების აღდგენას" (გ. ჯაფარიძე). ხოლო ვარსკენი რომ უცილობლად გამოიყენებდა ოჯახის უფროსის უფლებას, ეს ნათლად ჩანს მისი შვილების მაგალითზეც.

სრულად მოგვაქვს კორინთელთა მიმართ პავლე მოციქულის I ეპისტოლეს მე-7 თავის მე-15-16 მუხლები: "ხოლო უკეთუ ურწმუნო იგი განეყენებოდის, განეყენებ; არა დამონებულ არს ძმად იგი გინა და ესევეითარიითა მით, რამეთუ მშვიდობასა გვიწოდნა ჩუენ ღმერთმან"; "რამეთუ რად იცი, დედაკაცო აცხოვრო თუ ქმარი შენი? ანუ შენ რად იცი, მამაკაცო, აცხოვრო თუ ცოლი შენი?" აქვე მკითხველს ვთავაზობთ პროფ. ა. ლოპუხინისეულ კომენტარს ამ მუხლებისას: "იმ შემთხვევაში, როდესაც არაქრისტიანი ქმარს არ ჯერ - უჩნს ცოლ-ქმრული ცხოვრება ქრისტიან ქალთან, უკანასკნელმა უნდა მიატოვოს იგი. - ასეთ შემთხვევაში დამონებულნი არ არიან. მოციქულს აქ, რა თქმა უნდა, მხედველობაში აქვს ყოველგვარი მიწიერი ურთიერთობის წარმავალი ხასიათი შედარებით მარადიულ ინტერესებთან, მხოლოდღა რომელთაც აქვთ აუცილებელი მნიშვნელობა მორწმუნისათვის. მშვიდობისაკენ - უფრო ბუსტად: "მშვიდობასა შინა". მოციქულს სურს, თქვას, რომ მორწმუნენი მიწვეულნი არიან მშვიდობასა შინა.- რამეთუ რად იცი... დათმობამ, წყნარმა თანხმობამ განქორწინების თაობაზე, რომელსაც სთავაზობს ქრისტიანი ცოლი თავის წარმართ მეუღლეს, შესაძლოა, უფრო მეტად განაწყოს იგი ქრისტიანული რელიგიისა და ცოლის წინაშე საკუთარის ბრალეულის შეგნებისადმი, ვინემ ცოლის მიერ ქმართან ერთობლივი ცხოვრების დაფინებითა დაჩემებამ".

როგორც შემთხვევით ითქვა, შუშანიკი "ქმრისა მისისაისა მარადის გულს ეტყვიან და ევდრების ყოველთავე ლოცვის -ყოფად მისთვის", მაგრამ ლოცვა-ვედრება და შუშანიკის ხანიერი ძალისხმევა ამათ აღმოჩნდა და რაკი არანაირად აღარ ეგულვებოდა "ყოფად მის თანა", მიატოვა

იგი. ამ მომენტში, ეგებ, წინააღმდეგობად მოჩანდეს ის ადგილი თხზულებისა, სადაც ეპისტოლოსი და ჯოჯიკის სახლობა "მრავალსა დასაჯერებელსა სიტყუასა ეტყოდეს მას" ვარსკენთან დაბრუნების მიზნით, მაგრამ, ჩვენი აზრით, აქაც ხერხდება მაჯერებელთა უმთავრესი განაზრახვის "ამოცნობა"- მიზეზი, რის მიხედვითაც მოციქული ნებას რთავს ამგვარ შერეულ ქორწინებას, მოქცეულია ქრისტიანული რელიგიის განმწმენდ /განმანათლებელ/ ძალაში... აქ საუბარია იმის თაობაზე, თუ რაოდენ წმინდანადაა შერაცხული წარმართის მეუღლე ეკლესიის მიერ... ისინი ამ ადამიანს /ქრისტიან ქალს.- ო.გ./ თვისად თვლიან, არ ეშინიათ, რომ იგი შეიბღწება /ა. ლოპუხინის კომენტარი/.

ბ. კილანავას ვრცელ სტატიაში - "მიახლოება ცურტაველთან" - აღძრულ ორ საკითხთანგან ერთი საკუთრივ თ. ნატროშვილის შემოხსენებულ პუბლიკაციას ეხება. მკვლევარი საქმის ცოდნით, საფუძვლიანად მიმოიხილავეს "შუშანიკის წამებაში" მოხმობილ პავლე მოციქულის ცნობილ სენტენციასთან დაკავშირებულ პასაჟს თხზულებისას და დაასკვნის, რომ შუშანიკი წლების მანძილზე ერთგულად ემსახურებოდა ბიბლიურ მცნებას, გამიზნულად ვიღოდა ეკლიან გზაზე მის აღსასრულებლად, მაგრამ, როცა "ყოფლად განწირულმა" ვარსკენმა საბოლოოდ "განაგდო სანატრული სასოება ქრისტიისი", შუშანიკის "შეკრება" გახდა უპერსპექტივო, ქვეყნის დაღატაკის ფარდი. წინააღმდეგ ბიბლიური მოლოდინისა, ვარსკენი არ "განმწმდა" და არც მეუღლისაგან განშორება ისურვა /პირიქით, დაფინებით მოითხოვა მისგან "შეკრება"/... ბ. კილანავას ის თვალსაზრისი აქვს გატარებული, რომ იაკობ ცურტაველმა თავისი დასტურით "ეგრეთ არს!" - ქრისტიანულ რწმენას სავესებით გააზრებულად შეურწყა ეროვნული იდეალები.

ცხადია, ბიბლია სასულიერო მწერალთათვის შემოქმედების ქვაკუთხედი და მასაზრდოებელი წყარო იყო წმინდა ლიტურატურულ-თეოლოგიული თვალსაზრისითაც, მაგრამ ისიცაა გასათვალისწინებელი, რომ იმდროინდელი ჰაგიოგრაფიული მწერლობის ლიტურატურული წესნორმები, შემდგომში ეტიკეტად გაფორმებული, ბიბლიური ტექსტის ერთგვარი ინტერპრეტირე-

ბის "უფლება" = საშუალებას იძლეოდა, ოღონდ ამ შემთხვევაში აშკარა ხელყოფა კი არ ხდებოდა, არამედ ერთგვარი ტრანსფორმაცია კანონ-მიზრებული ბიბლიური ტექსტისა.

მოგვიანებით გამოქვეყნდა აწ გარდაცვლილი მეცნიერის ნ. ჯანაშიას წერილის - ისევ "შუშანიკის წამების" შესახებ, რომელშიც ტექსტის კვალდაკვალ, ჩაძიებითაა მიკვლეული წამების ის აღვლილები, სადაც "ყველაში თუ არა, ზოგში ხომ მაინც უნდა გამოჩენილიყო პიტიახშის მეორე ცოლი.

სტატის დასკვნით ნაწილში განსვენებული მეცნიერი სვამს კითხვათა რიგს, რაც კვლავაც იმ თვალსაზრისისაკენ გვაბრუნებს, რომ შუშანიკის მოწამებრივი დვაწლის პერიოდში ვარსიქენს მეორე ცოლი არა ჰყავს; ყოველ შემთხვევაში აქ, ქართლში იგი ჩამოყვანილი არაა.

ვეფქრობთ, უნდა ითქვას, მცირედი რამ ლაზარ ფარაპელის "სომხეთის ისტორიაში" შუშანიკის არმოუხსენებლობის ირგვლივ; ეს საკითხიც თ. ნატროშვილს, მისთვის ჩვეული სიმახვილით აქვს წამოჭრილი. ილ. აბულაძე წერს: "ლაზარეს დუმილის შესახებ საგულისხმო მოსაზრება აქვს პ. პეტერსს გამოთქმული: "ვარდან დიდის ქალის სახელი არაფითარ საპატოო მოსახსენებელს შეუქმნიდა იმ გმირს /ე.ი. ვაჰან მამიკონიანს/ რომლის შექებასაც მან /ე.ი. ლაზარე ფარაპელმა/ მიჰყო ხელი", რადგანაც შუშანიკის ქცევაში სამართლიანად ჩვენი მკვლევარი მარტოლენ რელიგიის ინტერესებისა და ოჯახური სიწმინდის დაცვას კი არ ხედავს, არამედ უფრო პოლიტიკურს". ცვაწმობისლი მკვლევარი იმ თვალსაზრისს ადგას, რომ "ვაჰანის პიროვნების სათანადო წარჩინების სურვილი უნდა იყოს მართლაც მიზეზი იმისა, რომ ვაჰან მამიკონიანის კარის ისტორიკოსი -ლაზარე ფარაპელი - არას ამბობს სრულიად შუშანიკის ამბების შესახებ" (ილ. აბულაძე).

ნ. ჯანაშია იმ ვარაუდისაკენ იხრება, რომ "ან ლაზარმა შუშანიკის წამება არ ჩათვალა იმდენად მნიშვნელოვან ამბად, რომ მოეტანა იგი თავის წიგნში, ან ეს ამბავი იმდენად განსხვავებულად იცოდა, ისეთი ვარიანტით, რომელიც არ იძლეოდა საშუალებას ძალიან ამაღლებულ ტონებში ლაპარაკისა".

თ. ნატროშვილი გვთავაზობს პ. პეტერსისა და ნ. ჯანაშიას თვალსაზრისთა ურთიერთშე-

ჯერება-დაკავშირებას, რაც, მისი აზრით, "არ უნდა იყოს ძნელი. ლაზარმა, ალბათ, იცოდა შუშანიკის წამების ამბავი, როგორც შედეგი ოჯახური დრამისა და მიტომაც არ მიიჩნია მნიშვნელოვან ამბად თავისი თხზულებისათვის".

პ. პეტერსისა და ნ. ჯანაშიას მოსაზრება-ვარაუდთა დაკავშირება -მოსადაგება ეგრერიგ იოლად არ გვესახება; ასეთ შემთხვევაში ხომ არ შეიქმნებოდა ისეთი სიტუაცია, როდესაც შუშანიკის მოწამებრივი დვაწლის პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივი რეზონანსი იქცევა უბრალო "ოჯახური დრამის შედეგად"? ამის დაშვება ლაზარ ფარაპელის "თვალთახედვითაც" არ ეგებ-ის! ეგებ მიგვხვებდა წამებული დედოფლისაკენ, რომელსაც "ურჯულოდ" და "უმართოდ" მიაჩნდა ის, "ვინც მამდუანობის მიღებასთან ერთად საქმიოთაც ადასტურებდა თავის განდგომას და ირანის პოლიტიკის აქტიური მხარდამჭერი იყო" /ნ. ჯანაშია/. ნუთუ მარტოლენ ოჯახური დრამის გამო ათქმევინა იაკობ ხუცესმა ქმრის პოლიტიკურ-სარწმუნოებრივი ორიენტაციით შეზღუდებულ წამებულს: "ნ უ ი ყ ო ფ ი ნ ჩემდა, თუმცა ვეზიარე საქმეთა /დაყოფა ჩვენია.-ო.გ./ და ცოდვათა ვარქენისთა..." მწერალმა ათას ხუთას წლის წინათ გაგვიფაღისწინა, რომ "სარწმუნოების, პრინციპების დალატი იმავდროულად ოჯახის, ქვეყნის, ხალხის დალატია. ქართული ლიტერატურის უძველეს ძეგლში გამოვლენილია ნაციონალური პაგიოგრაფიისა და კულტურის მამოძრავებელი ძალა. ნაჩვენებია ნაციონალური თვითშეგნების მაღალი დონე (მ.გიგინეიშვილი).

ცხადია, ჩვენც შორსა ვართ იმ აზრისაკენ, რომ საკითხი ამოწურულად ჩაითვალოს. ეს წერილი იწერებოდა იმ შეგნებით, რომ სხვათა შემდგომი კვლევა-ძიება ნათელს მოჰყენს თ. ნატროშვილის სტატიაში წამოჭრილ საინტერესო და ყურადსაღებ მოსაზრებებს.

პაგიოგრაფიის გმირის /ამ შემთხვევაში - შუშანიკის/ სულიერი სამყარო, როგორც წესი, ქრისტიანული იდეოლოგიის მატარებელია; იგი უმეტესწილად ემორჩილება რელიგიურ სქემას, გარკვეულ სამწერლო ნორმას, ლიტერატურულ კანონს და წინააღმდეგობებით აღსავსე სიტუაციების გაყლით აღწევს აზრისა და ნებისყოფის მთლიანობას, ე.ი. პაგიოგრაფთა შემოქმედებითი მყოლიდი აუცილებლად გამომდინარეობს წინასწარ აღებული იდეიდან.


გრძელდება სატფურება
ქართული ეკლესიისა

ალავერდი



გორი

ყვარელი



რუსთავი



მღვდელ-მონაზონი ანტონი (მთაწმიდელი)

ილაკონი ქართვის სსრკ-ის და მოღვაწეობა

ქართველი სქემოსანი ბერის, მღვდელ-მონაზონი ილაკონის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ ცნობების შეგროვება მისი გარდაცვალებისთანავე დაიწყო /1864/. ამ საქმეში განსაკუთრებით დაშვრა რუსი მონაზონი მამა პანტელეიმიონი, რომელიც შემდგომ, არქიმანდრიტის წოდებაში აფანილი, გახდა წინამძღვარი "ტროიცკ-კირენსკის" მონასტრისა, ირკუტსკის ეპარქიაში, ციმბირში:

მამა პანტელეიმიონი სარგებლობდა იმ მრავალრიცხოვან პირთა მოგონებებით, რომელთაც სულიერად ახლო ურთიერთობა ჰქონდათ ხუცესთან. მათ შორის იყვნენ: ქართველი ბერი გაბრიელი, რომელსაც, რუსიკის მონასტრის მოძღვრის მამა ივონიმიუს თხოვნით, მამა ილაკონმა დაწვრილებით უამბო თავისი ცხოვრება ბერიობის მიღებაშ-დე ასევე, მოწიფე ხუცესისა სულიერი მამა საბა, ზოგრაფიული მუდებნის ვასილი და ხარიტონ მღვიმელი, ხუც-ესი. ხატი-გიორგიბერი ბესარიონ ქართველი, დანიელ მღვიმელი, მოძღვარი თეოფილაქტე, სულიერი მამა დანიელი, მოძღვარი ნიკოლოზი ხუცესი და თეოფილ "აგია ასიქი". უფრო გვიან კი ამ საქმისათვის გაისარჯა რუსი ბერი დენასი.

ილაკონი ხუცესის ამ ქვეყნიდან განსვლამდე მისი ცხოვრება აღწერა მამა პანტელეიმიონმა. დანარჩენი მასა-ლა კი 100 წელზე მეტ ხანს ცალკეული ჩანაწერების სახით იყო შემორჩენილი. მხოლოდ ახლა გახდა შესაძლებ-ელი, თავი მოგვეყარა ამ ჩანაწერებისთვის და იგი დღისმოსავი მკითხველისთვის მიგვეწოდებინა.

თუ ვერ კიდევ მამა ილაკონის სიცოცხლეშივე მართლმადიდებელი მოღვაწეობის მისი მალაღმბრობრივი მაგ-ალითი აღაფრთოვანებდა და მოჰმძვრავდა მრავალთ, და, გვწამს, რომ ჩვენს დროშიც, როცა დამცხრალია საღვ-თო შური სულიერი მოღვაწეობისადმი, სასარგებლო იქნება მისი გაცნობა.

ყრმობა

მარადნეტარი მოსაგონარი სქემოსანი მღვდელ-მონა-ზონი, ილაკონი წარმოშობით იმერეთიდან იყო. იგი დაიბადა 1776 წელს ქუთაისის გუბერნიის შორაპნის მაზრაში, სოფელ ღოსიათხევში. მისი მშობლები, ძველ აზნაურთა გვარის შთამომავალი, ხახული და მარიამ ყანაველები იყვნენ მეტად ღვთისმოსავნი. მათ განსაკ-უთრებული სასიკეთა ჰქონდათ წმიდა დიდმოწამე გიორ-გის მიმართ. ღვთისადმი სათნოებით აღსავსე ცხოვრების გამო ჯიღოდ უფალმა აკურთხა ისინი, რომ პირველი შვილი ვაჟი შესქინდათ. ახალშობილს ნათლობისას იუ-სე დაარქვეს. როდესაც ყმაწვილს ექვსი წელი შეუსრუ-ლდა, იგი დედის მამ ტაბაკინის წმ. გიორგის მონა-სტრის მუდებნისთვის, ბერადიკონმა სტეფანემ წაიყვანა თავისთან მთაზე, უდაბნოში და ზრდიდა იქ 12 წლის განმავლობაში, ვიდრე თავად არ აღესრულა.

ბერადიკონი სტეფანე /ერში სვიმონი/ იყო აზნაუ-რთა გვარიდან; იგი მშობლების ოჯახში პატარაობიდა-ნვე ღვთისმოსავლად იზრდებოდა და კარგად იცოდა წმიდა წერილი, შემდეგ მიაბარეს სამეფო კარზე და ჩარიცხეს მეფის მცველთა რაზმში, რომელიც ექვემდებ-არებოდა სამეფო კარის გამრიგებელს, თავად გიორგი წერეთელს. აქ სვიმონი შეკარად თავშეკავებულ ცხოვრ-ებას ეწეოდა; დღეობდა ღოცულობდა და ცდილობდა

სასულიერო პირებთან ჰქონოდა ურთიერთობა. რჩევისა-თვისაც მიმართავდა მათ ხოლმე.

სამეფო კარზე მას ყველა პატივს სცემდა, ამიტომ იყო, რომ გაუქრდა მეფის სამსახურისათვის ბურგი ექვსი და ბერად შემდგარიყო, რასაც იგი მთელი არ-სებით ესწრაფვოდა. როგორც კი ასულის მეთაურის ხარისხი მიიღო, მისი მფარველის, თავად წერეთლის შუამდგომლობით განთავისუფლდა სამეფო სამსახურიდან.

სასურველი თავისუფლების მიღებისთანავე დაუყოვნ-ებლივ გაიხდა სამხედრო ტანსაცმელი, არად ჩააცვო ამქვეყნიური დიდება და ღვთის მსახურებისათვის ტაბა-კინის მონასტრის მთაშურა. სამი წლის განმავლობაში სხვადასხვა მორჩილებაში ყოფნის შემდეგ იგი სტეფან-ეს სახელით აღკვეცილ იქნა ბერად. იმხანად მონასტრ-ის წინამძღვარი იყო ხუცესი, არქიმანდრიტი გერმანე, მილადი ჩხეიძის, სათნო ადამიანი, ღოცვით წვიმა მო-ჰყავდა, სწულთ კურნავდა, ეს მის ღვთით ჰქონდა მომადლებული.

წესად ჰქონდა, ცისკარზე წმიდანებისთვის კანონე-ში ეკითხა. თან კითხვისას თვალთაგან ნაკადულად სდ-იოდა ცრული. შემდგომში მამა ილაკონი გაოცებული იყო იმით, რომ ხორცის ქაშა სულაც არ უშლიდა ხე-ღს. მოხუცდნა სასწავლები.

მონასტერში სამი წლის ცხოვრების შემდეგ სტეფანე ქუთაისის მიტროპოლიტის, დოსიფიოსის მიერ ხელდასმულ იქნა ბერდიაკენად. ხელდასმის შემდეგ მან მალე სულიერ მოძღვარს გერმანეს გაუზილა თავისი დიდი ხნის ოცნება - ეცხოვრა განმარტოებით. გამოცდილმა ადამიანმა, მოძღვარმა, რომელსაც ხანგრძლივი მოგზაურობისას მრავალი ცნობილი მოღვაწე აყვავდა ნანახი პალესტინის წმიდა მიწაზე, ეგვიპტის ზღვის კუნძულებზე და ათონის წმიდა მთაზე, ყველა დონე იხმარა, რათა სტეფანესათვის ხელი აღეზინებინა განზრახვაზე, რადგანაც ეშინოდა, არ გაბმულიყო იგი ეშმაკის ბაღში, ხიზლი არ დაუფლებოდა. მაგრამ როცა დაინახა, რომ სტეფანეს სურვილი მტკიცე იყო, დასთანხმდა, თუმცა, მოგვიანებით: მიუღი სამი წლის მანძილზე მკაცრი გამოცდა მოუწყო სხვადასხვა სამონასტრო მორჩილებაში. თანაც, ყოველი წლის გასვლის შემდეგ რომელიმე ბერთან გაგზავნიდა ხოლმე კვლიაში თანაცხოვრებისათვის. ასე გავიდა კიდევ სამი წელი, ასე რომ, მონასტერში მან ცხრა წელი დაჰყო.

როცა ეს დრო მიიღია, სტეფანეს სულიერმა მამამ მოიწვია მონასტრის მოძღვართა კრება, მოუხმო სტეფანეს და ერთხელ კიდევ ჰკითხა გადაწყვეტილების თაობაზე. პასუხი კვლავ წინანდებურად მტკიცე იყო. მაშინ ხუცესთ ჰკითხეს, რომელ ადგილას გინდაო განმარტოება. სტეფანემ, როგორც ბავშვობიდანვე ღვთის ნებას და უფროსთა რჩევას მინდობილმა ადამიანმა, ამ საკითხის გადაწყვეტა კვლავ ხუცესთ მიანდო და მათი წინადადებით მონასტრიდან 6 კილომეტრით დაშორებული ადგილი აირჩია, მთებში დაბურულ ტყეში, სადაც ადრე მრავალი მურღაბნოე ცხოვრობდა.

მისი განმარტოება კვლავ გამოცდით დაიწყო, რაც ხუთი წელი გაგრძელდა. პირველ წელს სტეფანეს ნაბრძანები ჰქონდა წირვის დამთავრების შემდეგ მონასტრიდან წაეღო მჭადი, წყალი, ზოსტნეული და დაბინდებამდე ემუშავა ტყის გაწმენდასა და გზის გაყვანაზე იმ პირობით, რომ საღამოს კვლავ მონასტერში დაბრუნებულიყო. ერთი წლის შემდეგ მან ხის კულია აიშენა. მეორე წელს კი ლოცვა-კურთხევას მიეცა, რომ ღამე კულიაში მარტოდმარტოდ გაეტარებინა, დღით კი მონასტერში დაბრუნებულიყო და შუადღემდე მამებთან დარჩენილიყო. ამ გამოცდის შემდეგ, შესაძლოა წელს ნება დართეს ხალი გაემეზინა და ორი ღამე დარჩენილიყო უდაბნოში, შესაძლოა დღეს კი მონასტერში მისულიყო. მეოთხე წელს ოთხი ღამის გათენების უფლება მისცეს, მეხუთე დღეს კვლავ მონასტერში უნდა დაბრუნებულიყო და დღის დანარჩენი დრო და შაბათი და

კვირაც იქ გაეტარებინა. მეხუთე წელს კი ნება მისცეს ხუთი დღე მარტოობაში გაეტარებინა, ორი დღე შაბათი და კვირა კი - მონასტერში დარჩენილიყო.

როცა იგი, ღვთის წყალობით, ნამდვილ მოღვაწედ იქცა, მოძღვრები დარწმუნდნენ, რომ მას ძვალ-რბილში ჰქონდა გამჭდარი განმარტოების სურვილი. ლოცვა-კურთხევა მისცეს სრული მღუმარებისა. სამი წელი გაატარა სტეფანემ მარტოდმარტომ. შემდეგ აღივსო საღვთო გულმოდგინებით-გამოეზარდა ვინმე მურღაბნოეს სულისკვეთებით. დიდი ფიქრის შემდეგ გაემგზავრა სოფელ ლოსათ-ხევში, თავის დასთან, შირიამ ყანჩაველთან და შესთავაზა ცოლ-ქმარს თავიანთი სიყრმის შვილი ღვთის სამსახურად შეეწირათ. შშობლებმა დიდხანს იყოყმანეს, ვერ გადაეწყვიტა შვილის ხელი. მაგრამ, როცა სტეფანემ ღვთის ნების დაუმორჩილებლობის შემთხვევაში უწინასწარმეტყველა ყრმის სიკვდილი და საერთოდ მათი შთაბოძავლობის ამოძირკვა, შეშინებულებმა სასწრაფოდ გადაწყვიტეს. მიუცათ ბიჭი, რომელიც იმხანად ექვსი წლისა იყო.

მოძღვარმა წაიყვანა იესე და 12 წლის განმავლობაში როგორც ნორჩ, ახლადმოყრილ მცენარეს ასწავლიდა მღუმარებას, თავშეკავებას, ლოცვას, წმიდა წერილის კითხვას. იშვიათად აძლევდა ნებას ბავშვს, შშობლები ენახა ანდა მონასტერში წასულიყო. ყრმობიდანვე მურღაბნოეს ცხოვრებით მცხოვრებმა მამა ილარიონმა ადრიდანვე გამოსცადა ღვარძლი ეშმაკთა, რომელთაც ყველაზე მეტად განდგომილი სძულთ. მარტო ღმერთმა უწყის, რა განსაცდელს არ შეამთხვია კეთილმოძულე ბოროტმა. ეშმაკი სხვადასხვა ხრიკებით ცდილობდნენ ჭკუიდან შეეშალათ, ანდა თვითმკვლელობამდე მიეყვანათ იგი. ღამით ავაბაკთა სახით ესმოდნენ თავს, ხან დედის ხმით ეძახდნენ, ახსენებდნენ მიტოვებულ სახლ-კარს. დღე კი დათვის ან სხვა რომელიმე მხეცის ბაძვით ცდილობდნენ მის შეშინებას.

ასეთ დაძაბულ ბრძოლაში განვლილ ამქვეყნოურ ყოფას მოწყვეტილმა მისმა ემაწვილკაცობის წლებმა. მოძღვარ სტეფანეს გარდაცვალებამდე რამდენიმე ხნით ადრე, მათთან მივიდა თავად აბაშიძისაგან გამოქცეული გლეხი, რომელიც სამი წლის სულიერი გამოცდის შემდეგ აღიკვეცა ლაფრენტის სახელით. შემდეგში ის, სალოცავებში სიარულის მიზნით, გაემგზავრა წმიდა ადგილებში და იერუსალიმში ხელდასმულ იქნა ბერდიაკენად. უფლის საფლავთან გაწეული დიდი შრომის შემდეგ იერუსალიმის პატრიარქის კურთხევით იგი გადავიდა ათონზე ივერთა მონასტერში, სადაც აღსრულდა კიდევ. მამა ილარიონი მის შესახებ პყვებოდა,

რომ იგი აღესილი იყო ღვთის დიდი სიყვარულითა და სიმშვილით. მამა ბუნდელიძე, ვის ხელშიაც მან სული დალია, ამბობდა, რომ იგი გარდაიცვალა მადლობილი, რადგან მამა ლაერენტიმ ანთებული სანთლით ხელში, ფეხზე მდგომმა მიაბარა სული უფალს.

ხუცესმა სტეფანემ წინასწარ იგრძნო სიკვდილის მოახლოება და იესუს დაუბარა, მისი გარდაცვალების შემდეგ დაეტოვებინა ეს ადგილი, რადგან უმოდვროდ დარჩენილი, შეიძლებოდა ბოროტის მსხვერპლი გამხდარიყო. სტეფანე წავიდა მონასტერში, მშვილობა უსურვა და უკანასკნელი ამბოროთ გამოეთხოვა ძმებს, დაბრუნდა უკან და რამდენიმე დღის ავადმყოფობის შემდეგ ნეტარ მარადიულობას შეუერთდა.

მისი ამქვეყნიდან გასვლა დიდი დანაკარგი იყო არამარტო მონასტრის ძმებისათვის, არამედ მრავალსაერთ პირთათვისაც. მრავალს მოაკლდა დიდი მლოცველი, დამრიგებელი და ნუგეშისმცემელი. მამა ილარიონის თქმით, იგი იყო მკაცრი მონაზვნური კანონების დამცველი, უმაღლეს სულიერ საგანთა და საკითხთა განსჯის უნარის მქონე პიროვნება; მკაცრი მმართველი: კვირების მანძილზე სტეფანე მხოლოდ მარტივად მჭადის ნატებს და წყალს იღებდა, ხანდახან ბოსტნეულსაც უსინჯავდა გემოს. დიდ მარხვაში კი სამსამ დღეს საერთოდ ყველაფრისგან იკავებდა თავს. მრავალი ადამიანი მიდიოდა მასთან რჩევისათვის. ბერობის მოსურნე ერთი საერო კაცის შეკითხვაზე მან ასე მოუგო: "თუ გსურს მონაზვნობა, ჯერ ყოველგვარი სურვილი და ამქვეყნიური ვნება ნახევრად მაინც მოიკვეთე. შემდეგ კი უკადე, საბოლოოდ მოსპო შენში საერო ცხოვრების ნაკვალევი"

მოდღვრის გარდაცვალების შემდეგ იესე საცხოვრებლად ტაბაკინის მონასტერში გადავიდა, თუმცა იქ დიდხანს არ დარჩენილა, რადგან დიდი სურვილი მქონდა ცოდნა გაეღრმავებინა და, რომ შეიტყო, თბილისში სასწავლებელი გაიხსნაო, თავისი ჩანაფიქრი არავის გაუზიხა და აქეთ საქართველოსაკენ გამოემართა. გორის მამრის სოფელ ნიქოზში რომ მოვიდა, სასულიერო პირთადმი მისი ჩვეული მოწიწების გამო, გადაწყვიტა კურთხევისათვის ნიქოზის ეპისკოპოსი ათანასე მოეხსახურებინა. წმიდა მამამ იგი კარგად მიიღო და მოულოდინო, გამოჰკითხა, თუ როგორ ცხოვრობდა და შემდეგ, ძველი მამების წესის მიხედვით, სთხოვა სტუმარს, ერთად აღველინათ ლოცვა. იესემ ლოცვები ქართული ლოცვანის მიხედვით წაიკითხა. მეუფე ფრიად კმაყოფილი და ნასიამოვნები დარჩა მისი კითხვით და, როგორც მოძღვარმა და მრჩეველმა, ასე დაარსა: "შვილი,

ჩემო, სასწავლებელში შენ იმის მსგავსს ვერაფერს შეითვისებ და ისწავლი, რასაც უდაბნოში. ასე რომ დაბრუნდი უკან შენს სახლში, და უფალი ღმერთი, რომელმაც ეს ლოცვა გასწავლა, და ლოცვა შენი მოძღვრისა შეკადრებინებს გამოადგე როგორც ღვთის ეკლესიას, ასევე შენს ხალხს". ღვთის კაცის მიერ ნაკურთხი იესე მშობლების კერას დაუბრუნდა სოფელ ლოსიათხევში.

მაღე მამამ იგი ქუთაისის სასახლეში წაიყვანა და მსახურებისათვის მსხვერპლად შესწირა მეფეს. იესე მეფემ სწავლის მისაღებად, თავისთან დაახლოებულ თავადს, გიორგი წერეთელს მიაბარა; წერეთელმა კი, როდესაც იხილა ემაწვილის ძალეში სწრაფვა სასულიერო საგნებისადმი, ცოდნის სრულყოფილად დაუფლების მიზნით, იგი ჯრუჭის წმიდა გიორგის მონასტერში მცხოვრებ. განსწავლულ არქიმანდრიტ გერონტის, ერმოთავად სოლოლაშვილს გაუგზავნა.

მამა გერონტი, უპირველეს ყოვლისა, ცდილობდა თავის მოწაფეში გაეღრმავებინა ლოცვისადმი სიყვარული და მას მკაცრი ასკეტური სულისკვეთებით ზრდიდა. მამა ილარიონი შემდეგში გაოცებული იხსენებდა, თუ როგორ ათენებდა დამეებს მოძღვარი, საღამოდან შშის ამოსვლამდე როგორ ლოცულობდა და იესესაც აიძულებდა მასთან ერთად ელოცა. ასე ატარებდნენ ისინი მიულ დამეებს ფსალმუნებაში და ლოცვაში. მასწავლებლის სრულ მორჩილებაში მყოფი იესე ქეშმარიტად ღვაწლმოსილებით ცხოვრობდა.

თოვლიან ზამთარს მოძღვარმა იგი თავის მეგობართან ფეხშიშველი გაგზავნა და წერილი გაატანა. წერილი პატრონს რომ გადასცა, იესეს გარეგნობით განცვიფრებულმა კაცმა ორი პიასტრი მისცა და ქალაქნუზის /ხარის ტყავის სანდლები/ ყიდვა უზრძანა. იესე მოძღვართან ფეხზე შემოსილი რომ დაბრუნდა, დიდი საყვედური მიიღო სულმოკლეობისა და მოუთმენლობის გამო. მოძღვარი სხვა სიკეთესთან ერთად აჩვევდა მას მომომენი ყოფილიყო. თანაც, ტვირთს ერთბაშად კი არ უქსიმებდა, არამედ თანდათანობით, ზომიერად თავდაპირველად შეაჩვია, რომ ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარაკლით შშის ჩასვლამდე საკვები არ მიეღო. შემდეგ კი საერთოდ გადააჩვია ამ დღეებში საქმლის ჭამის. ამავე დროს ასწავლიდა საერო მეცნიერებებს: სუფთა წერას, გრამატიკას, არითმეტიკას და ა.შ. ასეთ მოუღვლელ და ფიზიკურ შრომაში გაატარა მან მამა გერონტისთან სამნახევარი წელი. როცა მოძღვარმა დაინახა, რომ ახალგაზრდამ ასეთ მკარე დროში ყველა მეცნიერებაში სრულყოფილებას მიაღწია, სხვა

საერო მეცნიერებების დასაუფლებლად იგი უკანვე დაუბრუნა თავად წერეთელს.

თავადი გვერდიდან არ იშორებდა იესეს და სადაც წავიდოდა, მუდამ თან დაჰყავდა.

ერთი წელი რომ გავიდა, წერეთელმა იესეს თავისი ამალის შემოსავალ-გასავლის აღრიცხვა დაავალა. ამასთან მისი სახელით ბრძანების დაწერისა და ბეჭდის დასმის უფლებაც მისცა.

მღვდლობა სამეფო სამსახურში

ორი წლის შემდეგ თავადმა წერეთელმა იესე სამეფო კარზე წარადგინა. მეფე სოლომონ II ბრძანების დამწერთა შორის განაწესა იგი. აქ მან ორნახევარი წელი იმსახურა. ამ ვადის გასვლის შემდეგ მეფემ დაქორწინება და მღვდლად კურთხევა შესთავაზა. საქმე იმაში იყო, რომ იმ დროს მეფესთან დაახლოებულ და ქვეყნის წარჩინებულთა შორის იმერეთის სამეფოს რუსეთთან შეერთების გამო მღვდლად არჩევა სუფევდა. დრო მეტად არეული იყო. ერთნი ერთნაირად ფიქრობდნენ, სხვანი სხვანაირად. ამიტომ მეფე, რომელიც იესეში უბრალოებასა და დიდ სულიერებას ხედავდა, დროულად მიიჩნია იესე სასულიერო წრისათვის დაეკავშირებინა.

შემდეგში მამა ილარიონი იხსენებდა, რომ იმხანად ჯარების მთავარსარდლის, თავად ქაიხოსრო წერეთლისა და ზოგიერთი ერთგული მსახურის გარდა, დაახლოებულ წრეში მეფე სხვას ველარავის ეყრდნობოდა. სამეფო კარის ერთგული მსახური, თავადი გიორგი წერეთელი გარდაიცვალა, რამაც მეფე მეტად დაამწუხრა. და, რადგანაც წერეთლის გარდაცვალების შემდეგ საიმედო კაცი აღარავინ დარჩა, რომელსაც თავის იღუმენტად ფიქრობსა და გრძნობებს გაანდობდა, გადაწყვიტა, იესე მღვდლის პატივით შეემოსა, რომ მისი სახით სახელმწიფო საქმეთა გადაწყვეტისას სანდო მოძღვარი და მრჩეველი ჰყოლოდა.

თავისი ბატონის მორჩილი იესე დაქორწინდა წა-

რჩინებული გვარის ჩამომავალზე - მარიაზე. იგი ორი კვირა დარჩა მეუღლის შშობლების ოჯახში, შემდეგ კი ქუთაისში გადავიდა, სადაც ჯერ დიაკვნად იწა ხელდასხმული, შემდეგ სამეფო კარის ეკლესიის პრესვიტერის, შემდეგ კი პროტოპრესვიტერის ხარისხი მიენიჭა.

მეფე სოლომონს მამა იესე მუდამ თან დაჰყავდა. მას ევალებოდა თავადთა შორის ადგილ-მამულისა და ქონების გაყოფის გამო დავის გადაწყვეტაც. მშვიდობისმოყვარეობა მამა იესესაგან განსაკუთრებულ ტაქტსა და მოთმინებას ითხოვდა. ყოველივე ეს დიდ დროს ართმევდა. ამიტომ, მეუღლეს იშვიათად თუ ნახულობდა, რაც მარიამს დიდად აღონებდა. ერთხელ მან შეიტყო, რომ იესე თავად აბაშიძის სამეცნიეროში მორიგი სტუმრობიდან დაბრუნებული მის უნახავად პირდაპირ ქუთაისში გაემგზავრა. მარიამმა ეს ამბავი იმდენად მძიმედ განიცადა, რომ ჯანმრთელობა შეერყა და ექვსი თვის ავადმყოფობის შემდეგ, ქორწინებიდან ორი წლის თავზე, გარდაიცვალა.

რადგანაც იმ დროს იესეს ბედი მჭიდროდ იყო დაკავშირებული იმერეთის პოლიტიკურ ცხოვრებასთან, ბედმეტი არ იქნება მოგიხსნოთ იმერეთის სამეფოს უკანასკნელ დღეთა და მეფე სოლომონის ხვედრის შესახებ. ეს ყველაფერი მამა იესემ უაზრო მამა გაბრიელ ქართველს, მისი მონათხრობი კი წმ. პანტელეიმონის მონასტრის სასულიერო პირმა, მამა პანტელეიმონმა ჩაიწერა.

იმერეთის სამეფოს დასასრული და მეფე სოლომონის გაქცევა

მას შემდეგ, რაც საქართველოს სამეფო 1801 წელს რუსეთის იმპერიას შეუერთდა, რუსეთის ხელისუფლებამ წერილობითი ურთიერთობა დაამყარა იმერეთის მეფესთან, რათა მისი სამეფოც რუსეთს დაეკავშირებოდა. მეფე სოლომონ II მოიწვია ქვეყნის მთავარ დიდებულთა კრება და განაჩინა შემდეგი: რადგან მეფეს არ გააჩნია ტახტის მემკვიდრე, იმერეთმა მის გარდაცვალებამდე უნდა შეინარჩუნოს დამოუკიდებლობა. იგი

რუსეთთან, როგორც ერთმორწმუნე სახელმწიფოსთან, იქნება მეგობრულ დამოკიდებულებაში, რუსეთის ჯარს საშუალება ექნება თავისუფლად და დაუბრკოლებლად გაიაროს იმერეთის ტერიტორია თურქეთის საზღვრამდე. ამასთან, იმერეთის ჯარი ვადადებულია, საქიროების შემთხვევაში დახმარება აღმოუჩინოს რუსეთის ჯარს. თანაც, ამ ორი ქვეყნის ურთიერთობა განმტკიცებული უნდა იყოს ისეთი წმიდა პირობებით, როგორც შემეწნით

მბრუნებულ და ქრისტიან ადამიანებს, ურყევი მტკიცე სულიერი კავშირით რომ არიან დაკავშირებულნი. მეფის გარდაცვალების შემდეგ კი იმერეთში დაწესდებოდა რუსეთის იმპერიის კანონმდებლობა. ამ სხდომის ოქმი გაეგზავნა თბილისში იმპერატორ ალექსანდრე I-ის კავკასიის მეფისნაცვალს.

მართალია ეს გადაწყვეტილებანი მეფე სოლომონის ყველა ქვეშევრდომმა მოიწონა, მაგრამ ერთ-ერთი დიდებული, თავად ზურაბ წერეთლის, გონება სხვა გეგმას სახავდა.

ადრე პეტერბურგში მეფე სოლომონ I-თან მყოფ და დღეოფალ ეკატერინე II -გან გენერალ-მაიორის ხარისხით დაჯილდოებული თავადი ზურაბი საშინელმა ამპარტავნობამ მოიცვა, სიმდიდრემ და დიდებამ თავბრუ დაახვია. მისი სასახლე საჩხერეში ბრწყინვალეობით გამოირჩეოდა და თვით მეფის სასახლესაც კი სჭობდა. გარს ბევრი აზნაური ეხვია, რომელთაგან შრავალმა თავისი კანონიერი ხელმწიფის ქვეშევრდომობა მიატოვა და მის სამსახურში ჩადგა. თავად ზურაბს ნათესაური კავშირი ჰქონდა იმერეთის, ქართლის /ქართლ-კახეთის/, სამეგრელოს და გურიის ყველა ცნობილ და გავლენიან წრესთან. იგი სარგებლობდა სრული თავისუფლებით და განუსაზღვრელი ძალაუფლებით, ცხოვრებას ატარებდა ძველ ფეოდალ რაინდთა მსგავსად. ფარისევლურად თავი ისე ეჭირა, თითქოს რუსეთის ერთგული იყო. იგი მეფისა და მასთან დაახლოებულ პირთა ნდობით სარგებლობდა. დიდებულითა კრებაზე რომელიმაც საერთო აზრის მიხედვით რუსეთთან საბოლოო შეერთება გადაწყვიტა, მან მეორემ მოაწერა ოქმს ხელი, საქმით კი იმას ფიქრობდა, როგორ დაეძლია მეფე სოლომონი და ტახტზე თვითონ ასულიყო. ყველა ღონეს ხმარობდა, გაეფუჭებინა ურთიერთობა მეფესა და იმპერატორს შორის. იგი სოლომონ II მოწინააღმდეგეს, გრიგოლ დადიანს, აქეზებდა ალექსანდრე I მეფის შესახებ ცილისმწამებლური წერილების მიწერაზე, მეფეს კი ურჩევდა არ შემოეშვა რუსეთის ჭარი სამეგრელოდან იმერეთის გავლით რომ მათ მეფის გარდაცვალებამდე არ მიეტაკათ სამეფო.

მეფე იძენად გულკეთილი და მშვიდობისმოყვარე იყო, რომ ვერ სწვდებოდა წყურთლის მზაკვრული რჩევების ნამდვილ აზრს. მას უყვარდა რუსები და ერთმორწმუნე ძმებად მიაჩნდა ისინი.

როცა თავადმა ზურაბმა ზემოთ აღწერილი ხრიკებით ორ მონარქს შორის შუღლის ჩამოგდებას ვერ მიაღწია, ახლა სხვა ხერხს მიმართა. ჯერ წყურთლობით ურთიერთობა გააბა კავკასიის ნაცვალთან, შემდეგ კი რამდენჯერმე ესტუმრა მას და სულ იმ აზრს ახვევდა

თავს, თითქოს მეფის იმერეთში ყოფნა ხელს უშლიდა კავკასიაში მშვიდობის დამყარებას. იგი მეტად მუქი ფერებით ხატავდა მეფის ამაღლას, ახასიათებდა მათ როგორც მუხანათ, თავება და საეჭვო ხალხს, ხოლო მეფეს კი, - როგორც გონებალღუნ ადამიანს, რომელსაც არ შეეძლო სახელმწიფო საქმეთა მართვა.

ასეთი სიცრუით მან საბოლოოდ მაინც მიადწია განზრახვის აღსრულებას. გენერალ-ადიუტანტმა ტორმაზომა თავად ზურაბ წერეთლის დასმენის საფუძველზე იმპერატორს მოხსენებითი ბარათი წარუდგინა. იმპერატორმა ცილისწამება სინამდვილედ მიიჩნია და ბრძანა, მეფე სოლომონი როგორმე თბილისში ჩაეტყუებინათ, აქედან კი მუდმივ საცხოვრებლად პეტერბურგში გაეგზავნათ.

თავად წერეთელთან ფარული მოლაპარაკებების შემდეგ, ამ ბრძანების მიხედვით გენერალმა ტორმაზომა მეფეს და მის საბჭოს წერილობით სთხოვა, იმპერატორისაგან ზეპირი ბრძანების გადასაცემად, პირადი შეხვედრისა და მოლაპარაკებისათვის იმერეთისა და ქართლის საზღვარზე-სურამში შეხვედრაზე ჩამოსვლას. ნუ დაიბარებთო.

მეფე სოლომონს მაშინვე უგრძნო გულმა მოსალოდნელი უსიამოვნება და კრება მოიწვია, რათა გენერლისთვის პასუხი გაეცა. კრებაზე ერთხელ კიდევ დაამტკიცეს ძველი გადაწყვეტილება, ხოლო გენერალს პასუხი გასცეს - მომავალში თავს ნუღარ შეიწუხებდა მეფისა და მისი ხალხისათვის დამამკვირვებელი მოთხოვნების შეთავაზებით. კრების დასასრულს თავადმა ზურაბ წერეთელმა გაილაშქრა ამ საერთო გადაწყვეტილების წინააღმდეგ და მეფეზე ზრუნვის საბაბით შეეცადა მოხერხებულად დაეფარა თავისი მზაკვრული განზრახვა; მოსკვა მტკიცებას, აქაოდა როგორ შეიძლება ასეთი მკვახე პასუხი გაეცეს იმპერატორს, ეს ხომ შეიძლება საბაბად იქცეს ომისა და სოლომონ მეფის საშშობლოდან განდევნისათვის. ამიტომ, ურჩევდა მეფეს, გააციონებინა ან ნადირობის საბაბით გენერალ ტორმაზოვს სურამში შეხვედროდა და ამით იმერეთისათვის უზედურება აეცხლებინა პროტოპრესვიტერმა იესემ თავად ზურაბის მზაკვრული ჩანაფიქრი სხდომაზე დამსწრეთა წინაშე ამხილა. ამრიგად, მამა იესემ სიტყვის თქმის საშუალება აღარ მისცა ამაყ თავადს. შერცხვენდომ ზურაბმა დატოვა სასახლე. ბრძანა ცხენის მოყვანა და მისი მამხილებლის მიმართ მუქარის სიტყვებით გაემგზავრა საჩხერეში. ის წყურთლი კი თბილისში გაიგზავნა.

რამდენიმე დღის შემდეგ მამა იესემ მეუღლის გარდაცვალების ცნობა მიიღო. იგი სასწრაფოდ დაბრ-

უნდა შინ, რათა უკანასკნელი პატივი მიეგო აწ განსვენებული მარიამისათვის.

მისი წასვლის შემდეგ საბჭოში თავი იჩინა აზრთა სხვადასხვაობამ, ერთნი წერილის დაწერას ნაზობდნენ, მეორენი აშკარად შიშს უჭერდნენ თავად წერეთლის აზრებს, სხვანი ურჩევდნენ მეფეს, დაეჭვებინა პროტოპრესვიტერ იუსუსათვის და 40 დღის მანძილზე, ვიდრე იგი გლოვას დაამთავრებდა, არ დაეტოვებინა ქუთაისი. მეფემ აღარ იცოდა, ვისთვის მიეგლო ყური. სამწუხაროდ, თავად წერეთლის ბოროტი გეგმა, რომლის წინააღმდეგაც ასე მტკიცედ აღსდგა მამა იუსე, განხორციელდა - მეფე სოლომონი 300 მეომრის თანხლებით გასეირნების საბაბით ქუთაისიდან სურამისაკენ გამოემართა.

მეფის მოახლოება რომ შეიტყო, გენერალმა ტორმაზოვმა, ყველასთვის მოულოდნელად, დატოვა სურამი და გორში წავიდა. თან ერთ-ერთ ჩინოვნიკს დაუბარა, მეფისათვის მოუხსენებინა, რომ მეტად მნიშვნელოვანმა საქმეებმა მოითხოვა მისი დაუყოვნებლივი გამგზავრება გორში, და, რომ იგი დაბეჭითებით სთხოვს მის უმადლესობას იქ ეწვიოს /მამა გაბრიელის თქმით, იმერეთის მეფეებს მიმართავდნენ უმადლესობით და არა "უდიდებულესობით". გორში ჩასვლაზე მეფისაგან უარის შემთხვევაში კი ტორმაზოვმა იგივე ჩინოვნიკს უბრძანა დატოვებული ჩასაფრებული ჯარის ნაწილისა და არტილერიის დახმარებით მეფის მიმართ ძალა ეხმარათ და ისე განეხორციელებინათ ტორმაზოვის ბრძანება. სურამში ჩასულ მეფე სოლომონ II სადღესასწაულო ზარ-ზეიმით შეეგებნენ. მაგრამ, როცა მან შეიტყო გენერლის ცბიერი მანევრების აზრები, მისდამი გამოჩენილი ესოდენ უკადრისი საქციელის გამო, ძლიერ დამწუხრდა. ყველაზე მეტად კი ააღელვა შშობლიური იმერეთის ბელმა, "რა ეშველება იმერეთს, აზობდა იგი დანადგოვანებული-თუ რუსეთიდან ასეთ არაკეთილსინდისიერ ადამიანებს გამოგზავნიან, რა უბედურებამდე მიიყვანენ ისინი ჩემს ქვეყანას? ნუთუ, რუსეთის კეთილგონიერი განმგებელ-იმპერატორი ნიშნავს ამგვარ ადამიანებს, ვინ ნდობაც საერთოდ არ შეიძლება?" და, ატირდა მეფე სოლომონი თავისი ქვეყნის ხვედრზე, რომელსაც 25 წლის მანძილზე დიდი სიყვარულით და სიფხიზლით დარაჯობდა და სახარების წმიდა კანონთა მიხედვით წარმართავდა თანამოქმედთა ცხოვრებას.

გენერალ ტორმაზოვის შიერ დატოვებულ ჩინოვნიკთა გულთბილობა მიღებამ ვერ გაუფანტა მეფე სოლომონს პირველი ცნობის სიმწარე. მას მიაჩნდა, რომ გენერლის ასეთ არაკეთილშობილურ მოქმედებას დაუყოვნებ

ბლივ შესაფერი პასუხი უნდა გასცემოდა, რათა მსახური არ გაკადნიერებულიყო და ბოროტად არ გამოეყენებინა ნდობა; მაგრამ, როცა ამაღამ შესთავაზა ქალაქის გადაწვა და უკან დაბრუნება, იგი არ დათანხმდა და განგების ბედს მინდობილი გორისაკენ გაემართა.

გენერალმა ტორმაზოვმა არც გორში დაუცადა მეფეს. იქაც დატოვა ჩასაფრებული ჯარის ნაწილი, თავად კი თბილისს წავიდა, და თავის ჩინოვნიკს დაუბარა, სოლომონ II-თვის გადაეცა, რომ, რაკი გადაუღებელი საქმეები ითხოვენ ჩემს სასწრაფოდ გამგზავრებას თბილისში, გულთადად ვთხოვ თქვენს უმადლესობას, თბილისში ჩამობრძანდესო. გენერლის ღირსებისათვის შეუფერებელმა ასეთმა მოქმედებამ აღაშფოთა მეფე და გულში თქვა: "ნუთუ, სახელმწიფო ასეთ უსინდისო გენერლებს ეყრდნობა? ნუთუ, იმპერატორი ენდობა ამგვარ ადამიანებს, რომელთაც არც რწმენისთვის, არც მეფისა და არც ქვეყნისათვის სარგებლობის მოტანა არ შეუძლიათ?" მან სამჯერ გადანერწყვა გენერალ ტორმაზოვის მისამართით და დაუყოვნებლივ თბილისისაკენ გაეშურა.

თბილისში სოლომონ II დიდის პატივით მიიღეს და მართავს საუკეთესო ოთახებში, რომლებიც საბატონო ყარაულის მრავალრიცხოვანი რაზმით იყო დაცული. როდესაც გენერალი ტორმაზოვი წარსდგა მეფის წინაშე, ფეხზე მდგარმა სოლომონმა მას კრინტი დაძვრის უფლება არ მისცა და განრისხებულმა პითხა: "ვინ ხარ შენ, რა ჩამომავლობისა და რა დამასურების გამო მიადწიე ასეთ მნიშვნელოვან თანამდებობას?" როცა გენერალმა მოახსენა, რომ იგი ძველ წარჩინებულ გვარს ეკუთვნის, პასუხად მიიღო: "შენ რომ ამ თანამდებობამდე უანგაროდ მიგდღწია, თუ მართლა ასეთი გვარიშვილი ხარ, როგორსაც აზობ, არასოდეს იკადრებდი ამგვარი უღირსი საქციელით მოგვეყენებინა ჩემთვის შეურაცხყოფა. არც იმ ზომამდე მიმიყვანდი, რომ შენი ხელმწიფისაგან არასასიამოვნო ახსნა-განმარტებები მიმეღო. მაგრამ ქცევა შენი მდაბალია და სულ არ შეჰფერის არც შენს ხარისხს და არც შენს გვარიშვილობას. მე ახლაც ძალმიძს, როგორც თავზედ ვაჭბატონს, საკადრისი მოგიზლო, მაგრამ არ ვაქეოებ ამას მეფეთათვის ჩვეული მიმტკვევლობისა და შენი ხელმწიფის - ჩემი ძმის, პატივისცემის გამო." ამ სიტყვებით გამოისტუმრა მეტად შერცხვენილი გენერალი პალატიდან. შინ დაბრუნებულმა გენერალმა გამოუძახა ქართველ თავადებს: დავით ჯამბაკური-ორბელიანი, კონსტანტინე ბაგრატიონ-მუხრანსკისა და დავით თარხან-მო-

ურავს, აჩვენა მათ იმპერატორის ბრძანება და თავის მართლებას მოჰყვა, ცდილობდა ყველაფერი თავად ზურ- აბ წერეთლისათვის გადაეხრებინა. შემდეგ თავადებს სთხოვა, ეშუამდგომლათ მისთვის იმერეთის მეფის წინა- შე, რათა მას რისხვა წყალობით შეეცვალა. თავის მხ- რივ კი შეჰპირდა მათ იმპერატორისათვის სათანადო წერილის მიწერას, რათა იმერეთის მეფეს პეტერბურგში ღირსეული პატივით შეხვედროდნენ. ამასთან, შეამცირა მკველთა რიცხვი და ნება მისცა მეფეს თავისუფლად მიეღო მნახველნი.

თავადებმა მოახსენეს სოლომონ მეფეს გენერალთან საუბრის შინაარსი, მაგრამ, მისი მწუხარების განქარე- ვება მაინც ვერ შეძლეს; მის გულს აღარ ახარებდა არც მოზადისშება და არც ჩრდილოეთის დედაქალაქში მომავალი გულითადი შეხვედრა. მეფემ დასწევლა თავ- ადი ზურაბ წერეთელი ერთგულ პირთა წინაშე. "ორ- გულობის სანაცვლოდ ყოვლისმპყრობელმან უფალმან გა- აცამტვეროს სახლი მისი, რადგან მისი მიზეზით იმერ- ეთმა დროზე ადრე დაკარგა მეფე და განმგებელი." იქ მყოფთა შორის იყო ზურაბ წერეთლის მესამე ვაჟი - სვიმონი, როცა მან მირონცხებულის ბაგეთაგან ასეთი საშინელი წყევლა მოისმინა, იგი შიშით დაეშოო მეფის ფეხებთან და მღელვარებისგან სუნთქვაშეკრული ცრემლ- ვებით ვვედრობდა მეფეს: "ხელმოწიფო, მოგვისხენი ეს წყევლა მე და ჩემს ძმას, მიტროპოლიტ დავითს, რად- განაც ჩვენ არავითარი შინაწილეობა არ მიგვიღია მამისა და ძმისა გრიგოლის განზრახვაში". მაშინ მეფ- ემ მოუგო: "შენ ამ წყველისა ნუ გეშინია, რადგან ღვთის სამართალი მას დასჯის, ვინც დამნაშავეა, უდა- ნაშაულოს კი არ შეუხება".

გენერალ ტორმაზოვის მიერ მეფესთან გაგზავნილ- მა ელჩებმა სოლომონ II მოახსენეს, რომ პეტერბურგი- დან მიღებული ცნობის მიხედვით, მეფისთვის იქ უკვე გაემზადებინათ სასახლე, ხოლო მისთვის და მისი ამა- ლისათვის საკმაოდ დიდი რაოდენობის თანხა იყო გამ- ოყოფილი, რომ იმპერატორს მთელი გულით სურდა გე- ვრდით ჰყოლოდა დიდებული თანამოძმე, და რომ რუს- ეთში მისი გამგზავრების ვადა ორი თვით იყო განსა- მღვრული.

მეფე სოლომონმა ამ ელჩების პირითვე შეუთვალა გენერალს: "იმერეთი არის სამოთხე ღვთისა და ერთ- ადერთი სასახლე მისი მეფისა, ამიტომ ვერ მომზიბლა- ვენ თქვენი პეტერბურგის სასახლეები. იმერეთის მეფეთა ქვეშევრდომების მიერ შემოწირული დაშვენებული ზო- მიერი სუფრა იყო ერთადერთი ფუფუნება ამ სასახლე- ში. თანაც ამ სუფრით საზრდოობდნენ დიდებულნი და

მღაბაღნი, ყარიზნი და გლახანი და ყველა ადილებდა უფალს-ასეთი დიდი ხარჯების გაწევა ჩემზე ნამდვილად ზედმეტია, დაენუ გაანიავეს ხელმოწიფე სახელმოწიფო ხაზინას. რაც შეეხება შეპირებულზე ადრე მიღებას და ჩემდამი, როგორც ძმისადმი მოპყრობას, თუ ეს ღმერთს ნებაეს, აღსრულდება. რაც შეეხება წასვლისთვის მზად- ების შესახებ გენერალმა იცოდეს, რომ დროზე ადრე არაფერზე შეწუხდეს, გადაეცით, რადგან უცხო ქვეყან- ას მივემგზავრები, ამ ორ თვეს მე ლოცვაში გავატა- რებ".

ელჩების წასვლის შემდეგ მეფე მზურავლე ლოცვას და თავისი განცდების ღვთის წინაშე აღიარებას მიე- ცა. შემდეგ დაიბარა ყველა თავისიანი და უთხრა: ძმ- ანო ჩემო, თქვენ ყველანი ჩემს მიერ გამოზრდილნი ან თანშემზრდილი ხართ, სამშობლოში მყოფნი, ღვთის ნება-სურვილზე მინდობილნი, დღემდე ვცხოვრობდით როგორც მე-მამა თქვენი, ასევე თქვენ - უსაყვარლესი შეილნი ჩემნი და მარად გულითადნი ძმანი ჩემნი. თავისთავად ცხადია, თქვენს შორის 25 წელი განმგებ- ლად ყოფილი და თქვენი მასხურებით კმაყოფილი, არ უნდა ვითხოვდე თქვენგან ერთგულების მტკიცებას, რა- დგან, ცხოვრება თქვენი ამის უტყუარი მაჩვენებელია. ჩემს სამსახურში მყოფნი, განა ხშირად მოწყვეტილნი არ იყავით ოჯახს. იშვიათად ხვედებოდით სახლყოფით; მაგრამამჟამად ღვთის ნების ჩემთვის გამოუცნობი გა- ნგებთი, უფალმა დაუშვა ჩვენი ცხოვრების წესის შეც- ვლა და ჩვენ სიცოცხლის დარჩენილი დღენი უცხოეთ- ში უნდა განვლიოთ. მინდა გკითხოთ: ეხლა ვინდა ხა- რთ ჭეშმარიტად ჩემი ერთგულნი? ახლანდელი საქმე არ არის იოლი და არც სწრაფწარმავალი. იგი ადამ- იანურ ძალას აღემატება. მაშ, ვინ გაინაწილებს ჩემს ხვედრსა და ჩემს თავს დამტყდარ უხელურებას? მაშინ- ვე ყველამ ერთხმად დაარწმუნა მეფე მათს სრულ ერთგულებაში და მზადყოფნაში, მასთან ერთად გაეზო- არებინათ მოწვენილი ჭირი და ღზინი, დაევიწყებინათ თავიანთი ოჯახის ინტერესების და ადგილ-მამულის საჭ- იროებანი, რის დამამტკიცებლადაც მოითხოვეს მოუტან- ათ ცხოველყოფელი ჭვარი და მის წინაშე დაედოთ მტკიცე ფიცი.

რამდენიმე დღის შემდეგ მეფემ იხმო ერთგული მსახური -თავადი ჭაიხოსრო წერეთელი და გაუზიბლა თავისი აზრები სანკ-პეტერბურგში წასვლის თაობაზე. მისი აზრით, რუსეთის იმპერატორს სოლომონ მეფის გვერდით ყოფნა მხოლოდ იმიტომ უნდოდა, რომ თუ ცხადად არა, შინაგანად მაინც ჯიჟვნიანა, რომ თვი- თონ იყო მეფეთა-მეფე და სამეფოს განმგებელი." წარმ-

ოიდიგინგროგორი იქნება ჩემი გამოჩენა სასახლეში დიდებულთა შორის? ეს ხომ მარადჟამს წარუხიციველ და მამცირებულ ღაქად დამჩნება. შიჯობს, სიცოცხლე მოვისწრაფო და საწამლაფი შეესვა, ვიდრე ჩემი მიზეზით ჩვენი წმიდა საგვარეულო დავაძაბლო. აჰა, გარდაგიხსენ და ჩაგახედე ჩემს გულში, ახლა შენ განსაჯე და მეგობრული რჩევა მომეც - დასძინა ბოლოს მეფემ.

ბავშვობიდანვე მთელი მისი არსებით მეფის ერთგულმა ქიხოსრომ მაშინვე მიუგო: " მეფეო! თქვენ იცით, რომ მე მზად ვარ ჩემი თქვენდამი სიყვარული დაგიმტკიცოთ სულით და გულით. ამიტომაც, გთხოვთ გამიზილიოთ თქვენი ზრახვანი". მაშინ მეფემ გაანდო ქიხოსროს, რომ მას ურჩევნია თურქეთში გაქცევა ან ზერად აღკვეცა, ანდა შქირის დარად ყველაფრის თმუნა, ოღონდ კი პეტერბურგში არ წავიდეს და არ მოსკვის იმპერატორს საშუალება, იამაყის მეფეთა მეფობით.

თავადმა ქიხოსრომ ყოველშრივი დახმარება აღუთქვა. მან იმ საღამოსვე გააცნო ამაღის ყველა თავადს მეფის გადაწყვეტილება. მათ ყველამ ერთხელ კიდევ დაიფიცეს ერთგულება. მერე ქიხოსრომ თავისთან იხმო ერთი წერილიაზნაურთაგანი და ჰკითხა: " შენ როგორც შენი ხელმწიფის სანდო პირს, მის აღზრდილსა და ნაწყალობევეს, რამდენად გიყვარს შენი ხელმწიფე?" აზნაურმა მიუგო, რომ თავისი მეფისთვის იგი მზად არის დათმოს შობილების სიყვარული, დატოვოს საკუთარი ოჯახი და, საერთოდ, ყველაფერი. მაშინ თავადმა კვლავ ჰკითხა: " საჭიროებას რომ მოეთხოვა, შესძლებდი შენი მეფისთვის სიკვდილს - იქნებოდა ეს თავის მოკვება, ჩამობრძობა თუ ნაწილ-ნაწილ აკუწვა?" შემკრთაღმა აზნაურმა უარის ნიშნად თავი გაიქნია და შეცხუნებულმა როგორც სულმოკლე და სუსტმა აღამიანმა პატიება სთხოვა. თავადმა მადლობა გადაუხადა სიმათლის აღიარებისათვის და ფულით, სამოსითა და იარაღით დაასაჩუქრა. როდესაც ეს კაცი შემდგომ მეფის წინაშე წარსდგა, დავალებად ქუთაისში წასვლა მიიღო. თანაც დედოფლისათვის ყველაფერი უნდა ეამზნა და ეთხოვა, რომ იგი სასწრაფოდ წასულიყო გურიის განმგებულ თავადთან, იქიდან კი თურქეთის სამღვრებში შემავალ ქობულეთის სანჯაყში გადასულიყო და იქ დალოდებოდა მეფეს, რომ მერე ერთად გამგზავრებულიყვნენ კონსტანტინოპოლში.

მეორე დღეს, სადილობის შემდეგ, თავადმა ქიხოსრომ დაიბარა ერთი ახალგაზრდა მემამულე, რომელიც პატარაობიდანვე სამეფო კარზე იზრდებოდა და ტრავუ

ზის დროს მეფეს ემსახურებოდა /ღვინოს და წყალს მიართმევდა ხოლმე/, მან ჰკითხა: "ძმაო, შენ ასე დაახლოებული ხარ მეფესთან და მუდმივად მისი მფარველობით სარგებლობ, რითი შეგიძლია შენს მწყალობელს ერთგულება დაუმტკიცო?"

ახალგაზრდამ უპასუხა, რომ მეფის გულისათვის მზად არის სიცოცხლეც კი გასწიროს და ღმერთს შესთხოვს, რომ საშუალება მიეცეს, ყოველივე ეს საქმით დაამტკიცოს: "მაშ, მზად ხარ, რომ შენი თავგანწირვით მეფე გაჭირებისაგან იხსნა?" "გმაღლობთ, შენ, უფალო, რომ ღირსყოფ მეფეს ჩემი სისხლით ვემსახურო"-თქვა მან გულწრფელი აღფრთოვანებით. მაშინ თავადმა გაუზილა მეფის, ჩანაფიქრი და თავისი გეგმაც გაანდო: " შენ ხვალ საღამოს მეფის ტანსაცმელს ჩაიცვამ და მის საწოლზე დაწვები. ამ დროს კი მახურის ტანსაცმლით მოხილი მეფე თავადებთან ერთად ვითომცდა აბანოში წასასვლელად სასახლიდან გავა". ახალგაზრდა სიხარულით შეპირდა, რომ ყოველივეს გააკეთებდა და სიკვდილის შესახვედრად მზადება დაიწყო.

შემდეგ თავადმა ქიხოსრომ თავადებს შესთავაზა დაცვის წინაშე გაუთამაშებინათ, თითქოს რუსეთში გადასახლებასთან დაკავშირებით, მათ შორის განხეთქილება მოხდა. თავადებმა სიამოვნებით შეასრულეს დავალება. ატყდა აურზაური, ყვირილი და კამათი. მოვიდა თვითონ გენერალი ტორმაზოვი და სცადა გაცხარებული თავადების დაშოშინება, მაგრამ ამაოდ. თითქმის ყველა ერთხმად გაპყვიროდა, სპეტერბურგში წასვლა არ გვინდაო. ხმაურზე მეფე სოლომონი გამობრძანდა და განაცხადა: ვისაც არ სურდა გაყოლოდა მას, მინ დაბრუნებულიყო. ექვსი კაცის გარდა მთელმა ამაღამ დაბრუნება ირჩია. იმ საღამოსვე თავადებმა შეკაზმეს ცხენები და თბილისი დატოვეს. ისინი ქალაქიდან 7 კილომეტრის დაშორებით შეჩერდნენ და შემდგომი მგზავრობისათვის სურსათის მომარაგება დაიწყეს. მეორე დღეს რამდენიმე მათგანი კვლავ გამოიწნა ქალაქში, თავს აჩვენებდნენ, თითქოსდა, მგზავრობისათვის აუკიდრებული საყიდლების შექენა სურდათ. ფარულად კი თავად ქიხოსროს აცნობეს, გაქცევისათვის უკვე ყველაფერი მზადა გვაქვსო.

საღამოს, ოდნავ რომ დაბინდდა, მეფემ თავის ერთგულ მახურს სამოსი შეუცვალა, აიღო ღვინის თიხის ქურჭელი და მასთან დარჩენილ თავადებთან ერთად გარეთ გამოვიდა. ერთგულმა მახურმა კი კარი ჩაკეტა და მეფის საწოლზე წამოწვა. თავადმა ქიხოსრომ ყარაულის უფროსის მორიგე გააფრთხილა, აბანოდან ჩვენს დაბრუნებამდე მეფე არავინ შეაწუხო.

სასახლიდან გამოსულნი აბანოს კარიბჭისაკენ გაე-
მართნენ. გზად თბილი ღვაწლით მოვაჭრე ერთ იმერე-
ლთან შეიარეს, იმერულმა რატომღაც დაჟინებით დაუწ-
ყო ცქერა გადაცემულ მეფეს და თანმზღებთ ჰკითხა: "
ვინ არის ეს კეთილშობილი ადამიანი? მართალია მსახ-
ურის ტანსაცმელი აცვია, მაგრამ სახეზე ეტყობა, ცნ-
ობილი პიროვნება უნდა იყოს". თავადმა სვიმონ წერე-
თელმა, რომელიც ამ ვაჭრის ბატონი იყო, განრისხებულ-
მა შესძახა: " დიდი ხანია ოქროპირი გახდი, ყოველგ-
ვარი გარჩევის გარეშე რომ ერევი სხვის საქმეში. ას-
ეთი თავხედობისათვის თავად კიკნაძეს მივეცი შენს
თავს." რადგან კიკნაძე ცნობილი იყო გლეხებისადმი
შკაპრი დამოკიდებულებით, მუქარამ ისე შეაშინა ვაჭა-
რი, რომ უწუმრად დატოვა დახლი და გაიქცა. თავა-
დებმა აიღეს რამდენიმე ღვაწლი, გაუწოდეს მეფეს წა-
მოსაღებად და გზა გააგრძელეს.

ბაზარს რომ გასცდნენ, აბანოსთან მიახლოვებულე-
ბმა ღვინის მოვაჭრეთანაც შეიარეს, იყიდეს ერთი
ლოქი ღვინო და ისიც მეფეს დააჭერინეს ხელში წამ-
ოსაღებად.

სიღბადადის უბანში სპარსთა კარიბჭისაკენ აუხვი-
ეს; გზაზე ორი სომეხი შემოხვდათ, მათ ცქერა დაუწ-
ყეს მიმავალთ. ერთ-ერთმა მათგანმა ყურადღება მიაქც-
ია მეფეს და მისი სიღამაზით, აღნაგობითა და წარმ-
ოსაღვეობით განცვიფრებულმა, თანამგზავს ქართულად
უთხრა: " შეხედე ამ კაცს, როგორი მშვენიერი!" ამ
სიტყვებმა იქვე მყოფი სხვა სომეხების დიანტერესება
გამოიწვია. რომელიღაცამ თქვა: "ესენი იმერლები უნდა
იყვნენ";- მეორემ დაუმატა: "- ის ღამაში კი მეფე უნდა

იყოს." ამ სიტყვებმა ისე შეაკრთო მეფე, რომ იგი
მოულოდნელად წაიქცა და მთელი ღვინო დააქცია.
თავადმა ქაიხოსრომ და სვიმონმა მაშინვე წამოაყენეს
ფეხზე. ქაიხოსრომ უსაყვედურა: " ყური მიგდე, ბიჭო,
შენ ასეთი ოინები დღეს უკვე მერამდენედ ჩაიღინე,
როგორ იქცევი? ნასვამი ხარ თუ ეშმაკი გაბრკოლებს?
ასეთი ოინებისათვის ისე გასწავლი ჭკუას, რომ დიდხ-
ანს დაგამახსოვრდეს".

ამ სიტყვებმა მეფე უხერხული მდგომარეობიდან
გამოიყვანა. პროცესია კვლავ წინ დაიძრა.

ქალაქიდან გასვლისას თავადმა ქაიხოსრომ კვლავ
უსაყვედურა მეფეს გაუხედაობა, განცლებისაგან მეფე
ისე დასუსტდა, რომ აღარ შეეძლო გზის გაგრძელება.
იგი ხან ხელში აყვანილი, ხან კი მხრებზე შესმული
მიჰყავდათ. მალე უფალი შეეწია მის გაჭირვებას. გზა-
ში შეხვდათ თავადი ბარათაშვილი, რომელიც თბილის-
ში მოდიოდა. თავადებმა სთხოვეს დაეთმო ცხენი მეფ-
ისათვის და უამზეს ყოველივე, რაც მათ თავს გადახ-
დათ. კეთილშობილმა თავადმა მაშინვე მისცა ცხენი
და მთელი თავისი სურსათის მარაგი, რაც მის მსახუ-
რს მეორე ცხენით მოჰქონდა, თან ზღენიერი მგზავრო-
ბა უსურვა.

მეფე სოლომონ II და მისი თანმზღებნი დათქმულ
ადგილზე მივიდნენ და ამაღის სხვა წვევრებთან შეერ-
თებულნი თრიალეთის მთებით ახალციხისაკენ გაემგზა-
ვნენ. მესამე დღეს ქალაქს მოახლოვებულბმა გაგზავნეს
მალეშროლი, რომ ფაშასათვის შეეტყობინებინათ მეფის
მისვლა და მისი გადაწყვეტილება. გამგზავრებულიყო
კონსტანტინოპოლში სულთან მაჰმუდთან.

თურქეთში მეფის ჩასვლა და გარდაცვალება

ახალციხის ფაშამ მეფის მობრძანების ამბავი რომ
შეიტყო, მის შესახვედრად ცხენოსანთა საპატიო რაზმი
გამოგზავნა. შემდეგ კი თითონაც ამაღასთან ერთად
ქალაქგარეთ გამოვიდა და პატივისცემის ნიშნად, თურ-
ქული ჩვეულებისამებრ, ცხენოსანთა პარადი მოაწყო.
ფაშამ დიდი სიხარულით მიიღო მეფე. მისმა მობრძანე-
ბამ ქალაქში საზეიმო განწყობილება შექმნა. განსაკუ-
თრებით დაჩაგრული ქრისტიანები გამოცოცხლდნენ. ფა-
შამ მდიდრული პალატები მოუშადა ძვირფას სტუმარს,
ხაზინიდანაც დიდძალი თანხა გასცა მეფისა და ამაღ-
ის შესახებად, თვითონაც ყოველ საღამოს მიდიოდა
სანახაუდად, ამშვიდებდა და იმერეთის სამეფოს დაბრუნ-
ებით აიმედებდა. ამავე დროს მან კონსტანტინოპოლში

გაგზავნა მოხელე, სულთან მაჰმუდს შეატყობინა იმერ-
ეთის მეფის ახალციხის საფაშოში გადმოსვლა და დაჩ-
აგრული მეფისათვის დახმარება სთხოვა. ამით მან გა-
დაკურით აგრძობინა სულთანს, რომ გამოგზავნა ჯა-
რი შეამზობე იმერელთა დასასტუმრად, რომელთაც თავი-
ანთი დალატითა და მუხანათობით ამდენ უსიამოვნებას
შეახვედრეს სოლომონ II.

ახალციხის ფაშის წერილი რომ მიიღო, სულთანმა
შემდეგი შინაარსის ფირმანი გამოგზავნა:

"ოტომან განმგებელთაგან იმერეთის მეფე სოლომ-
ონი მიღებული იქნება მფარველობის ქვეშ და გარანტ-
ირებული იქნება იგი სრული თავისუფლებითა და უში-
შროებით მისთვის სამეფოს დაბრუნებაში. მეფისა და

მისი ამაღლის შესახებ გამოყოფილი უნდა იქნეს ვრზრუმისა და მისი საჭვეუწყებო ქალაქების უცხოური საქონლის შემოსავალი, აგრეთვე თურქეთის ხორბლის, ქერის, მსხვილფეხა და წვრილფეხა რქოსანი პირუტყვისა და შინაური ფრინველის შემოსავლის შეათელი."

სოლომონის თხოვნაზე, კონსტანტინოპოლში მაჰმუდს სწვევდა, უარი მოეხდა. მეფის მოწინააღმდეგეთა ჭკუის სასწავლებლად იმერეთში ჯარის გაგზავნის შესახებაც სულთანს არავითარი ზრძანება არ გაუკცია ფაშას მიმართ, მაგრამ არც მოხალისეთა (ბაში-ბუზუკების) წასვლა აუკრძალავს იმერეთში მას მიაზნდა, რომ მეფეს უნდა დაეკავდა რუსეთსა და ევროპის სახელმწიფოთა შორის ურთიერთობის გამწვავებამდე და მეფე ეზრუნა ტახტის დაბრუნებაზე. მანამდე კი ვერბრუნში ეცხოვრა.

როცა სოლომონ II ასეთი მოწყალე რუსკობატი მიიღო, გამოცოცხლდა, ნაღველი გადაიყარა, გადაწყვიტა ჯარით წასულიყო იმერეთში და მოლაღატე ქვეშევრდომნი დაესაჭა. ფაშას თანხმობით მან გამოაცხადა მოხალისეთა შეკრება, ვისაც სურდა თურქეთის იარაღის სახელისა და ღირსების დაცვა, რათა იმერეთიდან გაერეკათ რუსები. ამ მოწოდების შემდეგ მოხალისენი საკმაოდ მრავლად მოგროვდნენ. მათ დაზარეული მეფის ბედი იმდენად არ აინტერესებდათ, რამდენადაც ქრისტე იანთა სისხლისღვრა და ძარცვა.

საოცარია, როგორ წავიდა მეფე ასეთი არაღვთისნიერი საქმის აღსასრულებლად. მთელს იმერეთში დაიგზავნა მეფის ერთგული კაცები, რათა მოსახლეობა აეჭანყებინათ. ხალხი გაიყო: ნაწილი მეფეს მიემხრო, ნაწილი განუდგა და რუსის ჯარს შეუერთდა. მათ მეფეს წერილი მისწერეს და შეუთვალეს, შენი ნახვა აღარ გვინდა ამიერიდან იმერეთის ტახტზე და გავგვშორდით. მეფემ არ უსმინა კვილიკონიურ რჩევას და ომი წამოიწყო. თურქეთის ჯარს შავი ჭირი მოედო, ჭირმა განადგურა იმერეთის მშვიდობიანი მოსახლეობაც, ომი რუსეთის ჯარის გამარჯვებით დამთავრდა, იგი იძულებული გახდა ახალციხეში დაბრუნებულიყო.

ამ მეტად მძიმე დროს პროტოპრესვიტორმა იუსეყანჩაველმა დატოვა სამშობლო და ვერბრუმისაკენ გაემიგრათა, რათა შეუხარებია შეუმსუბუქებინა მეფისათვის.

ვერბრუმის ფაშა ვაამე-ემინმა გულითადად მიიღო მეფე, გამოუყო კარგი შენობა და საკმაო თანხა. მაგრამ მეფეს დიდხანს არ უსარგებლია ამ სიკეთით. გუნერაღმა ტორმაზოვმა სხვადასხვა საჩუქრებით გადაიბირა ანგარებიანი თურქი და მოსთხოვა ყოველმხრივ შევეწროებინა მეფე. ამის გამო ფაშას დამოკიდებულებაც ნელ-ნელა შეიცვალა; მან მეფე და მისი ამაღა

საცხოვრებლად ძველ ყაზარმაში გადაიყვანა, სადაც მათ რამდენიმე წელს მოუწიათ ყოფნა, თანაც, მეფის შესახებ გამოყოფილი თანხაც გაუნახვერა.

მეფემ მალე მოთმინება დაკარგა; ფაშასათვის სიტყვაც არ უთქვამს, ისე შეკაზმა ცხენი, შეიარაღდა, როგორც ომში წასვლისას და ტრაპეზუნდში გასამგზავრებლად მოემზადა. როცა ფაშამ სოლომონ მეფის გამგზავრება გაიგო, მას იანიჩარები დაადევნა და პატიუბა სთხოვა, საერთოდ ვერ მიხვედრილიყო, რით იყო გამოწვეული მისი მოულოდნელი წასვლა. მეფემ შემოუთვალა, რომ მისი გამგზავრების მიზეზი იყო თვით ფაშას შერიდან მისდამი ყოველად დაუშახურებელი დამოკიდებულება, რომ მას საფაშოში დაჩქინა აღარ შეუძლია და ამიტომაც მიემგზავრება ტრაპეზუნდში, რათა იქიდან ყოველივე ეს აცნობოს სულტანს. ფაშა შეეპასუხა და განუცხადა, რომ სულთანის ნებართვის გარეშე მეფეს არა აქვს უფლება დატოვოს ვერბრუმი და ურჩია, დამშვიდებულიყო. თან თავის შერიც შეპირდა უკეთ მოგვეყრობიო. მეფე იძულებული გახდა დამორჩილებოდა უკან დაბრუნდა და გადაწყვიტა, სხვა უკეთეს შემთხვევას დალოდებოდა.

ეს დროც მალე დადგა. 1812 წლის მაისში თურქთა რამაზანის დროს, როცა ისინი ღამით გართობის შემდეგ ღრმა ძილს მიეცნენ, მეფემ შეკრიბა თავისი ხალხი, შეაკაზმინა ცხენები და სწრაფად დატოვა ვერბრუმი. ვაიზურთის საჯანყის საზღვარს რომ მიუახლოვდნენ, შეაშინეს, რომ იანიჩარების რაზმი მოსდევდათ. მეფემ გადაწყვიტა კი არ გაქცეულიყო, არამედ შებრძოლებოდა მათ.

ამ დროს შორიხლოს ჩაიარა კონსტანტინოპოლიდან მომავალმა სახელმწიფოს წარჩინებულმა მოხელემ. იგი მიესალმა მეფეს და გზა განაგრძო. მალე იანიჩართა რაზმი შემოხვდა. გაოცებულმა მოხელემ იკითხა მათი თქარა-თქურით ჭენების მიზეზი. როცა შეიტყო, რომ მათ ფაშა ვაამე-ემინისაგან დავალებული ჰქონდათ, დასდევნებოდნენ იმერეთის მეფეს, და რადაც არ უნდა დასტომოდათ, ცოცხალი ან შეკვდარი ჩაუგდოთ ხელში, დიდებულმა ჩვეული თურქული ირონიით უთხრა: "აკილსიზლარინინ კაზანდიგი, ავლი, სააზილას, ეიმიშლას" ე.ი. "უგუნურთ მოხარშეს, გონიერთ კი მიირთვესო", შემდეგ მიუბრუნდა და რაზმის უფროსს მიმართა: "შენ, ძმაო, ერთგული ყმა სჩანხარ ფაშისი და არა სულთანისა, და რა სარგებელს ნახავ შენი ფაშისაგან? დაუეშვათ, შეიპყარ მეფე, მაგრამ ამით ხომ დარისჯები, რადგან შელახავ მის ღირსებას. თუ შეებრძოლები, ისინი ისე არიან შეიარაღებულნი, რომ მთელ ჯარსაც

კი ადვილად გაუჭლავდებიან. ასე რომ, სარგებელი არავითარ შემთხვევაში არ გეწება, თქვენი თავები კი შესაძლოა საზამთრობით გაგორდნენ მიწაზე. სულთანის რისხვისაგან ფაშა ვერ დაგიცავს, რადგან თავის თავზე ფიქრი მოუწყვეს. ამიტომ, გიჯობს უკან გაბრუნდე."

ამასობაში მეფემ ქალაქ ბაიბურთს მიადწია. მუსულმანთა (ქალაქის თავმა) ისინი დიდი პატივით მიიღო და ორი დღე უმასპინძლა. მესამე დღეს კი გიმიშხანისაკენ გასწიეს, სადაც მათ საბურძნეთის მართლმადიდებელი სამღვდლოება შეხვდა. ისინი გიმიშხანისში ორ დღეს დარჩნენ.

ორდღიანი მგზავრობის შემდეგ მათ ტრაპეზუნდს მიადწიეს. ამ ქალაქის ფაშა - ოსმან-ხაზინ-ხაზარ-ოღლი ქართველ თავადთა შთამომავალი იყო და გახარებულმა აღარ იცოდა, როგორ ვცა პატივი იმერეთის მეფისთვის. სტუმრების უკეთ მისაღებად მან მოიწვია უცხოეთის კონსულები, მართლმადიდებელი სასულიერო პირნი და მათთან ერთად გადაწყვიტა ქალაქის მისადგომებთან შეგებებოდა მეფეს. ასეთმა გულითაღმა შეხედრამ სოლომონი მეტად დაამწვიდა, ფაშამ შეატყობინა კონსტანტინოპოლს იმერეთის მეფისა და მისი ამაღლის მოსვლის შესახებ და სტუმრის ღირსული დახვედრისათვის დარიცება სთხოვა. თავის მხრივ, მეფე სოლომონმაც ელჩის, თავად იოანე ლიონიძის ხელით სულთანს ეპისტოლე გაუგზავნა, სადაც აღწერა მის თავს დამტყდარი უბედურებანი და ის დამკირება, რაც ერზრუმის ფაშამ მოაყენა. თავად ლიონიძის გადმოცემით, როცა სულთანი ამ წერილს გაეცნო, ძლიერ აღელდა და თვალბეჭე ცრემლები მოადგა. "ჯერ დიდხანს იყო დაფიქრებული, შემდეგ მოულოდნელად ღომივით დაიღრიალა." ამან ჯალათი. ჯალათის გამოჩენისთანავე დაწერა მცირე ბარათი და ბეჭედი დაუსვა. შემდეგ კი უბრძანა დამსჯელს ერზრუმში გამგზავრებულიყო, რათა ვაამუშინისათვის თავი მოეკვეთა, ჭინუბა ჩამოერთმია და ცოლი და შვილები მონებად გაეყვიდა. მერე, 20 დღეში უკან კონსტანტინოპოლში დაბრუნებულიყო და თან ფაშას თავი ჩამოეტანა. გზად ტრაპეზუნდშიც შეველო და მოკვდილი თავი მეფისთვის უჩვენებინა.

ერზრუმში ჩასული ჯალათი ფაშას სახლის წინ გაჩურდა, შიგ არ შევიდა, იგი გარეთ გამოიძახა. ფაშას ყვაროლზე თითქმის მთელი ქალაქის მოსახლეობა შეგროვდა. ჯალათმა სულთანის განკარგულება ყველას წინაშე ხმამაღლა წაიკითხა. საწყალი ფაშა შეიპყრეს,

დააჩოქეს და თავი მოკვეთეს. ტრაპეზუნდში ჩასულმა ჯალათმა აჩვენა მეფეს ფაშას მოკვეთილი თავი. სოლომონმა კინდამ გრძობა დაკარგა და ბრძანა მის თვალთაგან მოეშორებინათ ეს ნადავლი.

კონსტანტინოპოლში სულთანთან დაყოვნებული თავად ლიონიძეს მეფისათვის ხაზინიდან ძვირფასი საჩუქრები მიართვეს. სულთანის ასეთი მოწყალება რომ დაინახეს, თურქმა დიდებულებმა, განსაკუთრებით კი თურქეთში მომსახურე ქართველმა ფაშებმა, დიდი შეწირულობა გაიღეს. ასე რომ, თავადი ლიონიძე საჩუქრებით დატვირთული ხომალდით დაბრუნდა მეფესთან.

ცოტა ხნის შემდეგ სულთანმა აუწყა მეფეს, რომ ნაპოლეონთან ომში ჩაბმული რუსეთი ხელს ვეღარ შეუშლიდა მის გამეფებას, და ურჩია, შეეერთებინა ერზრუმის, ტრაპეზუნდისა და ფოთის საფაშოთა ჯარები და იმერეთისკენ დაძრულიყო. მაგრამ ამ ეპისტოლეს არ გაუხარებია მეფე და დამწუხრებულმა წამოიძახა: რატომ მუცულშივე არ გავეუწყალი დედას, თუ ჩემი მიზნით ქრისტიანებს ასეთი უბედურება უნდა ეწიოს. პასუხად მან სულთანს მადლობა შეუთვალა ზრუნვისათვის და სთხოვა, ჯანმრთელობის გაუარესების და ფოთის სიმაგრის არაჯანსაღი კლიმატის გამო, ეს საქმე სამი თვით გადაეღო. ამის შემდეგ მან სათათბიროდ შეჰყარა თავისი ხალხი და რუსეთის იმპერატორთან შერიგებისა და მშვიდობის დასამყარებლად ზღვით, ფარულად ჯერ ყირიმში წასვლა, იქიდან კი - პეტერბურგში გამგზავრება შესთავაზა.

გავიდა დათქმული დრო, მეფე იძულებული გახდა თავისი ამაღლით ფოთში გამგზავრებულიყო. როცა სოლომონი და მასთან ერთად თურქეთის ჯარი იქ მოვიდა, სამეგრელოს და ქართლ-კახეთის თავადებმა შეუთვალეს, რომ მას შეიარაღებული თურქების ძალით იმერეთის ტახტის დაბრუნებაზე ამიერიდან აღარ ეფიქრა.

აქ თავდება ჩანაწერები, რომლებიც ქართველი ზერის გაბრიელის მონათხრობის მიხედვით არის შედგენილი. მამა გაბრიელმა დაწვრილებით იცოდა ხუცკის ილარიონის ცხოვრება, მაგრამსამწუხაროდ, ვერ დაასრულა მისი თხრობა მძიმე ავადმყოფობისა (გულის ანგინა) და მისი მალე გარდაცვალების გამო (1865 წლის 27 ოქტომბერს)

მეფე სოლომონ II დაბრუნდა თურქეთში, და იგი 1814 წელს გარდაიცვალა კიდეც ტრაპეზუნდში.

რუსულიდან თარგმნა თ. ჩიქოვანმა



კალენდულა

მეტად გავრცელებული სამკურნალო მცენარეა. ღერო აქვს სწორი, დატოტვილი -30-60 სმ სიმაღლისა, ფოთლები -თანმიმდევრული, მოგრძო. ყვავილები თავს იყრის მაღლა, შეკრულია დიდ ნარინჯისფერ-წითელ-ყვითელ კალათად. ყვავის ივნისიდან ოქტომბრამდე. სამკურნალოდ გამოიყენება ყვავილი, რომელშიც შედის ეთერზეთი ფიტონციდები, ბევრი კაროტინი, საღებავი და ლორწოვანი ნივთიერებები, მჟავები, ალკალიდები. ეს პრეპარატები გამოიყენება მიკრობსაწინააღმდეგო, შარდმდენ, ნაღვლმდენ,სისხლგამწმენდ საშუალებად.

კალენდულა ერთ-ერთი ძველი და პოპულარული ხალხური სამკურნალო საშუალებაა. იხმარება კუჭისა და თორმეტკოჭა ნაწლავის წყლულების, გასტრიტის, გულის რიტმის დარღვევის, პიპერტონული დაავადებების, აგრეთვე, როგორც დამაწმენდი საშუალება, უძილობის და ნევროზების დროს. ფხვნილ ნიკოტინის მჟავასთან ერთად შედის "KH" ტაბლეტების შემადგენლობაში, რომლებიც გამოიყენება როგორც სიმპტომატური საშუალება კუჭ-ნაწლავის და ფილტვების ნეოპრავილური ახლად წარმონაქმნების დროს.

კალენდულა რკინის მჟავასთან ერთად შედის კაფ

ერიდის შემადგენლობაში. პრეპარატი გამოდის ტაბლეტების სახით. უნიშნავენ სისხლნაკლებობის დროს- 2 ტაბლეტი 3-ჯერ დღეში. კალენდულას 10%-იანი ნაყენი მზადდება ახალი ან გამშარი ფოთლებისაგან 40%-იან სპირტზე. მისი მიღება შეიძლება დიდი ხნის მანძილზე 50-50 წვეთი ან 1-2 ჩაის კოვზი ნახევარ ჭიქა თბილ წყალზე. 3-ჯერ დღეში 30 წუთით ადრე ჭამამდე. ნაყენი მზადდება შემდეგნაირად 20 გ 200 გ წყალზე, მიიღება 2-3 სუფრის კოვზი 3-4-ჯერ დღეში. კალენდულას პრეპარატი უკუმაჩვენებელია მათთვის, ვისაც აქვს დაბალი წნევა.

როგორც ანტისეპტიკური, ანთების საწინააღმდეგო და ქრილობის შემახორცებელი საშუალება, კალენდულა ფართოდ გამოიყენება ბუასილის, გასტრიტების,ტრიქომონატული კოლპიტების, პირის ღრუს და ყელის დაავადებების, აგრეთვე დამწვრობის და მოყინულობის დროს. ამ დაავადებათა სამკურნალოდ მზადდება 10-20%-იანი მალამო(5-10 გ ნაყენს შეაზღუდუნ 25 გ ვაზელინს). საფრენად, საღებავად, შესასხურებლად და ოყნისათვის 1 ჭიქა წყალზე იღებენ 1 ჩაის კოვზ ან 30%-იან ნაყენს.

თვალის დაავადებებისათვის (ბელეფარიტი, კონიუქტივიტი, კიბლობო) კეთდება კომპრესები ან აბაზანები. ამის, გარდა, ბელეფარიტებზე კარგ შედეგს იძლევა ყოველდღიური შეშლვა მალამოთი და მასაჟი 5-10-ჯერ წამწამების ძირების არეში, ხსნარში დასველებული ტამპონებით. მკურნალობის კურსი 20 პროცედურისაგან შედგება.

ჭრილობებზე იყენებენ მალამოს ერთი ჩაის კოვზი წვენიდან და 30 გ კარაქისაგან. ან ბალახიდან გამორჩეულ ბალახის წვენი.

ჭორღლის მოსაშორებლად სასურველია სახის გაწმენდა (დილა-საღამოს) ახალი მცენარის წვენი.

კალენდულა კარგ შედეგს იძლევა ინფექციური სიყვილის მკურნალობის დროსაც. საერთოდ ის შესანიშნავი საშუალებაა დვიდლის სნეულებათა სამკურნალოდ-ყვავილებს,ფოთლებსა და ღეროებს უნდა დაესხას

მდუღარე წყალი და ავადმყოფმა უნდა სვას დღეში სამი-ოთხი ფინჯანი უშაქროდ.

კალენდულას პრეპარატები, რომელთა მომზადება შეიძლება შინაურ პირობებში:

1. ჩაი: ერთ სავსე ჩაის კოვზ მცენარეს დაასხით 250 გ. მდუღარე წყალი.

2. ნაყენი: ერთ მუჭა ყვავილს დაასხით ერთი ლიტრი ნატურალური არაყი და თოთხმეტ დღეს გააჩერეთ სითბოში,დაახლოებით + 20 0-C-ზე.

3. ორი სავსე პეშვი კალენდულა დაჭერით, ნახევარი კილო ცხიმი გააცხელეთ და შიგ ჩაყარეთ დაჭრილი ბალახი, ცოტა ხანს ადუღეთ და ურიეთ. დაახლოებით სახურავი და გააჩერეთ ერთ დღეს. მეორე დღეს ოდნავ შეათბეთ, გაწურეთ და ქილებში ჩაასხით.

4. ახალი წვენი: ფოთლები, ღეროები და ყვავილები გარეცხეთ, და სანამ სველია, წვენი გამოხადეთ.

ბიბლიოგრაფია

"წიგნნი ძუელისა აღთქუმისანი შესაქმისაჲ, გამოსლვათაჲ"

ბიბლია ქართული ლიტერატურის უძველესი თარგმნითი ძეგლია. ძველი და ახალი აღთქმის წიგნთა ფრაგმენტები შემონახულია უძველესი პალიმფესტური ხელნაწერებით (Y-YI სს). ჩვენამდე მოღწეულია ქართული ბიბლიის შედარებითი სრული ნუსხებიც: ათონის (ოშკის) 978 წ. ხელნაწერი,გელათისა (XIII ს.) და მცხეთის(XYII-XYIII სს) ბიბლიები და სხვ.

ბიბლიური ტექსტების შემკველ ხელნაწერთა ნაწილი საქართველოს სიძველეთსაცავებშია დაცული (ქ.კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტი, ქუთაისის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი), ნაწილი - საზღვარგარეთ (ათონის მთაზე, იერუსალიმში, სინაჲს მთაზე, მატენადარანში, ევროპის სხვადასხვა სიძველეთსაცავებში).

მიუხედავად ქართულ ენაზე ბიბლიის თარგმნისა და რედაქტირების მდიდარი ტრადიციებისა, ბეჭდვითი გამოცემები თითო-ორიჯერ გვაქვს. პირველი ნაბეჭდი ბიბლია გამოცემა ბაქარ ბატონიშვილმა მოსკოვში, 1743 წელს. მეორედ გამოიცა თბილისში, ორ ტომად, 1882-84 წწ. ორივე ეს გამოცემა დღეისათვის ბიბლიოგრაფიული იშვიათობაა. იგივე ითქმის პირველ მეცნიერულ გამოცემებზე, რომლებიც აკაკი შანიძის მიერაა შესრულებული (წიგნნი ძუელისა აღთქუმისანი, ტ.I ნაკვ.1,1947,ნაკვ.2,1948). დიდი ხანი არაა, რაც გამოიცა სულხან-საბა ორბელიანის მიერ რედაქტირებული "მცხუ-

თური ბიბლიის" ტექსტი (მცხეთური ხელნაწერი, გამოსაცემად მოამზადა ელ. ლოჩანაშვილმა, ნაკვ.I,1981;ნაკვ.II,1982; ნაკვ.III,1983;ნაკვ.IV, 1985; ნაკვ.V,1986), მაგრამ ქართული ბიბლიის ყველა ვერსიის გამომშვერება ისევ რჩებოდა ბიბლიოლოგიის უმნიშვნელოვანეს საჭიროებად.

ძველი აღთქმის ქართულ თარგმანთა გამოსაცემად მომზადება დაიწყო სამოციანი წლების დამდეგს ქ.კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტში. შეიქმნა მეცნიერ-თანამშრომელთა ჯგუფი ილ. აბულაძის ხელმძღვანელობით.

დიდი და შრომატევადი მუშაობის შედეგად ჩვენ უკვე ხელთ გვაქვს ძველი აღთქმის წიგნთა მეცნიერულად გამართული ტექსტის პირველი ნაკვეთი (წიგნნი ძუელისა აღთქუმისანი, ნაკვ.I, შესაქმისაჲ, გამოსლვათაჲ, ყველა არსებული ხელნაწერის მიხედვით გამოსაცემად მოამზადეს ბ ა ქ ა რ გ ი გ ი ნ ე ი შ ვ ი ლ მ ა და ც ო ტ ნ ე კ ი კ ვ ი ძ ე მ. გამოკვლევა ბ ა ქ ა რ გ ი გ ი ნ ე ი შ ვ ი ლ ი ს ა, 1989წ.) წიგნს ბოლოში ერთვის ძველი აღთქმის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა (შეასრულეს: ბ. გ ი გ ი ნ ე ი შ ვ ი ლ მ ა, ნ.გ ო გ უ ა ძ ე მ, გ.კ ი კ ნ ა ძ ე მ, ც.ქ უ რ ც ი კ ი ძ ე მ, უ.ც ი ნ დ ე ლ ი ა ნ მ ა).

როგორც გამოკვლევაშია აღნიშნული, " მოსეს ხუთწიგნულის" ქართული თარგმანების ტექსტი სხვადასხვა წიგნში და თვით ერთი წიგნის ფარგლებში სხვა-

ასხვა რაოდენობის ჯგუფად იყოფა. ამას განაპირობებს ის გარემოება, რომ ხელნაწერები, რიგ შემთხვევაში, ტექსტობრივ მონოლითური, ერთგვაროვანი არაა. ერთ ნაწილში ისინი ერთ ტიპს გვიჩვენებენ ტექსტისას, სხვა ნაწილში - სხვას. ეს ძირითადად აიხსნება იმით, რომ გვიანდელ ხელნაწერებში მოქცეულია თავდაპირველი ტექსტის სხვადასხვა რედაქციები" (გვ. 9). ამ გარემოებას მკვლევარი ხსნის გადასაწერი დედნის დეფექტურობით (ნაკლოვანებით), რის გამოც გადაწერები იძულებული გახდნენ ნაკლებად ადგილები სხვა ხელნაწერებით შეეცათ.

მოსეს ხუთწიგნეულის ფარგლებში გამოძკემული გამოყვეს ორი სრულიად დამოუკიდებელი ტიპი ტექსტისა. ერთი წარმოდგენილია ოსურის ხელნაწერით, მეორე გელათური ნუსხებით. დანარჩენი ხელნაწერები სხვადასხვანაირად დაჯგუფდნენ ტექსტის ამა თუ იმ ადგილას. ამრიგად, გამოიყოფა ხან სამი, ხან ოთხი ტექსტუალური ჯგუფი.

გარდა ქართულ ნუსხებს შორის ტექსტობრივ მიმართებათა დადგენისა და ცალკეულ ტიპებად მათი დაჯგუფებისა, გამოძკემულია წინაშე მრავალი სხვა საკითხი იდგა: ერთმეცნიერული დახასიათება თითოეული ტექსტუალური ტიპისა; ცალკეული ნუსხების კვლევა მათი რედაქციული მთლიანობის თვალსაზრისით; უძველესი ფენის გამოყოფა და, შესაძლებლობის ფარგლებში, ქართული თარგმანების არქტიპის გამოკვთა; ძველი ფენის რედაქტირების შედეგად მიღებული ტექსტის მიმართება სხვა ქართულ ნუსხებთან; ცალკეული ნუსხების სწორების (რედაქტირების) ხასიათისა და საკონტროლო წყაროების დადგენა; იმის გარკვევა, თუ რა დამოკიდებულებაშია გვიანდელ ნუსხებში დაცული ტექსტები

თავდაპირველ თარგმანთან (მისი სახეობაა თუ ახალი თარგმანი); ქართულ თარგმანთა წარმომავლობის რკვევა და სხვ.

ნაშრომში გათვალისწინებულია ქართული ბიბლიოლოგიის უმნიშვნელოვანესი მიღწევები და გაკეთებულია მრავალი ახალი საინტერესო დასკვნა.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ნაშრომის ის ნაწილი, სადაც განხილულია ძველი აღთქმის ქართულ თარგმანებში დადასტურებული გრეციზმები და არმენიზმები. როგორც მკვლევარი დაასკვნის, არმენიზმების უმრავლესობა არაა ტექსტუალური ხასიათისა, ე.ი. არ უნდა აიხსნას სომხური ტექსტის გავლენით (გვ.60), მაგრამ ამასთანვე აღნიშნავს, რომ "ბიბლიის უძველესი ქართული თარგმანის წარმომავლობის საკითხი ცალკეული გრეციზმებისა თუ არმენიზმების ანალიზით ვერ გადაწყდება. სამწუხაროდ, გარკვეულ პასუხს ამაზე ვერ გადალევს ვერც ქართული ტექსტის შედარება ბერძნულთან და სომხურთან. სხვაენოვანი რომელიმე დედნის არსებობა კი ნაკლებ საფიქრებელია" (გვ.54). გამოძკემლნი ლოგიკურად მიიჩნევენ იმ მოსაზრებას, რომ "ქართული ძველი აღთქმის წიგნთა დიდი ნაწილის, მათ შორის ხუთწიგნეულის, უძველესი თარგმანი ბერძნულიდან უნდა შესრულებულიყო ამ ძველმა თარგმანებმა კი სომხურთან, სირიულთან, ებრაულთან და კვლავ ბერძნულთან შედარების მრავალი ეტაპი გაიარეს" (იქვე).

ძველი აღთქმის წიგნთა პირველი ნაკვეთის გამოცემა ქართული ფილოლოგიური მეცნიერების მნიშვნელოვანი შენაძენია. ბიბლიოლოგიით დაინტერესებულ საუცილისტთა და ღმრთისმეტყველთათვის იგი უსათუოდ სამაგიდო წიგნად გადაიქცევა.

ევ. ქლოველი

D J V A R I V A Z I S A

(The Cross of Vine)

N 4. 1990

The journal opens with the Easter Epistle of His Holiness and Beatitude ILIA II, Catholicos-Patriarch of all Georgia. The Primate of the Georgian Church addresses to all Georgians living in Georgia or abroad. He appeals to all blessed children of God to live in mutual love, to purify their feelings and approach our Lord Jesus Christ in the depth of the Christian consciousness.

A year has passed since the bloody tragedy of April 9. The speech delivered by His Holiness and Beatitude ILIA II, at the funeral meeting, in 1990 on April 9, is published here.

The text of the cable in which His Holiness and Beatitude ILIA II once more expresses sympathy with Adjara on the occasion of the deplorable results engendered there by the natural calamity last year, is printed here.

Under the heading "Theology" readers will get acquainted with the speech of St. Simon the Theologian concerning the mystery of our Lord's resurrection. "The Apostolic and Activity Chapters", by Simon the new Theologian, explaining the mystery and purpose of the Holy Scripture, charity and baptism is completed in this issue.

The heading "Feed on the words of Faith" represents Maria Magdalene's life. (The life of Saints, edited by St. Father Dimitrii of Rostovi).

The article "Some Information of Fast", by priest Lavrentii Buzashvili is printed here. The great importance of fast is mentioned in the Holy Scripture. Fast is the indivisible part of the church-life and its aim is to give a man bodily strength and spiritual purification.

The section-Bible and Georgian Culture- acquaints us with different spheres of Georgian culture reflecting the Holy Scripture.

The article "Never Be Separated", by Oleg Goliadze concerning one episode of "St. Shushanik's Martyrdom" is published here. Three articles concerning God's three feasts: Palm-Sunday, Ladyday (Annunciation), and Easter are presented under the heading "Sacred Image of Power". The material is prepared in the Institute named after G. Chubinashvili.

The essay, by Lali Tseradze based on the rich hagiographical materials, in a very interesting way represents the history of Tsilkani Episcopacy.

The monograph by priest-monk Anton (Mtatsmindeli) is dedicated to the life and work of hieromonk Ilarion. Many people were inspired with enthusiasm with high moral standards of his activity. His life and deeds are examples of moral purity for all the faithful. We believe that it will be helpful nowadays to get acquainted with his life and work.

From the series of medicinal herbs the reader acquaints himself with the curative qualities of "Calendula".

Джвари Вазиса

(Крест из лозы виноградной)

№ 4. 1990

Журнал открывается Пасхальным посланием Святейшего и Блаженнейшего католикоса-патриарха всея Грузии Илии II, с которым обращается он ко всем соотечественникам, проживающим на Родине и за ее пределами.

В послании затронуты некоторые вопросы сегодняшнего дня. Его Святейшество призывает паству обратиться к мудрости, любви и милосердию, отречься от греховых побуждений; напоминает о необходимости соединиться со Спасителем.

Прошел год после кровавой трагедии 9 апреля. Мы публикуем слово, сказанное Святейшим и Блаженнейшим Илией II, в ночь на 9 апреля 1990 г.

Печатается текст телеграммы, в которой Святейший и Блаженнейший Илия II выражает сочувствие членам семей жертв стихийного бедствия в Аджарии в связи с годовщиной трагедии.

Рубрика "Богословие" знакомит со словом о Воскресении Симеона Нового Богослова.

Завершается публикация "Глав деятельности и богословия Симеона Нового Богослова, где разъясняется таинства и назначение Священного Писания, благотворительности и крещения.

Житие св. Марии Магдалины по "Житиям святых" под редакцией св. Дмитрия Ростовского представлено в рубрике "Питаемы словами веры".

● Публикуется статья священника Лаврентия Бузианвили "Несколько слов о посте", представлены места Священного писания повествующие о значении поста; пост неотъемлемая часть церковной жизни, цель которой духовное очищение и утверждение в вере.

Журнал начинает новую рубрику "Библия и Грузинская культура", которая познакомит читателя с отражением Священного писания в Грузинской культуре. Публикуется статья Олега Голиадзе "Да, не будет", посвященная толкованию одного эпизода "Мученичества св. Шушаник".

Представлены три статьи о выражении в грузинской иконописи трех Господних праздников - Входа в Иерусалим, Благовещения и Воскресения.

Основанный на богатой историографической материале, очерк Лали Церадзе знакомит нас с историей Цильканской епархии.

Монография иеромонаха Антония Мтапциндели посвящена жизни и деятельности грузинского монаха-схимника Иллариона. Высоко нравственный пример Иллариона вдохновлял и поучал многих. Верим, что в наше время, когда угасает ревность к духовному подвижничеству, читателям будет полезно ознакомиться с жизнью этого деятеля.

Цикл о лечебных травах рассказывает о полезных свойствах Календулы.

შინაარსი

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II. სააღდგომო ეპისტოლე 3

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია მეორის სიტყვა
წარმოთქმული 1990 წლის 8 აპრილის ღამეს სამგლოვიარო მიტინგზე 10

ხათუმი. აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ზატონ გურამ ჩიგოგიძეს
ღვთისმეტყველება 10

1. წმ. სუმენ ახალი ღვთისმეტყველი. ქრისტეს აღდგომის შესახებ 11

2. წმ. სუმენ ახალი ღვთისმეტყველი. სამოღვაწეო და საღვთისმეტყველო თავნი 14

ივანე მკვირვარი სიტყვითა სარწმუნოებისათა
მარიამ მაგდალინელი 21

ლავრენტი ზუზიაშვილი. ცოტა რამ მარხვის შესახებ 36

ხატი ძლიერებისა
ხარების ხატი 39

უფლის აღდგომის ხატი 43

ხმობის ხატი 45

ლალი ცერაძე. წილნის საეპისკოპოსო ისტორიიდან 49

გიგრი და ქართული კუბურა
ოლეგ გოლიაძე. "ნუ იყოფინ...". 59

მღვდელ-მონაზონი ანტონი(მთაწმიდელი). ილარიონ ქართველის ცხოვრება და მოღვაწეობა 64

სამკურნალო მცენარეები
ელენე ხარამიძე. კალენდულა 75

გიგრიობრაფია
ევ. ქლოველი. წიგნი ძუელისა აღთქმისანი შესაქმისაჲ, გამოსლვათაჲ 76

რეზიუმე ინგლისურ ენაზე 78

რეზიუმე რუსულ ენაზე 79

DSVARI VAZISA (The Gross of Vine)
Georgian Patriarchate. Tbilisi 1, Erekle's square

ДЖВАРИ ВАЗИСА (Крест из лозы виноградной)
Грузинская патриархия Тбилиси, пл. Ираклия 1.

გარეკანზე:
I გვ-ზე — წმინდა ნინო. შიო მღვიმე, მე-17 ს. 11 ნა.
IV გვ-ზე — ლაზარეს აღდგინება. მე-12 ს.

საგაბრძელო განყოფილების თავმჯდომარე ეპისკოპოსი ზონიძე (შირვანი)
რედაქტორი დეკანოზი არჩილ შინდიაშვილი.
პასუხისმგებელი მდივანი ანდრო ბეჟუაძე.

რედაქციის მისამართი:
სრულიად საქართველოს საპატრიარქო. თბილისი. ერეკლეს მოედანი № 1 ტელ. 88-26-34
ორიგინალ-მაკეტი და შრიფტები მოზადებულია კოლხეთის ინფო ტექ-ში. დაიბეჭდა გაბრძელობა
„საშობლოს“ სტამბაში. თბილისი, კოსტავას 14. შეკვ. 281. ტირ. 10000

